


119  
1982/3 V

ISSN 0182-599 X  
26705320  
2027010335

# განათლება



10

---

1982



# ენათმეცნიერება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის  
და საერთაშორისო სოციალისტური ქვეყნების

წილნაწილი 58-0

№ 10

ოქტომბერი, 1982 წ.

საქართველოს საბჭოთა მწიკრების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა კ ს ი

### კრეზა, კრეზია

1783 გომრგინივესკის ტრადიტი 1983

ანტონ სალუშვილი — წიგნი ფიციხა. კონსტანტინე	3
ჯანსუღ ჩაკვიანი — ლექსები	39
კიკოცი ვინევილი — გიგ. მოთხრობა	43
ანტონ სალუშვილი — ლექსები	81
გიგა სალუშვილი — ლექსები	83
თინათინ ბუაჩიძე — მცირე პოეზია, ანთ ბანისტორი ჩანაწერები	85
კლავდიე ბაბია — ლექსები. აფხაზერიდან თარგმნა ვენო კალანდიაშვილი	95
თამარ ვინევილი — ლექსები	98
დავით ბაბიაშვილი — ლექსები	99
ზარდაშვილი სპანდი — იტალიის ზედა. მოთხრობა. თარგმნა ვიქტორია ეკუაშვილიძე	101

### ნიკო ლოკთქიფანიძე 100

გიორგი ნატოვსკი — ნიკო ლოკთქიფანიძის კოლი და ადგილი ლიტერატურის ისტორიაში	106
---	-----

### კრიტიკა და კულტურისტიკა

პეტრე ტანაშა — ივანე ნოდინი დუბაჟის აღნიშნულ კომპოზიციებში	119
პაპი მინდიაშვილი — „ბაღნიძობა ბანოქალე აღმასწავლებელი“	129

### ხელთხვევა

ბიორე იმედაშვილი — ბარათული წიგნი და სხვის ჯამთხარი	136
---	-----

(იხ. მეორე გვერდი)

მეცნიერება

ბულნაკა კალანდარიშვილი — ზნეობრივი ვალი ილია შავჭავჭავაძის „კაცია-აღაშიანური“	145
ზუკაბ კიკნაძე — თამარის ანდრეჟული ხანა	154

საზღვეო-გადასახარებელი ლიტერატურა

ციალა თოფჩიანი — მითი დილიან შოლანდის შემოქმედებაში და „იკანაბატოვას“ საბა	159
---	-----

გამოსათხრობი

რევაზ თვაჩაძე — სამსე ქართული კატინონობით	168
---	-----

წიგნების მიმოხილვა

მირონ ხარბიანი — ავგუსტინის ანტიკონსტანტინოპოლისელი	169
ნუგზარ ფიქრია — უბეკბეგის მწერა	174
პაატა პატაშვილი — „ასკილის ფრეკლიანი“	175



შთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაძე

ს ა რ ე დ ა კ ტ ი მ ა კ ო ლ ე ბ ი ა :

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამბუშაძე (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერუ-  
ლაძე, თ. გიგინეიშვილი, ა. გომიაშვილი, ა. კალაძე, მ. ლეხანიძე,  
მ. მრეაშვილი, გ. ნატროშვილი, თ. პაპიორია (პ/მგ. მდივანი), ნ. წუ-  
ლუისკირი, ვ. წულუკიძე, თ. ჭილაძე, ბ. ხარბაძე, რ. ჯაფარიძე,  
ბ. ჯიბლაძე.

1783 ბეორგივესკის ტრაქტატი 1983

ანზორ სალუქვაძე

### ფიგნი ფიცისა

კინორომანი

ნაწილი პირველი

აღმსახრე და სვიმონი

1.

სალამონიანი.

ბორცვებს აქეთ, ნახანძრალ ტრამა-  
ლზე, ხელჯობიანი მოხუცი მიაბიჯებს.  
მოხუცს ჭვალოს კალთაჩამოძენილი  
კაბა აცვია. შემტვერილი კალთის ნა-  
ძონძი კოჭებზე მოსთრევს. მხარილდი-  
ვაც ჭვალოსავე ჩანთა ჰკიდია. წელზე,  
ქამრის ნაცვლად, სელის უხეში თოკი  
აქვს შემორტყმული. თოვლივით თეთ-  
რი თმა ბეჭებზე სცემს. გულმკერდსაც  
თოვლისფერი წვერი უფარავს. სათნო,  
მწუხარე სახე აქვს მოხუცს. ფეხშიშვე-  
ლია; მოხეტიალე მწირს უფრო ჩამოკ-  
ავს, ვიდრე ნაგვიანევე მგზავრს.

...წმიდა გიორგის კარზედა

ზე აღვად ამოსულია,  
ზედა დასხმია ყურძენი —  
საქმელად შემოსულია.  
იმის ნახვევი ქალაფი  
შავადა შემოსილია! —

ჩაესმის მოართულს ზმა იღუმალი.

ნაოხარი, იავარქმნილი სოფელი.

სოფელში შემოსული მოხუცი ნაბიჯს  
მოუკლებს, მტრისგან აკლებულ ნაფუ-  
ძერებს მიაყურებს, მის მაღალ, ნათელ  
შუბლს სიმწრის ოფლი ეკუთრება.

გადანგრეული ყორეები, შემუსვრილი  
თონე... შებილწული ჭა... შერუჯული  
ოწინარი... ნახანძრალებს აქა-იქ ჭერ  
კიდევ კვამლი ასდის.

...წმიდა გიორგის კარზედა

ზე აღვად ამოსულია,  
ზედა დასხმია ყურძენი —  
საქმელად შემოსულია.

ახლა უფრო მკვეთრად ჩაესმის ძვი-  
დემომწვარ საწნახელთან შემართულ  
მოხუცს. მოხუცი ერთხანს შეძრწუნებუ-  
ლი სახით დასცქერის ცეცხლის ენებით  
მონახშირებულ საღვინე აკვანს, მერე  
ათრთოლებულ ხელს საწნახლისკენ წა-  
იღებს და ისე შეეხება, როგორც მკურ-  
ნალი — სნეულს. შეხება და ბავშვის  
გულამოსკენილი ტირილი ერთია... მო-  
ხუცი სმენად იქცევა, მისი მძლავრი,  
დაძარღვეული ხელი საწნახლის ძვიდეს  
მიაქვავდება...

მომორებით, თავდაღმა დამზობილ,  
მკერდგამოხეულ ქვეწარში, ვითარცა

უნაგრო დახმარებისა და კონსულტაციისა-  
თვის დიდ მადლობას ვუძღვნი ნოდარ ახთიაშვილს.

საქართველოს  
საბჭოთაო  
კულტურის  
მინისტრო

თალში, ახლადფეხადგმული გოგონა დგას!..

ჩვილის ტირილი სასოებასავით ეფინება იავარქმნილ სოფელს.

მოხუცი ქვევართან მიიჭრება...

..წმიდა გიორგის კარზედა  
ზე ალვად ამოსულია,  
ზედა დასხმია ურძენი —  
საქმელად შემოსულია.  
იმის ნახვევი ქალ-ვაფი  
შავდა შემოსილია —  
ისმის შორიდან.

ხელში ჩვილატატებული მოხუცი ჩქარი ნაბიჯით სცილდება სოფელს.

## 2.

იმ ღამით წვიმდა. ჩილდირის ტბის-პირად, ნაომარ ველზე კოცონები ენთო...

სახეგარუჯული, დაღლილი მხედარი — ლალა მუსტაფა ფაშა თითქმის მთლიანად მინებებოდა ცხენს. უნაგირზე მოშვებულად მჯდარს თვალები ოდნავ მიეღულა, ნაოფლარი ყვითელი თმა შუბლზე თხლად დაჰფენოდა, უქუდოსა და უმოსასხამოს აბჯარიც გაეხადა. სხელზე ღვედმოშვებული აბჯრის ქვეშა ტყავის სამოსილა შემორჩენოდა. ფაშა ორმოცდაათი წლისა იქნებოდა, მაგრამ ხორბლისფერი წვერ-ულვაშის გამოისობით უფრო უმრწემსა ჰგავდა, მის ასაკს მხოლოდ თვალებთან შეყრილი ნაოჭები თუ ამტკიცებდა. ცხენზე უნდოდად მჯდარს თან სამცხის ყოფილი ათაბაგის უმცროსი ძმა, ოსმალთაგან ბეგლარბეგად დასადგინებული მანუჩარი და ოციოდე ოსმალთა სარდალი მოჰყვებოდა. ისინი იერთა და ჩაცმულობით მკვეთრად განსხვავდებოდნენ თავიანთი სერბული წარმოშობის წინამძღოლისაგან.

იანიჩრებს სპარსი და ქართველი ტყვეები ერთად შეეყარათ.

ტყვეების წინ შავწვერა, ახოვანი მღვდელი იდგა — გულ-მკერდს სპილენძის ჯვარი უმშვენებდა.

ოსმალთა ქუცნაურმა წინამძღოლმა ცხენი შეაყენა, ტყვეები შეათვალერა, მღვდელს დააჩერდა და ძლიერ გასაგონად ჩაილაპარაკა:

— სპარსელებს თავი მოჰკვეთეთ. ქრისტიანები დასწვიეთ!

მღვდელმა მანუჩარს აპხედა.

იანიჩრებს ყუაში ძელგაყრილი ვეება ზარი მოჰქონდათ...

ზარი ზეაწიეს და მღვდელს თავზე დაამხეს...

ზარის სიმძიმემ ახოვანი მღვდელი მოღრიაკა, ქვეშ მოიმწყვდია...

იანიჩრებმა ზარს ფიჩხი მიაყარეს, მერე ხმელი ხეებიც შემოუწყვეეს და ანთებული ჩირაღდანი მისცეს — ცეცხლი ერთბაშად აგიზგიზდა, ცამდე აიზიდა, აბუბუნდა, ალაღადა...

— რად ჰქმენ? — ჰკითხა მანუჩარმა მუსტაფა-ფაშას.

— იმად, რომ, ღვთისმსასოებელი სული მოწამებრივ სიკვდილს უკეთეს ვერსად იშოვიდა. — მიუგო სერბმა.

ეს ამბავი 1578 წლის აგვისტოში მოხდა.

1555 წლის ამასიის ზავით ოსმალეთმა და ყიზილბაშურმა ირანმა მტერთა განუწყვეტელი შემოსევებით განადგურებული და ფეოდალურად დაშლილი საქართველო ორად გაიყვეს. 1578 წელს ოსმალეთმა დაარღვია ამასიის ზავი და კავკასიის დასაპყრობად უზარმაზარი ლაშქარი დაძრა. შინაღინასტიური ბრძოლებით დაუსტებულმა ირანმა სათანადო წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია ოსმალთა ლაშქარს. ჩილდირის ტბასთან ყიზილბაშთა არმიის განადგურების შემდეგ, ოსმალებმა სამცხე და ქართლი დაიკავეს, თბილისი ააოხრეს და აგვისტოს ბოლოს კახეთისკენ დაიძრნენ...

...ცეცხლი თანდათან მინელდა, ჩაიქცა, ჩანაკვერჩხალდა...

ჩილდირის ტბის პირას ღამის მზესავით ელვარებდა გავარჯერებული ვეება ზარი..

ნათუ...



ნათუ...

ნათუ...

3.

ზარის გულში თანდათან დაცხრა —  
სიშორეში დაიკარგა...

ალავერდის შორი-ახლოს, მონასტრის  
ეზოში გამართულ საჩრდილობლებში,  
თარობად დალაგებულ ჩელტებზე აბ-  
რეშუმის ჭია შრიალებდა, ზანტად და-  
ლოლავდა ბობოლი, ზანტადვე ღრღნიდა  
თუთის ახლადდაფენილ ღორთქო ფოთ-  
ლებს...

— უფალი იყოს შენი მფარველი,  
შვილო ჩემო და ვითარცა დავით სძლო  
გოლიათსა, ისევე გეძლიოს შენცა უწ-  
მინდური თესლი აგარიანთა, რამე-თუ  
ხრმალი შენი კურთხეულ არს სიმათ-  
ლისათვის. — თქვა ალავერდელმა მთა-  
ვარეპისკოპოსმა ნიკოლოზმა და გადმო-  
ზნექილი ჩელტი შეასწორა.

საჩრდილობლიდან კარგა მოშორე-  
ბით, მობელილი რტობით ავსილ ურ-  
მებთან მიმსდარი მეურნე ბერები ხე-  
ლის ერთი გაქნევით დაშნებოვით აშიშ-  
ვლებდნენ თუთის შოლტებს, ფოთ-  
ლებს კალათებში ჰყრიდნენ და თან მა-  
ლულად უთვალთვალდნენ მთავარ-  
ეპისკოპოსს და მის დიდებულ სტუმარს  
— მეფე ალექსანდრეს!

— არა, მამო, ამჯერად, ვგონებ, სო-  
ლომონის სიბრძნე უფრო გემართებს,  
ვინემ სიქველე დავითისა. — ჩაილაპა-  
რაკა მეფემ, — უნდა კვლავ წაცად  
გზას დავადგეთ და ვითარცა ყიზილბა-  
ში, ხრმლის აქნევის ნაცვლად თავის და-  
კვრით დავითანხმობთ თურქნიც მშვი-  
ლობას.

— ფუქი იმედია, შვილო ჩემო! —  
შუბლი შეიკმუხნა ნიკოლოზმა, მერე  
წამოენთო, სიბერისგან მიმჭრალ თვა-  
ლებში უცნაური ცეცხლი ჩაუდგა, შე-  
მობრუნდა, ჯიქურ მიაჩერდა კახთა  
მბრძანებელს და ჩახლენილი ხმით დას-  
ძინა: — შეხედე სამცხეს... პატივყ-  
რილი მანუჩარი ძუქნა ძაღლივით უკან  
მისდევს ოსმალო ფაშას... შენც იგივე

გელის — ზავს თუ დაგთანხმდებიან...  
ქრისტიან მეფედ დაგარჩენს და მარი-  
ამის წილხვდომილ შენს სამეფოს თა-  
ვის სანჯაყად აქცევს... უფალს არ უყ-  
ვარს ჭეშმარიტი გზიდან განდგომა, ამ-  
გვარმა ცოდვამ თვით კონსტანტინეს  
დიდი ქალაქიც უწმინდურთა გომურად  
აქცია... ნუ!.. ნუ მოუდრეკ ქედს ურ-  
ჯულოთა, თორემ მაგ ქედზე უღელთან  
ერთად მიუტევენბელი ცოდვაც დაგაწ-  
ვება, მეფეო!..

4.

ალაზნის ველზე სიმშვიდე სუფევდა.  
დიდებული იყო ალაზნის ველი —  
ღვთისმშობლის კალთასავით უხვი და  
სანუკვარი...

ვიწრო სარკმელთან მიმდგარმა მეფე  
ალექსანდრემ თვალი თანდათან მთა-  
შორა სიერცეს და მზერა საკანში შემო-  
იტანა — კარის ჭრიალმა თუ მიიპყრო  
მისი ყურადღება?

საკანში მანდატურთუხუცესი შემო-  
ვიდა.

— ბედაურების ქურდი მოგგვარეს,  
მეფეო. — თქვა მან.

მეფე ჯერ უაზროდ მიაჩერდა მან-  
დატურთუხუცესს, მერე გონს მოეგო,  
სარკმელს მოსცილდა და ბრძანა:

— შემოიყვანეთ!

ორმა მანდატურმა საკანში მხრებგა-  
კავებული ბედაურების ქურდი შემოიყ-  
ვანა. ქურდი შუახნის კაცი იყო, ბრგე,  
ბრტყელბუქიანი. სამოსი შემოხეული  
ქმონდა, ნაგვემი და ნაწეალები ჩანდა.

მეფემ მანდატურებს ანიშნა — მარ-  
ტო დაგვტოვეთ.

მანდატურები გავიდნენ.

მანდატურთუხუცესიც მიჰყვა — კარი  
გაიხურა.

საკანში მდუმარებამ დაისადგურა.

ბედაურების ქურდმა თავი ასწია, მე-  
ფეს მიაჩერდა.

მეფემ სიჩუმეს მიაყურა, მერე სარ-  
კმლისკენ შეტრიალდა და ხმადაბლა  
ბრძანა:

— თქვი!

— ტახტის წართმევას გიპირებენ, მეფეო. — თქვა ქურდმა.

მეფე მშვიდად შეხვდა ამ ამბავს. უფრო მშვიდად, ვიდრე ამბის მომტანი მოელოდა — არც კი შერხეულა.

საკანში კვლავ მდუმარებამ დაისადგურა.

— სვიმონ მეფისა რა შეიტყვე? — იკითხა მეფემ.

— კვლავ შაჰის კარზედ დგას. — უპასუბა ქურდმა, — მუბრანბატონმა მამცნო, რაჯულის შეცვლას სთხოვენო... თუ ქრისტეს რაჯული დაადებინეს შაჰი ქართლის ტახტს დაეუღ-ხანს ართმევს და სვიმონს უბრუნებს.

— ჩემს ტახტზე დასმას ვის უპირებს?

— შენს ძმას იესეს.

მეფე შემობრუნდა, თვალი თვალში გაუყარა ბედაურების ქურდად მონათლულ ერთგულ კაცს. მერე კარი გამოაღო და მანდატურთ უბმო:

— გაჯობეთ და დილეგში ჩაადგეთ!

მანდატურებმა ქურდი გაიყვანეს.

საკანში მარტო დარჩენილი მეფე აღექსანდრე შეფიქრიანდა. კარგა ხანს იდგა გაუნძრევლად. მერე ადგილი მოინაცვლა — მუხის მძიმე მაგიდაზე გადაშლილ ვეება წიგნს ჩააცქერდა. დიდ-ხანს უუურა. ბოლოს წიგნი დახურა და კვლავ სარკმლისკენ შეტრიალდა.

„შაჰ ნამე“ ეწერა წიგნის ოქროთი მოვარაყებულ ყდას.

## 5.

სომეხმა დიდვაჰარმა იუჰანმა ტახტზე დაყრილ აბრეშუმის პარკს თავი მიანება, წამოდგა, გამადიდებელი მინაძირს დაუშვა და პალატში შემობრძინებულ მეფეს ქედმოხრით მიეგება...

— კარგია, მაგრამ გილანისა სჯობს.

— ფრთხილად თქვა მან.

იუჰანი მოხუცი იყო. მის ხმელ ყვრი-მალეებს ავადმყოფური სიყვითლე გადაჰკარავდა. თვალეები ჩასცვენოდა, ბაგეები სიმწრით მოეკუმა — აშკარა იყო,

რალაც უსაშველო სენი უღრღინდა სხეულს.

— იუჰან, ამ საქმისთვის შენზე ერთგული კაცი არ მეგულება. — თქვა მეფემ.

— იცოცხლე, მეფეო! — ამოიხბრა იუჰანმა, — მეც ბევრი მახსოვს შენი სიკეთე, მაგრამ, ღმერთს გავფიცები, ავად ვარ... ეს ჩემი ბოლო ჭარავნობაა. ისპაჰანს სიბე და ქალიწვილი მივის, იმათ ხელში მინდა სული დავლიო...

სიჩუმე ჩამოვარდა.

— სპარსეთს რა მიგაქვს? — ჰკითხა მეფემ.

— ოცი საპალნე რუსული ბეწვი, მეფეო. — უპასუბა ვაჰარმა.

— ბეწვს მე ვიყიდი. — გადაჭრით თქვა მეფემ და ფანჯარასთან მივიდა.

— არა, მეფეო, მოსკოვი შორს არის... ენკენობისთვე, ღვინობისთვე მარტო გზას უნდა... რუსულ ზამთარს ველარ გავუძლებ... ეგეც არ იყოს ქვეყანა აირია, ამბობენ, საქარავნე გზებს ყირიმის ხანი დაიჭერსო... ჩავძალღებდი და ეს ამოტენა აბრეშუმშიც ოხრად დარჩება...

...პალატის ფანჯრიდან სასახლის თავლა და სამშედლო მოსჩანდა... სამშედლოს წინ მანდატურებს ბედაურების „ქურდი“ წამოიქციათ, ხელ-ფეხგაშლილი ურმის ბორბალზე დაეკრათ და გულმოდგინედ ჯობავდნენ. „ქურდი“ იღრინებოდა, მანდატურებს დედ-მამის სულს უჯინებდა...

მეფე ფანჯარას მოსცილდა, კედელში ჩატანებულ განჯინასთან მივიდა, განჯინის კარი გამოაღო, სკივრი გახსნა, სკივრიდან მოზრდილი ტყავის ქისა და დაბეჭდილი გრაგნილი ამოიღო, შემობრუნდა, ქისა და გრაგნილი იუჰანს წინ დაუწყო და ბრძანა:

— ამ ფირმანს რუსთა ხელმწიფეს მიართმევ!

იუჰანი დაფიქრდა. ფულით საცხე ქისას დააქქერდა... ხელიც კი შეახო... მერე მაგიდიდან მხოლოდ გრაგნილი

ილო და პალატიდან უსიტყვოდ გავი-  
და.

6.

— შენ გავედრებ ღეთისმშობელო ქალწულო შეურყვეველსა ზღუდესა ცხოვრებისასა ჩვენისასა, წინააღმდეგობათა ზრახვანი განაქარვენ და ერისა შენისა მშუტხარება სიბარულად გარდასცვალე, და სოფელსა შენსა აღმოუწოდე მშვიდობისათვის, სოფლისა ევედრე, ღეთისმშობელო, რამეთუ შენ ხარ სასოება ჩვენი. — ლოცულობდა სასახლის კარის მცირე საყდარში, ღეთისმშობლის ხატთან მუხლმოყრილი თინათინ დედოფალი.

დედოფლის გვერდით უფლისწულნიც დაჩოქილიყვნენ — ერეკლე, გიორგი, დავითი, დანი მათნი და ორი წლის პატარა კონსტანტინე. მლოცველებს სანთლები ეპყრათ. სანთელი ეპყრა პატარა კონსტანტინესაც.

— სიტკბოებათ ანგელოსთაო, — ისმოდა დედოფლის ხმა, — მწუხარეთა სიბარულო, ქრისტიანეთა მეოხეო ქალწულო და დედაო უფლისაო, შემწე გვეყავ ჩვენ და გამოგვიხსენ საუკუნეთა: სატანჯველისაგან...

საყდარში, მლოცველთაგან შეუმჩნევლად, ალექსანდრე მეფე შემოვიდა, სანთელი ანთო და პატარა კონსტანტინეს გვერდით მორჩილად დაიჩოქა.

— უფალო ჩვენო იესო ქრისტე, მეუფეო დიდებისაო, შეგვიწყალე ჩვენ! რამეთუ შენ გესავთ, ნუ განგვირისხდები ჩვენ ფრიად, და ნუცა მოიხსენებ უსჯულოებათა ჩვენთა, არამედ მოიხილე ჩვენს ზედა წყალობითა, ვითარცა სახიერ ხარ და გვიხსენ ჩვენ სამართლად რისხვისაგან შენისა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩვენი და ჩვენ ვართ ერნი შენი, და ყოველნივე ქმნილი შენთან ვართ, სახელი შენი წოდებულ არს ჩვენს ზედა და შეგვიწყალენ ჩვენ... — განაგრძობდა ლოცვას თინათინ დედოფალი.

7.

ბნელ დილეგში გაჯოხილ ბედაურების ქურდს ეძინა. ვალმოხდილი კაცის მშვიდი, უღრტვინველი სახე ჰქონდა მძინარეს.

ვიღაცის ხელმა დილეგის კარს ურდული ფრთხილად შეხსნა.

კარი უჩუმრად გაიღო. დილეგში ალექსანდრე მეფე შემოვიდა. მეფემ ჯერ სიბნელეს შეაჩვია თვალი, მერე დილეგის კუნჭულში ჩალაზე მიგდებულ „ქურდს“ მიუახლოვდა და გვერდით მიუჭდა.

კარგა ხანს უყურა სიყვარულით თავის ერთგულ კაცს. მოერიდა გაღვიძება... თეადაც დალილს მზერა გაუშტერდა — კვლავ ფიქრმა თუ წარულო გონება...

მძინარე შეირხა — გვერდი შეინაცვლა.

მეფე გამოერკვა.

— პაპაიე! — მხარზე ხელი შეახო მძინარეს.

„ქურდმა“ თვალი გაახილა, უაზროდ მიმოიხედა, მერე მეფე შეიცნო და ზეზე წამოჭრა დააპირა, მაგრამ ნაგვემი სხეული ველარ აიყოლა.

მეფეს გაეცინა. გაეცინა პაპაისაც...

„ქურდმა“ და მისმა „მსაჯულმა“ დილეგის კიბე უხმაუროდ აიარეს, გოდოლებს გასცდნენ და სამშვიდობოს გასულნი, გალავნის ბუქსთან შეყოვნდნენ.

— შენი ნაპარევი ბედაური გარეთ გელოდება. — უთხრა „ქურდს“ მეფემ და დასიინა, — შინ წადი...

პაპაიმ გაკვირვებით შეხედა ალექსანდრეს.

— ოსმალო?!.

— წადი... შინ წადი! — დარწმუნებით გაუმერა მეფემ.

პაპაი ჩაფიქრდა, მიხვდა, ოსმალებთან ბრძოლას აღარ აპირებდა კახთა პატრონი. უხმოდ შებრუნდა და სიბნელეში გაუჩინარდა...

მარიამობისთვის მშვიდი, მთვარიანი  
ზეცა დაჰყურებდა გრემს.

შორს, ოდნავ გასაგონად ისმოდა  
ცხენის ფლოქვების თქარუნი.

ხმა:

— ვინა თქვა, ვნაც გახხმება,  
წოწრეთ პაპი ბერია,  
ბერია, არცა ბერია,  
სიახლე ხელთა სჭერია —  
ცხენზე შექდება ჭორსა ჰგავს,  
დაუქვეითებს მგელია!..

8.

თენდება.

ცხენის ფლოქვების თქარუნი თანდა-  
თან ახლოვდება. ახლოვდება და უეც-  
რად წყდება...

მთლად გახვითქული, უმხედრო ულა-  
ყი მდელის ფრუტუნით შემოირბენს,  
ნამიან ბალახს დაყნოსავს და სტუმარი-  
ვით ფრთხილად მოწიწუნის. ძვირფასი  
მოსართავი შვენის მეფის ნაბოძებ  
ულაყს...

ძინავს პაპის ცოლ-შვილს. საბნად  
ირმისა და მგლის ტყავები აფარიათ...

ძინავს ანდარეზს — პაპის უფროს  
ძეს...

ძინავს ბერდიას...

გიგოლეს...

დევედარს...

ივანეს...

მანგიას...

მთვრალაის...

უთურს...

ბაჩუას...

ხუნჩალეს...

ძინავს დედის მკერდში ჩაკრულ პა-  
წია ნაყუდას... ზღურბლზე კი წოწრეთ  
პაპი ღვას.

ხმა:

— ვინა თქვა, ვნაც გახხმება,  
წოწრეთ პაპი ბერია!  
ბერია, არცა ბერია,  
სიახლე ხელთა სჭერია —  
ცხენზე შექდება ჭორსა ჰგავს,  
დაუქვეითებს მგელია!

სოფლის თავს უღვას ქავ-ციხე.

ზედ ბევრი აკრავს ხელია,

გამზარი, ჩამოტყაული,

საცქერლად საზარელია.

ქავს შვენი კოშკი მაღალი,

ღრუბლებში უზის წვერია!

შიგ ჰყრია ტყვია-წამალი,

გაპირდეს — დასაწველია!

გარეთ დაუღის ცხვარ-ჭოგი,

ხარი, ფური და ცხენია;

თორმეტი ურა კვიცი ჰყავ —

საბელს უგიათ ქერია;

თორმეტი ფარა ცხვარი ჰყავ —

თან მოქვს შთა და ველია;

თორმეტი ხვედა ძაღლი ჰყავ —

არ ყოფნის ჯაჭვ-საბელია!

თორმეტი ქედა ხარი ჰყავ,

სუ წინ და უკან ჰრელია;

თორმეტი ნიშა ფური ჰყავ,

ერთ დილას მოსაწველია;

თერთმეტი საპატარძლო ჰყავ,

მზისა და მთვარის ფერია;

თერთმეტი ვაფიშვილი ჰყავ,

ერთად ჯვარდასაწერია...

9.

წვიმდა...

მეთოფეთა კოცონებით შეფაკულ  
სველ კედელს რამდენიმე ცხენოსან-  
მა ქარივით ჩაუქროლა... მხედრები მა-  
ლალთალოვან ალაყაფში შეიჭრნენ —  
სიბნელეს შეეფარნენ...

წვიმდა...

— ხელმწიფის ნახვა მსურს!.. მით-  
ხრეს, ნვახშმევზე ჭადრაკით ერთობო-  
დაო... — ჯიქურ მიახალა უფლისწულ-  
მა ივანე ივანეს ძემ მმას თვისას თევ-  
დორეს, რაკი ეს უკანასკნელი, სამორინე  
პალატში, სრულიად მარტომყოფი იხი-  
ლა.

თევდორე უფლისწულმა ძვირფასი  
ქვებით ინტუსტრირებულ ავღანურ ჭად-  
რაკს თავი მიანება, ნაწამები ფიჭვი ხა-  
ლისით გადაყარა და ნადიმობიდან უდ-  
როოდ მობრუნებულ ტახტის მემკვიდ-



რე ძმას, ჩვეულებისამებრ, უდრტ-  
ვინველი ღიმილით მიაგება:

— მწყინს, ძმაო ჩემო, რომ კვლავაც  
ხელმოკარულს გხედავ. აჲ, გულჯავ-  
რიანს სანადირო ტანსაცმელიც არ გა-  
ვიხდია... ეგრეც ვიცოდი... გახსოვს,  
სულხალში, გრძნეულებმა რომ შეგვა-  
გონეს, ფერიცვალების მერე, ახალი  
მთვარე, მონადირეზე უფრო ნადირსა  
სწყალობსო?..

— ხელმწიფე-მეთქი! — უკმეხად შე-  
ახსენა ტახტის მემკვიდრემ.

— ნუ, ძმაო, ჩემო!.. — ღიმილითვე  
განაგრძო თვედორე უფლისწულმა. —  
სჯობს ჭავჭავიანი გული კვლავ სიყვარუ-  
ლით მოიბრუნო... მამილო შეუძლოდ  
შეიქმნა... თითქმის გამარჯვებულმა, ჭა-  
დრაქს თავი მიანება, სახსრების ტკივი-  
ლი მოიმიზეზა... მითხრა: კიდევ იფიქ-  
რე, დამარცხებას ასე იოლად ნუ ურიგ-  
დები, ეცადე, წაგების დროსაც რამე  
იღონო — გამოსავალი ჰპოვო... თუ  
ჰპოვე, დაიხსომე კიდევ და თამაშიც  
დღილიდანვე განვაახლოთ... აი, რა ხა-  
ნია ვფიქრობ, მაგრამ...

ტახტის მემკვიდრე ივანე ივანეს ძე  
ძმას აღარ უსმენდა — სამორინე პალა-  
ტი მიატრია... უეჭველი იყო, ხელმწიფეს  
ნახვას მოუთმენლად ეშურებოდა...

განაწყენებულმა თვედორემ მიმავალს  
თვალი სინანულით გააყოლა, მხრები  
აიჩჩია, თავი უმწეოდ გადაიქნია და  
კვლავ ჭადრაქს მიუბრუნდა...

წვიმდა...

სარკმელში სველი, სევდიანი წყვი-  
ადი იშვრებოდა...

დიდი ხელმწიფე ივანე ვასილის ძე  
მემკვიდრეს თავის საკანში დაუხვდა.  
პერანგის ამარა ბრძანდებოდა, საწოლ-  
ზე იჯდა — იატაკს ჩასცქეროდა... ჩას-  
ჩერებოდა... აშკარა იყო — საზრუნავი  
მოსძალდებოდა...

— თვედორე წუხდა: მამილო შეუძ-  
ლოდ შეიქმნაო... — „მოიბოდიშა“ ტა-  
ხტის მემკვიდრემ და მრისხანე ხელმ-  
წიფის გვერდით, სავარძელზე ჩამოჯ-

— არც თუ მთლად შეუძლოდ ვარა  
ორაზროვნად მიუგო მამამ.

იუჩეს.

— მართალია? — სამი უილაჯო შე-  
ტყვის მერე, ჩვენმა „მამაცმა“ მეომრე-  
ბმა, კენდენს ალყა შემოხსნეს და შელა-  
მებამდის თავს თოფებით-ღა იცავდ-  
ნენო! — საყვედურით იკითხა უფლის-  
წულმა.

— მართალია. — მშვიდად უპასუხა  
ხელმწიფემ.

— მაშ, ისიც მართალი იქნება, რომ  
პოლონელთა და შვედთა შიშით, შენ-  
გან ჭებულმა ოთხივე ვოივოდამ: თავა-  
დმა ივანე გოლიცინმა, შერემეტევიმა,  
თავადმა ანდრეი პალეციმ და ახნაურ-  
მა შელკალოვმა სიბნელით ისარგებ-  
ლეს, შუალამისას ცხენოსანთა რაზმები  
აპყარეს და მათთან ერთად, ბრძოლის  
ველიდან სამარცხვინოდ უქუიქცნენ?..

დიდმა ხელმწიფემ, ნაჩქარევ პასუხს,  
წამიერი დუმილი არჩია...

— ხოლო, ღალატით განწირული და-  
ნარჩენი ვოევოდები, — ხმა აღიმაღლა  
მამის მღუმარებით შეგულიანებულმა  
მემკვიდრე უფლისწულმა, — დიხაც  
რომ, მტრის ხელთ ჩაცვივდნენ... პუშ-  
კარებმა კი, ღმერთი დასწყევლის მათ  
გაჩენას, სხვა რომ ველარა იღონეს რა,  
გოდოლებზე მდგარ საეკუთარ ზარბაზ-  
ნებს ყულფები ჩამოაბეს და საცოდავე-  
ბმა, თავები ზედ ლულეებზე ჩამოიხრ-  
ჩვესო!..

— ვაი, რომ ეგეც სიმართლესა  
ჰგავს... — კვლავ მშვიდად ჩაილაპარა-  
კა ხელმწიფემ, მერე წამოდგა, წვიმით  
შენამულ ღამეულ სარკმელს მიუახლო-  
ვდა და მშვიდადვე განაგრძო: — მაგ-  
რამ... მაგ სიმართლეზე უფრო მწარე,  
კიდევ ერთი სიმართლე გახლავს... სუ-  
ლთანმა მურად მესამემ კავკასიაზე ლა-  
შქარი დასძრა!.. უეჭველია, მისივე სუ-  
რვილით, დღეს თუ არა ხვალ, ყირიმის  
ხანიც ხელს გამოიღებს... მშვენიერად  
ვიცი, ვის რა წადილი აქვს, თუ ოსმა-  
ლეთმა კავკასიონს გამოლმა, დარუბან-  
დსა და ყაბარდოში შემოაღწია, მაშინ  
აღარც მუჰამედ გირეი დაახანებს. სუნ-

ჩაზე ციხეს მოგვათხრევენებს... აზოვი-  
დან მოყოლებული კავკასიის ჩრდილო-  
ეთს მთლიანად დაიჭერს, ყირიმს და-  
რუბანდს შეუერთებს. ჩვენს წინააღმ-  
დეგ უწყვეტ ჩაქვს შექქმნის, სამხრე-  
თისკენ ხელ-ფეხს შეგვიკრავს... ირანსა  
და მთელს კავკასიას მჭილქვეშ იყო-  
ლიებს!.. მერე ასტრახანსაც მისწვდება.  
იუბზევებს მხარს მისცემს და... მორ-  
ჩა!.. ყური დამიგდვ. შეილო ჩემო,  
ასეთ ყოფაში დასავლეთთან ომი არ  
გვარგებს, მოთმინება გვჭირდება!..  
ვცადოთ, ეგება. სტეფან ბატორი რო-  
გორმე ზაზე დავითანხმით...

— ვაი, სირცხვილო!.. — ზეწამოიჭ-  
რა უფლისწული. — დიდი ხელმწიფე,  
მეფე და დიდი მთავარი, შთამომავალი  
თვით ბრწყინვალე კალიტასი, უღირს  
პოლონელებზე აღზევებულ ვილაც  
თვითმარქვია უნგრელს, სტეფანე ბა-  
ტორს მუხლმოყრილი ზავს ევედრება!..  
— ხმა-მეთქი! — იფეთქა ხელმწი-  
ფემ.

— არამც და არამც! — აღარ შეეპუა  
ტახტის მემკვიდრეც.

თევდორე უფლისწულს ქადრაკზე  
ჩასინებოდა...

წვიმდა. უიმედო, პირქუში ღამე დას-  
წოლოდა ლეთისმშობლის მიძინების  
თოვლივით თეთრსა და მოწყენილ ეპ-  
ლესიას...

10.

იუჰანის ცხენი მეგზურს სადავით მი-  
ჰყავდა.

სენმოძალებული და მგზავრობით  
ილაჯგაწყვეტილი დიდვაჭარი ქარავანს  
კულში მოჰყვებოდა... ნაბაღში გახვე-  
ულს თვალნი საცოდავად მიელულა,  
უნაგირზე თავს ძლივს იმაგრებდა და  
ბედს მინდობილი სევდიანად ლიღინე-  
ბდა:

— ქართლელი კაცი მგელსა ჰგავ.

ვახელი კაცი — ტურასა;

ვახელი კაცის პირიშე —

ჩაარაკრავებს ეულსა...

ორმოციოდე ჯორ-ცხენისგან მსულ-  
გარი ქარავანი უღელტეხილზე მიიმედ  
გადაემართა, თავქვე დაეშვა და ლამის  
გასათევად შეგულბულ ზეგანზე გაიშა-  
ლა. ქარავანს თან ათიოდე მექარავნე,  
ამდენივე შეიარაღებულ მცველი და  
მეგზურნი ახლდნენ.

იუჰანმა მცველთა მეთაურს უხმო.

— მახარე, აქ მო!.. სოფლამდე არც  
თუ ისე დიდი გზა გვიძევს. ერთ ეგზე  
მეტი იქნება... თან სახსრებიცა მტებს.  
ეტყობა ამინდის არი... სჯობს ვიაროთ!..  
მექარავნეებს უბრძანე, პატრონმა ეგრე  
ინება-თქო!

წყაროსთავს პირქვე წამოხილმა ლე-  
კმა მეგზურმა ყური მოჰკრა იუჰანის  
ნათქვამს, გაიტრუნა — დაელოდა ვიდ-  
რე სოფლისკენ მაშურალი დიდვაჭარი  
ცხენს ბილიკიდან უგზოზე გადაიყვან-  
და, მერე წამოიწია, წყლით შელურწუ-  
ლი ტუჩ-ულვაში ქულაქას შეაწმინდა,  
გარემო ქურდულად მოათვალეირა და  
რაკი მაკქერალი ვერავინ დაიგულა,  
თავი ხშირ ბარდნალს მისცა.

...ციოდა.

შუაცეცხლთან მიდგმულ ხის მოგრძო  
ხონჩაზე ორად გახლეჩილი კეცა-პური,  
ჯამით ხაჭო, ცხვრის ყველი, არუიანი  
ხელადა და გამოუქნელი მოზერის წყვი-  
ლი ყანწი ეწყო

იუჰანი და მისი მასპინძელი, სიჭარ-  
მაგეს კარგა გაცდენილი თუში, აბალო  
ბეროძე, შეგვიანებულ ვახშამს მისხლო-  
მოდნენ.

ჭერბოში ბორიყი სისინებდა.

შუალამის მთვარე დაპნათობდა ბე-  
როძიანთ სახლ-კარს.

ყარაული თვლემდა.

მექარავნენი ყორისძირს მიყრილიყ-  
ვნენ, თავქვეშ თექალთო-უნაგირები  
ამოეგოთ და მგზავრობით ქანც-მილე-  
ულნი ღრმა ძილს მისცემოდნენ. იქვე,  
ყორის გასწვრივ, საპალნეყარილი ჯორ-



ცხენი ჩამწყრივებულყო, ქვა-ტიხრზე მიფენილ თივა-ბალახს გერგილად მისდგომოდა და ზანტად, უგულოდ ცოხნიდა.

ბეროძის ქალმა თალაღემ ხინკალი შემოიტანა, შეორთქლილი გობი ხონჯაზე დასტოვა და იქაურობას კდემანარევი ღიმილით განერიდა.

— დაქალებულა. — ჩაილაპარაკა იუჰანმა. — დროა სასიძო ნახო!

— სანახავი რაა! — გაეცინა მასპინძელს, — მთხოვნელი ბევრ ჰყავ, ნარჩევ ვი ერთი... კარგი ვაჟია, ორბის მართვესა ჰგავ... მამამისი იჩოი საყდრის მხატვარი იყო, ღმერთმ სუ ნათელში ატაროს იმისი სული!.. რაღაი ექნა ობოლასაც?... ისიც მამის კვალს გაჰყვა... სახელიც მამისებრ კარგ დაიგდო... ეხლა ბარშია, მუხრანბატონიანთ კარის ეკლესიას ჰხატავს... ნაენკენობევს ქორწილი გვაქვს დანიშნული, მაგრამ რაღაის ამბობენ, კახთბატონი ოსმალოსთან შებმას აპირებსო.

— თუ ეგრეა, აბალო ჩემო, საქორწინო კურატს საბელს ნუ ახსნი!.. ალექსანდრე მეფე გონიერი კაცია, ზავს იქმს, ოსმალოს არ შეებმება. — დარწმუნებით მიუგო დიდვაჭარმა, მერე ხინკალს წვდა, ერბოში ამოავლო, ჩაწუწუნა და მშვიდად დასძინა: — ეამია, ქვეყნის დოლაბი წაღმა ბრუნავს. ეამია — უკუღმა. საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო, ნათქვამია. ეგ მეფემაც იცის. იცის და დოლაბის წაღმა დაბრუნებას ელოდება... ოსმალო ეხლა ძლიერია, მაგრამ ღმერთზე ძლიერი არა! ეგრემც შენც კარგა იყავ და შენი ჭილაგიც!.. ეპ, აბალო ჩემო, ადამის აქეთ ყველანი ცოდვილები ვართ, იმდაცა გეტანჯავს უფალი... ხვალ ადრიანად გალვიძება მმართვებს, მამლის ყვილს თან უნდა ავყვე, დიდი გზა მელის... ეგებ ცოტა წამთვლიმოს, თორემ, ეს ბოლო დროა, უჯანობასთან ერთად უძილობაც მტრად მომეკიდა...

მასპინძელი ნდობითა და ყურადღებით უსმენდა სტუმარს.

ამბობენ მეფე ალექსანდრეს რუ-

სთა ხელმწიფის იმედი აქვს...  
ქრიანად ამოსტევა მან.

— ეპ, ვინ იცის, იქნებ აქვს კიდევ, მაგრამ ჭერჭერობით მოსკოვი უფრო შორს არის ვიდრე სტამბოლი ან ეახვინი... ეგეც არ იყოს, რუსთა ხელმწიფეს თავისი უჭირს, კარგა ხანია რაც ლიტვის კოროლთან სისხლსა ღვრის, ოსმალოსთვის სადა სცალიან?... ჭკუიანი კაცი ხარ, აბალო ჩემო, გაგეგონება ოსმალოს ძალა, ჭერ როდის იყო, სელიმ სულთანმა რუსთა ხელმწიფეს თერგზე ციხეები რომ მოათბრევიდა და მეციხოვნე ჯარი ასტრახანში ჩააკეტინა... ეხლა უფრო აღზევდა ოსმალო, ჩვენსკენ მუსტაფა ფაშა დასძრა, დარუბანდისკენ — ყირიმის ხანი... ირანიც ზო შამხნარში გატრუნულ მშვიერ ლომსა ჰგავს, თავის დროს ელის... წელანაც გითხარ, დიდი უბედობის ეამი გვიდგას-თქო... — ოხვრით დაასრულა იუჰანმა და დასძინა, — ღვთის გარდა ჩვენი მშველელი არავინ არის!..

— ეგრეა, ეგრე ყოფილა და ეგრეც იქნება! — კვერი დაუქრა მასპინძელმა.

წყვდიადში ხანჯლის შუქი გამოკრთა, მთელმარ ყარაულს ბეჭებშია ელვასავით გაუარა და სისხლით შესვრილი წყვდიადშივე გაუჩინარდა.

ყორეზე ლანდები გადმოფრინდნენ. უჩუმრად, ხელუქცევად დაკლეს მძინარე მექარავნენი და ბეროძიანთ სახლს მიაშურეს.

შეხალშემართულმა ყმაწვილმა ლეკმა კიბე ფოცხვერივით მარდად აიარა, ჭერხოს მიაყურა და იქვე, ღია კართან გარინდული ხელსაყრელ წამს დაელოდა.

ჭერხოში თალაღე საწოლს შლიდა, სტუმრისთვის ცდილობდა, ტყავს ტყავზე სათუთად აგებდა... უცებ, თითქოს მეტისმეტმა მდუმარებამ შეაკრთო, საქმეს თავი მიანება და თვალბეჭში შიშჩამდგარი სივრცეს გაუყურდა.

შეხალშემართული ეღალი ფოცხვერი მონუსხულივით მისჩერებოდა ბეროძიანთ მშვენიერ ასულს.

თალაღემ შეჰკივლა...

თენდებოდა.

ქვეყანას ჯერ კიდევ ეძინა.

თუშების სოფელს და ქაე-ციხეებს დილის მსუბუქი ნისლი დაჰფენოდა.

ბორცვებს იქეთ, ფერდობზე, ჩვილ-ატაცებული ზელჯობიანი მოხუცი გამოჩნდა, აღმართზე ამოსულმა მზის შუქი თან ამოიყოლა და თუშთა სალოცავს მიაშურა.

ხმა:

— წმიდა გიორგის კარზედა  
ხე ალვად ამოსულია,  
ზედა დასხმია ყურძენი —  
საჭმელად შემოსულია.  
იმის ნახვევი ქალ-ვაფი  
შეადა შემოსილია!

მოხუცმა ჩქარი ნაბიჯით აიარა აღმართი, სალოცავ ნიშთან ჩვილი ძირს ჩამოსვა, სარეკელი მოსძებნა და მუხის ტოტზე ჩამობმულ ძელს გამეტებით შემოჰკარა. ძელის ყრუ, დაგუბული გუგუნი მოეფინა მძინარე არეს...

ხმა:

— ლეკების მოსვლას ამბობენ,  
გატეხას ჩაღმის შთისასა,  
დადგომას ეველურთის სოფელს,  
უკულმ ჩახდომას მზისასა;  
გადმოსვლას ქვათენთის მთაზე,  
ზედ დახურვასა ცისასა;  
ქანქანით შესვლას ამბობენ,  
გატეხას გალაენისასა!  
შიგ დატანასა ამბობენ  
სამოცის ვაგვაცისასა!

გუგუნებდა ძელი. ელდანაცემი სოფელი იღვიძებდა — ნაგაზები ყუფდნენ, ჭიხვინებდნენ ცხენები, ნამძინარევი თუშები კარ-ფანჯრებს აწყდებოდნენ...

ვილაც თავლისკენ გარბოდა...

სხვა იარაღსა ისხამდა...

სოფლის შუაგულში, საჯაროზე ხალხი გროვდებოდა...

ხმა:

— ლეკების მოსვლას ამბობენ,  
გატეხას ჩაღმის შთისასა!  
დადგომას ეველურთის სოფელს,  
უკულმ ჩახდომას მზისასა;  
გადმოსვლას ქვათენთის მთაზე,  
ზედ დახურვასა ცისასა..

გუგუნებდა ძელი — მოხუცი გამეტებით იქნევდა სარეკელს...

საჯაროზე მხედარს მხედარი ემატებოდა — მოაგელვებდნენ ცხენებს, მოედანზე მორევივით ბრუნავდა თუშთა მხედრიონი...

ბერიკაცები ერთად შეყრილიყვნენ...

ხმა:

— ჰე, ღმერთო, თუშის შეილები  
ლხენის მწიკვს ვაწებთ ჭავრშია,  
არა გვაქვს სტუმრის სურვილი,  
ვართ მუდამ ლაშქრობაშია!  
გვაწუხებს ლეკი, თათარი,  
ჩემდგარვართ სისხლის ღვარშია..

გუგუნებდა ძელი. მხედარს მხედარი ემატებოდა — საჯაროზე მორევივით ბრუნავდა თუშთა მხედრიონი...

დედაკაცები ბანზე შეყუჟულიყვნენ:::

ხმა:

— ვტირით და ვტირით დედანი,  
ურჯლომ შეგვაშინაო;  
კარზე მოგვდიან ძალითა,  
სტუმრულად დიან შინაო;  
ნეტავ, ჩვენს მეთოფეგებსა,  
ძილით ვინმ დააშინაო,  
პირიყ წყლით გააღობინა,  
თოფებიც დაუგრილაო...

ძელის გუგუნი წოწრებანთაც მისწყვლომოდა — პაპი და მისი ოთხი უფროსი ძე იარაღს პერანგზევე ისხამდნენ...

ხმა:

— ცოტა ვართ თუშის შეილები,  
მოთაც ვართ უეყოთისა,  
შუაში ედგევართ, ყოველ მხრივ  
ურჯლო შემოგვესიო;  
ხმაღ-ხანქლის ძალითა ეცხოვრობთ, —  
ვით ვაგვაცობის წესისა!

გუგუნებდა ძელი. შავითმოსილი დე-  
დაკაცი ყორემდე გამოედევნა თავის  
ერთადერთ ვაჟს...

ხმა:

— აღარ შეჰხარის დედა შეილს,  
და — ძმისა, ცოლი — ქმარსაო,  
წავალს სადმე მდევარსა,  
შინ მოიყვანენ მკვლარსაო!  
არცა რა გვაქვავს დიაცებს,  
აბჯარ ავისხათ ტანსაო!

პაპაიმ და მისმა ოთხმა ვაჟიშვილმა  
ცხენები საჯაროზე მოაგდეს. მხედრებ-  
მა ყოყინა დასცეს — თავქვეზე ზვავი-  
ვით დაქანდა თუშთა მხედრონი... ძე-  
ლის ხმა შეწყდა, სოფელში კვლავ მყუ-  
დროებამ დაისადგურა...

— მტრობისა წყალო, მდინარო,  
გრილო, გრილისა შთისაო,  
ჩამთქმელო თეთრი ცხენისა,  
ზედ კარგი ვაგვაციოსაო...

შებინდებულყო. ტყვე-ქალებითა და  
დავლა ალაფით მოდიდებული მომხე-  
დურთა რაზმი ხეობას მიჰყვებოდა. მო-  
არულთ, წინ, სახედარზე უმწეოდ და-  
კოსებული, ხელ-ფეხგაკრული საბრა-  
ლო იუჰანი, ყირიმულ თათართა ცხენ-  
ალმინი მეთაური და ხუნძახელი მთაე-  
რის ძე — მუსაბეკ მიუძღვოდნენ. ელა-  
ლი, ძვირფასი მოსასხამი და ძვირფა-  
სივე თოფ-იარაღი ამშვენებდა მუსა-  
ბეკს — ყორნისფერ ულაყზე მოხდე-  
ნილად ამხედრებულ ფოცხერს...

მოშორებით, მათარახებშეღერებულ  
თარაქმა მხედრები ერთმანეთზე მითო-  
კილ ტყვე-ქალებს მოერეებოდნენ.  
მხოლოდ ბეროდის ასული თალალე შე-  
ესვათ ცხენზე...

მუსაბეკს თვალები უკან რჩებოდა,  
ეტყობოდა, გულში ღრმად ჩაწვდომო-  
და ქერათმინი თუშის ქალის სილამა-  
ზე.

ქვეითნი სამოსკოვე აბრეშუმით და-  
ტვირთულ ჯორ-ცხენსა და ნალაფარ  
ხარ-ძროხას ამოსდგომოდნენ...

— მოსკოვამდე რა ხანი გინდა? —

ჰკითხა ყირიმელთა მეთაურმა მუსაბეკს.

— ორი თვე.

— უკან?

— უკანაც იგივე! — მკვახედ მიუგო  
დიდგეჰარმა.

მეთაურმა გადაიხარხარა.

ტყვემ იქვით ახედა მოძალადეს, სუ-  
რდა შეეცნო, რას მოასწავებდა მისი  
უადგილო, უშნო ხარხარი.

— რუსეთს რა მიგქონდა? — კვლავ  
ჰკითხა მოძალადემ.

— აბრეშუმი. — უპასუხა იუჰანმა.

— სხვა?

— რა სხვა?

მოძალადემ ისევ უადგილოდ გადაი-  
ხარხარა.

იუჰანმა დუმილი არჩია.

აღმართს შეუდგნენ...

მხედრებმა მათარახები აატყლაშუნეს  
და ილაჯაფწყვეტილი ტყვე-ქალებიც  
იძულებით დაჰყენენ მათ ნებას — ნა-  
ბიჯს უმატეს...

ხმა:

— გებრალბოდეთ, სწორებო,

მივდივართ უძებარია!

გამოგვიყვანეს ლეკებმა.

გამოგვიყარეს კარია;

მოგვიყლეს ძმანი, მამანი...

სისხლისა დადგეს ტბანია!

ველარ ვიტირეთ მოკლულნი,

ვერ დავაფინეთ თმანია.

მოკლულთ დაჰკრეს მკლავები,

უბეს ჩავვიდეს — შწარეა!

დაგებურეს ძმა-მამის ქულნი,

გვწაღდა — მოგვეკლა თავია...

ავდეართ სალევო მთაზე,

უაღღმა ჰბერავს ქარია;

ესრია? არცა ქარია...

მამა-მამთ ცოდვა-ბრაღია...

დავღეწეთ საყურ-ბეჭედნი.

მით დაინიშნეთ გზანია;

მკლავით ვიყარეთ. ზალტები —

მდევართ გაიგონ კვალია...

იციოდეთ, თუშის შვილებო,

ურჯულოს ზელში ვარია,

გაჰმევენ ცხენ-კვიცის ზორცსა,  
თავს დაგვაქციეს კანია!..

მდევართა მოწინავე რაზმი ქარაფს მოადგა.

პაპიმ შორით შენიშნა სალევო აღმართის წერილად შეფენილი კაცნი და ხვასტავი, მეფის ნაბოძები უბელო თეთრონი ყალუხე შეაყენა, დანარჩენებსაც დაელოდა და, როცა ყველანი შემოიკრიბა, მცირე თათბირი ქმნა — მდევარი ორად გაჰყო, ერთ ნაწილს სათავეში თუშთა შორის სახელიანი მეომარი ქორთოში ჩაუყენა, ხოლო მეორეს თვითონ წარუძღვა.

საუცხოო სანახავი იყო წოწრეთ-პაპაი, მართლაც ქორსა ჰგავდა — უაბჯროსა და უჩაფხუტოს თოფ-იარაღი პერანგზევე ესხა...

ხმა:

— მაშინ კარგია კი ყმა,  
რა დილა ბინდზე დგებოდეს,  
იკვამდეს გრილსა რკინასა,  
ომს ვიქამ, იმუქრებოდეს;  
ლურჯათ ხრავდეს ლაგამსა,  
წაღმა-უქულმა ბტებოდეს...

სალევო მთას გადაცდენილ მომხვდურებს ღამე ტაფობში მისწოდათ. არც ენაღვლათ, რადგან თავი სამშვიდობოს დაეგულებინათ და ბანაიცი იქვე დაეგლოთ...

შუა ველზე კოცონი ბრიალებდა.

ქარბაგნი ცეცხლთან მიმსხდარიყვნენ, ცხენ-კვიცი დაეკლათ და შიშვლისგან კუჭმოძალეებულნი სამწვადე ნაკვერჩხალს-ლა ელოდნენ...

ჭაბუკები ტყვე-ქალებს მისდგომოდნენ, ცალ-ცალკე დაეთრიათ, სათითაოდ წელქვეშ ამოეგდოთ და სვედაწყყველილთ ურცხვად, უნამუსოდ ჩიგინდნენ...

ამ ამბის შემსწრე საბრალო იუჰანი საპალნეებთან მიგდებულიყო, თვალეზი სიმწრით დაეხუჭა და ლაწვეკრემლიანი არსთაგამრიგეს მხოლოდ ერთს-ლა ეხვეწებოდა...

— სოდომი და გომორა, უფალო, სოდომი და გომორა!

ყირიმელთა მეთაური განმარტობით ისხდნენ. პირველი ალექსანდრე მეფისგან რუსეთს წარგზავნილ ფარმანს დასცქეროდა, მეორე კვლავ ქერათმიან თუშის ქალს უმზერდა.

თალაღეც ცალკე იჯდა. გაქვავებულყო, თვალგამშრალი სიკარიელეს მისჩერებოდა...

— გამზათ, ცხენები! — ბრძანა უცებ ხუნძახელთა მთავრის მეგვიდრემ, მერე წამოდგა, ყირიმელთა მეთაურს ფარმანი გამოსტაცა, დაახვია, უბეში შეინახა და ხმადაბლა უთხრა: — გეთ!

— რატომ? — გაუკვირდა ყირიმელს. ვერც მსახურ გამზათას გაეგო ბატონის წადილი.

— ცხენები-მეთქი! — გაუმეორა მუსაბეკმა.

— ცხენები!?

— ჰო, ოთხი ცხენი, ორი ჩვენი, ორიც იმათთვის!

— ვისთვის!? — კვლავ იკითხა ყირიმელთა მეთაურმა.

მუსაბეკმა იუჰანზე ანიშნა.

ყირიმელს აღარაფერი უთქვამს, ადვილად მიხვდა, მეოთხე ცხენი ქერათმიანი თუშის ქალისთვის რომ უნდოდა მთავრის მეგვიდრეს.

ყოტა ხნის მერე ოთხი ცხენოსანი გაშორდა ვნებიანი ღრეობით შებილწულ ბანაკს. ისინი გამზათას გარდა არავის შეუნიშნავს...

გამზათა კიდევ კარგა ხანს იღგა გზის გასაყართან. გული ცუდს უგრძნობდა — აჟად ენიშნა ბატონიშვილის ასე უჩემრად განრიდება. ფიქრობდა, თუმცა ფიქრის თავი სულაც არ ჰქონდა, რადგან ნიაგით მონაბერი მწვადის სურნელი ნესტოებში უღიტინებდა და, ორი დღის მშვიერს, კვიცის გულ-ღვიძლი ქვეყნად ყველაფერს ერჩია. გამზათა სწორედ ის მეგზური ლეკი გახლდათ, მეჭარავნენი ზეგანზე ქურდულად რომ მიატოვა და ყირიმელ თათრებს ლალატით მათი ადგილ-სამყოფელი მიასწავლა.

ცხენოსნები თვალს მიეფარნენ...  
 გამზათამ ამოიოხრა, უამური ფიჭვი  
 ხელის აქნევით მოიშორა და კოცონის-  
 კენ ჩალუხ-ჩალუხით გამოქანდა. ცეც-  
 ხლთან მისული მუხლებზე დაეცა, შამ-  
 ფურს სულუხსრად მიწვდა, მაგრამ  
 მწვადის გემება აღარ დასცალდა...

მიდამო თოფების გრიალმა გააყრუა...  
 პირველმა ტყვიამ მოლაღატის გუ-  
 ლი მონახა — გამზათა შეტოყდა, შე-  
 მობრუნდა და მწვადიანად კოცონში  
 ჩაემხო...

მღევართა რაზმი ორკაბი მეხვიით  
 დაატყდა თავს მომხედურთა ბანაკს...  
 ხმა:

— ღეთის მადლს მიენდო პაპი,  
 ფრანგულს გაიკრა ხელია,  
 თან ახლავს თეთრი ვიორჯი,  
 გაკირდეს — მშველელბელია...  
 თავს ადგას იმის გვირგვინი,  
 ხელთ იმის ლახტი სწერიი;  
 ოთხი მხრით უპრის მახვილი,  
 ოთხზე მხრივ ქვარი სწერიი!  
 ომის ავარდა გრივალი,  
 სიტყვა სათქმელად მწელია...  
 ისე იმსხვრევა ხმალ-შუბი,  
 ვითამ გამხმარი წნელია,  
 ციდან ჩამოდის ფიფქივით  
 ტყვიის ნაძოძი ცხელია!  
 ზოცა და ზოცა მომხედური,  
 სისხლის ტბა დადგა ვრცელია...

ბრძოლა ისევე უეცრად დამთავრდა,  
 როგორც დაიწყო — თუშებმა ჩამოიჭ-  
 ვეითეს, ევერო-ბალახი ჩაბლუჯეს და  
 სისხლით შესერვილი ხმალ-ხანჯრები  
 ზედ შეაწმინდეს.

პაპაიმ ტყვე-ქალებს გახედა.  
 ქალები ერთად შეყუჟულიყვნენ,  
 მერე ერთადვე დაიძრნენ და განაჩენის  
 მოლოდინში შორი-ახლოს შეყოვნდნენ...  
 წინ სამოსშემოკლილი პატარა გოგო  
 იდგა. ალგზნებულოყო, თვალეზში უც-  
 ნაური ცეცხლი უელავდა — ვერ მიხ-  
 ვდებოდით სიხარულისა იყო იგი თუ  
 მწუხარების?...  
 პაპაიმ ხელი წაიღო, სურდა ბირკებ-  
 შერეულ თმაზე შეჭებოდა პატარას,

მაგრამ გოგონამ არ დაანება მწუხარებას...  
 შუბლი მრისხანედ შეიჭმუნა...

— ნუ, შვილო, — ნუგეშად ეს-ლა  
 მოახერხა ნაღველდაქცეულმა პაპაიმ,  
 — იცოდე ეამი სიზმარია, ჩაივლის და  
 უცოდველ ტანჯვას სიხარულით შეგი-  
 ცვლის!

11.

კოცისპირულად წვიმს.  
 უდაბური მზით გახუნებულ ოსმალთა  
 ალამს კალთები მოუქცევს, კარვის  
 ჭოკს უმწეოდ შემოტმასენია და წვიმა-  
 ში გარეთ დარჩენილი სველი ფრინვე-  
 ლივით გარინდელა.

კარვის წინ ოსმალთა ქარის წინამძ-  
 ლოლი ლალა მუსტაფა ფაშა დგას... ავი,  
 უემური სახე აქვს ოსმალთა სარ-  
 დალს... ბოროტი, ჭროლა თვალეზი ივ-  
 რის ჭალებისთვის მიუპყრია...

აწვიმს ქვეყანას... წელან მთლად და-  
 მშრალი ივრის კალაპოტი მღვრიე ნა-  
 კადებით ივსება — მდინარე ძალას ივ-  
 რებს, თითქოს სურს წინაღუდგეს კა-  
 ხეთის წასალეკად მომდგარ ოსმალთა  
 ლაშქარს...

ერთად შეკგუფული ოსმალთა სარდ-  
 ლები მოუთმენლად მისჩერებთან თა-  
 ვიანთ სიტყვაძვირ ფაშას — ბრძანებას  
 ელის კახეთის მსუყე სანახების დასარ-  
 ბეველ დაგეშილი თურქთა ლაშქარი...  
 მუსტაფა ფაშამ ხელი შემართა...

ცულმა კარვის შუა ბოძი ძირში გა-  
 დაჩეხა...

ჩამოიქცა კარვის გუმბათი...  
 მოწინავე იანიჩრებმა ცხენები მდი-  
 ნარეში შეაგდეს...

დაიძრა ქარი — შავად მოეფინა ივ-  
 რის რიყეებს...

ხელი შემართა აქამდე წნორებს შე-  
 ფარებულმა ალექსანდრე მეფემაც,  
 მხლებლებს ანიშნა მომყევითო და ცხე-  
 ნი წნორებიდან ტრიალ მინდორზე გა-  
 მოაჭენა...

— ისკანდერ-ხან! — აღმოხდა ვილა-  
 ცას.

მდიდრულად მორთულ არაბულ ტა-  
იჭზე ამხედრებულმა მუსტაფა ფაშამ  
კოლას გახედა, მერე ცხენი სარდლე-  
ბისკენ შემოაბრუნა და მზერა მანუჩარს  
გაუსწორა.

— ?!

— კახთა პატრონი ალექსანდრე და  
მისი უფროსი ძე ერეკლე. — დაუდას-  
ტურა სამცხის ყოფილმა ათაბაგმა.  
ფაშას გაეღიმა.

სახელდახელოდ გამართულ ქოლგებ  
ქვეშ, ცალკერძ ოსმალო ფაშა და ცალ-  
კერძ კახთა მეფე ალექსანდრე სხედან.

— ბედნიერი და ალაპის გამარჯვე-  
ბის საყრდენი ფადიშაჰი კმაყოფილი  
დარჩება შენი მორჩილებით. — დინ-  
ჯად დაიწყო მუსტაფა ფაშამ და დინ-  
ჯადვე განაგრძო, — მინდა ვიცოდე,  
სამაგიეროდ რა წყალობას ელოდები  
ქვეყნის მპყრობელიდან?

— უწინ მამისა ჩემის მეფე ლევანის  
სამფლობელოში და აწ სპარსთა ხელში  
მოქცეულ ჩვენი ციხეების უკან დაბ-  
რუნებას და რჯულის არშეცვლას. —  
მტკიცედ თქვა მეფემ.

მუსტაფა ფაშამ ყურადღებით მოის-  
მინა ალექსანდრეს ნათქვამი, თვალები  
მოკუტა, მერე კახთა ბატონს გამომც-  
დელად მიაჩერდა და ანკესივით გადა-  
უგდო:

— სარწმუნოების დაგდების ნაცვ-  
ლად მოწყალე ფადიშაჰი ჩემს მიერ  
ოტებული დაუღხანის სატახტო ქალაქს  
თბილისს გპირდება.

— მინდა გაუწყო, რომ ირანის შაჰმა  
ქართლის ტახტი კვლავ სვიმონს დაუ-  
ბრუნა. — თითქოს სხვათაშორის მიუ-  
გო მეფემ.

სვიმონის ხსენებაზე მუსტაფა ფა-  
შას ნირი ეცვალა. შეცბა. არაფრად  
ეკამნიკა ეს ამბავი, მაგრამ აღარ შეი-  
მჩნია, თავს ძალა დაატანა და დამცინა-  
ვად ჩაიჭირჭილა:

— ჰო, გულუხვია ირანის შაჰი... აღ-  
ვილად თმობს ყველაფერს რაც მას  
აღარ ეკუთვნის...

მეფე ალექსანდრემ ჯერ <sup>ერეკლეს</sup> <sup>მეფის</sup> <sup>ქვეშ</sup>  
გაჩერებულ თურქ სარდლებს გახედა,  
მანუჩარს დააკვირდა და მზერა ივრის  
ქალაში გაბირულ ოსმალთა ლაშქარზე  
გადაიტანა.

მუსტაფა ფაშამ მეფის მზერას თვალი  
შეასწრო, მიხვდა — საკადრის ზეგავ-  
ლენას ვერ ახდენდა კახთა ბატონზე  
წვიმაში მდგარი ვალუმპული მისი ლა-  
შქარი. ბრაზი. მოერია, მაგრამ თავი  
კვლავ შეიკავა და ცბიერი ღიმილით გა-  
ნაგრძო:

— ჰკუიანი და ქვეყნის ერთგული კა-  
ცი ხარ, ისკანდერ-ხან, მაგრამ მეშინია  
მაჰმადის რჯულით გაპატიონების  
უარით ფადი-შაჰის რისხვა არ მოიმკო...  
ასლან ხან! — ხელი ხელს შემოჰკრა  
ფაშამ, ისე რომ ბავიდან ღიმილი არ  
მოსცილებია.

ასლან-ხანი ფაშას მიეახლა. თავი  
მდაბლად დაუკრა და უბიდან კახთა მე-  
ფისთვის კარგა ნაცნობი გრაგნილი  
ამოიღო. გაშალა...

— წაიკითხე! — ანიშნა ფაშამ.

— რუსეთის დიდ მეფეს და მთავარს  
დიდ ბატონს მდაბალი თაყვანისცემა.  
უწყებულ იყავ რომ შორეულ ქვეყნი-  
დან, მაგრამ აზრით ახლო მყოფი შენი  
ალექსანდრე სალამს გიძღვნის... — და-  
იწყო კითხვა ასლან-ხანმა, მაგრამ ფა-  
შამ მაშინვე შეაწყვეტინა...

— კმარა!.. — თქვა მან და ალექსან-  
დრეს შეაჩერდა. — ყური დამიგდე, ის-  
კანდერ-ხან... დიდის სულთანის ძლიე-  
რებას ამიერიდან წინ ველარავინ აღუ-  
დგება... მოწყალეა ბედნიერი ფადიშა-  
ჰი, მაგრამ ორგულებს უმოწყალოდ  
სჯის! შენი ერთგულების დასტურად  
ისლა დაგრჩენია, რომ კახთა ლაშქარი  
შეკრიბო და დიდი ფადიშახის დროშის  
ქვეშ დადგე!..

— ლაშქარი მზადაა. — მშვიდად  
თქვა მეფემ.

— ვიცი. — ორაზროვნად გაეღიმა  
მუსტაფა ფაშას.



მთავრით გადასჯაშეხებულ უდაბურ ტრამალზე მტერის თეთრ ბუქში გახვეული ათოდუ მხედარი გამოჩნდა...

მხედრებმა ტრამალი გადასერეს...

ალმარის შეუდგენენ...

ქვის მაღალ ვალავანს ჩაუქროლეს და რკინით შეკედილ მონასტრის კიშკარს მიადგნენ. მონასტრის მყუდროება, კარზე მათრახის ტარებით ატეხილმა ხმაურმა შეარხია.

სენაკიდან ნამძინარევი მორიგე ბერი გამობანცალდა, კიშკართან მივიდა, სათვალთვალო სარკმელი გამოაღო და ყიზილბაში მხედრების დანახვაზე სწრაფადვე მიხურა.

ამასობაში სხვა ბერებმაც გამოიღვიძეს, სენაკებიდან ეზოში გამოეფინენ და ელდაცემულნი მონასტრის კიშკარს მიაჩერდნენ...

— გააღე! — ბრძანეს გარედან.

მორიგე ბერმა დანარჩენებს გახედა, მაგრამ მათ სახეზე ძრწოლის გარდა რომ ვერაფერი ამოიკითხა, საკუთარ თავს დაედო, პირჯვარი გადაისახა, კარს ურდული შეხსნა და მომხვედურებს გზა უტია.

მხედრები ჩამოკვეითდნენ. დამფრთხალ ბერებს გვერდი აუქციეს, ეზო გადასტრეს და ეკლესიის ზღურბლთან შეყოვნდნენ...

ყიზილბაშთა წინამძღოლმა თავიდან თორმეტნაკეციანი თეთრ-წითელი დოლბანდი მოიგლიჯა, მიწას დაანარცხა და ამალიანად ეკლესიაში შევიდა.

გაოგნებულმა ბერებმა ერთმანეთს გადახედეს.

ეკლესიაში შესულმა „უცნაურმა სტუმრებმა“ კანკელის წინ მუხლი მოიყარეს, კარგა ხანს იდგნენ მდუმარედ, მერე წინამძღოლმა თავი ასწია, პირჯვარი გადაიწერა და მზერა აბსიდის კედელზე გამოსახულ მაცხოვარს მიაპყრო...

— უფალო, შემინდე განდგომაი შენგან ყაზვინიდან ვიდრე აქამდე! — თქვა მან და წამოიშრათა...

სხვებიც წამოდგნენ... შეჩვეულნი იყვნენ...

— სვიმონ მეფე! — აღმოხდათ ეკლესიის კართან შეჩვეულ ბერებს...

„სახელითა ღმრთისაითა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისითა და შეწევნითა ნათლისმცემლისაითა, აღვადგინე წმიდა ესე ეკლესია მე აშოთან მუხრან-ბატონმა სადიდებლად და სალოცავად სახლეულისა ჩემისა და სახსრად სულთა ჩვენთა. უფალო, მეოხე ექმენ პატრონსა ჩვენსა აშოთანს, კარისმძღვარსა სტეფანოზს და გალატონთა: მიქელს და ეფრემს, და მონასა შენსა თილიძეს. ამინ!“ — ჩაიკითხა მხატვარმა ეკლესიის ფრესკებიან ედელს წამის წინ მიქარგული ესე წარწერა, ყალამი გაწმინდა, ჩამოლევნთილ სანთელს შებერვით სული მოუსწრაფა, ეიწრო სარკმელში მომზირალ განთიადის იისფერ ციას თვალი შეავლო, ძილმორეული პირისახე ხელ-მაჯით მოისრისა და იქვე, კუთხეში მიგდებულ ფალასზე მიწვა. მიიძინა.

ენკნობა დღეს მუხრანელებს დიდი ზეიმი ჰქონდათ — აშოთან მუხრან-ბატონს დრო-ჟამისა თუ ავბედობის მსახურალი ხელით შერყვნილ-შელახული კარის ეკლესია საგულდაგულოდ აღედგინა და აღდგენილც საყდრის ხელახლა საკურთხეველად წილკნელი ეპისკოპოსი კირიონი ეხმო. კირიონს საყდრის კურთხევა უკვე მოემთავრებინა და ეხლა, მუხრან-ბატონის სახლეულისა და სტუმრადწვეულთა წინაშე მდგარი ქადაგებასაც ამთავრებდა...

— და ილვიძებდეთ ბჭესა ეკლესიისა ამის წინაშე და სციიდეთ ზღურბლთა მისთა შესავალთა, რათა ღმერთმან ნეტარულად გამოგაჩინოსთ, და განეკრძალენით და მოისწრაფედ ეკლესიად, რათა ქრისტემან დაიმკვიდროს თქვენს შორის დასთრგუნთ მტერი ჩვენი

იესუს მიერ, უფლისა ჩვენის თანა მამასა და სულიწმინდითურთ. ამინ!

— ამინ! — აღმოხდათ შერებილთა და მუხრან-ბატონის წვეულნიცა და სახლულნიც ეკლესიისკენ დაიძრნენ. ზღურბლს პირველმა სვიმონ მეფემ გადააბიჯა.

— ეკლესიასა შინა შერებილნი ერთითა ხმითა და ერთითა პირითა რასაც სთხოვენ ღმერთსა, მიიღებენ!.. რამეთუ თვით მაცხოვარმან ბრძანა: სადაცა იყვნენ ორნი, გინა სამნი სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ შორისა მათსა. რაცა სთხოვით მამასა სახელითა ჩემითა, მიიღოთ! — წარმოსთქვა კირონმა.

საყდარში მყოფთა ყურად იღეს მისი ნათქვამი, მაგრამ სიტყვიერი დასტური, წესისაებრ, ჯერ მეფეს დაანებეს.

— იყვნენ ნებაი უფლისაი. — ჩაილაპარაკა სვიმონმა და თვალი ეკლესიის ახლადმოხატულ კედლებს ჰკიდა... მუხრან-ბატონის ასული, თორმეტი წლის ქეთევანი, ცნობისწადილით უჭვრეტდა ათ წელიწადს ტყვედნამყოფ მეფეს — დიდრონ თვალეში მისდამი რიდი, ენით უთქმელი ნდობა-იმედი და სიყვარული ჩაპხუდებოდა.

— სასწაულის მომზიარალი თვალეები გაქვს, ბატონის ქალო: — რიდით ჰყადრა საყდრის მყუდრო კუთხეში მორჩილად მიმდგარმა ჰაბუქმა მხატვარმა ქეთევანს, რაკი ეს უკანასკნელი სიახლოვეს დაიგულა.

— მგონი მეფესაც მოსწონს შენი ნალაწი, ითაბან-ჩემო. — მარჯვედ აისხლიტა ქალწულმა ვაჟის მიერ ზრდილად მოთავაზებული ქათინაური.

— ჩემს გამო არ მითქვამს, ბატონის ქალო, სვიმონ მეფის გამო მოგახსენე. — შეება მხატვარი.

მეფე მართლაც ყურადღებით ათვალიერებდა ფრესკებს. არც კარისმოდლვარი სტეფანოზი და არც წილანელი მღვდელმთავარი თავს ნებას არ აძლევდნენ განეშარტათ მისთვის, თუ რა ამბები იყო ფრესკებზე ასახული, გულისხმობდნენ რომ მეფემაც ზედმიწევნით

ზუსტად იცოდა ყველა მათგანის დანიშნულება და შინაარსიც.

ამილახვარმა დიდ ქალბატონს რაღაც ჩაახურჩღლა. მერე შეთვისკენ გადიხარა და უმანკო ჩასახვის მახარობელ ანგელოზზე მიანიშნა. მეფე ყურადღებით დააკვირდა ფრესკას. ეკლესიის უმზირა, ბოლოს თავი ქეთევანისკენ მოაბრუნა — ღიმილით გამოხედა დისშვილს.

პასუხადაც ღიმილი მიიღო.  
— გიცნეს. — ჩუქად უთხრა მხატვარმა ბატონის ასულს.

— მე კი მიცნეს, მაგრამ შენი ნარჩევი თუშის ქალი ვერა. — ჩუქადვე მიუვო ქეთევანმა და ხუმრობანარევი საყვედურით დასძინა: — ღმერთი დავსჯის, ითაბან, რა წმინდანები ჩვენ გვნახე, ან მე ან ის!?

— ჩემთვის წმინდანებაცა ხართ და ანგელოზებიც. — ჩაილაპარაკა მხატვარმა. მის ხმაში ფარული სევდა გამოერთოდა.

ქეთევანი შეფიქრანდა.  
— ჯვარს როდის იწერთ, ითა? — ჰკითხა ცოტა ხნის მერე.

— რა ვიცი... — მხრები აიჩემა ვაჟმა, — გული ავს მიგრძნობს... თუ გახსოვს, მარიაშობა დღეს სახლთუხუცესს აუწყეს, ლეკებმა თუშთა სოფლები მოაოხრესო?.. ვიფიქრე, წაველ, კვებარზე გავლით ეგებ სამ დღეზე მეტიც არ დამჭირდეს-მეთქი, მაგრამ საქმეს ვეღარ დავეთხოვე... თან დიდმა ქალბატონმაც მირჩია, ნუ გეშინ, ის ლეკები თუშთა სოფლებს კი არა, რუსეთისკენ მიმავალ კახთბატონის მეჭარაენებს დაესხნენო...

ითაბანი დადუმდა. თავი მწუხარედ ჩაჰკინდრა. მერე თითქოს წუწუნისა შერცხვაო, გაიღიმა და რაღაცის თქმაც დააპირა, მაგრამ ქეთევანმა აღარ ადროვა...

— მგონი, შენ გიხმობენ!..  
მართლაც უხმობდნენ.  
ამჯერად მეფის ყურადღება მიექცია სწორედ იმ ფრესკას, რომელზედაც საჩინო ბარათაშვილის მიერ სვიმონის

მოლაღატე ყორღანაშვილის მოკვლა იყო შეფარვით ასახული. კლდისპირად მდგარი თეთრცხენიანი ბარათაშვილი წმიდა გიორგის განასახიერებდა, ხოლო უფსკრულში ჩაჩხილი ყორღანაშვილი — მის მიერ ძლეულ ბოროტებას. მოლაღატის ლეშს თვით მშვიერი მგლებიც კი განრიდებოდნენ.

მხატვარი მორჩილად მიეახლა მეფეს.

— უფსკრულზე აღმართული ცხენოსანი ვინაა, ყმაწვილი? — ჰკითხა სვიმონმა.

— წმიდა გიორგი, მეფე-ბატონო. — უპასუხა მხატვარმა.

— ეს მურდალი ლეში ვიღასია? — კვლავ ჰკითხა მეფემ.

ითაბანმა პასუხი შეაგვიანა.

— ეგ შენი მოლაღატე ყორღანაშვილი უნდა იყოს, მეფეო. — შეაშველა მხატვარს ამილახვარმა და ღიმილით დაუმატა, — ხალხი ამბობს, მოლაღატის ლეშს პირი თვით მშვიერმა მგლებმაც აღარ ჰკიდესო.

მეფე ჩაფიქრდა, მერე მხატვარს ღმობიერად გახედა და იქაურობას უსიტყვოდ გაშორდა. სხვებიც მიჰყვნენ.

მარტო დარჩენილმა ითაბანმა მზერა ქეთევანისკენ გამოაპარა...

ბატონის ასული ძველსავე ადგილზე იდგა, სევდიანი თვალებით მისჩერებოდა უცნაურ სურათს. აშკარა იყო გულში ღრმად ჩასწვდომოდა ამილახვრის ნათბარი...

...ეკლესიიდან ყველანი სასახლისკენ დაიძრნენ.

„ყორღანაშვილს ჭარაფითა,

ხელი ჰკრეს და გადაფრინდა“ —

ისმოდა გალავნის იქეთ ლაღი, მზიარული სიმღერა.

— დიდი ენკენობა სკოდნიათ მუხრანელებს, აშოთან-ჩემო. — გადაულაპარაკა მეფემ მასპინძელს.

— ენკენობაზე უფრო ხალხი შენს დაბრუნებას ზეიმობს, მეფე-ბატონო!

— უპასუხა აშოთანმა.

14.

დარბაზში სუფრა იყო გაშლილი. მაგრამ აშოთან მუხრან-ბატონი და მისი წვეულები იმ ღამით დროსტარებას არ მისცემიან. თათბირად ისხდნენ... მეფე ქვიშის თრიაქს მისძალეობდა, სიტყვაძვირობდა, უფრო სხვათა სჯა-ბაასს ისმენდა...

— შეუნდე ჩვენს ძმას, ვახტანგს, ურჩთა შენთა მოქომაგება, მეფეო და დაღწვივე კეხვის ციხიდან, რამე-თუ კაცი ვართ ედემსა გარე შობილნი და ცოდვასა შინა განმრავლებულნი. ამიტომაც გვიძვირს წამიერნი სიამენი ამა სოფლისანი, ხოლო რჯანი სულისანი მარადეამიერნი ჩვენთვის უცხო არს.

ევედრებოდა აშოთანი სვიმონს და თან არჩილ მუხრან-ბატონსაც ანიშნებდა, ნუ სდუმბარ, შენაც ძმა ხარ და სიტყვა შემაწვიეო.

— რა დიაკონივით ლაპარაკობ, შეკაცო. — გაეცინა მეფეს.

ამის სატყეულმა არჩილსაც ღიმილი მოჰგვარა.

— ჰო, — დაეთანხმა მყისვე, — საუდიეროს, ელიზბარ ქსნისერისთავი, დედოფლისაგან მიტაცებულ ყოვლსა საქონსა და თვისის მამულთგან ახალგორსა და მეჭუდასა სთმობს, მეფეო. ხოლო ბარძიმ ამილახორი კარბსა და კასპსა.

— ადამის ძეთა შეცოდება ოდენ ცოდვილთაგან ერგების, მეფისგან არა! რამეთუ მეფე არს ნება ერისა და მახვილი მამულისა. ხოლო ერიცა და მამულიცა ეამსა ამასა შინა უცოდველად მიეძინების და ვითარცა წყალნი ლექსა, ისე იგიცა განირიდებს მურდალთა ნაშობთა თვისსა!.. — წარბი შეიკრა წილენულმა ეპისკოპოსმა კირიონმა.

აშოთანმა ხელეგი გაშალა, ნეტა ამას ვინ რას ეკითხებო?

— უდიერების და ღალატის დავიწყება არ გმართებს, მეფეო. ერთხელ ბილწქმნილნი საკირემდე ბილწნი იქნებიან... უნდა გახსოვდეს, რა ესმა უწმიდურთან ერთხელ წილნაყარ აღექსანდ-

რეს მცირითა კაცით ყოფნა შენი დამლომს, შემოიყარა სპანი და წამოემართა ლამით და დაგესბა უგრძობელად. ხოლო შენ თვით-მხოლომან კინი-ღა განერიდე თავით შენით სიკვდილსა. მაშინ შეესია და იავარ-ჰყო საჭურჭლე და ბარგი შენი და სარცხვენელთა საფარველი დედოფლისა, დისა თვისა, თვით მანვე აიკვა წვერსა ზედა შუბისასა!.. — არ ცხრებოდა წილქნელი ეპისკოპოსი.

არავის ეამა ამ ამბის გახსენება. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, არჩილ მუხრან-ბატონმა ფიალა ღვინით აივსო, უთქმელად მოსვა.

— მანუჩარისა რა ვთქვათ? — ბაას კალაპოტი შეუცვალა მეფემ.

— ის რაც ალექსანდრესი. — უპასუხა ელიზბარ ციციშვილმა. — განდგომა და სივერაგე... თავადაც უწყვი, კახთ-ბატონის ლაღატის ფასად, შირვანიდან მობრუნებულმა ოსმალთა ფაშამ მის მამულს მწიკვიც არ დააკარა. ხოლო ალექსანდრეს ძე, ერეკლე, შაქის ბეგლარბეგად დაადგინა. ასევე მანუჩარიც, დედაი მისი, დაი არჩილის და აშოთანისა, დედისიძედი, სამცხეზე გავლით სტამბოლისკენ მიმავალ ფაშას ვედრებით ეაჯა, უფროსი ძისთვის, ყვარყვარესთვის ათაბაგობა სთხოვა, მაგრამ ოსმალთა არ შეიწყალა, ორსავე შვილის სტამბოლს მასთან ერთად წასხმა უბრძანა... ამბობენ, სამცხის ბეგლარბეგად მუსტაფა-ფაშას მოლაღატე მანუჩარის დასმა სწადიანო...

— ეგ როგორ იყო, რუსთა ხელმწიფისთვის გაგზავნილი ალექსანდრეს წერილი ოსმალთა ფაშას რო ჩაუვარდა?

— იკითხა არჩილ მუხრან-ბატონმა.

— ეგეც ალექსანდრეს ფანდი იქნებოდა, აქო და, თუ წყალობით არ ამავსებთ, მწყალობელი სხვაც პრავალი მყავსო. — ჩაიჭირქილა კარის მოძღვარმა სტეფანოზმა და სადღეგრძელოს თქმის ნება ითხოვა.

— ბრძანეთ, — წააქება მეფემ.

სტეფანოზმა ჯამი აავსო.

— ეს, არჩილ ჩემო, შენი ვაჟის,

ერეკლეს სადღეგრძელოს...  
სთქვა კარისმოძღვარმა და სუფრის ბოლოს, კუთხეში უხმოდ მიმქდარ ყმაწვილს გახედა. — მეფე-ბატონო, ეგ ყმაწვილი იყო, შენის სახლელის სურამში ლარბად დგომის დროს ჩვენს დედოფალს მორჩილად რომ ეახლა და მცველად დაუდგა. ოსმალებთან ბრძოლაში მის მუხრანად თექვსმეტი ისარი ჰკრეს, ხოლო ჯაჭვს ორმოცი... ცხენიც ქვეშ გამოუკლეს, მაგრამ შემდრკალი და შერცხვენილი მაინც არ უნახავთ... კვიცი მამის გვარზე ხტისო, ნათქვამია... შენზედ ზღაპრულ ამბებს ჰყვებიან, შვილო, გაგიმარჯოს, ღმერთმა ჩვენს მამულს შენისთანა ერთგული კაცი ნუ მოაკლოს, ნუ მოუშალოს!..

— შემივსეთ! — ბრძანა მეფემ.

— ყორღანაშვილს ქარაფთა,  
ხელი ჰკრეს და გადაფრინდა! —

წამოიწყო აშოთანმა...

სხვებიც აჰყვნენ.

საყოველთაო ლხინითა და მღერათამაშით მიმთვრალ-მიქანცულ არემიდაშოს ღამეული მდღეობა დაუფლებოდა. არცა მყეფარი და არცა რამ სხვა სულიერი არ აკრთობდა სიმშვიდეს. სიოც არ კრთოდა, — არ იძვროდა რტოზე ფოთოლი... ჭალებში განთიადის მორბედი, სუსხიანი ნოტიო ჩამდგარიყო. წვენარი, კაშკაშა მთვარე დაპნათოდა მუხრან-ბატონიანთ ეზო-გაღავანს.

უსიამო ფიქრებითა და თრიპის კვამლით ძილგაცრკვილი მეფე სვიმონი სასახლეს უჩუმრად გამოპრიდებოდა, კარგა დიდ მანძილზე გამოსკდენოდა, კბოდეზე შემდგარიყო და მარტო შთენილი მთვარით მიზიდულს დამსგავსებოდა... ნეტარებდა. მშობლიური მხარის სურნელება სულში ნათელივით ჩასდგომოდა, ჩაპბადაგებოდა... კარგა ხანს იდგა გარინდული, დანატრულ სივრცეს შერთულ-შეთვისებული. მერე, თითქოს ზურგს უკან ვიღაც იგრძნო, გამოერკვა, სიჩუმეს მიაყურა...



— ვინ ხარ?

— მე ვარ, პაპაი, კახთ-ბატონის ერთგული კაცი.

სვიმონს ელდა ეცა კახთ-ბატონის ხსენებაზე ათასმა ექვსმა ერთდროულად გადაუქროლა: იფიქრა — მიუეღესო. ცივმა ოფლმა დაასხა, ბეჭებზე სიკვდილის ფრთენი მიეფონა, მაგრამ არ შემდრკალა, არ შერხებულა. უკან მიხედვაც განგებ დააყოვნა. — სულის სიმტიეცეს უხმო, — სურდა ღირსეულად შეხვედროდა თავის აღსასრულს... ვაი, რომ უიარაოდ იყო! ავის მოლოდინში წამი საუკუნედ იქცა. გაგრძელდა, გაიწეა და, პა, გაწყდა კიდევ...

— რა გსურს? — გამოსცრა ცივად და ისარჩაყრავ ფოცხვერივით შემოტრიალდა.

მეფის უეცარმა მრისხანებამ პაპაი შეაერთო, შეაკბუნა; მიხვდა, — უზიარაგა ხლებით რომ დააფრთხო მარტოშენილი მეფე. — უმალვე მუხლი მოიდრია...

— შემინდე, მეფეო, სხვა დრო ვერ ვიხელთე, საიდუმლო სიტყვა მაქვს სათხოვნელი.

წამის წინ ელდითა და შიშნაკრავი გონებით განდევნილი სიცოცხლე სვიმონს სირცხვილად დაუბრუნდა. შეახურა, სულსხრობა იხანა, მაგრამ უკან დახევა მაინც არ ინება, ითაყილა...

— რა გსურს-მეთქი! — მიახალა მუხლმოდრეკილს და გულთამხილავივით ჩააშტერდა.

— ლორის ციხეზე გალაშქრება მერმისთვის უნდა გადასდო, მეფეო. — აღარ დაახანა პაპაი. — ამჟამად ვერ იქმ, კახთ ბატონი და თბილისს მდგარი ოსმალო არ დაგანებებს. მეფე ალექსანდრეს სულთანის ნებით პირობა აქვს შეკრული, რა-ემს ხელს შემართავ, თბილისსმდგარი თურქნიც შეიერთოს და მახვილი ზურგიდან ჩაგყეს. იციან, ლეინობისთვის ბოლო მსგეფს რომ აპირებ ლორისკენ დაძვრას.

მეფე ჯერ უნდოდ უსმენდა მოამბეს, მაგრამ ბოლოს ნათქვამმა სიტყვებმა ერთბაშად შესძრეს, სულის სიღრმემდე

შეაშფოთეს. შუბლი შეიკრუნა და თითქოს საფიქრალი წარბებს შუა მოაგროვავო. აშკარა იყო, — ორმოცობდა, არ იცოდა ერწმუნა თუ არა უცნაური მსტოვრის ნაუბარი.

— წამოდექ!.. ავი, კახთ-ბატონის ერთგული ვარო?

— ვარ, მეფეო.

პასუხი გულწრფელი იყო.

სვიმონმა მაინც ექვიანი მზერა ააყოლა წამომდგარს.

— მერე!

— კახელთა ლაშქარს თავადები უწინამძღვრებენ, მეფე გრემს დარჩება. — განაგრძო პაპაი. — თიანეთზე გადმოსულნი თბილისიდან მოდენილ თათარს გლდანთან დაელოდებიან. ის ლამე უფლისა უნდა იყოს, სარდლებს შეიბყრობ, ხოლო ლაშქარს შენკენ გადმოიბირებ. თუ ეგრე იქნა, განთიადისას ცალუღელა ოსმალოც ხაფანგში გეყოლება და ველარც ლორის ციხე გადაურჩება შენგან ძღვევასა.

სვიმონს ჩაეცინა.

— ეგ იმასა ჰგავს, მელამ რო მგელს ვეფხვი გაურიგა, წაიყვა ციკად და ისვი, თავნი დაფრთხებიან და ბელელსაც უომრად დააგდებენ... — ჩაილაპარაკა დროის მოსაგებად.

— არა, მეფეო! — შეევედრა პაპაი. — კახთ ბატონს შენთან ერთობა უნდა შემოგითვისა, რაც აქამდე მოხდა, ყველაფერი ოსმალოს თვალის ასახვევად იყო. ეგეცა გთხოვა, თავადნი ჩემნიც აცა-ბაცად დიან, საქვეყნო საქმეს სანებზე გდასაგდებად იმეტებენ და წაგებივით მხოლოდ თავ-თავიანთ ტყავს-ლა შესტირიანო. როცა ხელთ იგდებ, მცხეთას წაასხი, ამათა სისხლის უღვრელობაზე დააფიცი და ცხვრებოვით უკანვე გადმოლაღეო.

სიჩუმე ჩამოვარდა. ცის კიდე წითლად შეფაქლულიყო...

— რა გვარისა ხარ? — ჰკითხა სვიმონმა.

— წოწრიანთი ვარ, თუშთაგანი, პაპაი მქვიან. ალამუთის ციხეში შენა და არჩილ მუხრან-ბატონს კოჭი რომ მო-

გიგეთ, მეგონა დამიხსომებდი. მაშინაც კახთ-ბატონის ერთგული ვიყავ...

მეფე ჩაფიქრდა, ერთხელ კიდევ შეათვალა იერა უცნაური ამბის მომტანი. მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ ეს-ღა თქვა:

— მცხეთით იარე. წიოვის უამს მტკვარ-არაგვის ბერაჯისთან დადგე. აქაც დაგადევნებ. პა... უხს ის მოგცემს.

იმ დღით ამოთან მუხრან-ბატონმა საუხზე ტალავერში გააშლევინა.

შვენიერი ამინდი იდგა. სტუმრებიცა და მასპინძელნიც საუცხოო გუნებაზე იყვნენ. სასახლის ბაღში მიმოდინდნენ, ხალისიანად ბაასობდნენ, მეფის მოლოდინში ოჯახის უფროსს აღორძინებულ კარ-მიდამოს და მის ახლო-მახლო მდებარე სანახებს უქებდნენ.

მეფე სვიმონმა კიბე მხნედ ჩამოიარა, შემოგებებულ ქეთევანს შუბლზე ეამბორა, ხელი მოხვია და მეფე-ბიძის სიახლოვით აღტაცებული ნორჩი დისწული ტალავერისკენ წამოიყვანა.

— ძილი თუ კარგი გქონდა, მეფეც-ბატონო? — მიეფოლორცა ამოთანი და სუფრასთან მისულს სკამს ხელი უხლო; — დაბრძანდი, მეფეც შენა ხარ და თამადობაც შენ დაგშვენდებო.

სვიმონი დაჯდა, ქეთევანიც გვერდით მოისვა.

— დასამალი რაა, ჩემო ამოთან, მაგრამ ძილი აღამუთის ციხისა სჯობდა. თუ ჩემი არა გჯერა, ლეთის მადლით, ძმაც აქა გყავ და იმასა ჰკითხე.

— სჯობდა და ეგრე! — უმაღვე დაუმოწმა არჩილმა.

ამოთანმა ძმას „აღმაყერად“ გახედდა.

— თუ იქა სჯობდა, დალოცვილო, აქეთვე რალას გამორბოდით!

ყველას გაეცინა.

ეპისკოპოსმა სუფრა აყურთხა.

სვიმონმა პური გატეხა.

— ძილისა რა ვთქვა, მაგრამ სიზმარი კი კარგზე კარგი ენახე, — განაგრძო მან. — ვითამ კახთ-ბატონი აღექსანდრე სარძლოდ ქეთევანის ხელსა ვგებოვდა...

წამით ყველანი შეცბნენ, მაშინვე მისი მეფის ნათქვამი ამოთანის ქილიკად მიიღეს და გულიანად ახარხარდნენ.

— ფუი, ეშმაკს!.. ფუი, ეშმაკს!.. პირველი გადაისახა კარისმოძღვარმა სტეფანოზმა.

ქეთევანს შერცხვა, წამოენთო...

## 15.

გამოზამთრებულზე ბეროიიანთ სოფელს თავს საზარელი პირ-მუსარა დაატყდა. უკურნებელმა სენმა მწიორის მღვიმეშიც შეაღწია, ნანილს (ასე დაარქვა მწიორმა გადამწვარ სოფელში მოტეულ, ობლად დარჩენილ პატარას) წვდა, თავის დაუნდობელი, მსახვრალი კლანჭები მაგრად ჩაატდო და სასიყვდილოდ განწირული სარეცელს მიაგო. გამოქვაბულის სიღრმეში, ტყავ-ჭეჭიშხე მისვენებული საბრალო გოგონა დედილოს ახსენებდა, ბორგავდა, შევლას ითხოვდა. მწიორი ძალ-ღონეს არ იშურებდა, მკლავ-კალთებ დაკაპოვებული სიყვდილის პირის-პირ შებმოდა, ებრძოდა, ეკიჭებოდა, — ობლის თან წაყვანას არა და არ ანებებდა!.. ნიადაგ ტყელრეში დაძრწოდა, ფიჩხსა და სამკურნალო ბალახს აგროვებდა; სიცხიან ბალსს საფენს ხშირ-ხშირად უცვლიდა, უამინებდა...

შუადღე გადასული იყო, როცა მუხრანიდან დაბრუნებული ითაბანი ბეროიიანთ სახლ-კარს მიადგა. ჩამოქვეითდა. პირგამეხებული მწუხარე სინანულით მიაჩერდა ჭვარედან შეხერგილ, კარგა ხნის უკან გამოჭარულ სარკმელ-დარაბას, მერე შემობრუნდა, ყორესთან მინებებულ ფაშატს ლაგამში ჩაეჭიდა და მუხლმოკვეთილი თავიკვედაეშვა.

— გამარო, ჰაი, გამარო! — გასძახა ხევ-გალმა.

მახილზე ნაგაზმა წამოიღრინა, უფულოდ დაპყეფა და ბარე ათი დღის სალაფავ უნახავმა, თავი კვლავ თათებზე მისდო, მიიღურსა.

ცივი, სუსხიანი ამინდი იდგა. სოფელში ჩამოჩენი არ ისმოდა.

— რომელთა ხარ? — მოისმა ხევ-გალმიდან ქალის მწუხარე, ცრემლნარევი ხმა.

— ითამან ვარ, იჩოის... რაი ამბავ მოხდა? — მოუთმენლად ჩაეკითხა თილიძე.

ერდოზე თაღბით მოსილი, მაღალი დედაცაი გამოჩნდა. პირ-ბაგეც შავი სახოცით ჰქონდა შებურვილი, ზედ ხმელი, ნაჯაფარი ხელი ეფარა...

— წა, ითამან, იარე!.. სოფელში ჰირი დგა, მუსარაი... ბარში წად, მთაში წად, ტყეში წად!.. აღარა მყავ გამაროი, ბნელს მიწაში დავალს, ბეჩაეი... — ქალს ტირილი აუვარდა, შინ შებრუნდა, კარი შეიკეტა.

ითამანი ადგილს შეახმა, შეაქვედა...

ფაშატმა კისერი წაიკრძელა, თავი ბარდებში შეკყო და კაცთკირუჯრანობმა, ნარქვეშ შერჩენილი ბალახი მოწიწა...

წამსხვით ითამანმა სხვა, უფრო შემზარავი სურათი იხილა, — ბალები სლუქუნით ადვენებოდნენ ჰირშეყრილ დედას!.. მონებ მოხვეული სნეული ქალი სასაფლაოსკენ მილასლასებდა: უკან მოხედვას უფრთხოდა, — შიშობდა, — ჩვილების სიბრაღულით მტხლი არ მოჰყვეთოდა, გზაზე არ მოსავებოდა, არ ჩაეცდილიყო... თან წყლიანი ხელადა და სიკვდილამდე სამყოფი, ჰერის გამხმარი ყუა მიჰქონდა, პატარები მისტიროდნენ, კაბის კალთაზე ებლაუქებოდნენ, მაგრამ დედა არ ინდობდა, იგერიებდა, ეტსა და ქკას უღერებდა... კარ-ფანჯრებს მომდგარი მეზობლები ჰირ-მუსარას შიშით გარეთ გამოსვლას ვერ ბედავდნენ, ღრიკობში იჭყიტებოდნენ და თვალკრემლიანი ბალები ცოცხვით ითუთქებოდნენ. ბოლოს ვედარ გასძლეს, — გამოცვიდნენ, — პატარებს წინ გადაელობნენ; ხელი მოხვიეს, აიტაცეს, გულში ჩაიკრეს და თავდაც მწარედ აქვითინდნენ... დედამ მაღლიერი თვალით გამოხედა მეჭირი-

სუფლეთ, სული მოიბრუნა, პირჯვარი გადაისახა და აღმართს შეუდგა...

სად მიდიოდა?!

რად მიდიოდა?!

ითამანი გაოგნებული იდგა. მან მხოლოდ ეხლა შენიშნა, რომ სასაფლაოდან ჰარს ფანდურის ხმა ჩამოჰქონდა...

სნეული ფანდურის ხმას მიჰყუა, საფლავებსა და ფიქალით ნაგებ ხატის მცირე ნიშს გასცდა, ძველ, ხავსმოდებულ აკლამასთან შეჩერდა, ერთხელ კიდევ გამოხედა სამზეოს, ამოიოხრა, გამოსალმების ნიშნად სოფელს ჰვარი გადასახა და კარმორღვეულ აკლამაში შევიდა.

შიგ შესულს სანთელი ჩამოღვენთილი დაუხვდა, — ალი ძლივს-და ბოგინობდა, სიბნელეს თვალი შეაჩვია, მიცვლებულებს შორის რამდენიმე სულთმობრძავი და ედელს ულონოდ მიყრდნობილი მეფანდურე ყმაწვილი შენიშნა.

— ზიდონავ, შენა?!. — აღმოხდა ყმაწვილს.

— იუჩე! — ბაგეზე ხელი მიფარა ბალები დედამ. მერე ჩასაქრობად განწირულ ალს სანთელი შეუწაცვლა და ხმადაბლა უთხრა: — ანგელოსსაებრ უცოდველს რაისად გედარდების?.. ნუ შედრკებ, უფლოსკე მისდინარ, ეშმაკისკე ხო არ!..

ნუგეშმა ყმაწვილს სიმწრის ღმირი მოჰგვარა. ფანდური ძარს დასდო, სულთმობრძავ მოხუცს მიუჩოქდა, გვერდით მიუწვა და თვალიც სასიკვდილოდ მილულა.

ზიდონა თავთან ჩამოუქდა, სასთუმალი შეუყვთა, თავქვეშ მონებები მიუმატა, მერე ფანდურს წედა და ახლა იმან ჩამოჰქრა ლარებს...

იმ ლამის ვასათუვად ითამანმა მწირის სადგომი შეიგულა.

მღვიმეის პატრონს მზარი მისცა, — სნეული ბალების მოვლაში შეეშველა. ტყიდან ზმელ-ხმელი ჯოჯრები მოყარა, წყალი მოზიდა...

მოხუცმა ცეცხლის პირს იარმო ამო-

ილო, შიგ თბილი ნაცარი ჩაჰყარა, მერე ორმოში სნეული ბალლი ჩააწვინა და სტუმარს თბილის წყლის დასასხმელად მზადყოფნა დაავალა.

— ეგ რაღად? — ჰკითხა ითაბანმა.

— რომ მოკვდების, თბილ ნაცარში არ გაცოვდების... მკვდარს ჰირი გაცელებების, ვადროვებ, მერმე სულს ჩავბერ, გვერდებ ძალით ვასუნთქებ... ნორჩია, თუ სისხლ დავძარ, ვადარჩების, მკვდრეთით აღსდგების...

შელამებისას სასაფლაოდან მოდენილ ფანდურის ხმას თან ზიდონას სევდიანი სიმღერაც მოჰყვია...

დაიძინე, შეილო, დაი!  
ჩემო გულო, დაი!  
დაი ჰქენ, თოლო, დაი!  
შენ შემოგველა, დაი!..

— ვაი და ვაი, ჰარელო ზიდონავ, საფლავიდან რად ეტყოდ ნანას ობლებსა!.. შენ მაინც რაღას გერჩოდა სევადამწვარი?.. უიღბლოვ, წვრილ-შვილის უკაცოდ შემნახველო!.. — გულმოკლულად ამოსთქვა მწირმა.

— ჰმარ რაღა ექნა? — ჰკითხა ითაბანმა.

— თალაღე და სომხის ვაჰარი რო წაახხეს, აბალოი და მაგის ჰმარ ერთად მაჰკლეს ლეკებმა.

ტუბილად დაიძინე, დაი!  
ვაჟკაც გახდი, დაი!  
საქმე ბევრ გაქ, დაი!  
შენი ჰირიმე, დაი!  
შენ რო გაიზრდებ, დაი!  
ხანჯალ მოგეკმე, დაი!  
დუშმან ბევრ გვაფ, დაი!  
მამულს მოუარ, დაი!  
შემთამავრ, დაი!  
დაი ჰქენ, თოლო დაი!..

ისმოდა სასაფლაოდან.

მწირს ნანილის მაჯა ეკირა. გული სუსტად ცემდა, მერე სულ მიწელდა, შეწყდა!..

— წყალი! — გაფაციცდა მოხუცი.

ითაბანი ჰურჰკელს ეცა.

დიდბანს წვალობდნენ მწირიცა და

მისი სტუმარიც, — ნაცარს არ აცემდნენ, მკვდარს ჰირში სულს უბერავდნენ, გვერდებს უზელდნენ, ძალით ასუნთქებდნენ...

ოფლში იყვნენ გაღვრილ-გაწურულნი, მავრამ უსულო სხეული სიცოცხლის ნიშანს არა და არ იძლეოდა... იმედს მაინც არ კარგავდნენ, — ისევე თავიდან იწყებდნენ ყველაფერს...

ისევე და ისევე...

ისევე და ისევე...

და... ჰა, გაიმარჯვეს კიდევ, სისხლი დაიძრა, ნანილმა თვითონ ჩაისუნთქა!..

— მადლი შენს სახელს, უფალო! — მოისვენა მწირმა.

ითაბანი სიხარულით ატირდა.

## 16.

თოვდა... ზარების დაგუბული, შორი გუგუნე, ვით მონაზონთა მოშიშარ სულებს, ისე აკრთობდა გამარცვილ რტოზე შემომსხდარ ჰილყვავს...

თოვდა... სასოებასავით წმინდა, ფაფუკი ფიფქი ეფინებოდა ღვთისმშობლის მიძინების ახლადღნავ, თოვლისფერ ეკლესიას...

თოვდა... თვედორე უფლისწული სარკმელთან იჯდა, ზარებს უსმენდა, უფალს შესცინოდა და ფიქრში წასული, მხრებზე მოგდებულ წავის მოსახამს, როგორც ცოცხალს იმდაგვარად ეფერებოდა...

საქანში ორნი იყვნენ — ის და ბორისი... ბორის გოდუნოვი — მისი საყვარელი მეუღლის საყვარელი ძმა!..

გოდუნოვმა ჩაქცეული მუგუზლები კვლავ ლადარს მიუმარჯვა და ბუხარს გამოეკრინა...

— ჰერანგის ამარა დამხვდა-მეთქი, იმას ვამბობდი, — განაგრძო უფლისწულმაც ადრე შეწყვეტილი საუბარი, — მაგდაზე წრე მოეხაზა, წრეში ობობები ჩაესვა და თავის ჰოლანდიელ მკურნალს მაგის საიდუმლოს უზიარებდა. მგონი ასე ეუბნებოდა: შეხედე, იოან, რა ღიღებული ნიშანია!.. იმ ერთის გარდა თავს ყველა მშვენიერადა გრძნობს და აღარც წრიდან გაქცევას ლამობ-

ნო... შევატყვე — კარგ გუნებაზე იყო... დანახვისთანავე ღიმილი მოაგება, მერე პოლანდიელს ობობების გარეთ ვასხმა უბრძანა და, როცა მარტონი დავრჩით, სასთუმლიდან მარჯნისა და ფირუზის თვლები გამოალაგა, ხელისგულზე დაიწყო და ჩურჩულით მითხრა: აი, ხომ ხედავ, მთელი ღამე ერთად გვეძინა, მაგრამ ფერი არ უცვლიათო!.. ფერი რომ ეცვალათ, მაშინ სხვა იყო, იმ ქვეყნის სიახლოვეს მამცნობდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ნეულება ჯერ სასიკვდილოდ არ მომძალეზიაო... ვარსკვლავებზე და ძვირფას ქვებზე მკითხაობა ხოლომოგორელმა კუდიანებმა ასწავლეს... საოცარია?!.. ამ ზაფხულს ბოგდან ბელსკის ლაპლანდიიდან კიდევ რამდენიმე ჯადოქარი ჩამოაყვანიან... როცა ვკითხე, აქი გრძნეულებისა არაფერი გწამდათ-მეთქი?, გულიანად გაეცინა, ეხლა მწამსო, — მიპასუხა და თითქოს საწადელს მიმიხვდაო, სიტყვა კავკასიაზე ჩამოავდო: — ცოტაც მადროვეთ, ყველაფერს პაპის ელჩთან შეხვედრა გადაწყვეტსო... თუ ღმერთმა ინება და ის გაიძვერა იეზუიტი ხელსაყრელ პირობაზე დავითანხმე, იქნებ დარუბანდისკენაც გავიხედო და ჩვენთვის ესოდენ სასურველი აბრეშუმის გზა ხანსა და სულტანს როგორმე უომრად დავავადებინო... მერე კარგა ხანს მიყურა და ალერსით მკითხა: რად სწუხარ, შვილო, შენს მშვენიერ ცოლს აბრეშუმის კაბები ხომ არ შემოსცევთაო?.. ვინ იცის, ეგებ ყირიმის ხანთან ელჩებიცა ჰყავს გაგზავნილი...

— ჰყავს! — დაუმოწმა გოდუნოვმა.

— ჰყავს და, იმიტომაც შევახსენე, აბრეშუმზე უფრო, ქრისტიან მეფეს, ერთმორწმუნეთა უბედობა უნდა ტანჯავდეს-მეთქი!.. ისიც ვუთხარი: აგარიანთა ვერ მოდრეკამ მეორე რომიც დააქცია, ხოლო მოსკოვი — მესამე რომი ურყევლად დგას და კვლავაც ურყევლად უნდა იდგეს, რადგან მეოთხე რომს ამ ქვეყნად ყოფნა აწ აღარ უწყირია-მეთქი!.. ველარაფერი მიპასუხა. წარბები შეჰყარა და ფიქრში წასულმა

ვილაც უხილავს მჭილი მოუღერა... მერე გამოერკვა, კვლავ ღიმილით მომიბრუნდა და ეს-ლა თქვა: — დრო, შვილო! ჩემო, უნდა გახსოვდეს, დროა მთავარიო!.. მივხვდი, არ ახლავს მეფის საქმეთ უფლის დასტურო.

თევდორემ დაასრულა.

— მაშ ასე ბრძანა: შენს მშვენიერ ცოლს აბრეშუმის კაბები ხომ არ შემოსცევთაო, არა? — ჩაილაპარაკა გოდუნოვმა.

— რა?! — გაოცებით ჰკითხა უფლისწულმა, გეგონებოდათ ეს სიტყვები პირველად მისგან გაიგო.

— არაფერი, ჩემთვის ვფიქრობდი. — მშვიდად უპასუხა ცოლის ძმამ და მშვიდადვე დასძინა: — უუპველია, პაპის ელჩსაც უარით გაისტუმრებს.

— შეუძლებელია! — არ დაეთანხმა უფლისწული.

დიდმა ხელმწიფემ პაპის ელჩი წახნაგოვან პალატში მიიღო.

მიღებას ორივე უფლისწული და სამეუფეო სათათბიროს თითქმის ყველა წევრი ესწრებოდა. ესენი იყვნენ სათათბიროს წინამძღოლნი: ათანასე ნაგოი და ბოგდან ბელსკი. ბოიარები: მსტისლავსკი, რომანოვი, შუისკი, როდონ ბირკინი, გოდუნოვი და სხვანი. ყველანი ღირსების მიხედვით ისხდნენ, ხოლო თვით მეფე, სამის საფეხურით შემადლებულ, სპილოსძელოვან ძვირფას ტახტს დაუფლებოდა. ხელმწიფის უკან, ბიზანტიურის წესისამებრ, ოთხი თეთრითმოსილი ჭაბუკი გარინდულიყო, მათ ხელში ვერცხლის მცირე ნაჭახები ეპყრათ და ქანდაკდქეუელნი უზენაისის ურყვე ნებას ასახიერებდნენ.

პაპის პრელატი, იეზუიტი ანტონიო პოსევიჩო, შუა პალატში იდგა. თავი ზედმიწევნით ღირსეულად ეჭირა და სეფე-სიტყვის მოლოდინში, მეფის ფერხითით დაფენილ ძოწეულისფერ მათდს მისჩერებოდა.

— მისი უწმინდესობის რომის პაპის ეპისტოლე კეთილად შევისმინე და ვინებე სხვებსაც ასევე შევისმინათ. ეხლა

მსურს მეფე სტეფანის დანაბარებიც დაწერილებით მოგვახსენო. — ბრძანა ხელმწიფემ.

პაპის ელჩმა თავი მორჩილად დახარა. მერე კვლავ აღიღო და გადიმბებულ სახით წარმოსთქვა:

— მეფე სტეფანი მოსკოვის მიწას აწ მხოლოდ-ღა აღზევებას უსურვებს და მის დაპყრობას სულაც არ ლამობს. მეფე სტეფანს სურს, რომ მოსკოველმა ეპქრებმა მის მიწაზე სრულიად თავისუფლად იარონ, ხოლო ლიტველებმა — შენსაზე. ბრძანა: ამით ორივე სახელმწიფო დიდად მოიგებსო. გარდა ამისა მეფე სტეფანი პერეკოპელზე გალაშქრებას აპირებს. ამბობს, პერეკოპელი ორივეს ხარკს გვართმევს, ჩვენს მიწებს კი მაინც უმოწყალოდ აოხრებსო. ამიტომ ყირიმის ხანს მე ჩემის მხრიდან შევეტევე. ხოლო რუსთა ხელმწიფემ თავის მხრივ შეუტოოსო. თან ისიც დამაბაოა, მოსკოვის მბრძანებელმა ერთგული კაცი მაახლოს, რათა მან საკუთარი თვალთ იხილოს, როგორ მიეუზღვე მტერს ქრისტიანთა სისხლისათვის სამაგიეროსო. ის ფული კი, პერეკოპელ ხანს რომ ეუბდიდით, საქრისტიანოს დასაცავად ჩვენსავე ხალხს მოვახმართო. ამასთან, ეპეი რომ არა გქონდეს, რა, მეფე სტეფანი შეგახსენებს, რომ იგი არც პოლონელია და არც ლიტველი, არამედ წარმოშობით უნგრელია და ამათზე ხელმწიფებად მისთვის მოვიდა, რომ სიმართლე და სიყვარული ჰგიოს და საქრისტიანო მუსულმანთაგან იხსნას.

პოსევიჩო დადუმდა.

თევდორე უფლისწულმა გოდუნოვს გახედა.

— არა. აწ უკვე პერეკოპელზე სალაშქროდ ჯარს ვერ გავგზავნი. — მტყიცედ სთქვა ხელმწიფემ და პალატში მყოფნი თვალთ მოსინჯა. — ჩემი ხალხი მეფე სტეფანთან ომმა მოქანცა. თან ელჩნიც მწერენ ყირიმის ხანთან ზავი შევკართო, მაგრამ ეგ კი აღარ ვიცი, რა პირობითაა იგი შეკრული. თუ სტეფან მეფეს ურჯულოზე ლაშქრობა სუ-

რდა, უნდა ადრევე ეცნობინოა ქველთავის ელჩობით.

პოსევიჩომ სიტყვა მოიმარჯვა, მაგრამ ხელმწიფემ არ აცალა, სათქმელი ხელის აქნევით განზე გადაუგდო, აჩოჩქოლებულ ბოიარებს მკაცრი მზერით სიჩუმე ანიშნა და უცხოელს მეგობრულად მიუბრუნდა...

— გარდა ამისა, პაპის წერილი მაუწყებს, რომ შენ ჩემთან სარწმუნოებაზე საუბარი გსურს, პირისპირ საუბარი... მზად ვარ გავიგონო, მაგრამ პირისპირ არა. თვითონ განსაჯე, ახლობლების გარეშე ასეთ საუბარს რაღა აზრი აქვს? შენ, უზენაესი პაპის ნებით და შენის მოცადურობით ჩემსა და სტეფან მეფეს შორის ზავი ჩამოაგდე: უფალმა ინება და ამ ზავით საქრისტიანომ მშვიდობა ნახა... და თუ ჩვენ კვლავ სარწმუნოებაზე დავდართ სიტყვა, კამათი ატყდება და მეშინია, ჩვენს შორის კვლავ უთანხმოება არ მოხდეს...

— სჯულზე საკამათო რაა?! — ჩაილაპარაკა პაპის პრელატმა. მიხვდა, რომ მისი ელჩობა სასურველ მიზანს ვეღარ აღწევდა, მაგრამ ფარ-ხმალის დაყრა მაინც არ ინება. — შენ, დიდ ხელმწიფეს, მე — მდაბალი ქვეშევრდომი შენი სადაო სიტყვას ვით გაკადრებ?... პეტრეს და პავლეს თანამოსაყდრე, პაპი გრიგორი მეცამეტე, სურვილს გამოსთქვამს, შენთან, დიდ ხელმწიფესთან, სარწმუნოებით გაერთიანდეს, რათა რწმენა რომისა და ბერძნებისა საერთო იქნეს. პაპს სურს, რომ ქვეყნად მხოლოდ ერთი ეკლესია სუფევდეს, მაშინ ჩვენ ბერძნულში ვივლით, ხოლო ბერძნულის მორწმუნე სლავები — ჩვენსაში... და, თუ კი, ბერძნული წიგნები შენს ქვეყანაში მთლიანად თარგმნილი არაა, ჩვენ გვაქვს დედნები, თვით იონანე ოქროპირისა და სხვათა დიდთა ნათლისმშობლავთა ხელით ნაწერი. შენც პაპის, კეისრისა და სხვა ხელმწიფეთა მსგავსად სიყვარულით შეიმოსები და არა მხოლოდ წინაპართა შენთა მამულში, — შენს კიევში, არამედ თვით სეფე-ქალაქს დადგინდები ხელმწიფედ.

ამას პაპი, კეისარი და სხვა მეფეებიც შეეცდებიან.

— როგორც ვთქვი, ვერ შევთანხმდებით. — თავისაზე დარჩა დიდი ხელმწიფე. — ჩვენი რწმენა ოდითგანვე სხვა იყო, რომის ეკლესიისა კი — სხვა... მე მართლმადიდებლად დავიბადე და, ღვთის მადლით, ხანიც საკმაო მოვიყარე; ესლა უკვე ორმოცდაათზე ერთი წლით მეტიცა ვარ!.. აწ არც რაჭულის გამოცვლა და არც დიდთა სამფლობელოთა ნდომა მე არ შემფერის. მალე მცირედითაც დავემყოფილდები... ამა ქვეყნად კი მთელი სამყაროც რომ მიბოძოთ, არაფრად მინდა, რადგან მრავლისა ნდომა მიუტევებელი ცოდვა არს. მე, ჩემი ჭეშმარიტი სარწმუნოების გარდა, სხვა რწმენა რწმენად არ მიმაჩნია.. თუმცა, ამაზე კამათი არ მსურს, დავას ვერიდები... გარდა ყოვლისა, ამგვარ დიდ საქმეს, მამისა ჩვენის, ღვთისმშოსავი მიტროპოლიტის და სრულიად უწმინდესი სობოროს გარეშე ვით შეეკვიდო?.. ჰო, ანტონიო, გული რომ არ გატკინო, ამიტომ შენთან დიდ ამბებზე საუბარი არ მსურს. პატარა საქმე კი ეს ვახლავს, აი, შენ წვერი მოკვეცილი გაქვს. წვერის მოკვეცა და მოპარსვა, არა თუ მღვდელს, არამედ უბრალო ხალხსაც ეკრძალება. შენ რომის სარწმუნოებით მღვდელი ხარ, წვერს კი იკვეცავ! აბა, მიბრძანე, ვინ სჩადის ამას, რომელ მოძღვრებაში სწერია?..

მეფის ამ სიტყვებზე პალატში მყოფთ სიცილი აუტყდათ.

— არა, დიდო ხელმწიფე, მე წვერს არც ვიპარსავ და არც ვიკვეც! — ნაწყენის ხმით განაცხადა პაპის ელჩმა. მისმა განცხადებამ ბოიარები უფრო გაამხიარულა...

— რომში ნამყოფმა ჩვენმა მორბედმა გვაცნობა, რომ პაპს ტახტრეწით დაატარებენ, ხოლო წაღებზე ჭვარი ახატაო... — წაბალისდა მეფეც, — აი, პირველი განსხვავება ჩვენსა და რომის სარწმუნოებას შორის!.. ჩვენის რწმენით ჭვარი უფლისა მტერზედ ლახვარია, ვეთაყვანებით მას!.. ჩვენში ჭვრის

წელსქვევით ტარება მკრეხტობაა...

— პაპი ყველამ უნდა ადიდოს, იგი არს თავი ქრისტიანთა, მოძღვარი ყოველთა ხელმწიფეთა, თანამოსაყდრე მოციქულისა პეტრესი — უფლისა თანამოსაყდრესი. — მდაბლად შეახსენა ხელმწიფეს პოსევიონომ.

მეფეს იერი ეცვალა, მოიღუშა, თვლებში ჩვეული მრისხანება ჩაუდგა.

პაპის ელჩს ეს არ შეუშინებია.

— აი, შენ — განაგრძო პრელატმა, — დიდი ხელმწიფე ხარ და წინაპარიც შენი, ვლადიმირი, კიევის დიდი მთავარი იყო. მაშ, ვით არ გადიდოთ და გაქოთ თქვენ, ხელმწიფენი და მუხლნი ჩვენნი თქვენს წინაშე არ მოვიდრიკოთ?

პოსევიონო მუხლებზე დაეცა, მაგრამ გვიან-ლა იყო.

დიდი ხელმწიფე მრისხანებამ აიტანა, წამოდგა...

— მოიქვენელურ სიტყვას ხარჯავ! — დაიქუხა მან. — პაპს უფლისა და პეტრე მოციქულის თანამოსაყდრეს უწოდებ... საკუთარის პირით მეტყველებ და არა ღვთის შეგონებით... პაპი ქრისტე არაა!.. არც ტახტია ღრუბელი, რომლითაც მას დაატარებენ!.. და ისინიც ვინც მას დაატარებენ ანგელოსნი როდი არიან... პაპს არ ერგება ქრისტეს ეტოლოს და თავი მის თანამოსაყდრედ მიიჩნის. არც პეტრე მოციქულს ერგება ქრისტეს სწორობა!.. პაპი, რომელიც ქრისტეს მოძღვრების, მოციქულთა და წინამორბედ პაპთა — სილიბისტროდან ვიდრე ადრინამდე — მცნებაზე დგას, ის არის პაპი და მოციქულთა თანამოსაყდრე. ხოლო ის პაპი, რომელიც ქრისტეს მოძღვრებისა და მოციქულთა გარეშე იღვწის, მგელია და არა მწყემსი!

ყველანი ფეხზე ადგნენ.

წახნაგოვან პალატში სამარისებური სიჩუმე სუფევდა.

— თუ პაპი მგელია, მაშინ მე სათქმელი აღარაფერი მაქვს. — ჩაილაპარაკა პოსევიონომ და წასვლის ნებართვა ითხოვა.

მეფემ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა. დაჯდა.

სხვებიც დასხდნენ.

მიღება დამთავრებული იყო.

პრელატის წასვლის მერე მრისხანე ხელმწიფეს კვლავ მშვიდობიანი განწყობა დაუბრუნდა.

— პაპთან გასაგზავნი წერილი წინასწარ შევადგინე. — ხმადაბლა წარმოსთქვა მან, — ვაუწყებ, რომ მისი სიგელი სიზარულთ მთელზე და სიყვარულთ შვევისმინე. აგრეთვე ვაუწყებ, რომ ანტონიოც ასევე დიდი სიყვარულით შევიწყნარე და პაპის, კეისრისა და სხვა ქრისტიან ხელმწიფეთა ძმობაც გულწრფელად მწადის, რათა საქრისტიანო ურჩულობასგან განთავისუფლდეს და მშვიდობაში აღზედეს. გარდა ამისა ვაუწყებ, რომ პაპი ჭერ კეისარსა და ყველა სხვა ქრისტიან ხელმწიფეს გაუპირდეს, ხოლო ჩვენი თანხმობა მერე მიიღოს. შემდგომ ამისა ვწერ, რომ წიგნი ფლორენციის სობოროს შესახებ, რომელიც პაპმა ანტონიოს გამოატანა, ვბრძანებ, პატივით მიეღოს და სარწმუნოების გამო ანტონიოსაც დაწვრილებით ვესაუბრებ. მწადს, ეს წერილი ჩემს შიკრიკს ვავატანო. იგი პაპის ელჩს თან გაჰყვება და თუ პაპმა ან მისმა რომელიმე მრჩეველმა ჰკითხა, ხელმწიფემ პაპს მართლა მგელი და ნადირი თუ უწოდაო? უპასუხებს, რომ მას ასეთი რამ პირველად ესმის.

ხელმწიფის სიტყვას დასასრული მზიარული ჰქონდა. უმრავლესობას გაეციონა კიდევ, მაგრამ დანარჩენები აჩოჩქოლდნენ...

— არავითარი ზავი! — წამოენთო უფლისწული ივანე ივანესძე, — საანძე ტყეები... საიალქნე სელი... აი, რუსეთი!.. მსოფლიოს მეოთხედი სიმდიდრე ჩვენს ხელთაა, მაგრამ ჩვენ მიინც ველურებზე ვვაჭრობთ... არც ერთი ნავსადგური, არც ერთი საიმედო საქარავე გზა!.. შიშით ყველაფერს იოლადა ვთმობთ... ფსკოვი!.. სად არის ფსკოვი!..

დიდი ხელმწიფე გაფითრდა, მკედრის

ფერმა გადაჰკრა, მაგრამ თავს დასაღწადან ატანა და მემკვიდრესთან საჯაროდ შეხლას, წაყრუება არჩია. ერთ ხანს თავდახრილი იჯდა, აშლილ ძარღვებს იოკებდა, მერე თავი ასწია, თვალები ვიწროდ მოხუჭა და სამეფუფეო სათათბიროს წევრებს დააქტერდა...

თველორე უფლისწულმა ცოლის ძმას რალაც წასჩურჩულა.

გოდუნოვმა სიტყვა ითხოვა.

— პაპთან უთანხმოება ხელს არ მოგვცემს. — ფრთხილი, შემპარავი ხმით წამოიწყო მან. — თუმცა, რომისა და ჩვენი ჰემპარიტი სარწმუნოების შეერთებაც არ არის სანდო, რამეთუ ღღეს ყველა დასავლელი ხელმწიფე ღმერთს იქეთ მხოლოდ ინდოეთს ხედავს. ისიც სწორია, რომ ყირიმის ხანზე გალაშქრება ამჟამად არ ღირს, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თურქნი ასტრახანის ხელში ჩაგდებით, იუზბეკებთან შეერთებას და რუსეთისთვის დარუბანდის გზის მოჭრას ესწრაფვიან... ასეთ ყოფაში ჩვენ არა მოზიარეს, არამედ ერთგულ თანამებრძოლს უნდა ვეძებდეთ. მე ვგონებ დროა ივერიის ერთმორწმუნე მეფეებთან და კავკასიის სხვა ქრისტიან ხალხებთან კავშირს ველტოდეთ...

— დრო, დროა-მეთქი მთავარი! — შეაწყვეტირა მეფემ და თათბირის დამთავრების ნიშნად ფეხზე წამოდგა.

17.

სამცხე.

მორღვეული, გამოჭარული ტერასები...

ზვარში — ცხერის ფარა...

ბაზილიკაში — გომური...

გზად ხელჯობიანი მოხუცი მოაბიჯებს. თან მინდვრის ყვავილებით თმბშემკული ნანილი მოჰყვება. უხამლონი არიან, ჭვალოს სამოსი მოსავთ, მხარილივაც ჭვალოსავე ჩანთები ჰკიდიათ. მოხუცის გვერდით მოარული გოგონა, სიბრძნის რტოზე შემორჩენილ, სიცოცხლის ყლორტსა ჰგავს.

ისევ — მორღვეული ტერასები...

ისევ — ზვარი და ზვარში ცხვრის ფარა...

ისევ — გომურად ქცეული საყდარი...  
სადღაც, შორს, უცნაური ფრინველი ხმობს...

— რას ამბობს ის ჩიტი, პაპი? —  
ეკითხება გოგონა მოხუცს.

— ნუ გათათრდებიო, ამბობს.

მოდინან...

ხმა იღუშალი:

წმიდა გიორგის კარზედა,

ზე ალვად ამოსულია;

ზედა დასხმია უფრძენი, —

საქმელად შემოსულია;

იმის ნახვევი ქალ-ვაფი,

შავადა შემოსილია!..

მდინარის პირად, ტყის ახლოს კოცონი ანთია. კოცონთან მონადირე დიდებული ზის, ისვენებს... თავს ოსმალური დოღბანდი შემოუკრავს...

მწვევები თვლემენ...

მარეკები საყვირებს წმენდენ...

ბაზიერნი ქორ-შეყარდენს უწრუპუნებენ...

მოხუცი და გოგონა უსიტყვოდ ჩავლას დააპირებენ.

— სალამს რად არ იტყვი, მწირო? —  
ჰკითხავს დიდებული.

— არყოფილს არ გეგების და იმად.  
— მიუგებს მწირო.

— არყოფილი ვით ვიქნები?! —  
უკვირს დიდებულს.

— იქნები. — ეტყვის მწირო, —  
რამეთუ სამცხე იყავ და სანჯაყადაც აღარ დარჩები; რამეთუ ათაბაგის ძე იყავ და ჩილდირის ბეგლარბეგადაც აღარ დარჩები; რამეთუ ზვარი იყავ და საძოვრადაც აღარ დარჩე? ; რამეთუ საყდარი იყავ და გომურადაც აღარ დარჩები; რამეთუ მანუხარი იყავ და მუსტაფადაც აღარ დარჩები!

— მუსტაფად ვით არ დავრჩები?! —  
კვლავ ჰკითხავს დიდებული.

— ისევე, ვითარც თევზნი მდინარისა მენავისა მიერ ხმელსა ზედა ბადეთ-  
გან ამოყრილნი ფართხალით დაწყდებიან, აგრეთვე შენცა, სჯულისა თვისსა

განრიდებული, ხანსა რომელსაღუნ მცურესა იზოგინებ და თევზსა იმასა უწყლოსა მსგავსად მოკვდინდები და არადყოფის კრძად იტყევი. — განუმართავს მწირო.

დიდებული დაფიქრდება.

— მოვკლათ! — ეტყვის მლოქველი.  
შეშინებული ნანილი მოხუცს მიეკრობა.

— არა. — გადაწყვეტს დიდებული.  
— იარონ!

მოდინან...

კვლავ — მორღვეული ტერასები...

კვლავ — გომურად ქცეული ბაზილიკა...

ხმა იღუშალი:

წმიდა გიორგის კარზედა

ზე ალვად ამოსულია;

ზედა დასხმია უფრძენი, —

საქმელად შემოსულია;

იმის ნახვევი ქალ-ვაფი,

შავადა შემოსილია!..

18.

ალყაშემორტყმულ თბილისის ციხეზე ოსმალური ალაში ფრიალებდა.

შუადღე გადასული იყო, როცა მებალყეებს რამდენიმე საზიდარი სურსათსანოვაგე, სათოფისწამლე გვარჯილა, გოგირდი და ნახშირი ჩამოუტანეს. ურმებს თან ათიოდე შეიარაღებული ცხენოსანი ბადრაგი, სახედრებზე კენტწყვილად ამხედრებული, ჯერ უწვერული ყმაწვილების მთელი გუნდი და მხლებლებით მზარდამშვეწნებული არჩილ მუხრან-ბატონი ჩამოჰყვა.

მუხრან-ბატონმა ტომრებითა და კალათ-გოდრებით მძიმედ დატვირთული საზიდრები დენტის სანაყ ვეება გობებთან შეაყენებინა, შემოგებებულ თოფჩიბაშსა და მის ხელქვეითებს ტვირთის ჩამოკლა უბრძანა და ცხენიდან ჩამომხტარმა, სვიმონ მეფის სამყოფელი მოიკითხა.

მახლობელ ბორცვზე მიუთითეს, სადაც ოფლად გაღვრილი, წელსზეით შიშველი მეზარბაზნენი მეფესა და არ-

ჩილის სანაქებო ვაეს, ერეკლეს, საზარბაზნე სანჯარის მოწყობაში შველოდნენ — წინასწარ ამოღებულ ორმოში რკინის საყრდენებს ამარგებდნენ, ორმოს ნაპირებს ნიჩბებით აფართოვებდნენ, ზომავდნენ. — საყრდენებს შორის მანძილს აწესრიგებდნენ.

თვით ზარბაზნი, ერთ უშველებელ ყალიბში მთლიანად ჩამოსხმულ, მიიმედ დაუქუქრთმებულ, თუჯის უბორბლებო ლულას წარმოადგენდა: ბორცვზე თორმეტმა კაცმა ძლივს ამოზიდა, — სანგარში ჩადგეს, საყრდენებს მიუსადაგეს, ალუაშემორტყმულ ციხეს დაუპირისპირეს...

სვიმონმა ჩაიმუხლა, მიზანს გახედა, ლულის შეესწორება ბრძანა და, როცა ყველაფერი მზად დაიგულა, ერეკლესაც ანიშნა — მოდი, შენც ნახე, სანდოდ არის თუ არაო.

ცხელოდა. მეფეცა და არჩილის ვაეც პერანგის ამარანი იყვნენ...

ხელმწიფის უბრალოებითა თუ ესდენ უეცარი სიახლოვით გაოგნებული ყმაწვილები კვლავ სახედრებზე ისხდნენ, ძირს ჩამოსვლა ვერა და ველარ მოეხერხებინათ და მეფისადმი მოწიწებით ავსილნი, მეზარბაზნეებს მონუსხულებივით მისჩერებოდნენ.

— რაო, ვინა ვართო? — შორიდანვე გასძახა სვიმონმა მისკენ მომავალ არჩილ მუხრან-ბატონს და სახედროსნებზე ანიშნა.

— სვიმონ მეფის სპა ვართო. — გაიციინა არჩილმა. — დედაკაცები ჩივიან, ბაღნი კალთაში ველარ დავირჩინეთ. აკენიდან ამომხტარნი პირდაპირ ტყისკენ გაგვირბიანო.

სვიმონსაც გაეციინა. სანგრიდან ამოსულმა მიწიანი მუხლისთავეები დაიფერთხა, გაოფლილი შუბლი პერანგის სახელოს შეაწმინდა და საზიდრებისკენ დაეშვა. არჩილიც მიჰყვა.

ხელმწიფის გზაზე გახირული ყმაწვილები დაფრთხნენ, სახედრებიდან კისრისტებით ჩამოცვივდნენ, მიმოიფანტნენ, ჯარს შეერივნენ, საზიდრებსა და საპალნეებს მიეფარნენ...

უფრო თამაში მუხლებზე დადგნენ, მეფის ჩაელას ქედმოდრეკილნი დაელოდნენ...

— სადაური ხართო? — ჰკითხა პირველსავე ყმაწვილს სვიმონმა.

— ქართველები ვართ, შენი ქირიმე! — დასაკლავივით წამოიყვირა ყმაწვილმა და გაოცებულ მეფეს ლაღარით საესე, გულუბრყვილო თვალები შეანათა.

სვიმონმა გადაიხარხარა. ან კი რა უნდა ექნა, თავი გადაიქნია და მეთოფისწამლეთ მიაშურა. მეთოფისწამლენი ისხდნენ. კაცლის ეშაპა სანაყებში ფილთაქვებს არახუნებდნენ. დანაყილ ფქვილს სპილენძის ძირდასვრეტილ როფებში სტრიდნენ.

მეფემ განაცარი აიღო, სამ თითს შუა მოსრისა, გემოც გაუსინჯა, გადააფურთხა...

— ცამეტი წილი გვარჯილა ჰქენით, ორი წილი გოგირდი, ორიც ნახშირი... ნახშირი რისაა?

— ზოგი თხილის, ზოგიც ტირიფის, მეფეც ბატონო. — უპასუხა თოფჩიბაშმა.

— ჯერ თხილისა იყოს. — უბრძანა მეფემ და არჩილს მიუბრუნდა. — სხვა რაო?

— ჯერ ერთი ისა, რომა ქალაქიდან ამქრის ხალხი გეახლა, ფული შეგქმენით, ცხენების სყიდვა და მეფის ლაშქარში დადგომა გვინდაო. მეორეც ისა, რომ, შენც კარგა მოგეხსენება, შაშხალმა და დალესტნის სხვა ბეგებმა, რომ ოსმალს ბრანწი უყვეს, ამ ამბით განჯის ხანთან კაცი უფრენიათ, ჩვენც ნახირ-ნახირო. მესამეც კიდევ — მალეს-მბროლმა ფარატი მოიტანა, ხვალ დილით განჯის პატრონი ალყად მდგარ სვიმონს თავისი ლაშქრით მხარს მისცემს და საბანაკე ადგილი მოგვიშზადეთო. — ჩამოუყავლა არჩილმა.

სამო ამბებმა მეფეს თვალებში სიხარულის ნაპერწყალი გაუღვივა.

— მეოთხე რაო? — იკითხა გაღიმებულმა.

— მეოთხე და მთავარზე უმოთხრესი კიდევ ისა, რომა სამის წლის წინ ნანახი



შენი სიზმარი წუხელ ღამ ახდა, კახთ-  
ბატონმა სასძლოდ ქეთევანის ხელი ით-  
ხოვია..

— ბიჭოს! — თავი ვეღარ შეიკავა  
მეფემ და გახარებულმა, ამბის მომტანი  
სამგზის ზედიზედ გადაკოცნა. — ნიშ-  
ნობაც ამას ჰქვია!.. ჰაი, რომ მართლა  
მელაა, ბებერი მელა!..

— ზარბაზანი მზადაა, მეფეო. — მო-  
ახსენა ათისთავმა.

— მზად არი და ეგრე! — ახლა იმას  
გადეხვია მეფე, მერე მოშორებით, და-  
ნთებულ საქვარზე ცეცხლს მუგუზალი  
მოსტაცა, ბორცვზე აირბინა, „ქოფი  
ოღლი“-ო დასჭექა და ზარბაზანთან ხე-  
ლებშემართულმა, დენტს ცეცხლი მის-  
ცა.

ლაშქარმა ყოიენა დასცა.

ზარბაზანმა იგრიალა...

ტარში გადამტყდარი ოსმალური ალა-  
მი ქონგურზე გადმოეკიდა..

1578-1582 წ. წ. სვიმონ პირველის  
მეთაურობით ქართლში განმათავისუფ-  
ლებელი ბრძოლების ცეცხლი დაენტო.  
ამ ხნის განმავლობაში ქართველებმა  
ოსმალებს არა ერთი მწარე დამარცხე-  
ბა აგემეს... თბილისში გამაგრებული  
მტრის გარნიზონი ალყაში მოაქციეს და  
უკიდურესი განსაცდელის წინაშე დაა-  
ყენეს. აღმოსავლეთის ფრონტზე წა-  
რუმატებლობისათვის სულთანმა მურად  
მესამემ ოსმალთა ლაშქრის მთავარ-  
სარდალი მუსტაფა ლალა-ფაშა გადაა-  
ყენა და მის ნაცვლად სინან-ფაშა და-  
ნიშნა, რომელსაც მალე დიდგვირის  
ტიტულიც მიანიჭა. მაგრამ ვერც ამ  
უკანასკნელმა შესძლო არსებული  
მდგომარეობის გამოსწორება. ირანთან  
ომს ბოლო არ უჩანდა. ამასთან ოსმა-  
ლთა წარმატებანი ამ ომში თანდათან  
მცირდებოდა. ოსმალებმა ვერ შესძ-  
ლეს დაპყრობილი ქვეყნების დამორჩი-  
ლება. პირიქით, ამიერკავკასიის ხალხე-  
ბი სულ უფრო მეტად აძლიერდნენ  
ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ... ომის  
წარმოება კი ახალ-ახალ სახსრებს მო-  
ითხოვდა, ხოლო ოსმალეთის სახელმწი-

ფო ზაზინას აღარ შეეძლო <sup>არქონდა</sup> <sup>დაეფრთხა</sup>  
ომის ხარჯები. ასეთ ვითარებაში სულ-  
თანი იძულებული გახდა ირანთან დრო-  
ებით ზავი ჩამოეგდო და მოლაპარაკება  
გაემართა. ირანთან ომში საბოლოო წა-  
რმატებისათვის აუცილებელი იყო ევ-  
როპის მხრიდან ზურგის უზრუნველყო-  
ფა. სწორედ ამ მიზნით სულთანმა მუ-  
რად მესამემ დიდი ზემოთ გადაიხდა  
თავისი ვაჟიშვილის მეჰმედის წინდაც-  
ვეთისა და ტახტის შემკვიდრედ გამოც-  
ხადების ცერემონიალი. ზემოზე მოწვე-  
ულ იყვნენ ევროპისა და აზიის თითქ-  
მის ყველა სახელმწიფოს წარმომადგე-  
ნელნი...

19.

მკათათვის მცხუნვარე მზე რახანია  
ბოსფორისკენ გადახრლიყო, მაგრამ  
სტამბოლში მინც საშინელი ბუღი და  
ხეატი იდგა, როცა კახთ-ბატონის ელჩი  
ომან ჩოლოყაშვილი და მისი მხლებელი  
პაპაი, თოფჯაპის ანუ ბაბუსელების სა-  
სახლეს მიუახლოვდნენ, სადაც სულთა-  
ნი მურად მესამე თავისი ვაჟს, მეჰმე-  
დის წინდაცვეთისა და ტახტის შემკვიდ-  
რედ გამოცხადების დღესასწაულს იხ-  
დიდა.

ელჩიცა და მისი მხლებელიც პირ-  
ველსავე ბქესთან ჩამოქვეითდნენ; ცხე-  
ნები მეჭინიბე ფარეშებს მიანებეს, მო-  
ედანზე შეყაროლ მდიდრულ ეტლებსა  
თუ კარეტებს თვალი შეაღლეს და გალა-  
ვანში შესულნი, ორ წოწოლა კოშკშუა  
მოქცეულ, მაღალთალოვან ალყაფს,  
ანუ თვით ბაბუსელებს მიადგნენ.

ეთიმათდოვლემ ანუ მესტუმრეთუხუ-  
ცესმა უტხო ხელმწიფეთა წარმომად-  
გენელნი და ოსმალთ დიდებულნი სა-  
სახლის ბაღში მიიწვია, სადაც თვითე-  
ული ჯგუფისათვის ცალ-ცალკე სუფრა  
იყო გაშლილი, ხოლო სუფრებს შორის  
უმთავრესზე, რომელიც სხვა სუფრებს  
შუა განეფინათ, ენით აუწერელი ხო-  
რაგი და ყველა წვეული ქვეყნის ზნე-

ჩვეულების მიხედვით დამზადებული ათასნაირი კერძი ელაგა...

სადღესასწაულოდ მორთული სულთანი მურად მესამე და მისი ახლად წინდაცვეთილი ხუთი წლის მემკვიდრე მეჰმედი, ზეთისხილის ხეებ ქვეშ, ოქროს სასვენზე ისხდნენ ერთურობის გვერდით, ნუბარს შეექცეოდნენ და სტუმრებთან ერთად, მემუსიკეთა ხელოვნებით ტკბებოდნენ...

კახთ-ბატონის ელჩი ომან ჩოლოყაშვილი და მისი მხლებელი, მსახურმა ირანის წარმომადგენელს იბრაჰიმ ხანსა და სვიმონ მეფის ერთგულ კაცს ფარსადან ციციშვილს შეაკედლა, — მათ გვერდით დასვა.

— ეგეც ერთ რამესა ნიშნავს. — ჩაილაპარაკა ირანელმა.

— რას? — ჰკითხა ციციშვილმა.

— ამით სულთანი გვამცნობს, უტყუარად ვიცი. ყველანი ერთნი ხართო. ამიტომაც სჯობს ერთად ისხდეთ, ვინძლო, თუ ერთისთვის ავი ვიზრახო, სხვებიც მასთანვე მყვანდესო.

ყველას გაეცინა.

პური გატეხეს, საკმელი ერთმანეთს შესთავაზეს...

სუფრებს შორის საფრანგეთის ელჩი ომან ჩაიარა, ინგლისელთა მაგიდას გასცდა და სულთნის გვერდით, სხვათაგან გამორჩეული ადგილი დაიკავა...

— ე, მაგ ჟერმინიმ დიდი მაცადინი ჰქმნა, — ლუკმას ზედ სიტყვაც დაატანა იბრაჰიმ ხანმა, — საქმე ქრთამით გაანათა, გალატას მეჩეთად გარდაქმნაზე სულთანს ხელი ააღებინა, ადრე დადებული პირობაც თავიდან შეაკვრევიანა და ფრანგის სოფდაგრებს რუმის ქვეყანაში გზები გაუხსნა. ერთმა ჩემმა ერთგულმა მოენემ ისიც მაცნობა, ინგლისის დედოფალს სულთანი ვაჭრობაზე დაჰყვია... თურმე პირობა მიუცია, თუ შენ ირანის შაჰზე წამომყვები, მეც ესპანეთის კოროლს პირს ვუქცევ და მის წინააღმდეგ ზღვაზე მხარს ავიბამო... ვენეციის და ავსტრიის დესპანებს ხო სუ გუნდრუკი უკმია... ზოგი იმასაც უბნობს, დღე-დღეზე პოლონეთის მე-

ფესაც ურიგდებო... მაგწმე უკრეხეცო რომ მაგ საქციელით ყაზვინსა და მოსკოვს აჩაჩანავენს!.. ხომ ხედავთ, ამ მიღეთ ხალხში ერთი რუსიც არ ურევია; მეც აღმაკერად მიცქერის, მართალია, შაჰის საჩუქარი კი მოწონებით მიიღო, მაგრამ გული სუ იმას მეუბნება, აბა, იბრაჰიმ-ხან, არ გაბრიყვდე, ჩქარა აქედან გასწი, თორემ ვინ იცის, მაგ მხრებზე თავიც არავინ შეგარჩინოსო!.. — ამ სიტყვებს იბრაჰიმმა ზედ ერთი მოზრდილი ლუკმაც დააყოლა, ჩაფიქრებულ ჩოლოყაშვილს ფარულად გახედა და სვიმონ მეფის ერთგულ კაცს ეშმაკურად თვალი ჩაუკრა. — უეჭველია, რომ სულთანი, ამ ბოლო დროს, კახთ-ბატონის მელიობასაც ხედედა, სვიმონთან შერიგებას და ისევ ირანისკენ მობრუნებას რომ აპირებს... თუ ეგრეა, მაშინ იმისი ელჩიც ფრთხილად უნდა იყვეს, ხო იცი, სტამბულში კაცის თავი ერთ ფარადა ღირს...

კვლავ გაეცინათ.

— ამ დილით არზრუმის ბეგლარბეგის კაცი გამიტყდა, — საიდუმლოდ გაანდო ომან ჩოლოყაშვილმა, ცოტა ხნის მერე, იბრაჰიმ-ხანს და თვალი ციციშვილს ახლა იმან ჩაუკრა. — სვიმონ მეფე და იმამ-ყული-ხანი თბილისს დასხმიან და ციხისთვის ზარბაზნები დაუშენიათო... თან ისიც მითხრა, ამ ამბის აღსანიშნავად, სულთანი უცხოელ სტუმრებს ვახშმად იბრაჰიმ-ხანის თავს მიართმევსო, ხოლო სვიმონ მეფის ელჩს ღამის გასათევად იედი-ყულეს ციხეში წააბრძანებნო...

ირანის ელჩს აშკარად არ ევაშნიკა ჩოლოყაშვილის ნუბარი, მიხედა, ამგვარ ხუმრობას, შესაძლო იყო, თან სიმართლევ ხლებოდა. ციციშვილს შეხედა... ციციშვილი კახთ-ბატონის ელჩს უყურებდა.

— ეგონებ სიმართლესა გავს შენი ნათქვამი! — თქვა ჩუმად.

— ჰგავს. — დაუდასტურა ჩოლოყაშვილმა.



...სულთანს რალაც უსიამოვნო ჩას-  
ჩურჩულეს.

სულთანი წამოდგა, ახლო მყოფ სტუ-  
მრებს თავაზიანად გაუღიმა, მემკვიდრეს  
თავზე ხელი გადაუსვა, ვეზირს ანიშნა,  
მომყევით და სასახლისკენ წავიდა. მი-  
სმა უდროო განარიდებამ, წვეულთა შო-  
რის მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მაგრამ  
ზეიმს ნირი მაინც არ უცვლია, მზარე-  
ულნი დაუღალავად მიმოქროდნენ, ხო-  
ლო მემუსიკენი კვლავ აელერებდნენ  
თავ-თავიანთ საკრავებს...

ოთხმა ფარეშმა ვეება ხონჩით ფლავი  
შემოიტანა...

— ხამს, მუსტაფა ლალა-ფაშას მივე-  
ახლო. აწ თქვენთან ყოფნა ხელს აღარ  
მამძღვესო. — თქვა ომან ჩოლოყაშვი-  
ლმა და თავის მხლებელთან ერთად მე-  
ზობელი სუფრისაკენ დაიძრა...

მიახლოვებულმა მარტო მჭდარ მო-  
ხუც ფაშას თავი მდაბლად დაუბრა...

— კახთ-ბატონი ალექსანდრე-ხანი,  
მთელს დუნიაზე სახელგანთქმულ ლალა  
მუსტაფას დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმ-  
რთელობას და მზისდარი ფადიშაჰის  
ღვთაებრივ მოწყალებას უსურვებსო!

— უთხრა და დასძინა, — შენს სიბრძ-  
ნესა და მისნობას მეფე ალექსანდრე  
ხშირად სიკეთით იტყვის და დღენია-  
დავ მონატრებით გიხსენებს...

— მადლობელი ვარ. — უპასუხა ფა-  
შამ და მოსულებს მის გვერდით ჩამოს-  
ხდომა შესთავაზა.

კახთ-ბატონის ელჩი მოკრძალებით  
ჩამოჭდა.

პაპაიმაყ მას მიბაძა.

მსახურმა სამთავეს ფიალები შეუე-  
სო.

— რა გქვია? — ჰკითხა ფაშამ კახთ-  
ბატონის ელჩს.

— თავადი ომან ჩოლოყაშვილი, ჩე-  
მო ბატონო.

— ჩოლოყაშვილი...

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— სვიმონ-ხანის მიერ ალყაშემორტ-  
ყმულ თბილისის ციხეში ხორბლის ქი-  
ლა ათას ახჩად იყიდებაო, ქერისა კი  
რვაასადო, მართალია? — იკითხა მცი-

რე ხნის დუმილის შემდეგ ლალა-მუს-  
ტაფამ.

— მართალია. — დაუდასტურა ჩო-  
ლოყაშვილმა.

— მაგრამ ბოლოს ისიც აღარ დარ-  
ჩა. — ფრთხილად ჩაურთო პაპაიმ. —  
ერთი აქლემი ოცი ათას ახჩად გაიყი-  
და... ძაღლისა და კატის ხორცისა ჰა-  
მეს... ისე, რომ გამხდარი ძაღლი ორი  
ათასი ახჩა ღირდა, კატა კი ათას ხუთა-  
სი...

ფაშას გაეცინა.

კახთ-ბატონის ელჩმა ღვინო მოსინ-  
ჯა...

— სადაურია?

— სერბიულია, კახურს არა ჰგავს, მა-  
გრამ კარგია, ნადიმს უხდება. — მიუგო  
ფაშამ.

ამასობაში ირანის ელჩს თავს ეთი-  
მათდოვლე წამოადგა, რალაც უთხრა და  
გაფითრებული იბრაჰიმ-ხანი სასახლის-  
კენ თან გაიყოლა... ომანმა მარტო დარ-  
ჩენილ ფარსადან ციციშვილს გახედა.  
ციციშვილი გაფითრებული იყო.

— მიილო. — ჩაილაპარაკა მუსტაფა  
ფაშამ.

— რა მიილო? — ჰკითხა ჩოლოყა-  
შვილმა.

— არაფერი. ჩანს დიდმა სულთანმა  
ყარსისა და არზრუმის ბეგლარბეგთა  
უსტარი მიილო, სვიმონ მეფემ და იმამ-  
ყული-ხანმა თბილისს ზარბაზნები რომ  
დაუშინეს. — უპასუხა ლალა მუსტა-  
ფამ და კახთ-ბატონის ელჩსაც და მის  
მხლებელსაც გამოემკდელად შეხედა.

— ჰოოო! — მრავალმნიშვნელოვნად  
გააგრძელა ჩოლოყაშვილმა.

პაპაიმ თავი მწუხარედ გაიქნია, გე-  
გონებოდათ ეს ამბავი პირველად ეხლა  
გაიგოო...

ფაშას გაეღიმა, წამოდგა. კახთ-ბატო-  
ნის ელჩი ერთხელ კიდევ კარგად შეა-  
თვალიერა და წასასვლელად გამზადე-  
ბულმა მხოლოდ ეს-ლა სთქვა:

— თუ შინ მშვიდობით დაბრუნდით,  
ისკანდერ-ხანს ჩემგანაც მოკითხვა გა-  
დაეცით. უთხარით, ლალა-მუსტაფას  
გული უგრძნობს, რომ სვიმონ-ხანთან

შულს განგებ ერიდები და თვალი ეშმაკისკენ გიჭირავს-თქო. ეგეც უთხარით, შენი მელიობით მუსტაფა და სინან ფაშა ხო კინალამ მოინელე, ეხლა მეკმედ ფაშა მოდის და აბა, შენ იცი, იმას როგორ-ლა მოინელე-თქო.

სასახლისკენ მიმავალი ლალა მუსტაფა ფაშა საგრძნობლად მოტეხილი და ავადმყოფი ჩანდა.

— სადაურია? — ჰკითხა პაპაიმ ომანს.

— სერბია. — უპასუხა ჩოლოყაშვილმა.

20.

შავ ტიპზე ამხედრებულ, თალხით-მოსილ დიდგვაროვან მანდილოსანს თან ათოდე ქედითხემამდე შეიარაღებული აზნაური და ორიც მასავით შავით-მოსილი მსახური ქალი ახლდა. ცხენებს დაუნდობლად მოაჭენებდნენ, რიყზე ჩამწკრივებულ ტირიფებს გრიგალივით ჩაუჭროლეს, მდინარე ჩქერდაჩქერ გამოსტოპეს, კლდის ქიმზე შემართული ქსნის-ციხე ზელმარჯენივ ჩამოიტოვეს და გეზი მუხრანისკენ აიღეს. აშკარა იყო, ფრიად საჭირო და გადაუდებელ საქმისათვის ეშურებოდნენ.

შელამებულზე, მუხრან-ბატონიანთ ციხე-გალავანთან მოვარდნილ მხედრებს, მსახურნი ჩირალდნებით გამოეგებნენ. მესტუმრეთუხუცესი თალხით მოსილ ქალბატონს თავად მიეხალა, კალთაზე ემთხვია, ხელი შეაშველა და ცხენიდან ჩამობრძანებული, სასახლისკენ პატივით წარიმძღვარა.

— დაი შენი, სამცხის პატრონი დედისიმედი გეახლა-ო. — მოახსენა კარის-მოდვარმა სტეფანოზმა საყდარში ლოცვად მდგარ აშოთან მუხრანბატონს.

— დიდება შენდა, უფალო! — პირჯვარი გადაისახა გაოცებულმა აშოთანმა, — კვლავ რამე უბედურება თუაო! — გაიფიქრა და სტეფანოზს უსიტყვოდ დაჰყვა.

მსახურებმა მოახლე ქალებსა და აზნაურებს ჩამორთმეული, გახვითქული ცხენები სარონინოდ ბიჭებს მიანებეს

და სტუმრებს გალავანში შეიხედნენ. დიდი ქალბატონი, ქეთევან და დედისიმედი აშოთანს მცირე სანადიმო დარბაზში დაუხედნენ.

— მიხარის, დაო ჩემო, რომ კვლავაც ცოცხალსა გხედავ, მაგრამ, ვაი, რომ ამ სიხარულს მწუხარებაც უსაზღვრო ახლავსო. — სიყვარულით მოეხვია დიდი ხნის უნახავ მგლოვიარე დას აშოთანს და ცრემლმორეულმა დასძინა: — შენი სულმნათი ძის, პატრონი ყვარყვარეს უღვთო სიკვდილმა, ძმაი ჩვენი არჩილიც თან გადიყოლაო...

— ნუ, ძმაო, სიცოცხლისას აწ ნურას მეტყვი, — ცრემლი შეიწმინდა დედისიმედმაც. — აბა, რაღა ჩვენი ყოფა, თუ-კი მაცხოვრის სურვილითა და მამა-პაპათა მოცადურობით აქამდე მოტანილი ქვეყანა, ხელში გამოჭარული გორახივით ჩაგვეშალა... სამცხეს ოსმალო სჯიჯნის, ქართლს — ყიზილბაში... ჩვენც კიდევ ჩვენის უმტკიცობით ბაბილონის იმ გოდოლის მშენებლებსა ვგვევართ, ამპარტავნობისთვის მაარსმენა რომ შეუშალა და ერთურთისა ველარა შეისმინა... დღენიადგ ჰეშმარიტებაზე უფრო ცდუნებას მივდევთ, — ღვთის სასოებას სატანისეულ წამიერ სიამებზედ ვცვლით... თამარ-დედოფალს აქეთ, არ იქნა და პირი ველარ შევეკარით... ღმერთიც ამისათვის გვირისხდებო... ცოცხალსა გხედავო — თქვი, აბა, დამაკვირდი, სვედამშრალსა და ძუძუდაწრეტის სიცოცხლისა რაღა შემრჩენია!.. ჯერ იყო და, მაღალმა ღმერთმა, პირველშობილი ელენე წამართვა, ორი წლის მერე მზეჭაბუკსაც განურისხდა; წლის თავზე უბედური ჩემი მეუღლე, პატრონი ქიოხოსროც შეიღებთან წაიყვანა; მერე ჩემს საწყალ საბ-იანქოს და ბექა-პავლეს ტყუპისცალს ბასილსაც მიაკითხა... ეხლა კიდევ პატრონი ყვარყვარე და ძმაი ჩვენი არჩილიც წარგვტაცა. — დედისიმედი წამით დადუმდა, მოძალებული ცრემლი შეიშრალა, აქვითინებულ ქეთევანს თავზე ხელი დაყვავებით გადაუსვა და განავრძო, — თვალ-

მშვენიერი ივანეც, აგერ მეათე წელია, შაპის კორთებქვე იწყებებს ჰაანსა... მამულწახდენილი მანუჩარი კი, ნებითა თუ უნებლიედ, ეხლა დედულზე მოუძღვება ოსმალთა ლაშქარს... არა, ამოთან ჩემო, ეგრე სიცოცხლე აწ არას გვარგებს... ამადაც მოგაიოთხე... სვიმონ მეფის ნახეა მწადიანს!.. დიდი საიდუმლო მაქვს... უნდა შენი თავი მიახლო... გზაც შენ იცი და მეფის ერთგული შენზე მეტად სხვა არავინ მეგულდება...

წვიმდა...

თქვეს შეყვითლებული ფოთლები ხეებიდან ცალ-ცალად ჩამოჰქონდა, მღვრიე ნაკადებს თან ატანდა და ღელეღრულებში ნეშოდ აგროვებდა.

ლიმის ზევით, წიფლნარში ბანაკად მდგარი სვიმონის ლაშქარი, ხანგრძლივი და გადაუღებელი წვიმის გამო, უჩინარს დამსგავსებოდა.

მეფის კარვიდან კვამლი მძიმედ ამოდიოდა.

კარვის კართან მომდგარი სვიმონი დედისიმედის მიერ მოტანილ მანუჩარის საიდუმლო ბარათს ჩასცქეროდა. აღარ კითხულობდა, მაგრამ თვალს მაინც არ აცილებდა, ფიქრობდა...

დედისიმედი ცეცხლთან იჭდა, ჩანაქვერჩხლებულ ლაღარს მისჩერებოდა.

ამოთანი მწვადს წვავდა, შამფურს ატრიალებდა, თან დროდადრო ჯაშში მდგარ ლეონსაც წრუპავდა, — იფ, იფო! — იძახდა და დასაც აქეზებდა, — მოსვი, თუ ღმერთი გწამს, ნამგზავრი ხარ, მეშინია ამინდმა არ დაგცადოსო...

მეფემ ბარათიანი ხელი ძირს ჩამოიღო, კარვის კარს მოსცილდა და დედისიმედს გვერდით მიუჭდა.

ამოთანს ცნობისმოყვარეობა მოსვენებას არ აძლევდა, მაგრამ თავი მაინც ისე ეჭირა, თითქოს ამ ქვეყნად მწვადის მეტი სხვა არა ეწადა რა.

სვიმონმა კვლავ ბარათს ჩახედა...

— მეფეო სვიმონ! სალმითა და მოკითხვითა გულისხმიერითა გეაქებო მე, ძე მამისადისა შენისა და პატრონისა

სამცხისა მანუჩარ, უწყვი, რამეთუ შენგან ალყაქმნილ თბილისის დასახსნულად სულთანმა ჯარების შეკრება ბრძანა და საქმე ისე, დიარ-ბეჭირის ბეგლარბეგს ჰადიმ ჰასან ფაშას მიანდო. ხოლო მისი მხარაბმა არზრუმის ბეგლარბეგ მექმედ ფაშასა და მე დაგვაკისრა. მარიობისთვის მიწურულში ოცჯერ-ბეჯერი სპაი, არზრუმიდან ყარსს გადმოსული, ახალციხეს ჩამოდგა და ლაშქარი ჩემიც თან შეიყარა. ბჭობა ვქმენით და თბილისზედ მომავალი ლაშქრის მეგზურობა თავად მე ვიღე. ჩემის თათბირით შენი ლორეს დადგომაც გუმანით ვთქვით და დმანისის ნაცვლად ლაშქრის მტკვარდამტკვარ დაძერა გადავწყვიტეთ, რამეთუ ლიხზე გადმოსული გიორგი იმერთმეფისა და დადიან-გურიელის ერთადშეყრილი ლაშქარიც მარჯაფად გვევანდეს, რათა სპასა ჩვენსა სავინიცობოდ ზურგი შეუქრას. ამისათვის შენ ლორედმანისზედ აწ აღარ გესაქმება რა და ნუცა იმერთა ლაშქრისა გედარდება, იგი ოსმალთა თვალს შესაქევეად მციურესა ადგილს რასმეს მოაოხრებს და მშვიდად ყოფნის მიზეზით კვლავაც უკუიქცევის. ჩვენ კი ჩვენისა სპითა ენკენისთვის პირველსავე მსგეფს დამრულნი, ალთუნყალას, კარაკალკანს და გორს სამ-ოთხ დღეზედ გამოვცდებით, ლაშქრის ერთ ნაწილს გორის ციხეში დავაყენებთ, ხოლო მეორეს თბილისისკენ მე თავად ვუწინამძღვრებ და ლამის გასათევად ბანაკს მუხრანის ველზედ დავცემ. მაშინ შენ იცი და შენმა მოხერხებამ. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი. ეინძლო დედაჩემიც მანდა გყავს და ჩემის ერთგულების დასტურს ის მოგცემს.

სვიმონმა ბარათი ხმამალა ჩაიკითხა და დედისიმედს შეხედა.

ამოთანი პირდაფჩენილი უმზერდა ხან მეფეს, ხან დედისიმედს, ჩანდა ეს ამბავი მისთვის სრულიად უცხო და მოულოდნელი იყო.

— ეს რა დღე გამოთენეთ, კაცო! — ბარათის ჩამთარებისთანავე წამოიძახა ბალღივით აღფრთოვანებულმა.

— ღლის გათენება მაშინ ნახე, თუ

ოსმალომ ლორე-დმანისი უომრად ჩაი-  
არა, თბილისს ჩადგა... ხოლო იმერთა  
გორის ციხე დაიჭირეს და მუხრანს სა-  
ომრად დადარაჯებული ჩემი ლაშქარი  
ორსავე მხრიდან შუაში მოიქციეს. —  
ცივი წყალი გადაასხა მეფემ აშოთანს.  
წამოდგა, კვლავ კართან შეჩერდა, გე-  
გონებოდათ წვიმის ხმაურს უსმენსო...  
დედისიმედი ცეცხლს უმზერდა.

— მწვალი დაგეწვა, აშოთანი. — ღი-  
მილით შეახსენა მეფის ნათქვამით  
მთლად გაოგნებულ ძმას.

— სწორედ მწვადისა მცხელა, დალო-  
ცილო! — ხელი აიქნია აშოთანმა და  
მეფის ხურგს მიაჩერდა...

დედისიმედმა მაყალს თავად მიხედა.  
დანას სწედა, სინი მოიმარჯვა და შამ-  
ფურს მწვალი ნელ-ნელა გააცალა.

— შენ რად... — ჩაილაპარაკა ღრმა  
ფიქრში წასულმა მეფემ და კარგა ხნის  
დუმბილის მერე ისევ დედისიმედს მიუ-  
ბრუნდა. — რად-მეთქი... შენს ნაცვ-  
ლად მალემსრბოლი რად არ მიახლა?  
— ეჭვი რომ აღარა გქონდეს რა,  
სვიმონ ჩემო. — მიუგო დედისიმედმა.

— ეჭვი! — მწარედ ჩაიციხა მეფემ.  
— ეგებ იმასაც ხედები, რომ შეიღმა  
შენმა მაგ ეჭვის გამო თავი შენი მძე-  
ვლად დამიგდო!..

— ეხედები. — მოუჭრა დედისიმედმა.

— რას ამბობთ, კაცო!? — ყალყზე  
შედგა აშოთანი...

— ჩუ, აშოთან ჩემო. — აღარ დაა-  
ცალა სვიმონმა, — თვითონ განსაჯე,  
ვინც ერთხელ მამულს უღალატა, ის  
აღარც მშობელ დედას დაინდობსო,  
შენც ბევრჯერ გითქვამს.

— ეგრეა, — კვერი დაუკრა დედის-  
იმედმა.

— მბრძოლებო თუ რა არი! — წამო-  
ენტო აშოთანი. — აქი სიტყვა და ღმე-  
რთი ერთიაო... მაშ აღარც ღმერთი ყო-  
ფილა და დედამშვილობა საიდამ-ლა იქ-  
ნებოდა... ღალატიც არი და ღალატიც...

— არა, აშოთანი, არა.. — ამოიოხრა  
დედისიმედმა. — ღალატი მუდამ ღა-  
ლატია!..

— კარგი, ვთქვათ ღალატი ღალატია!..

და შეიღმაც დედა აღარ დაინდო, მაგ-  
რამ ის მიანიც ხო უნდა მწვამდეს, რომ  
შენ დაინდობ და მამისა დასა სასიკვდი-  
ლოდ არ გაიმეტებ.

— რად არ? — მწვიდად ჰკითხა მე-  
ფემ.

— მაშ, გაიმეტებ?! — გაფითრდა  
აშოთანი.

— გაიმეტებს. — ჩაურთო დედისი-  
მედმა. — მეფეა და გაიმეტებს... დედა,  
რომელიც შეიღს ველარ იცნობს, სასი-  
ცოცხლო არაა!

— შენ ხო იცნობ, კაცო!? — შეევედ-  
რა დას აშოთანი.

— ვიცნობ და იმისთვისაც მჯერა მი-  
სი. — მტკიცედ წარმოსთქვა დედის-  
იმედმა, მერე ხავსსმოკიდებულ ძმას ოდ-  
ნავ გაუღიმა და მეფეს თვალი თვალში  
გაუყარა.

— ვიცი, რომ იცნობ. — ცრემლი  
მოერია სვიმონს. — იცნობ და მანუ-  
ჩარის უღალატობის დასტურიც მხო-  
ლოდ ეგ არის!..

## 21.

ჯორთა ევენებისა და აქლემთა ზარა-  
ზანების ელარუნი ნიაჴს ჯერ შორიდან  
მოჰქონდა, მერე ცხენთა ჰიხვინმა და  
ფლოჰვების თქარუნმაც მოატანა და  
აღარც ბეჰობზე შემომდგარმა მოწინავე  
სპამ დაახანა. ჩაჰბერეს ბუცსა, ზურნასა  
და ნალარასა, დაჰკრეს ჴოსსა და დაფ-  
დაფსა, ბობლანსა და დამბულასა, შე-  
მოსცხეს წინწილასა და ისეთი ყიყინა  
დასცეს, რომ ამომავალი მზე, ცოტაც  
გადაწყდა, კინალამ უკან არ ჩააბრუნეს...

გამთენიის ხანი იყო. ოსმალთა მარ-  
ბიელი რაზმები საციციანოს მტკვრის-  
პირა სოფლებს შეესივნენ. მოსახლეობა  
გახიზნული დახედათ. სურსათ-სანოვა-  
გე — გადამალული. ხვასტაგიც თან გა-  
ერეკათ... მაგრამ რბევაზე დაგეშოლი  
თარაქამა მხედრები არც უკაცრიელ  
კარ-ეზოებს შეეპუვნენ, საცხოვარნი და  
მნა-ბულულნი ცეცხლს მისცეს, მსხმოია-  
რე ვაზები ხმლებით აყაფეს, ჴები ჩახე-  
რგეს, ჩაშარდეს, ჩააბინძურეს... ნეხვი-  
თა და ნავით ამოავსეს...

მტკერის ნაპირ-ნაპირ მომავალ მთავარ ლაშქარს სამარქაფო ტყვია-წამლით ავსილი ჭორ-აქლემი, ნაალაფვეი ხორაგით მიიმედ დატვირთული ჩარდახიანი თათრულა ურმები და გზადაგზა გამოირეკილი ცხვარ-ბროხა ტაბით მოჰყევიბოდა.

ძირითად სპას წინ სამი სარდალი მოუძლოდა: არზრუმის ბეგლარბეგი მეჰმედი, დიარბექირის ბეგლარბეგი ჰადიმ ჰასანი და ჩილდირის ბეგლარბეგი მანუჩარი ანუ მუსტაფა ფაშა. სარდლებს თან სტამბულიდან შინმობრუნებული კახთ-ბატონის ელჩი იორამ ჩოლოყაშვილიც ახლდათ.

გორის ციხეზე შემომდგარი ენკენისთვის მზე ქვეყანას სიტყბოსა და სიმშვიდეს ჰპირდებოდა.

ტაფობებში ჯერ კიდევ ნისლი იდგა. ამბობენ, ირანის ელჩი იბრაჰიმ-ხანი დიდმა სულთანმა ნადიმზევე დაატყვევაო, მართალია? — ჰკითხა ჰადიმ ფაშამ კახთ-ბატონის ელჩს.

— მართალია. — უპასუხა ჩოლოყაშვილმა.

— დელი-სვიმონის ელჩიცაო, ეგეც მართალია? — ჰკითხა ახლა მეჰმედ-ფაშამ.

— ეგეც, მაგრამ უფრო მართალი ის გახლავს, რომ სვიმონის ელჩი სინან-ფაშამ სტამბულს ცოტა ხნით დააკავა. — ფრთხილად გაუსწორა ომანმა და განმარტებისთვის დასძინა: — ლალამუსტაფას გურჩელის კაცისთვის უთქვამს, სულთანი სვიმონის შემორიგებას აპირებსო.

— მართალს ეგ უფრო ჰგავს. — დაეთანხმა ჰადიმ ჰასანი, — სულთანი ფრთხილობს, რომ ქართველი თავადები, განჯის ხანი, შამხალი და დაღესტნის სხვა მელიქებიც ერთმანეთს არ შეეთვისონ. ეგ თუ ეგრე მოხდა, მაშინ ირანის შაჰი სპასალარობას თვითვე იღონებს, სახასოებიდან სამიათას კორუჯს მიანიც გაახერხებს და სპასაც ორმოცდაათ ათასზე ნაკლებს არ გამოიყვანს, იმას კიდევ გურჯისტანსა და დაღესტნის სპანიც შეერთიან და ლაშქარ-

რიც საქმაოზე დიდი გამოვბინებულნი მთავარი თბილისისა..

— ამბობენ, დიდმა სულთანმა ერთი სპა რუმელიიდან ყირიმს გაგზავნა, იქიდან ჩერქეზებზე გავლით ბაქო-დარუბანდში ჩასვლა და იქაურ მეციხოვნე ჯართან შეერთება უბრძანაო. — ჩაურთო მეჰმედმა. — ეშინია ქართლში დაწყებული ჯანყი შირვანსა და თერგის მხარესაც არ მოედოს...

— ეხლა, მთავარი თბილისია-მეთქი, იმას ვამბობდი, — განაგრძო ჰადიმ ჰასანმა, — ჰოდა, სვიმონის ელჩიც იმიტომ დაიტოვა, რომ ქართლის შემორიგებას და დელი-სვიმონის თბილისის ბეგლარბეგად დაყენებას ლაშობს.

— ეგ აღრეც იყო, — შეესიტყვა მეჰმედი, — მაგრამ თუ გახსოვს, სვიმონმა ბეგლარბეგობა არ ისურვა, სულთანს ეაჭა, მეფობა მომეც. კახთ-ბატონივით მოხარეობა მაყმარე, სანაცვლოდ წლიურს ასიათას ოქროს და მიძევალსაც მოგართმევო.

— მოგართმევო და... ზარბაზნებიც მიართვა. — ჩაიციხა მანუჩარმა და ომან ჩოლოყაშვილს გახედა.

ომანს გულს მოეფონა, თუმცა ოსმალოთა დასანახად არ შეიმჩნია.

მარბიელებმა პერანგისამარა სნეული დედაკაცი მოათრიეს და სარდლების წინ მიწაზე დასცეს. აშკარა იყო საწოლიდან წამოეგდოთ. ეცემნათ კიდევ...

— სოფლები ცარიელია. ამ ქალს ვათქმევინეთ, სვიმონ მეფის მალემსრბოლმა გაგვაფრთხილაო. — თქვა მარბიელთა ათისთავმა.

— ეგ როდის იყო? — ჰკითხა მანუჩარმა სულთიმობრძავს.

ქალმა არ უპასუხა.

— როდის იყო-მეთქი! — გაუმეორა მკაცრად.

— არც როდის. აბა, ღმერთსა და მეფეს ჩვენისთანა საწყლებისთვის სადა სცალიან. — ძლივს გასაგონად ამოიყენეს მომაცვდავმა და ნათქვამს სულიც ამოაყოლა.

ათისთავმა ფეხი შეაბო...

— მოკვდა. — ჩაილაპარაკა სინანულით.

ომანმა ამოისუნთქა. მანუჩარმა ცხენს მათრახი გადაუჭირა. დაიძრნენ...

22.

შელამების ხანი იყო, როცა ქსნის ციხეს მოახლოებულმა მხედარმა ცხენი შეაყენა, ხელი შემართა და თბილისისკენ მიმავალი მოწინავე ლაშქრის სალამისო დაბანაკება ბრძანა.

საყვირებს ჩაპბერეს — შედგა ხაზინითა და ტყვია-წამლით დატვირთული მძიმე საზიდრების ქარავანი...

ალამდარებმა სადროშე ჭოკი შუა მიწის დონის დასცეს, ალამი აღმართეს, ააფრიალეს...

ლაშქარი დროშის გარშემო დაბანაკდა.

მეფე სვიმონი და არჩილ მუხრან-ბატონის ვაჟი, ერეკლე, ბექობიდან დასცქეროდნენ მუხრანის ველზე მობიზინე უთვალავ კოცონს.

ლამდებოდა.

— ვახშობენ. — ჩაილაპარაკა არჩილის ძემ.

— რად არ ივახშმებენ, დალოცვილო, პურიც ბევრი აქვთ და ხორციც... სამცხიდან მოყოლებული აქამდისინ ოთხფეხი მავათ არ დაინდეს და ფრინველი... — თქვა მეფემ.

— ვერცა რას იმდენს წამოიღებდნენ... ჩემმა მსტოვრებმა მაიმცნეს, საციციანოს ხიზნობა მოუსწრიაო. თურმე მტკვრისპირა სოფლები შენს ერთგულ კაცებს აღრევე გაუფრთხილებიათ...

ერეკლეს ნაუბარში მეფემ შეფართული საყვედური იგრძნო.

— ვერ მიეხვდი, მაგ საქნელისთვის, მაქვს თუ მაძაგებ, ვეჟო? — ჰკითხა ღიმილით.

— ხიზანი გაქებს, მაგრამ ეგება მანუჩარმა გაძაგოს კიდევ. — ღიმილითვე უპასუხა ერეკლემ. — სარდლები ლამის მივახვედრეთ, ლორეს ნაცვლად მუხრანს რომ ვდგევართ, ხიზანს ჩამო-

რჩენილ ერთს დედაკაცს დასცდნენ. ოსმალის მოსვლა სვიმონ მეფის მალე-მსრბოლებმა გვაუწყესო.

— ეგ ვილამ გითხრა? — შუბლი შეიკრა მეფემ.

— მანუჩარის შიკრიცმა მითხრა. კარავთან დგა, შენს ნახვას ეშურება. — უპასუხა არჩილის ძემ.

მეფე დადუმდა. ბექობიდან კარვისკენ დაეშვა. ერეკლეც თან წაიყოლა...

— უნდა გახსოვდეს, შვილო ჩემო, ომის ბედს ხალხის გული სწყვეტს. თუ ხალხს გასწირავ, მახვილიც ხელში ჩაგატყდება. — უთხრა გზადაგზა.

ქარავთან წოწრეთ ჰაპაი იდგა. მეფის დანახვაზე მუხლი მოიყარა. სვიმონმა ბინდ-ბუნდში „კახთ-ბატონის ერთგული კაცი“ შეიცნო.

— შენა!? — ჰკითხა გაკვირვებულმა და წამოაყენა...

— მე ვარ, მეფე-ბატონო.

ერეკლესაც გაუკვირდა მეფისაგან მანუჩარის შიკრიცის ცნობა.

— ხარ და ეგრე! — გახალისდა მეფე. — ვხედავ კოჭის თამაშში სამცხის პატრონიც მარჯვედ ჩაგითრევი. ეხლა ეგ მითხარ, მანუჩართან როგორღა გაჩნდი?

— არც როგორ. კახთ-ბატონმა თავის ელჩს ომან ჩოლოყაშვილს სტამბულს მიახლა. იქიდან მობრუნებულნი სამცხეს დავედქით, პატრონი მანუჩარს სულთანის განზრახვა წინასწარ გავუმხილეთ, საიდუმლო ბჭობა ვქმენით... დანარჩენი შენც კარგა იცი... ეხლა პატრონმა დრო იხელთა, შენთან გამომგზავნა... შემოგიუთვალა, ოსმალნი რასმეს ეჭვობენ, საწადელს დილაამდევ ნულარ გადავდებთო.

— რას ეჭვობენ? — ჰკითხა მეფემ.

— მარბიელმა მხედრებმა ერთ სნეულ დიაცს პირიდან სიტყვა ამოჰგლიჯეს, ოსმალთა მოსვლა სვიმონ მეფის კაცებმა გვაცნობესო.

მეფემ არჩილისძეს გახედა. ერეკლემ პირი ააჩიდა.

## მოსულა იგი...

მოსულა იგი, განსჯად ყოველთა —  
ჩვენი მწყემსი და ჩვენი მფარველი,  
კურთხეულია ბედი პოეტთა,  
მზაკვარებითა გაუხარელის.

კურთხეულია ბედი პოეტთა,  
ცოდვასებრ სდევნის ძველი ტრფიალი,  
მწუხარების და სევდის ტოლებთან  
ღმერთი ღვინოს სვამს ერთი ფიალით.

ძვირფასო, დღემდე კვლავ ის სიტყვა ხარ,  
რომელსაც პირველ სიტყვად უვლია,  
ნუ გამიწყრები, ისევ მიყვარხარ,  
რალა დროს ჩვენი სიყვარულია.

## „მზა დაეცა ძვაზე, მუხლი იტკინა და სისხლი დაეძცა“

(სამი წლის თამუნია)

დაცემული რიყის ქვაზე  
მზეო მახსოვს შენი სისხლი,  
ახლაც იმ ადგილებს გამზერს  
თვალი შენი ყრმობის ღირსი.

ჭრილობაზე თუთუნს გაყრი,  
პერანგს ვხევი და გიხევი ფრთხილად,  
სილაში კი, როგორც ბაღლი,  
ათინათი ამოთხვრილა.

ნუ შეკრთები ვეფხვის შვილო,  
მეც გაეზრდილვარ რძითა ვეფხვის,

მეც ამ ქარაფებზე ვფრთხილობ,  
მეც აქ მივამსხვრიე ფეხი.

მთებს გადავალთ, მთებზე მოთოვს,  
სისხლი თავის სისხლსა ყვარობს,  
ასე ჩვილი, ასე თოთო,  
სახლში უნდა წაგიყვანო!

არწივის ფრთებს მოგკემ ფრთებად,  
შემოგავლებ გრემს და ატენს,  
ოქროსხმიან სიმღერებად  
ჩემს გარიყრაეს შეემატე.

**პალატა № 12, პირველი მარტი**

სულ დაგმანული მქონდა სარკმელი,  
 რაღა ამ დილით გავალე ნეტა,  
 რა ჰქონდათ ნეტა ჩიტებს სათქმელი,  
 ბუნებამ ჩემთვის რა გაიმეტა?

რა მითხრეს ნეტა ოქროს ნისკარტით,  
 რად გამიყვანეს ეზოში ცალკე?  
 რას ვინატრებდი? რას გავრისკავდი?  
 რისთვის ვალეზბდი დაგმანულ სარკმელს?

მე რა ვიცოდი, თუ ასე ფრთხილად  
 სიმღერა თვლემდა ტყეთა კალთაში,  
 თუ გაზაფხულის პირველი დილა  
 ჩიტებს მოჰყავდათ ჩემს პალატაში.

ოქროს ძაფებით მიქსოვთ იმედებს,  
 თქვენ, გაზაფხულის ოქროს მზითვებო,  
 პირველივე დღე რომ გაიმეტეთ,  
 მადლობელი ვარ თქვენი, ჩიტებო.

გონების ცეცხლი თუ არსებობს,  
 ფერფლიც იქვეა,  
 გულო, ჯვარცმულო,  
 ფსკერზე შაინც სინატიფეა.

პატარა ჯარგვალს დასტრიალებს  
 თვალი არწივის,  
 წარიღეთ სული,  
 როგორც კრავი რამ შესაწირი.

**ერი გვიცოცხლოს**

ივერთა გადასარჩენად,  
 მოუხმობს ძალას ტიტანურს.  
 არც უფიქრია, არც სჯერა,  
 რაც უნდა მოხდეს წიწამურს.

დინჯად შემართა მარჯვენა  
 მეეტლეს უხმო ილიამ...  
 ერი გვიცოცხლოს გამჩენმა,  
 გრძნობენ, წინასწარ ტირიან.

კრწანისის ველით  
 გიყურებ თბილისო,  
 ბალახი მოვირგე,  
 ბალახის ღერი,

არაეინ ამბობს  
 ბულბული ტირისო,  
 მეც ვმღერი, თოლიგე,  
 ცრემლებით ვმღერი.

**პაპის ლექსების კითხვისას**

პაწაწინა წყაროს თვალო,  
 ვერ გიყურებ ამოწრეტლს.  
 დამცხრალო და ამომცხრალო,  
 გვედრები, ამოცრემლდი.

მოახურე ტყეებს ნისლი,  
 თორემ გახმა ფესვი ხისა,  
 არც არავის ესმა მისი,  
 არც არაეინ შეიხიზნა.

სდუმან ხორცი, სულნი სდუმან  
 საფლავსა და ცათა შინა,  
 თეთრი ვარდი თავსასთუმალს  
 შწუხარებად გადაშლილა.

წყალობითა მომანიჭე  
 სამკვიდრებლის სათნოება,  
 ასე ჩუმად რომ არ ვიქდე  
 სამწუხარო საცხოვნებლად.

შეიწყალე მთა და ბარი,  
 სიკვდილს ველარ ვუმკლავდებით,

კვდება მუხა, ავად არი,  
 ავად, მკვდარი უკვდავებით.

მუმლი, მუმლი, მუმლი მუხას,  
 სევდა როგორ დაღლის ქართველს,  
 თუ ერთზელაც დაიჭუხა  
 თვალშეუდგამს გავეინათლებს.

ბერიკაცი სტრიქონს სწირავს,  
 მეც იმ სტრიქონს დავიფიცებ,  
 „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს  
 და ისევე გაიღვიძებს“.

### ჩემი „განთიადი“

კი, ყველაფერი  
 ცისკრის ვარსკვლავი,  
 დადუმებული მამადავითი,  
 უჩრჩი რაინდის  
 ზორბა მხარმკლავი  
 და ტურფა მხარე  
 რასაც ჩავითვლის...

მდინარის ნანა,  
 მტკვარის დუღუნი,  
 მალლით მომფენი  
 სხივი კოსმოსის —  
 მთაწმინდის ნისლით

შემოსუდრული,  
 ნიჭია  
 შენი დიდი მგოსნობის.

მაგრამ,  
 „ცა-ფირუზ,  
 ხმელეთ-ზურმუხტო“,  
 ამ სტრიქონიდან  
 (თუნდაც დამლაზვრო)  
 მე მეჩვენება  
 ღმერთი გულუხვობს  
 და ყველა სიტყვას  
 ღმერთი გჶარნაზობს.

### ნამდვილი გალაკტიონი, 1952 წელი

არასდროს ვმსხდარვართ ყურეში ხიდის,  
 სუყველას გვექონდა თითო მონეტა,  
 ჩვენ ვაგროვებდით და მტკვარში  
 ვყრიდით  
 თუ რაშიც ვყრიდით — გვსიამოვნებდა.

ახალი ხიდის ორივე მხრიდან  
 ეყარნენ ლოთნი და სახინჩრები,

შეჩვეულები ვიყავით ხილთან  
 ჩვენი ლამაზი უბნის ბიჭები.

გამხდარ დახლიდარს კრაველის ქუდი  
 დიდ თავზე ედო, როგორც პარიკი,  
 ნალექიანი ყვაოდა ლუდი,  
 თბილი არაყი და პრიანიკი.

ერთხელ, როდესაც უღმერთოდ  
 ვსვამდით,  
 გვაყრიალებდა თბილი არაყი,  
 გალაკტიონი მობრძანდა ჩანთით,  
 თან შეცბუნებით, თან სიამაყით.

ერთხანს გაჩერდა, შეკუმუნა წარბი,  
 მერე მოგვემართა ხელების გაშლით:

წადით, ვაჟებო, ახლაც წადით,  
 კაპიკის ფასი არ ყრია სმაში.

ჩვენ მივატოვეთ ღარიბი სუფრა,  
 ადგილი, სადაც არყით თვრებიან  
 და იმის შემდეგ, იმ წუთზე უფრო  
 ჯერ არაფერი გამკვირვებია.

## სხვაგვარი ყვავილები

ანზორ ერქომაიშვილს, რომლის გვარი ორასი  
 წელია მღერის.

რავი, მანამდე რა იყო,  
 რა მჭვარტლი ეცხო ჯარგვალს,  
 დღემდე ხმები ვით გაიყო,  
 როგორ შეუდგნენ მარგვალს;  
 როგორ გასწმინდეს სიმღერა  
 და მოაშორეს მჭვარტლი,  
 როგორ დაიპყრეს ცის ხელა  
 იმერეთი და ქართლი.  
 ამ სისხლითმორწყულ ლელიანს  
 სხვაგვარ ყვავილებს კრეფთ,  
 აგერ ორასი წელია  
 ბულბულებივით ყეფთ.  
 ყველაზე უფრო ჩვენებურს,  
 ბოლომდე ფხიზელ ქართველს —  
 გიყურებ ყელმოღერებულს  
 ათასი ლერწმის გამთლელს.  
 და ქვეყნად რაც დაგვეალა  
 ერის კურთხეულ კვერთხით —

ყურს გიგდებს დედას ლევანა,  
 ქვეყნად მოსული ერთხელ.  
 ამ სისხლით მორწყულ ლელიანს  
 სხვაგვარ ყვავილებს კრეფთ,  
 აგერ ორასი წელია  
 ბულბულებივით ყეფთ.  
 ვინც კრიმანჭული დაარქვა,  
 კრინი ვინცა თქვა მანჭვით,  
 ასე სოფლიდან ქალაქად,  
 საინგილომდე რაჭით.  
 შეუთეთ ვნებადამცხრალებს,  
 ზამთარში გრძნობდნენ მაისს,  
 იმღერე, შენ გენაცვალე,  
 რომ არ გინდოდეს, მაინც.  
 ამ სისხლითმორწყულ ლელიანს  
 სხვაგვარ ყვავილებს კრეფთ,  
 აგერ ორასი წელია  
 ბულბულებივით ყეფთ.

ბ ი ა

მოთხრობა

მარტის შუე აცხუნებდა სველ ქალაქს. მსუბუქი ორთქლი აღიოდა ძველი უბნის შედამართებულ ქუჩებს, აჩონჩხილი სახლების ყავისფერ სახურავებს, ვიწრო ტროტუარებს, აგურის კედლებსა და ხის კიბეებს შორის გამომწყვდეულ ციდა ეზოებს, ხეთა ძირში საგანგებოდ დატოვებულ ერთი ხელისდადება მიწის ნაჭრებს.

მიხეილ შერვაშიძე წინა დღით ნათათბირალი კაბინეტის განიავებას აპირებდა. გახევებული იდგა ღია ფანჯარასთან, მაღლიდან ჩამორეკილი ზარების შორეულ ქლარუნს უგდებდა ყურს, ცალგვერდშესველებულ, მზით გამთბარ თელის უფოთლო ხეს უყურებდა.

უკითხავად შემოვიდა გურამ ბენდუქაძე.

— მოდი, გურამ, — შემობრუნდა მიხეილ შერვაშიძე. — გალოდინე ხომ? არ დამთავრდა თათბირი, ახლა შემოვედი ამ წუთას... — პალტო გაიხადა, დაკიდა. — არ დამთავრდა, ლაპარაკობდნენ... დაჭექი. — თვითონვე დაჭდა, საწერ მაგიდას სული გაუბერა, რამდენიმე ტელეფონი მოსინჯა. — როგორა ხარ? ახლავე შევეხმიანები ხანბერაძეს. მიმართვა გაამზადეთ? მათხოვე. ეს არი? მოვაწერო ბარემ ხელო, ხანბერაძის მაძის სახელი ხომ არ

იცი შემთხვევით? მიტო ერქვა მგონი, ვიცნობდი, მიტო, მიტროფანე, ისიც იყო რა!.. — შტამპიან-ტიტულიან ფორმატს ხელი მოაწერა გაკრულად, ცოტა ხანი დააჩერდა თავის ნახელავს და განსაკუთრებული დანიშნულების სატელეფონო ცნობარი მოიმარჯვა. — აქ ვნახავთ, სად წაგვივა. მაგი კი არა... ხანბერაძე, ხანბერაძე, ხან, ხან, ხუნ... აქ არ იქნება, ხან, ხუნ... თვალები წაქუტა, გადაშლილი ცნობარ-წიგნუკა შორს გაწია და თავიდან დაიწყო კითხვა. — ხან, ხან... სად იყავი მაინც აქამდე?... ზოგმა ორი გაიტანა, ხან, ხან, აქ არი... ლურჯი უნდა იყოს მაინცდა-მაინც?

— ლურჯიო, ნათელამ და რა ვიცი... თუ არადა ყვითელიო, თუ არადა, რაც არი...

— ერთი წუთით!.. ბატონო გიორგი, გამარჯობათ, მიშა მოგესალმებათ შერვაშიძე, დიახ, კი, როგორ გიკითხოთ, დიახ, კი, ხე, ხე... მაღლობთ, არა გვიშავს, მაღლობთ... კი, კი, ხე, ხე... თავად? როგორ?.. ხე, ხე, ხე... კი, დიახ, მაღლობთ. ისევ იგივეზე, ბატონო გიორგი, რა ვქნათ, ხე, ხე... გურამს იცნობთ, რასაკვირველია, ბენდუქაძეს. ჩვენი სასიქადულო პოეტი, დიახ, კი, ბენდუქაძე, გურამი. დიახ, კი, პოეტი,

ხე, ხე, ხე. დიახ, ბენდუქაძე, კი, პოეტ-  
ტი, ხე, ხე, ისევ კი, ავსტრიული...

— გერმანული. — შეეშველა ბენდუ-  
ქაძე, დაძაბული იხედებოდა და კიდევ  
არ სჯეროდა, მიხეილი რომ ხანბერა-  
ძეს ელაპარაკებოდა, ასე უცბათ რო-  
გორ დაუქავშირდა, ან ხანბერაძე რო-  
გორ დახვდა ადგილზე.

— გერმანული, დიახ, უნდა გვიშვე-  
ლო... ერთი უნდა გამოგვიყო დამა-  
ტებით... ხე, ხე, კი მაგრამ, ზოგმა ორი  
გაიტანა... თანაც ყველას დაქმავთე-  
ლება არც გვიცდია, რამდენიმე დაგე-  
რჩა ისეთი... ხე, ხე, ხე... ერთი, რასაკ-  
ვირველია... — საჩვენებელი თითი და-  
ანახა გურამს.

— ერთი, კი... — უჩურჩულა გურამმა.

— ერთი. დიახ, გისმენთ, კი, ხე, ხე,  
ხე... ლურჯი, უკიდურეს შემთხვევაში,  
წითელიო...

— ყვითელი.

— ყვითელი. ხე, ხე, ხე, ხი, ხი... (მარ-  
თლა გაიციან), კი, კი... (დაწყნარდა),  
დიდი მადლობა, როგორ გეკადრებთ,  
მადლობა, კი, ხე, ხე, ხი... პირიქით,  
კარგად... — ყურმილი დადო, სახე მო-  
ელღუშა ადრინდელივით, გურამს მი-  
აჩერდა უაზროდ. — ხო, ხელი ხომ მო-  
ვაწერე? — გამოერკვა ცოტა ხნის შე-  
მდეგ. — მომიწერია... წაიღე ახლავე  
ეს მიმართვა და მიუსწარი ხანბერაძეს,  
კანცელარიაში გაატარე და პირდაპირ  
წადი, ახლავე თუ არა, მერე ვეღარ და-  
იჭერ, მიუსწარი როგორმე!

ხანბერაძე საწვიმარგაუხდელი უჯდა  
მაგიდას და წერდა. ძირს დაშვებულ  
მარცხენაში ქუდი ეჭირა, მკერდით მაგი-  
დის ძგიდეს მიწოლოდა და წითელი კალ-  
მისტრის წვერს მისარილებდა რძისფერ  
ქალალზე. ტანმალალი კაცი უნდა ყო-  
ფილიყო. მელოტი, სამკუთხა თავი  
უჩანდა ზემოდან. კაბინეტში შემოსულ  
კაცს მიაჩერდა და წერა შეწყვიტა,  
კალმისტრიანი ხელი გააშეშა ქალალ-  
დზე. გაშანშალეული მიმართვა დაუ-  
დო წინ ბენდუქაძემ.

მაგიდაზე გაწოლილი უყურებდა მი-

მართვას, ძირს დაშვებულ წელში მ-  
ნევდა ქუდს, თითქოს რაღაცას ინიავე-  
ბდა ბარდაყებთან.

— თქვენ ხართ ეს? — ნიკაძი დაუ-  
მიხნა, როგორც იქნა, შტამპიან ქა-  
ლალს.

— დიახ! — ერთგვარი სიამაყითაც  
უპასუხა მოსულმა. არ ჯერა, მე თუ  
ვარ, ასეთ უბრალო ამბავზე თავისი  
ფეხით როგორ მოვიდოდაო.

ხანბერაძეს ბევრიც აღარ დაუხანე-  
ბია ამის შემდეგ, გაშანშალეული მი-  
მართვა შეაბრუნა და მსხვილი ფანქრით  
დაადო რეზოლუცია, წითელი ხნული  
გაიტანა ერთი თავიდან მეორემდე.

— ლურჯი მინდოდა, აუცილებლად,  
ანდა ყვითელი, უკიდურეს შემთხვევა-  
ში... — დაასწრო მთხოვნელმა, სანამ  
წერას მორჩებოდა.

— ფერს იქ გააკრევე, გენაცვალე!  
„გთხოვთ, გამოუყოთ ერთი გერმა-  
ნული უნიტაზი ცნობილ პოეტს ამხ.  
ბენდუქაშვილს!!!“

„ცნობილი პოეტი“ სტრიქონიდან  
ამოავდო, ბენდუქაძის მაგივრად ბენ-  
დუქაშვილი დაწერა და წინადადებას  
სამი ძახილის ნიშანი დაუსვა ერთის  
მაგივრად. „ცნობილი პოეტი“ სახეზე  
წამოენთო, შეხედა, როგორ აგდებუ-  
ლად გამოჰყო ამხანაგმა ხანბერაძემ  
წინადადებიდან ის ორი სიტყვა. მარ-  
თალია, ცოლზე გაბრაზდა და არა ამ  
კაცზე, მაგრამ ხანბერაძეს პირიქით  
მოეჩვენა, წამოიწია და სანამ ბოლომ-  
დე გაიმართებოდა, საქციელწამხდარ  
პოეტს წაქუზულმა ჩამოართვა ხელი.

— მიხვალთ ბაზაში, კარგად იყავით!

— კარგად ბრძანდებოდეთ, ძალიან  
დიდი მადლობა!

— როგორ გეკადრებთ, პირიქით,  
შემომიარეთ ხოლმე! — აღარ გამარ-  
თულა, ეგრევე დაჭდა, ცალმკლავჩამო-  
გდებულმა გააყოლა უნიტაზის მთხოვ-  
ნელს თვალი.

ვანო უნდა ნახო, აუხსნა ტაბურე-  
ტზე მჯდარმა, ფეხებგაჩახულმა ბაზის  
ყარაულმა.

— ვანო? — ისე გაიკვირვა, თათქოს ივანეს სანახავად იყო მოსული.

— დიახ, ვანო.— ფეხი გაწია ყარაულმა და უცხო კაცს გასასვლელი დაუტოვა.

გურამი ბაზაში შევიდა, ვანოც იქვე აღმოაჩინა და გაიფიქრა, რა კარგად აეწყოს დღეს ყველაფერიო.

ფერისმკამელებით ჰქონდა ვანოს სახე დაფარული. მიმართვა, რომელსაც მთხოვენილი საქალაღდით დაატარებდა და არ ეცეცადა, ბურბუშელითა და გაღუნული ლურსმნებით სავსე დაზგაზე დადო და ცალი ხელით ისე გაასწორა, თითქოს დაზგაზევე აწებებდა და ტოვებდა.

— მხოლოდ ლურჯი უნდა იყოს, — დაასწრო გურამმა და მაშინლა შეამჩნია, რომ მიმართვაში ბენდუქაძე ეწეოდა, რეზოლუციაში ბენდუქაშვილი.

— რა გინდა, ბიჭო!? — დაუღრინა მოტლოდნელად ვანომ ნეილონის ქურთუკიან გრძელცხვირა ბიჭს და ხელი აიქნია. ჩემი მიმართვა არ ესროლოსო, შეეშინდა ბენდუქაძეს.

— არ მიშობს, ნოეიჩ! — ცხვირის კეხზე გაისვა თითი ბიჭმა.

— არ გიშობს... არ გაგიშვებს, მომე აქ ქვითარი, ხელი ხომ უნდა მოგიწერო!..

— არ ვითქვია, ნოეიჩ!

— არ მითქვამს — დაჰმუჭუნული ქვითარი ბენდუქაძის მიმართვას დაადო, მეორე ხელიც ამოიღო, როგორც იქნა ჩიბიდან, ქვითარი გაასწორა და თავმოღირღნილი ფანქრით მოაწერა ხელი. — საქმე იმაშია, რომ — მიუბრუნდა გურამს, — არც ლურჯი გვაქვს, არც ზღვისფერი...

— ყვითელი.

— არც ყვითელი, მაგრამ გვექნება. თვის ბოლოსათვის ველოდებით... თეთრი მაქვს ერთადერთი ცალი, მხოლოდ სახურავია გატეხილი, ნახეთ, სახურავის შოვნა შეიძლება...

ძნელი იყო თეთრის, თანაც უსახუ-

რავო უნიტაზის შეძენა ცხელ-ცხელ მობის გარეშე და უარის თქმაც არ იყო იოლი. ის თეთრი და სახურავგატეხილი უნიტაზიც რომ დაეკარგო, სად მივდივარ, უნიტაზოდ როგორ გავიდე ბაზიდანო, იქნებ გავრისკო, რაც არი არი, იქნებ თეთრი უნიტაზი წავიღო, ბოლოსდაბოლოს უნიტაზი უნიტაზიო, შეიგულიანა თავი და ისევ შეუყოყმანდა, ვერც კი თქვა, ვერც — არა, ვანოს-მაინც გაუვა ყოველ შემთხვევისათვის. ვანო კი ალაყაფის კარში გახიღულ, დატვირთულ საბარგო მანქანას მიუახლოვდა კოჭლოებით, მოყაყანე მძღოლს და ყარაულს (გურამს ეგონა, შავ დღეს დაყარის ორთავესო), აუარა გვერდი და სადღაც იქვე, იმ რაიონში გაუჩინარდა.

ორვაგონიანი მატარებელი გადიოდა ეზოში შიშინითა და ხენეშით, რელსების ჭრატუნით. ირიბულად კვეთდა ლიანდაგი თითქოს ახლად დაგვილ-დასუფთავებულ და მაინც ათასი ხარახურით და საამშენებლო მასალების ნარჩენებით მოფენილ, სველ, ჩრდილოვან ეზოს.

ვანოს ელოდა და მატარებელს უყურებდა, როცა უზარმაზარი საწყობის შემალღებულ საჩხებში ქანგისფერი ყუთებისა და კონტეინერების გვერდით შეამჩნია მაღალი, გამხდარი ბიჭი, რომლის დაყინებული მზერა ადრევე იგრანო. ეცნაურა და ვერ გაიხსენა. იქაურ თანამშრომლად ვერ შეიცნო, მუშტარსაც ვერ მიამგვანა. ყელზე დაუდგვრად კაშნემოხვეული მოთეთრო საწვიმრის ჩიბეებში ხელეზაწყობილი, ფერმკრთალი, სახეგაცრეცილი და გაუპარსავი ახალგაზრდა საწყობის კართან იდგა და გურამს არიდებდა თვალს აშკარად. რაღაცათი აღტაცებული და გახარებული იხედებოდა აქეთ-იქით, მოახლოებულ ბენდუქაძეს ვერ ამჩნევდა თითქოს. ბენდუქაძე კი უყურებდა საჩხის კედელზე და ერთმანეთზე მიწყობილ-მიუყუდებულ ყუთებს, რომელთა დააფრავებული ფიცრებიდან ბურბუშელა-

ჩაფენილი, მომწვანო მინები ილანდუბოდა.

— გამარჯობათ, გურამ ბიძია, ვანო გინდათ ხომ? აქ არი, აქ ტრიალებს.

— გაგიმარჯოს, აქ არის ხომ?

„საიდან მიცნობს? რატის ამხანაგი არ უნდა იყოს, უფროსი ჩანს. ავტორია? შეიძლება. იქნებ აქ მუშაობს!“

— ამ შუშების ყიდვა შეიძლება? ესეც მჭირდება.

— კი, როგორ არა... — საწყვიძრის ჯიბებიდან ამოიღო ხელები და უცნაურად შექანდა ადგილზევე. — როგორ არა, თუ გაქვთ ზომები, გურამ ბიძია, აქვე დაეჭირით...

— ზომები არ ამიღია სამწუხაროდ, არც ვაპირებდი, რომ დავინახე იმიტომ...

— არა უშავს, გურამ ბიძია.—ხელის გულები შეაერთა და პირზე მიიღო, ჩაბერვა თუ ჩაყვირება დააპირა თითქოს და გადაიფიქრა. — მაშინ არა უშავს, არა უშავს!...—გაიმეორა ხმაშეცვლით, ყუთებისაკენ შებრუნდა და გრძელი თითები შეუყო ფიცარსა და ფიცარშუა.

— ამაზე უკეთეს შუშებს ვერ იშოვნით, გურამ ბიძია!

მზის სხივი აუტომციმდა გამხდარ თითებთან. სარკესავით აირეკლა ყრუ კედლით დაჩრდილულმა მინამ მზე, საიდან დაეცა სხივი შუშას, სინათლე ჩრდილს? მოპირდაპირე საწყობის შუშის ნამსხვრევებით მოფენილმა სახურავმა ჩაიღინა აშკარად ეს სასწაული.

— ვახ, შენი! — წამოცდა ბენდუქაძეს, როცა სხივსა და შუშის ნამსხვრევებს შორის დამყარებული კავშირი აღმოაჩინა.

— რა მითხარით, გურამ ბიძია?

— არაფერი, ღირს ესე იგი, ყიდვა?

— ღირს, გურამ ბიძია, წაიღეთ და მე დაგიჭირთ, ამას დღესვე გაიტანენ, თუ არ წაიღეთ, ამას არ დატოვებენ, მე ვიცი დაჭრა, საერთოდ მე ვჭრი ყველაფერს...

„მეშუშა თუ შუშათმჭრელი? ავტო-

რია. ლექსები აქვს ნალდად მოტანილი!“

— ეს ვერ დაჭრის! — თქვა კაცმა, რომელიც ბრეზენტის მოყავისფრო კურტაკის კალთებისა და სახელოების შმაშურით გამოვიდა საიდანაც. ბექ-განიერს და თვალმსხვილს ნაყვავილარი, სქელი სახის კანი ჰქონდა.

— ო, შე დამბალო, ალისა! — უთხრა მალაღმა ბიჭმა. ნაცრისფერი, წყლიანი თვალები აემღვრა ერთი წამით. — არ დამიჭრია მე?.. პირველად ვჭრი?

— ის სხვა იყო, ამას ვერ დაჭრი. შენთვის ვამბობ, მე რა მენალელება! — უკან-უკან წავიდა და მოშორებით შედგა.

ბიჭმა ვაიციანა და ბენდუქაძისათვის მოულოდნელად, იმწამსვე დაეწმინდა თვალები.

— მე გია ვარ!

— „ვინ გია?“

— ნახეთ თეთრი უნიტაზი? — ვანო მოდიოდა კოკლობათ საჩხტევემით.

— არ მინახავს, — უცბად გამოერკვა ბენდუქაძე. — ლურჯი დამაბარეს, ან ყვითელიო და თეთრი და თანაც გატეხილი, აბა, რა ვიცი...

— მოდით მაშინ თვის ბოლოს. — უკან არ მოუხედავს ვანოს.

— ერთი წუთით! — საშაფხუზრიანი ბეტონის კიბე ჩაირბინა მიმართვის ფრიალით, — ეს დაგიტოვოთ?

— ეს რა არი? — შეიცადა, მიმართვის დახედა, რეზოლუციას გადაავლო თვალი. — ეს ვიცი, იყოს თქვენთან!

— შუშების ყიდვა შეიძლება?

— გამოიწერეთ.

„ვინ გიაა ნეტავი?“

აგვანალებული ვანო მოულოდნელად უკან გაბრუნდა, ბენდუქაძისაკენ მომავალ ალისასა და გიას აუარა გვერდი და ყუთებსა და ყუთებშუა შეიმალა.

— მიგაქვთ? — იკითხა ალისამ ღრეკით.

— წავიღო? აბა რა ვიცი... — გიას გადახედა.

— აუცილებლად... მე დავჭრი, რა-  
 ტი ხომ იქნება შინ? ეს ბანდიტია,  
 თანაც დამპალი. გოგია კალანდაძე  
 მანდარინით მოიწამლა, გადადუღებულ  
 წყალს სვამდა ყოველთვის. რატი ჩვე-  
 ნზე უმცროსია, ჩემზე და გოგიაზე,  
 ჩვენ ხელშია გაზრდილი ფაქტიურად.  
 „ქარგად ყოფილა საქმე!“

ახლადგანაშენიანებული უბნის, ახა-  
 ლი კვარტლის რვასართულიან სახლ-  
 თან მიიტანეს შუშები. მანქანიდან გა-  
 დმოალაგეს სათითაოდ. „რაფის“  
 მძღოლმა ფული აიღო და წავიდა.

— სულერთია, შენ არ დაგაჭრევი-  
 ნებ! — უთხრა გიამ ალისას.

— აბა შენ ვერ დაჭრი!

— ო, რა დამპალია! — თქვა გიამ  
 და ლიფტის კაბინაში შევიდა, სანამ  
 კარი დაიხურება შუშები სათითაოდ  
 მომაწოდეთო, უთხრა გურამს.

— მე ფეხით ავალ! — თქვა ალისამ.

— ეს ეინ არა... — ჩაილაპარაკა გიამ,  
 დაიხარა და ალისას ქვემოდან ახედა.  
 ალისამ კიბის ერთი მუხლი აათავა და  
 იქიდან ჩამოიჭვრიტა დაკვირვებით, მო-  
 აჯირს ორი ხელი მოკიდა, ჩაიმუხლა,  
 რკინის რიკულებს შორის გამოიხედა,  
 წამოდგა და გზა განაგრძო. არც ბინის  
 ნომერი უკითხავს, არც სართული და  
 ნეტავი თუ მოგვაგნებსო, გაიფიქრა  
 გურამმა.

ბოლო სართულზე გაჩერდა ლიფტი.  
 შუშები გადმოალაგეს, შეიტანეს პოლ-  
 ში და ალისაც გამოჩნდა. უკითხვად  
 შემოალო ბინის კარი, ჯერ ნაყვავილა-  
 რი სახე შემოაჩყო, შემდეგ თვითონაც  
 შემოვიდა.

— ბანდიტია სუფთა, ამას არ დააჭ-  
 რევინოთ, გაგატყავებთ!

ოროთახიანი, ყოველმხრივ მოსახმა-  
 რისი, მომცრო ბინა, შესაფერისადო  
 ვერ იტყოდით, მაგრამ ნორმალურად  
 იყო გარემონტებული, თუმცა, გარდა  
 იმისა, რომ თხელი და უადგილო ალა-  
 გას განგებ გადაყვრებული ფანჯრის  
 შუშები იყო ამოსადებ-გამოსაცვლელი,  
 სხვა წვრილმანი სამუშაოებიც მოუმ-

თავრებელი ჩანდა ალაგ-ალაგ. ლოჯი-  
 აში იდგა დიდი, ძველებური მაგიდა,  
 რომლის ზედაპირი გიამ ჩერით გადაა-  
 სუფთავა, ერთი შუშა შემოდო და უც-  
 ნაურად დააჩერდა. მომწვანო მინამ  
 მზერაგაყინული, გაუპარსავი სახე და  
 თმააწეწილი თავი აირეკლა ერთ ალა-  
 გას.

გია შუშას ზომავდა თვალდათვალ.  
 ხელში არაფერი ეჭირა და რით აპრე-  
 ბდა გაქრას, გაუგებარი იყო. კედელ-  
 ზე ბეჭით მიყრდნობილი ალისა კი კარ-  
 ფანჯრებს ათვალეერებდა გულგრილად,  
 ჩარჩოებს და სარკმლებს ითვლიდა აშ-  
 კარად.

— რატისია ხომ, გურამ ბიძია, ეს ბი-  
 ნა?

— რატისია კი, გადაყვევი, მეტი აღა-  
 რა ვარ, რომ შეხედო თითქოს არაფე-  
 რი გამიკეთებია, მაგრამ ტყავი გამძვ-  
 რა, თანაც მთელი წელიწადი ამის რე-  
 მონტს მოვუნდი. გუშინ გავიტანეთ  
 გაჯი ძლივს, რა ყოფილა ეს გაჯი!

— მაგან არ მომკლა! — ზესტა-  
 ფონურად წამოიძახა ალისამ. ამ უც-  
 ნაურმა კილომ შეაშფოთა ისედაც და-  
 ბნეული მსაპინძელი. გადახედა გიას,  
 რომელიც სახეგაქვეებული ელაპარა-  
 კებოდა შუშას.

— ჯერ ორად გაგყოფ, ნახევარს  
 იქით გადაგდებ, ნახევარს აქეთ გად-  
 მოგდებ, შემდეგ ავიღებ ზომებს, ასე  
 აჯობებს...

ბედღუქაძე ალისასაცენ მიტრიალდა.  
 სწორს ამბობსო, თავი დაუქნია ალი-  
 სამ, დაწყებული ანგარიში აერია და  
 თავიდან დაიწყო ფანჯრების თვლა.

— აი, ასე! — მოწყვეტით გაიქნია  
 ხელი ბიჭმა. ზუზუნით გაქრა ჰაერი  
 დანასავით მოქნეულმა მარჯვენამ.

— მერე რა, მაინც ვერ დაჭრი! —  
 ფანჯრებს ჩამოეხსნა ალისა.

— დამპალი ხარ! — პლინტუსის გა-  
 დანახერხი აიღო, შუშა გადაამტკავლა  
 და პლინტუსი დაადო, ძლივს ამოიღო  
 ჯინსის ჯიბეში ჩაკეხებული აღმასი

და გაჩერდა. — წადი რა, საიდანაც ჩამოეთესლე იქით!

— მე აქაური ვარ სანახევროდ, თბილისში ვარ დაბადებული! — უთხრა ალისამ.

შუშას აღმასი დაჰქირა ვიამ და თვეიდან ბოლომდე ჩაკაწრა. ჩაკაწრა და გაფითრდა, ცვილისფერი დაედო სახეზე. პლინტუსი გადაავდო, როგორც იქნა, გამოწია შუშა, მაგიდის კიდეს გადმოაყარა და გაუბედავად დააწვა.

— ეს გვეზარალა, ნათლიაჯან! — თქვა ალისამ.

ბზარი დაიკლავნა უსიამო ხრაპუნით და შუშა რამდენიმე დეფორმირებულ ნაჭრად გადაიხსნა. ბენდუქაძემ თვალეზი დახუჭა. ხმამ შეაძრწუნა და არა სურათმა, მაგრამ მაინც თვალეზი დახუჭა.

ვიამ თითი გადაისერა ზედ სახსართან. მოგვიანებით გამოჟონა გადანასერიდან სისხლმა, ჩამოწვეთა, დეცა მინას და მოთხვარა.

— ეგ არაფერი! — თქვა შეშფოთებული მასპინძლის დანახვაზე. — ეგ არაფერი. — თითზე ცხვირსახოცი შემოიხეცია ერთავად გაფითრებულმა. კვლავ გამოჟონა მიტკლიდან სისხლმა, უდამსხვრეულ შუშას დაეწვეთა და იავიდან ბოლომდე გაღება თითქმის.

სისხლის წვეთის ყოველ დაცემაზე ერთოდა გურამ ბენდუქაძე, ხან სანთლისფერ გიას უყურებდა, ხან ექიდნურად მომღიმარ ალისას.

— ზომ მოისვენე, შე დამპალო!

სისხლი აღარ წვეთავდა და ბიჭს ფერი უბრუნდებოდა, აღარ წუხდა და ბენდუქაძის გასაოცებლად, აღარც არაფერს ნაღვლობდა; გადამხხვრეულ, უზარმაზარ მინას აღარ უყურებდა, მისი გაფართოებული ნაცრისფერი თვალეზი აღარც შიშს ირეკლავდა, აღარც გაოცებას და ნელ-ნელა ვიწროვდებოდა.

— დაეჭრა, უფროსო? — კითხულობდა ალისა.

— დაჭერი, დაჭერი! — უთხრა მას-

პინძელმა და გიას გადახედა, ცუდად ზომ არ არისო.

გია კი სადღაც ზევით იხედებოდა და თითქოს სტვენდა კიდევ ხმადაბლა.

— დაჭერი! — თქვა თავაწეულმა ვიამაც, ფრთხილად დასტვინა, თითქოს ბუმბულს გაუბერა სული, სტვენის ტაქტს აუთამაშა გადახვეული თითი.

— ეს გაფუჭებული არი, ნათლიმა! — მოსისხლული ნამსხვრევები აკრიფა ალისამ სქელი, ჩაყნაგული ხელებით. ბრუენტის კურტაკი გაიხადა და სულ სხვა კაცად წარმოიჩინდა. ხალათზე ფეშტემალი ჰქონდა გადაცმული. ფეშტემალზე გარედან ეყვრა უზარმაზარი ჯიბე. ჯიბეში ხელსაწყოები ჰქონდა ჩალაგებული და მაინც ავტორიტეტს მატებდა არა ხელსაწყოები, არამედ ჯიბე, უზარმაზარი, ფეშტემალზე საიმედოდ და სამიღვანელოდ დაკერებული ჯიბე.

„რალა მიხვედრა უნდოდა, ამას უნდა დაეჭრა!“

ვიამ უკან დაიხია და კედელთან გაჩერდა, ალისას მიაჩერდა და ცალი ხელით და კბილებით თითზე ხელმეორედ გადაინასკვა ცხვირსახოცი.

— მე პატარა კი აღარა ვარ, უფროსო, ორმოცდაათზე წლისა ვარ! — თქვა ალისამ დამაჯერებლად.

„ჩემზე უმცროსი ყოფილა, გადაირევი კაცი!“

—... ვითხარი, ვერ გაჭრი, ვერ გაჭრი, გატეხვაზე კი არაა, ვიჯან, გაჭრაზეა. მე გაუტეხო, მე ვიზარალო, მაშ, აბა, ღმერთო, ჰაიდა! — დააწვა, გადახსნა, სქელი, გრძელი შუშა გაყო ორად, დანარჩენების დანაწილებაც დაიწყო. აბა ღმერთო, იძაბოდა ნაყვავილარსახიანი, წვრილთვალემა კაცი ურწმუნო და უღმერთო ღიმილით.

— წაიედეს საიდანაც ჩამოეთრა: რას შერება რატი, გურამ ბიძია, კარგადაა?

— კარგადაა, რა უჭირს!

— რატი კარგი ბიჭია, სამართლიანი. შეიძლება, რომ ენახო დღეს?

— შეიძლება, ალბათ.

— საქმე კი არა მაქვს, ისე მინდა ვნახო, რა ხანია არ მინახავს, გამოიარეო, მოთხრა, ლექსები მოგიტანოთ, გურამ ბიძია?

„ასეც ვიცოდით“

— რატის მოეწონა ჩემი ლექსები, ახლა კი არა, — ადრე. მიუტანე მამა-ჩემსო მოთხრა და არ მოგიტანეთ, თქვენ ვერ გაიგებდით მაინც... იმიტომ კი არა, რომ გაუგებარია, საერთოდ... მოგიტანო?

— მოიტანე და იქნებ გავიგო კიდევ.

— მაგიტომ კი არა.

— აბა რეიტო? — დაიძახა ალისამ იმ უცნაურ კილოვანზე, რომელმაც საგონებელში ჩააგდო მასპინძელი ადრევე.

— რასაც დაგიფასებთ, იმის ნახევარი მიეცით! — ურჩია გიამ.

— აბა არაა! — ცალი ყბით გაიცინა ალისამ.

ცალხაზიანი, გადაყვითლებული, სქელი რვეული ურითმო და რითმიანი ლექსებით იყო შევსებული. ყოველი ლექსის პირველი სტროფის პირველი და ზოგჯერ ტაქების ბოლო ასო წითელი მელნით იყო საგანგებოდ გამოყვანილი და დაგრძელებული. ამის გამო, გადაშლილ რვეულს სისხლისფერი გადაჰქრავდა. კითხვისას კი თავკიდურა ასოები თვალს ჰკრიდა და რიტმის აღქმას ანელებდა. სადღაც ადრევეც ენახა თითქოს ეს რვეული გურამს.

„მაინც სად? ნუთუ აქ, რედაქციაში, ხელმეორედ მოიტანა ვითომ?“

გაახსენდა. რატი კითხულობდა ოჯახში რამდენიმე წლის წინ. ნაღდად ეს იყო. მაშინაც ამ თავკიდურა ასოებმა მიიქცია მისი ყურადღება. გადავიკითხავო, გადაწყვიტა. მაგრამ შეიღმა რვეული არ დაანება, არაა შენი საქმეო, უთხრა ნახევარდსერიოზულად. მამა შეიღის ნახევარხუმრობაზე შეფიქრანდა, თუმცა რვეულით მეტად აღარ დაინტერესებულა.

ეგონა, ურითმო და რითმიანი ლექსები თანამიმდევრობით (დასაწყისში

ასეც იყო). შეენაცვლებოდა ურითმიან ნეტს, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. შუა ნაწილში რითმიანებმა იჭარბა და ბოლო გვერდებზე თეთრმა ლექსებმა მოიყარა თავი.

ვინ არი გია გომარელიო, უნდოდა ეკითხა საღამოს, მაგრამ რატი შინ არ დაუხვდა. გვიანობამდე ელოდა და დილა. დილით მძინარე ველარ გააღვიძა და სამსახურში წავიდა. რვეული ანანია გვალის მიაჩეჩა, გაფიცებ ყველაფერს, დღესვე წაიკითხო.

— ვისია? — რვეული შეატრიალ-შემოატრიალა ანანიამ. — ვინ არი გია გომარელი?

— ახალგაზრდა კაცია...

— კარგი, წაეკითხავ, საჩქაროა?

— არც ისე, შენი აზრი მაინტერესებს უბრალოდ...

შუადღით საერთო ოთახში გავიდა. ანანია ჰადრაკს თამაშობდა, რვეული წინ. ჰადრაკის დაფის გვერდით ედო. ხომ არ გადაგითვისალებიაო, ჰკითხა.

— ესა? — რვეული გააჩოჩა ცალი თითით, — შენ ხომ მოთხარი, არ არის საჩქაროო...

— ვისი რაა? — რვეულს წაატანა ხელი გენადი კილურაძემ. სათვალე გაიკეთა, მოიხსნა და სანამ შუშებს ცხვირსახოცით გაწმენდა, ანანიამ რვეული ააყალა.

— ხედავ? — უთხრა კილურაძემ ანანიას პარტნიორს.

— რას უნდა ეხედავდე? — უნებურად იკითხა გაბრუებულმა პარტნიორმა. ანანია გვალამ იდაყვი დააბჯინა რვეულს და თვალგაშტერებული გახვედა.

— ითამაშებ?! — გამომწვევად ჰკითხა პარტნიორმა.

— ჩემია სვლა?.. ახლავე, გენაცვალე, შემოგველე! — საწვიმრის კალთა გადაიწია, ფიგურა აიღო, რაც შეეძლო აწია მაღლა და კინაღამ იქვე დადო, იმავე ალაგას. ნაშუადღევს გურამ ბენდუქაძესთან შევიდა, საინტერესოაო, თქვა კარშივე.

— რა არიო? — ტელეფონის ყურ-  
მილი დადო გურამმა.

— საინტერესოა-მეთქი! — ყდაგა-  
ყვითლებულ რვეული დაუბრუნა.

— წაიკითხე უკვე, მერე?

— რა მერე?.. საინტერესოა-მეთქი,  
გუუბნები, მეტი რა ვქნა, ვინ არი?

— ახალგაზრდა კაცია, ვითხარი,  
მგონი...

— დამანახე, დამალაპარაკე.

— მოვა დღეს, ნახე, ურჩიე რამე...

— არ ველოდი, მართალი ვითხრა,  
მაგრამ ეს რა არი? — რვეული გადა-  
შალა და წითელ ასოებს დაადო თითი.

— ეს?.. აბა რა ვიცოი!.. — ისე შეც-  
ბა, თითქოს დაფარულს მიუხვდნენ.  
თავადაც შეფიქრიანებული იყო, აინ-  
ტერესებდა, სხვაც თუ მიაქცევდა ამ  
სიწითლეს ყურადღებას.

— ეს არაფერი არ არი, წითელია...

— მეც ვხედავ, წითელი რომაა. რა-  
ღაცაშია საქმე!.. — გაიღიმა ანანია. —  
რა ქენი, მორჩი რემონტს?

— თითქმის... გერმანული უნიტაზე-  
ბი გაუნაწილებიათ, ზოგს ორი წაუღია,  
გვიან გავიგე. დამპირდნენ მაინც, ვე-  
ლოდები, ლურჯი უნდა იყოს, გინდა  
თუ არაო, ნათელამ.

— კარგი, წავედი. — ანანია მოუ-  
ლოდნელად შეტრიალდა და მოკლე და  
ჩქარი ნაბიჯებით დაფიქრებული გავი-  
და.

გია გამარელო რედაქციაში დააბი-  
ჯებდა და გურამ ბენდუქაძეს დაეძებ-  
და. ჯიბეებდალაქავებული, მოკლე სა-  
წვიმრის, შარიშვრით შედიოდა და გა-  
მოდიოდა ერთსა და იმავე ოთახში.

— მე ხომ ვითხარით, აქ არ არის-  
მეთქი! — უთხრა განერვიულებულმა  
მდივანმა ქალმა და დერმატინგადაჯ-  
რულ, შავ კარს მიათითა. გიამ ჯიბეებ-  
ში ჩაიყო ხელები და გაცვეთილი კაშ-  
ნე გაისწორა ნიკაპით.

— იქ არ არის-მეთქი, მე ვეუბნები  
და მაინც იქ შედის, შეიშლები პირდა-  
პირ! — ხმადაბლა, მაგრამ გიას გასაგო-  
ნად უთხრა მდივანმა ფანჯარასთან გა-

ჩერებულ ახალგაზრდა <sup>ნერვიულმა</sup>  
მდივანს მიაჩერდა. ქალის ხმა ესმოდა  
და არც ესმოდა თითქოს, აქეთ-იქეთ  
იხედებოდა მალულად, ვიღაცას ზვე-  
რავდა, ვიღაცას უდარაჯებდა. წვერგა-  
უპარსავი იყო თუ წვერმოშვებელი,  
ვერ გაიგებდი, მაგრამ წვერს ან ღინღლს  
საგანგებოდ რომ არ იშორებდა, ეტ-  
ყოზოდა. ცხვირის ნესტოების ცმატუ-  
ნით შეისუნთქა ბოლოს ჰაერი და გა-  
ყვა სუნს ან ქარს მის მეტს რომ არ  
სცემდა არ ხვდებოდა სახეში. მიხვე-  
ულ-მოხვეულ დერეფანში დაიკარგა,  
დიდ ოთახში შევიდა და ახალგაზრდა  
ავტორებში გაერია, გახურებულ საუ-  
ბარში ჩაერთო ცოტა ხნის შემდეგ.

ნიკა მოვიდა, დიდი ოთახის კარი  
შეაღო და გიას დანახვაზე გაეხიდა კა-  
რშივე. ჩაახველა, ჩაიციანა კიდევ, მა-  
გრამ მოკამათების ყურადღების მიბ-  
ყრობა ვერ შეძლო, გიას მისალმებაც  
ვერ მოახერხა.

— როგორა ხარ, გია?! — დაიძახა  
კარგა ხნის შემდეგ.

— ვარ ასტრალურ მდგომარეობაში!  
— სწრაფად უპასუხა გიამ, გამოცალ-  
კევდა, ნიკა გადაკოცნა, სწრაფადვე  
შებრუნდა, თუმცა საერთო ლაპარაკში  
მონაწილეობა აღარ მიუღია. მოთეთრო  
საწვიმრის ცალი საყელო აიწია, ნიკა-  
პი კაშნეს გაუსვა და ჯიბეებში ხელებ-  
ჩაწყობილი და თავგადაყანთრული მი-  
აჩერდა მოწითალო სახის ლექტორს,  
ტყავის საქალღდე რომ ჰქონდა ამო-  
ღლივებული. ლექტორი შეცბა, უხერხუ-  
ლად შეიშმუნა, გაიღიმა, შებრუნდა,  
მოიხედა და ისევ იმავე მზერას გადა-  
აწყდა. მიყურებს და ვერ მხედავსო,  
გაიფიქრა გაოგნებულმა.

ნიკა რედაქტორის კაბინეტს მიადგა.  
რედაქტორი გურამს ეთათბირებოჭ-  
და. მდივანი გაფრთხილებული ჰყავდა,  
არავინ შემოვიდესო, მაგრამ ნიკას და-  
ნახვა გაეხარდა და შევბაც იგოძნო.  
ერთი ერთზე კაცთან დარჩენა, მითუ-  
მეტს — ბენდუქაძესთან, ვერასოდეს  
საერთო ენას რომ ვერ პოულობდა,  
ყოველთვის უჭირდა.

ნიკამ ჩვეულებისამებრ მოარიდა თვალი ორთავეს და ხელგაშვერილი, თითქოს არაფერს გავედოო, წამოვიდა. ღიმილით ჩამოართვეს ხელი სათათბირო მაგიდას მიყრდნობილმა, დაფიქრებულმა უფროსებმა. იდგა ნიკა, იღიმებოდა და გვერდზე იხედებოდა. გზად და ხილად იყო გადებული უფროსებსა და უმცროსებს შორის, ერთგანაც იოლად ნახულობდა საერთო ენას, მეორეგანაც.

რედაქტორს, მაგალითად, ბევრი რამე არ ესმოდა ამ ქვეყნად, არც დარდობდა, არცოდნა არცოდნად მოაჩნდა, გამოცანად გაჩენილ ქვეყანას გამოცანადვე ტოვებდა, მაგრამ ელემენტარულ თავსატეხებს ვერ იტანდა. რატომ აყვირებდნენ, ახალგაზრდები, თუნდაც შინა შეილები უმოწყალოდ მაგნიტოფონს, რატომ არ შეეძლოთ მუსიკის ხმადანაღმა მოსმენა, იმასაც ვერ ხედებოდა, თუმცა რაღაც ზოგადი და ბუნდოვანი დასკვნები, როგორც ყველაფერიდან იმ ფაქტიდანაც გამოჰქონდა. როგორც ჩვენ ვერ ვაივებთ რატომ აღრიალებენ მუსიკას მაგნიტოფონს ვერ ვაივებენ, რამე ვაგვიჩინაო ყურთასმენაო, უხსნიდა გურამ ბენდუქაძეს ნიკას შემოსვლამდე. მართალი ხარო, თავს აკანტურებდა გულზე ხელებდაწყობილი, მაგიდის ძვიდეს გავით მიყრდნობილი ბენდუქაძე და ღიმილით მიჩერებოდა ნიკას, რომელსაც რედაქტორისაც ესმოდა, რედაქტორისა და ბენდუქაძის შეილებისაც გაეგებოდა. ყოველ შემთხვევაში, ხმამაღლაც უსმენდა მუსიკას და ხმადანაღლაც.

უდროოდ დაღუბული ახალგაზრდა მწერლის ბეჟან შელიძის შემოქმედებაზე საუბრობდნენ სალაპარაკოს შემოღევამდე. გურამის დაფინებული მოთხოვნით, ადრევე, წინა წლის ბოლო ნომერში, გამოაქვეყნეს ბეჟან შელიძის ორი ნოველა, ორი ჩანახატი თუ ეტიუდი და ეს იყო სულ, რისი დაბეჭდვაც რედაქციის და რედაქციის აზრით იმ ეტაპზე შეიძლებოდა. შემდგომად ამისა, დაღუბული მწერლის ახლობ-

ლებმა, მეგობრებმა, მათ შორის მწერლებმა, მწერალს რომ ხეირიანად არ იცნობდა, საწიგნოდ გადაარჩიეს და გაამზადეს გარდაცვლილი ავტორის მცირე მემკვიდრეობა; ნაწილი აქედან, დაახლოებით მეოთხედით, კვლავ ეურხალში წარმოადგინეს და რედაქტორს ახალი სატირალი გაუჩინეს.

— ვკითხვით, რას გვიჩვენებს, ბეჟან შელიძის მეგობარი იყო ესეც... — სერიოზულად უთხრა რედაქტორმა გურამს.

— მე რა ისეთი მეგობარი ვიყავი, — თავი დაიმდაბლა ნიკამ. — მეგობარი თუ გინდათ, იქა დგას მანძის ოთახში, გია გომარელი. განუყრელი ძმაცაცები იყვნენ. რა უნდა აქ არც ვიცი, პირველად დავინახე.

— ლექსები მოიტანა. — ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ უთხრა გურამმა.

— ლექსები? — ნამეტანი გაიკვირვა ნიკამ.

— იცნობ შენ? — დაინტერესდა გურამი.

— ეის, გიას? როგორ არ ვიცნობ... რატი არ იცნობს რო, თქვენი რატი.

— რა კაცია?

— გია? კარგი ბიჭია. ბეჟანის ძმაცაცო იყო, შელიძის. ლექსებსაც მწერდაო კი, გამოვიცა, წაკითხვით არ წამოიკითხავს, აქებდნენ კი, ახლა მახსენდება. ხელში ეჭირათ მთელი ვაკე-საბურთალო შიგას და საწყალ ბეჟანს.

— რომელ ბეჟანს? — გამოცოცხლდა რედაქტორი.

— ბეჟან შელიძის... — ხმას დაუწია ნიკამ.

— ბეჟანსაც, კაცო!? — სათაღე გაისწორა რედაქტორმა. შეწუხდა თუ გაოცდა, ნიკამ ვერ ვაივო.

— ბეჟანსაც კი... — დაადასტურა ნიკამ. — ამას გია ქვია. იცნობთ თქვენც?

— მე არა. — ამოიხენესა რატომღაც რედაქტორმა.

— ლექსები მოიტანა. — თქვა მოგვიანებით გურამმა.

— ნიკაიერი ბიჭია, დაქერილიც იყო.

მაგან ხომ კაცი დაჭრა, რა მოსაჯენს არ ვიცი, როდის გამოუშვეს, არც — ის. მაგარი ვილაყაა. — ეს ორი სიტყვა ნიკამ ხაზგასმით წარმოთქვა, თუმცა უფროსებისათვის თვალის გასწორება მაინც ვერ გაბედა.

ახალ შეღამებულს მოვიდა გომარელი. ჯერ კარს მოაწვა, შემდეგ დარეკა ზარი. რატის კითხულობდა. არ არის შინო, ეუბნებოდა დიასახლისი და კარს ბოლომდე არ აღებდა, არც სტუმარი აპირებდა უკან დახევას. თავი და გრძელი კისერი ჰქონდა შემოყოფილი პოლში და ღიმილით იხედებოდა აქეთ და იქით კი არა, — ზევით და ქვევით.

— ვინ არი?! — დაიძახა კაბინეტიდან გურამმა.

— რატის კითხულობენ! — უბასუხა დაბნეულმა ქალმა.

— მე ვარ, გურამ ბიძია! — ცალი ბეჭიკი შემოიტანა ღრეჭოში.

— შემოვიდეს!

ქალმა უკან დაიხია, როგორც იქნა. გია სწრაფად შემოვიდა, ხელები მოიფშვნიტა კართან, საწვიმარი დაკიდა, ღუნღულა, მაგრამ გვარიანად გაცვეთილი კაშნე საწვიმრის დალაქავებულ ჯიბეში ჩატენა, ბეჭებში წახრილმა მჩატედ და მზიარულად გაუხვია კაბინეტისაკენ, რომლის გზა არავის უსწავლებია და მიუთითებია.

მეზობლის ბიჰს ეთამაშებოდა ჰადრაკს გურამ ბენდუქაძე. თამაშით გადაღლილს წამოდგომა გაუჭირდა, თუმცა სტუმარს ეტიკეტის ნორმის დარღვევისათვის ყურადღება არ მიუქცევია, დაფას დააჩერდა შემოსვლისთანავე, წამსვე შეაფასა პოზიცია და წაუგია თეთრებსო, თქვა ბეჭების რხევით და ქსიტინით.

— მართალია. — დაეთანხმა თავდახრილი გურამი. — დაჯე, გია!

გია გურამის პარტნიორს ბესოს დააჩერდა. ბესომაც ამოხედა დიდა, ნათელი, მრგვალი თვალებით. თეთრ ლაზერს გზა აღარ აქვსო, უთხრა, პაიკს

გავწევ, ეტლს გზას გავუხსნე და წიკვას გამოვუყვანო. კარგა ხნის დაწყებული ლაპარაკი განაგრძო თითქოს და გიას პასუხს დაელოდა ურუბდაცქვეტილი. გია კი მოულოდნელად დაჭდა, რბილ სავარძელში ჩაეფლო და მუხლისთავეებზე ხელუბდაწყობილმა ზევით აიხედა.

— მოდი, თქვენ ითამაშეთ, მე წავაგე! — წამოდგა გურამი.

გია ფიგურები აშალა გრძელი, გამხმარი თითებით და აეურატულად, თუმცა კაკუნით შეუღდა დალაგბას გურამი საწერ მაგიდასთან დაჭდა, სათვალე გაიკეთა და კითხვა დაიწყო უგულისყუროდ.

— უშანგიძე კვდება თურმე, გურამ! — უთხრა ბესომ.

— აბა! — თქვა გურამმა.

— საქმეა მერე ეს? შეიძლება ადამიანმა ვერაფერი მოასწრო ამ ქვეყანაზე?

ამ კითხვაზე მასპინძელს პასუხი აღარ გაუცია. ბესო დაოჯახებას აპირებდა და თავადაც მოსასწრებად ჰქონდა საქმე. ცოლი აუცილებელიაო, ეუბნებოდა უფროსებს. თანატოლებთან ნაკლებ გულახდილი ვახლდათ, თუმცა არც იმათ უმაღადა განზრახულს, სკოლა ძლიველივობით დაამთავრა. დაამთავრებინეს, უფრო სწორედ და ეს იყო და ეს. სწავლის გაგრძელება არც უცდია, რადგან თავადვე მიხვდა, ეს რომ მეტისმეტი იქნებოდა. ნეტავი ის შემჩნებოდეს, რაც ვისწავლეო, ამბობდა. მუსიკალურ სახელოსნოში დაიწყო მუშაობა. იშვიათი სმენის პატრონმა ხელობა იოლად აითვისა. თითქმის ყოველგვარ მუსიკალურ ინსტრუმენტს (თუ კი ოსტატი გზაზე დააყენებდა) აწყობდა და ანახლებდა ფაქიზი ყურით და რბილი ხელებით. საღამორეღე, თუ კი მეზობელს არ გადააკითხავდა, შინ იჯდა. ავღრიან ამინდში სითბოში და სიმყუდროვეში რადიატორთან მოკალათებული უსმენდა მუსიკას და ხატავდა ფუმფულა, წითელკუდიან მელიებს. წითელი მელიებით იყო გადაფე-

რადებული მაგიდა და ფანჯრის თბილი რაფა.

გიამ პირველი ხელი წაავო. რამდენს ფიქრობს, ვინ უოფილა ესო თქვა და უიმედო პარტია აშალა: გამხმარი, დაძარღვეული ხელის მტევნით გახვეტა ფიგურები და ხელახლა დაალაგა კაქუნ-კაქუნით.

— მე ვფიქრობ ბევრს? — იკითხა ბესომ და გურამს მიაჩერდა; მოიხედა და დაფა გაწყობილი დაუხედა. რამდენიმე ფიგურა გაასწორა მაინც ფრთხილად, ცალი ბეჭი ჩამოუშვა ძირს და გაჩერდა.

— პირველ სვლაზეც ფიქრობ!

— მე ვფიქრობ?

ბესო გიაზე ცუდად თამაშობდა, მაგრამ უხეშ შეცდომებს თავად არ უშვებდა და სხვა არ პატიობდა. ასაკუნანა და მოსაკლავს არ ინდობდა. ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე მიაპორწიალებდა ხოლმე ლაზიერს, თუმცა პირველსავე თხოვნაზე აბრუნებდა, რაც მართალი მართალია.

მეორე პარტიაც მოიგო.

— რატი არ არის, გურამ ბიძია? — იკითხა გიამ. შავ და თეთრ ფიგურებს ერთდროულად წაეპოტინა და არეულდარეულად დაიწყო დალაგება.

— რატი არ არის, არ მოსულა... —

უპასუხა კედელზე ბეჭით მიყრდნობილმა, ტახტზე გადაქაჩულმა ბესომ. აშკარად აღარ უნდოდა თამაში.

— რამდენს ფიქრობს, ეს ვინ უოფილა!

— მე ვფიქრობ? — გურამს მიაჩერდა გაოცებული ბესო.

აღლო აუღლო, როგორც იქნა, გიამ პარტნიორის თამაშს და ფიგურა შესწირა დასაწყისშივე. ბესომ საჩვენებელი და ცერა თითით აწიანობათი და გახევედა. გულმა რეჩხი უყო, თუმცა პოზიცია სანახევროდ ვერ გაშიფრა. თავდაბრილი ფიქრობდა და რბილ თითებში მომწყვდეულ თეთრ ეტლს აქანებდა. გიამ ხელი ხელზე დაარტყა და ეტლი გააგდებინა.

— ვა! — წამოიძახა გაოცებული ბესომ.

— თავში ქვა! — უპასუხა გიამ.

— ე! — წაიყუზა ბესო და დაბალი მაგიდის ქვეშ შეგორებული ეტლი გამოიღო წვალეებით. ისევ დაფას დააჩერდა, დაფიქრდა, თეთრი ეტლი კვლავ ორ თითშუა დაიჭირა, გააქანა, გამოაქანა და დაკრა გიამ ხელი გამეტეებით.

— ვა! — თქვა ბესომ და გაბზრიანულბულ ეტლს გააყოლა თვალი.

— თავში ქვა, ვერ ხედავ, რომ წააგა!

— ახალი დავიწყეთ მაშინ! — დაიძახა მაგიდის ქვემოდან, ეტლი გამოიღო წვალეებით, ქსიტინით და ხენეშით.

— აღარ გინდა! — ურჩია გურამმა.

— ერთხელაც ვითამაშებთ! — გაჩიუტდა ბესო.

მესამე სვლაზე უსაჩუქრეს ლაზიერი. ხომ არაფერს მიწყობნო, შეჩქვიფდა ბესო; ტყუილა რომ არაფერს აძლევდნენ, მიხვდა და მაინც დახარბდა. ლაზიერი ფრთხილად აიყვანა, მუკში გაიჩერა ცოტა ხანი და ორ რბილ თითსშუა მოიქცია სულ მალე, თითებშივე გაატოკა და ტკიცა კიდევ ხელზე ხელი პარტნიორმა. შავმა ლაზიერმა სადღაც კარადის უკან მოადინა რახვანი.

— მე ხომ იცი, შინაგანად ნერვიული ვარ! — უთხრა გიამ ბესომ.

— ვა!

— თავში ქვა! — სწრაფად მიაგება გახარებულმა. — გინდა კიდევ?

— საკმარისია, — წამოდგა გურამი, — მორჩით, აქ შამათია ორ სვლაში, არ უნდა აგეყვანა... — ჭადრაკის დაფა დაკეცა და წიგნების თაროზე შემოდო. დაჯდა და სათვალეს დაუწყო წვალეზა ღიმილით. იმ ინციდენტს იხსენებდა და სიცილს ძლივს იკავებდა. დაფოთლილ ხალათში გახვეულმა დისახლისმა შემოაღო კარი და იქვე გაჩერდა კუშტი მზერით.

— არ მოსულა, ხომ?

— არა. — მოიღუშა გურამიც.

— ჩვენც ველოდებით! — უთხრა ბესომ.

ქალი ამ სიტყვებმა გააღიზიანა თითქოს, უსიტყვოდ შეტრიალდა, წავიდა და ზურგსუკან რომელიღაც ოთახის კარი გაიხურა ხმაურით.

გია ისევ სათამაშო მაგიდასთან იჯდა გაუნძრევლად, თვალგაბრწყინებული იხედებოდა პარტნიორისაკენ, რომელიც ნელ-ნელა მიიჩქვოდა მარჯვნივ, მასპინძლის საწერი მაგიდისაკენ.

— უშანგიძე კვდებაო, გურამ, რომ გითხარი, მართალია?

— მართალია ალბათ... — სიგარეტი ამოიღო გურამმა უჯრიდან.

— შეიძლება! — ხელი გაიშვირა გიამ.

გაუხსნელი კოლოფი გადაუღო და საფერფლეც გაუწია.

— ათასი ბოროტი და ბნელი დადის ამ ქვეყანაზე და უშანგიძე ქე კვდება! — უშანგიძეს მიაცივდა მაინცდამაინც და მრგვალი თვალები გაუბრტყელდა რაღაცნაირად.

— აქაური დანაშაულისათვის, აქ ჩადენილი ცოდვებისათვის კაცი აქ არ ისჯება, — შენიშნა გიამ. სიგარეტს ეწეოდა და კიდევ იქით იხედებოდა, საითაც მოწინააღმდეგე დატოვა.

— აბა სად? — დაინტერესდა ბესო.

— იქ და აქ... მეორედ მოსვლის შემდეგ.

— რომელი მოსვლის შემდეგ? — კრემლი მოერია ბესოს, ოთახში დამდგარმა ბოლმა აუწვა თვალები.

— მეორედ მოსვლის შემდეგ. — გაუმეორა გიამ.

— მეორედ მოსული ყოფილა აბა, უშანგიძე, არ ვიცოდი, სხვათა შორის... — გაიცინა ბესომ, რბილი თითებით მოიგერია სიგარეტის იისფერი კვამლი.

— აქ რომ ადამიანი იტანჯება ჩემსავით წინა ცხოვრებაში ჩადენილი დანაშაულის საზღაურს იხდის და უკვირს, რა შევეცოდე, რა დავაშავო. აქ კი არ შეეცოდა, აქ კი არ დააშავა, — იქ!

— სად იქ? — უკან მიიხედა ბესომ.

— წინა ცხოვრებაში. გარკონისა და  
გიგაშვილისა

— იქით გააბოლე, თუ შეიძლება... თუ აღრე არაფერი დამიშვევია, აქ რაც უნდა ჩავიდინო პასუხი არ მომიკითხება?

— აქ არა.

— იქ! — წამოიყვირა ბესომ. აღარ იცინოდა.

— იქ და აქ, მეორედ მოსვლაზე!

— მე კაცობა მწამს, მეტი არაფერი.

— რისთვის გაჩნდი ამ ქვეყანაზე?

— მე? — გულზე ხელი დაიდო ბესომ.

— ვთქვით, შენი!

— ვთქვით? იმიტომ გავჩნდი, რომ უნდა გავჩენილიყავი!

„ამომწურავი პასუხი გასცა!“ — სათვალე წიგნში ჩადო გაოცებულმა გურამმა.

— უნდა გაჩენილიყავი? — ამ პასუხს გიაც არ ელოდა, ეტყობოდა. — რა საჭირო იყო, მერე, შენი გაჩენა?

— ჩემი? — ბოლო მარცვალი გაწეულა და კითხვის ნიშანი გაუორმაგა.

— შენი. — უხალისოდ შეეპასუხა და დაამთქნარა კიდევ.

— რომ მეცხოვრა კაცურად, ადამიანურად, ადამიანურად კი არა, ადამიანად, კარგისთვის კარგი უნდა ქნა, კარგი უნდა თესო...

„სიკეთის თქმა უნდა!“ — მასპინძელმაც დაამთქნარა.

— ჰქმენი სიკეთე და დატკბი შენი ნამოღვაწართო, ესეც ნათქვამია, მართალია, მაგრამ სიციცხლის პრინციპი რაშია, თუ იცი?

— სიციცხლის?

— გონიერი არსება რატომ გაჩნდა?

— გონიერი? ვერ გეტყვი, ასე უცბად ვერ გიპასუხებ, კაცობა მწამს-მეთქი, გითხარი!

მასპინძელმა ისევ დაამთქნარა მისდაუნებურად და პირზე ხელიც აიფარა, თუმცა სტუმრებს არ მორიდებია მაინცდამაინც.

— მე რა ვიცი რატომ გაჩნდა გონიერი არსება?.. — თვალები დაუმრგვალდა ბესოს კვლავ.

— არც მე ვიცი! — უთხრა გიამ. წამოდგა და მაღლიდან დააჩერდა.

— არ იცი? შენ თუ არ იცი, აბა, ვის ეცოდინება! — გაიცინა, ზევით აიხედა და უცბად გახევდა, ყველა კუნთი გაუშეშდა სახეზე. ბოლში გახვეული მოკამათის გაბურძღვნილი თავი დაინახა ჭერში.

არაფერი არ ვიცით და არც გვეცოდინებაო, ამტყიცებდა ჭერზე ჩამოპოჩრწიალებული თავი. ჩვენი მოდგმის გენები და უჯრედები სხვანაირად არის დაპროგრამებული და სიცოცხლის პრინციპის ახსნის კოდი არ დევს შიგო. აღამიანმა თავისი გაჩენისა და არსებობის აუცილებლობა რომ ირწმუნოს, თავისივე სიცოცხლის პრინციპს ვერ გაიგებსო.

— რა პრინციპს? — ამოიყნავლა ბესომ.

— გონიერი არსების არსებობის პრინციპს... — ეკაცის თავი ჩამოუშვეს ჭერიდან და ბოლიც გაიფანტა. გაბურძღვნილი, წვერგაუპარსავი თავის ტანი ხელების ფშვინებით და ძაგძაგით მიდიოდა, პოლში იფუთნიდა კაშნეს და მოთეთრო საწვიმარს იცვამდა. საკუთარი ლექსების ბედით თუ უბედობით არ ინტერესდებოდა, აღარც რატის კითხულობდა, აღარც მასპინძელს ეშვილობებოდა, გრძელი ნაბიჯებით ჩარბოდა კიბეზე, ქვედა სართულის მორყეული მოაჯირის ზანზარი ამოდიოდა ზევით.

— ეს ბიჭი გიგი ხომ არ არის? — იკითხა ტახტზე წამოწოლილმა, კედელზე ცალბეჭვილებულმა ბესომ, როცა მასპინძელი უკანვე შემობრუნდა.

— ეგეთია, როგორც ჩანს... — ჩაილაპარაკა გურამმა.

— ეგეთი ვარ მეც, თუ უნდა ვამეჭიბროს, რაშიც უნდა, იმაში! — გულახდილად აღნიშნა ბესომ.

გრძელხალათიანი, ნელსაცხებლებით სახეპარიალებული დიასახლისი ჩამდგარიყო კარში და ბესო რომ გიას ეჭიბრებოდა, ანთებული თვალეებით უყურებდა ქმარს. ბესომ მოგვიანებით შე-

ამჩნია დიასახლისი. გაწეწილ-წითელკბამას შეხედა პირველად. ქალის გამოხედვა არ მოეწონა, მხარი შეიბრუნა, ერთი ბეჭი მოაშორა კედელს და მეორე მიადო.

— რა უნდოდა? — გამომწვევად იკითხა ქალმა.

— ვის? — ვითომ ვერ გაიგო, ვისზეც იყო ლაპარაკი.

— რა ვის, რას წამომისვი აქ, რაზე მოვიდა?!

— მე დაიბარე.

— დაიბარე!.. არ არის რატი-მეთქი, ვეუბნები, ეს იძახის, შემოვიდესო. ტელეფონსაც ეუკიდებ ხოლმე, ხმაზე ვცნობ. არ ჩანდა, რა ხანია, ახლა საიდან გამოტყვრა. ერთი გაიკითხე, რა სახელი ქონდა, რატომ არ გაინტერესებს, შენს უსაქმურ შვილს ვისთან აქვს საქმე?

— ვისთან? — ახალ სიგარეტს მოუკიდა აუჩქარებლად.

— მამა ვარო, შენც იტყვი, შენ ადგილზე არ უნდა იდგე ოჯახში? როგორ უნდა გაგიბედოს, როგორ უნდა გყადროს, როგორ უნდა შემოგივიდეს ამ რეპუტაციის ახალგაზრდა ბინაში. რა სახელი აქვს, რა სახელი! ამნაირი სახელი ექნება ჩვენსასაც, შენ რა გგონია. ამნაირი მშობლის მყუერებელს ვერც გაამტყუნებ. ასე უმზერენ ალბათ ჩვენსასაც, ამასთან რომ დაინახავენ, აბა რა იქნება... — სიბრაზისაგან ხმა ეხრინწებოდა და ახველებდა დროდადრო.

— მშვენიერი ყმაწვილია. — თქვა მოულოდნელად ბესომ.

— ვინ არის მშვენიერი?! — ჩაახველა და ჩაიხიჩინა ქალმა, რა მომივიდაო, გაიფიქრა ნერვებმოშლილმა.

— აი, ის, რა ქვია, გია. განათლებული ახალგაზრდაა, ცოტა მაღალია; ნიჭიერი, მე პირადად ძალიან მომეწონა, მასეც არაა საქმე, შენ რომ მსჯელობ, ნათელა!

— ის მე ვიცი, როგორც არი და საერთოდ, ვინ მოგცა უფლება, ცოლქმრის ლაპარაკში რომ ვრევი. რა დროა

ახლა თუ იცი, დარეკა კიდევ დედაშენმა!

— მე წავედი, კარგად იყავი! — უთხრა გურამს ბესომ, წამოდგა, შარვალი გაისწორა, გავიდა, რბილად გახსნა ინგლისური გასაღები, უხმაუროდ გააღო და გაიკეტა კარი.

— რა გინდოდა იმ კაცთან? — წყნარად უთხრა გურამმა ცოლს.

— ვინ კაცთან, ბესოსთან? რა მინდოდა, არაფერი. მართლა დარეკა დედამისმა... თვითონ ვერ უნდა მიხედეს, წასვლა ვერ უნდა მოიფიქროს! მაგას ვებოდიშები, მეტი არა მაქვს საქმე, ჩემი დარდი და სატყვიარი არ მეყოფა ვითომ. ჭერ ერთი როგორ გიბედავს შენობით ლაპარაკს, თუმცა უარესს რომ არ გიშვებდა, ის მივივრის. აღარ დააყენე იმ ბინასაც საშველი, აღარ დააყენე და აღარ დააყენე. ყველამ მოამთავრა რემონტიც და სუყველაფერიც. ჭერ ერთი რა ბინაა... საღლაც დასაკარგავში, სხვენში. ლლაპებს მისცეს უკეთესი ბინები. იმათ სულ არა აქვთ და იმიტომ, ჩვენ გვქონდა იმათხანობაზე? გადაგვადგეს იმისიშორეს, ბოლო სართულზე... საცოლზე ბიჭისათვის უკეთესი ვერ უნდა აგვეშენებინა. ფული შევიტანეთ ბოლოსდაბოლოს, ტყუილა ხომ არ მიგვიღია სხვებსავე... რაც არი არი, რალას დავეძებ, მორჩენილიყავი ოლონდ, მოყვითავრებინა, ოლონდაც აღარ დაადგა იმ უნიტაზსაც საშველი, აღარ დაადგა და აღარ. მოიტანე ის თეთრი უნიტაზი. იყოს თეთრი, თეთრი და უბედური უნდა შეგახვედრონ მაინც. ერთი თვითონ წაიღებდნენ თეთრს და გატეხილ უნიტაზს, დაიტაცეს კარგი უნიტაზები... უნიტაზი კი არა მაგათ ის არ გააძლებს. მორჩი როგორც გინდა. გადაეთრეს იქნება თავის ბინაში და შემდეგ უნდა შეუღამებე მოვიდეს, უნდა დილით გამოცხადდეს, სულაც ნუ მოვა, მაგ მე აღარ ვიღარადო, სხვაეც მყავს მე შვილი გასაზრდელი...

ტელევიზორის ფერადი ეკრანი ციმციმებდა კვლავ ლოჯიაში. რბილ საგარძღებში მოკალათებული დედა და გამოთხოვილი ქალიშვილი მისხდომოდნენ ტელევიზორს. დედას თხელი ღაზლიც კქონდა მოხურული. ბესო თავის ოთახში გავიდა და მაგიდას მიუჯდა. უჭრიდან ამოალაგა თეთრი, ხაოიანი ფურცლები, ფერადი ფანქრები; წითელი ტუში და კალამი მოიწია ახლო. ყვითელი ფლომასტერი მოიმარჯვა და კინალამ ხელის ერთი მოსმით დახატა მელოა.

„რისთვის გაჩნდი ამ ქვეყანაზე?“

„მე?“

„ხო, შენ!“

„რისთვის გავჩნდი?!“

მელიას აფერადებდა. რბილ კუდს უწითლებდა მსუყედ.

„...იმიტომ გავჩნდი, რომ უნდა გავჩენილიყავი, გვგონება, მკითხა ვინმემ, გინდა თუ არა გაჩენაო. არც მეორედ მოსვლას შემეკითხებთან, ისე ვატყობ!“

გურამ ბენდუქაძეს არ ეძინა. ძილდიძილში ბორგავდა, წუხდა. სიცოცხლის პრინციპი, გონიერი არსების გაჩენის აუცილებლობა გაუგებარია, მისი ახსნა ჩვენი გონებისა და შემეცნების ფარგლებისათვის მიუწვდომელიაო. რომელიღაც ფილოსოფოსის ცნობილ დებულებას იმეორებდა თავისებურად ის ბიჭი. შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად გურამი თავადაც იზიარებდა ამ შეხედულებას და მაინც (გონიერი არსებისათვის რომ თავი დაგვენებებინა) რაში მდგომარეობდა მართლაც სიცოცხლის პრინციპი? სიცოცხლე მხოლოდდამხოლოდ სიცოცხლისათვის? სხვა პრინციპი არ არსებობდა? ალბათ არა! სიცოცხლე სიცოცხლის უწყვეტი მდინარებისათვის. დროის ცისფერი სხივი მიაქროლებდა სიცოცხლეს და არავის და არაფერს არ შეეძლო სიცოცხლის გაწყვეტა, აჩქარება ან შენელება. ამ სხივს მიყვებოდნენ ყველანი და ემსახურებოდნენ ერთად-

ერთ — სხივის არ გაწყვეტის მარადიულ იდეას. ეს მარადიული სრბოლა ჩაუჭრობელი სხივისა, პარამონია გაუნელებელი ფეთქებისა, პულსაციისა იყო სიცოცხლის პრინციპი, პრინციპი მოძრაობისა, შობისა, გაჩენისა და გარდაცვალებისა. დროისა და სიცოცხლის სხივს, მარად მბრუნავ ცისფერ ბორბალს მიყვებოდნენ, მაგრამ უბრუნდებოდნენ თუ არა კვლავ საწყის მდგომარეობას, არავინ უწყოდა. იქნებ ბრუნდებოდნენ სხვა სახით, სხვა ფორმით და იქნებ მართლაც არაფერი არ იყო არაფრის იქით. თუ მართლაც არაფერში მიდიოდნენ და ველარაფერში დაბრუნდებოდნენ, მაშინ გონება, დამდგენელი არარაობის ჭეშმარიტებისა, რაღა საჭირო იყო? სიცოცხლე სიცოცხლისათვის, მაგრამ გონება რისთვის? არარაობის შეგრძნებისათვის მხოლოდ-დამხოლოდ? ხმაური შემოგსმა, ვილაც შინ შემოსვლას ითხოვდა, კარს აწვებოდა და აჯაგურებდა, ჭაჭვ-ბოქლომს არაჩხუნებდა, საკეტებსა და ანჯამებს აჯახუნებდა. კარს აწვებოდნენ თუ რკინის ჭიშკარს? ჩაძინებოდა. შეფხიზლდა. ჩქამი არ გაჰქონდა არაფერს. ტრანსპორტის შორეული ხმაც კი აღარ ამოდიოდა. მიაყურა და გაბმული შრი-ალი მოწვდა მაინც სმენას. შეიძლება წვიმდა, შეიძლება ქარი ხშიანობდა. ცხრა პირი ჰქონდა მარტს, ქარს წვიმა ცვლიდა, დარს — ავღარი, მაგრამ ეს რაჯგა-რუჯგი საიდან მოისმა?

„იქნებ რატი მოვიდა!“

გაბურბუსალებული წამოდგა, შიშველი ფეხებით გაიარა ჰოლი, სადარბაზოს ჩადუმებულ კართან დადგა, საჭვრიტინეში გაიჭყიტა ცალი თვალით და მკრთალად განათებულ სადარბაზოს გახედა. გახეთის ნახევს ათამაშებდა ქარი კიბეზე და ის ნახევი სადღაც დასაკარგავში ჩანდა. გამობრუნდა, ფანჯარასთან გაჩერდა და ქალაქს გახედა. გამოფხიზლდა. სიგარეტი მოიძია, მოუკიდა. ბავშვობისას, ომის დროს და ომის შემდგომ სხვა უბანში, უფრო სწორედ, გარეუბანში, საავადმყოფოს

გვერდზე ცხოვრობდნენ. შეთავაზდნენ მოადგებოდნენ ზოლმე ალყაფის კარს. დაღბინებულ კაცს რა მოიყვანდა იმ დროს. ან ავირაში მოხვედრილ მგზავრს მოარბენინებდნენ ან ქუჩის ჩხუბში დაჭრილ ახალგაზრდას. ნასვამ ყარაულს მკვდარივით ეძინა ჯიხურში, ანდა სულაც სადღაც იყო გადაკარგული. დიდ ეზოში მიმოფანტულ შენობებს კი ჭიშკრიდან თვალს თუ გააწვდენდი მხოლოდ. ჭაჭვით ჩახიბლიხვანჯარებულ, უზარმაზარ ბოქლომიან ჭიშკარს აწვებოდნენ, ანჯღრევდნენ, აზანჯარებდნენ, ყარაულსა და მორიგე ექიმს უხმობდნენ. უბნის ძაღლები ერთდროულად ყუფდნენ ამ ხმაზე. ეს გნისი და ჭიშკარზე ჭაჭვურის შემზარავი ხმა ედებოდა დაზაფრულ უბანს.

„...მაგრამ მას შემდეგ რა ხანი გავიდა... საიდან დაბრუნდა ეს შორეული, ოდესღაც გადაკარგული, სამყაროს ბრუნვას შეერთებული ხმა?!“ გულისწყვეტით გაიხსენა ის დღეები, აღმადალმა წაუვიდა ფიქრები, შეცივდა, შეაერყოლა, გამოერკვა და განათებულ სახლებს დააჩერდა. კიდევ არ ეძინათ. შეიძლება არც ისეთი გვიანი იყო. გრძელაივნიანი სახლკოლოფები იყო მიწყობილი ერთმანეთზე. დატიხრული აივნები ფიჭვის სკების ლავგარდნს წაავავდა შორიდან. იზოლირებულ ბინებში იწვნენ, სიზმრებისაგან სულშეხეთულნი შფოთავდნენ, ვნებაღვანებული ეხვეოდნენ ერთმანეთს, თამაშობდნენ, სვამდნენ, სადღეგრძელოებს იხსენებდნენ; ზოგი გაჩენას ელოდა, ზოგი — სიკვდილს. ერთ-ერთ სადარბაზოსთან მწვანეშუქაჰიატებელი სასწრაფო დახმარების მანქანაც იყო ხირონის ტაქსივით გაჩერებული. სიგარეტის ნამწვი გადაავლო ღია სარკმლიდან, დაწვა, დაეძინა. საშინელი ძალით ეჯაგურებოდნენ კვლავ რკინის სერსეროსს. ხათქა-ხუთქით ეხლებოდა ჭაჭვი—ჭაჭვს, რკინა — რკინას, დაეანგული ღერძი ვარდებოდა ანჯამის დაუხეთავი ბუდიდან და ისევ შიგ ჭდებოდა ჭახანით. ვილაც შეველას ითხოვდა, ვილაც გამკითხავს უხმობდა.

ისევ დააჰყიდა თვალი, მიაყურა, კვლავ შრალი იყო. ეტყობოდა, ახლა მართლა წვიმდა. წვიმის ფარდა ეშვებოდა, იკეცებოდა და იშლებოდა ფანჯრებთან. ისევ ადგა. შეშფოთებულმა შეიხედა მეორე ოთახში. რატის ეძინა. ქუჩიდან შემომკრთალი ღამის ქალაქის შუქი ეფინა ნერვიულ სახეზე.

„მოსულა, ვახ, შენი!“

გვიან ადგა. რატის კვლავ ეძინა. ცას მოეწმინდა. მზეც ამოსულიყო. აივანზე მაინც ციოდა. გამოუძინებელს და გამობენტრებულს პირი ჰქონდა ამოკალული უზმოზე მოწეული სიგარეტისაგან.

გარეთის კარი გააღო უხალისოდ. ზანტად მოათვალა იქაურობა. მეზობლის ბიჭი ჩამქდარიყო სველი ქვიშის ძირას. ვებერთელა ლოდს ებლატებოდა. წვრილი მკლავებით.

— რას აკეთებ, გია? — იკითხა მთქნარებით.

— ჰიანჭველები უნდა დავხოცო.

— ვახ შენი, არ ეშვება ამ ჰიანჭველებს... მომკლა ამ სიგარეტმა. სკოლაში რატომ არა ხარ? — ნაშწვი მოისროლა.

— დაგვიტოვებს. — მოკლედ უპასუხა გიამ.

— რატომ ზოცავ ჰიანჭველებს?

— ნერვებს ვიწყნარებ.

— რას შვები?

— ნერვებს ვიწყნარებ... — წაიშლურა ბიჭმა.

— რა დროს შენი ნერვებია, შე ვირისათო!

— მასე გეგონოთ თქვენ!

დიდი ცხვირი ჰქონდა ცხრა წლის ბიჭს. სქელი წარბები და ზუჭუჭი თმა უმშვენებდა შავგვრემან სახეს. დასრულდებოდა, როცა იქნებოდა, დაკაცდებოდა, კიდევ უფრო დაუგრძელდებოდა ხორთუმი, სხვა ნაკეთებიც შესაბამისად გაეზრდებოდა და ეგ დარჩებოდა რაც იყო, გარეგნულად არ შეიცვლებოდა. ამდროინდელ ფოტოსურათს რომ დახედავდნენ დიდი ხნის შემდეგ, გაოცებულ-

ნი ვერ იტყოდნენ: ხედავს შენ, რატომ გამოცვლილა, რანაირი ყოფილა ბავშვობაშიო.

„ყველაზე მეტად მიყვარდა ჰიანჭველების ზოცვა, რა იყო მაინც, რო დაცხებდი!“

ამოატრიალა, როგორც იქნა, გიამ ქვიშის ძირას დაგდებული გლუვძირა ლოდი, მიწითა და წითური ჰიანჭველებით გაყავისფერებული ფერდი გამოუჩინა, წინასწარ გამზადებული და გადამაღული, გაპრიალებული ფილთაქვა დააბრო და დაცხო წითურ ჰიანჭველებს ტაკა-ტუკით. ზოცავდა ჰიანჭველებს და სიამოვნებისაგან (თითქოს დაჩირქებულ ფერისმკამელებს იგდებდა ბუდიდან) ეკმუხნებოდა ცხვირპირი.

— გადაირევი კაცი! — თქვა ბენდუქაძემ და მანქანაში ჩაქდა.

სამსახურში მისვლამდე ბაზაში შეიარა. ვანო მინდო, უთხრა ყარაულს. არ არისო. უკან აპირებდა გამობრუნებას, როცა ვაგონსა და საწყობს შუა აფებუცებულ კაცს მოკრა თვალი.

— აქ ყოფილა! — სტუმრის მზერა დაიჭირა ყარაულმა. — სიგარეტი ზომ არ გაქვენ?

გაუხსნელი კოლოფი დაუტოვა და ეზოში შევიდა.

ყავს რომ კაკალი გააგდებინო ისიც კარგიაო, გაიფიქრა ყარაულმა, ნივრის სუნი რომ ამოდოდა პირიდან.

— გამარჯობათ. — უთხრა ვანოს ბენდუქაძემ.

— გაგიმარჯოს! — ვაგონს შემოიღარა და დაბალი ფიცრულისაკენ აიღო გეზი.

— უკაცრავად! — დაადევნა მოსულმა, სანამ ვანო კანტორაში შეასწრებდა.

შეჩერდა. მოიხედა. სტუმრის მოლოდინში ამოიღო ცხვირსახოცი და ცხვირის მოწმინდა მოასწრო. სქელ, მკრივ, ფერისმკამელებით დაფარულ ლოყებზეც მოისვა ხელი.

— მე ის კაცი ვარ, ხანბერაძემ რომ გამომაგზავნა გერმანული უნიტაზის

თაობაზე... შეშები წავიღე იმ დღეს.

— ვიცი. — უთხრა შეფიქრიანებულმა და ცხვირსახოცი შეინახა.

ბენდუქაძემ რეზოლუციით გადაწითლებული მიმართვა გაუწოდა. ვანომ ჩამოართვა, შეატრიალ-შემოატრიალა და დაუბრუნა.

— ეს კი, ვიცი.

— ლურჯი მინდოდა, ანდა ყვითელი, მაგრამ აღარ დავებებ, იმ თეთრს წავიღებ.

— რომელ თეთრს?

— იმ დღეს რომ მაძლევდით სახურავგატეხილ უნიტაზს!

— მე ვაძლევდით? — ყურს არ დაუჯერა ვანომ.

— დიახ თქვენ, იმ დღეს!

— მერე რატომ არ წაიღეთ?

— ახლა წავიღებ.

— სადღა მაქვს... ვინ გააჩერებდა იმას. სახურავის შოვნას რა უნდოდა, წაიღეს უსახურავოდ, თვის ბოლოსათვის შემომიარეთ.

— ეს დავიტოვოთ? — მიმართვა გაუწოდა.

— ეს რა არის? ზო, ვიცი. ეს არ მინდა, იყოს თქვენთან.

რალა დარჩა თვის ბოლომდეო, გაიფიქრა ბენდუქაძემ ჭიშკართან. გუბებებს გადააბიჯა ფრთხილად, სველნახერხმოყრილ საყარაულო ჩიხურის დერეფანი გაიარა, მანქანაში ჩაჯდა და სამსახურში წავიდა.

ნაშუადღევს მოვიდა ნიკა და წასასვლელად გამზადებულ გურამ ბენდუქაძეს გადააწყდა მოსაცდელში.

— მიდიხართ, თქვენ?

— მივდივარ, რა იყო?

— ბეჯან შელიძის მამა მოვა ახლა სადაცაა!

— ახლა?

— დღის ბოლოს, რალა დარჩა!

— რას ამბობ, კაცო, ხუთშაბათია დღეს? სულ აღარ მახსოვდა, წარმოგიდგენია... რა ვქნათ?

— არ წახვიდეთ, არაფრით არ იქნება, თქვენ თუ წახვედით, ნიკოლაევიჩ,

ვინლა დარჩება. მე ახლავე გავიპარები. საფლავზე აპირებდა თქვენს გაყვანას, პურმარილი გამზადებული აქვს.

— სასაფლაოზე?

— არა, შინ.

— რომ არ მცალაა, რა ვქნათ?!

არაფრით არ იქნებო, იმეორებდა ნიკა და გურამს თვალს არიდებდა. გურამი ფიქრობდა: მართლაც გადაუღებელი საქმე რომ მქონდეს, რას ვიზამდიო.

— მურთაზი რომ წასულა?

— როგორ შეიძლება... — გვერდზე გაიხედა ნიკამ და მაგიდას თითები ამოუტაკუნა ქვემოდან, ზემოდანაც დააწვა ბლოკვით, თითქოს ფიცარს დაუპირა ჩაზნექვა.

— ბატონი მურთაზი მინისტრთა საბჭოში გამოიძახეს! — თავისაუწევლად ამოილაპარაკა საბუქდ მანქანასთან მოკუშულმა მდივანმა.

— ასე არ შეიძლება! — გაიმეორა ნიკამ.

— მაშინ რა ქენი იცი, შედი შენ ჩემ ოთახში და მურთაზს დაურეკე.

— მინისტრთა საბჭოში?

— სახლში. მინისტრთა საბჭოში არა, იქ!

ნიკა გურამის კაბინეტში შევიდა.

დაფიქრებული და თვალწაშტებული მიაჩერდა გურამ ბენდუქაძე აბრჭყვიანლებულ ფანჯარას. ერთი საათის უკან ავდარი იყო და ახლა კი მზის ნათელი მოსულიყო მბეჭდავის ფეხებამდე, მტვრიანი სუფრის ფოჩები გაენათებინა ქვემოდან.

ხელფასს არ დაელოდებო, ბატონო გურამ! — ეკითხებოდა ქალი, ვის ფეხებთანაც მზე იყო მისული. გადამხოზოდა საბუქდ მანქანას და რალაც არაბუნებრივად ილიმებოდა.

— აქა ვარ ჯერ, არსად არ მივდივარ! — გამოფხიზლდა მზის ყურებით მოთენთილი გურამი, საწვიმარი გაიხადა, დაკიდა.

— არ მიდიხართ? — შეწუხდა ქალი.

— ჯერ არა, რა იყო?

— შეიძლება, მე რომ წავიდე? დღეს ხომ ის...

— წაბრძანდით, — აღარ დაამთავრებინა გურამმა და აღარც ქალს უცდია ლაპარაკის გაგრძელება, წამოდგა, სქელო, არაბუნებრივად მძიმე პალტო ჩამოიღო იმწამსვე.

ბეჟან შელიძის მამა გურამ ბენდუქაძეს რატომღაც საწყალი და დაბნეული კაცი იქნებოდა ეგონა. შოთას კი, მართალია, შეწუხებული, მაგრამ მაინც მკაცრი, საქმიანი სახე და იერი ჰქონდა. უყურადღებობას ან გონებადაფანტულობას ვერ დასწამებდით, თუმცა დროდადრო, საუბარშიც კი, ცოტა ხნით ითიშებოდა, მალევე ფხიზლდებოდა და ცდილობდა, მისი უხასიათობა სხვას არ გადადებოდა.

სასაფლაოსთან გააჩერეს მანქანები. ეზოში შევიდნენ. შოთა შელიძე წინ წავიდა და მალე გზაწერილზე გადაუხვია ტანზე კარგად მორგებული ტყავის პალტოს ჭრაქუნით. გურამ ბენდუქაძე, ანანია გვალია, გენადი კილურაძე და ნიკა მიყვნენ ერთდროულად, ბილიკზე დაწიწილადნენ ძალაუვნებურად, ბენდუქაძე დაწინაურდა და კილურაძე ჩამორჩა.

— რაიმე თარიღთან ხომ არ არის დაკავშირებული? — მოუხედა გურამმა ნიკას.

— როგორ თარიღთან?

— ან წლისთავთან, ან დაბადების დღესთან?

— არა მგონია, წლისთავი იყო უკვე.

— არაფერი არ არის, ბატონო გურამ. — შეჩერდა შოთა. ეს ხმადაბალი ლაპარაკიც ესმოდა თურმე. — უბრალოდ, თქვენთან შეხვედრა მინდოდა, ჩემი უბედური შვილის მოთხოვნების დაბეჭდვასთან დაკავშირებით. მართალი გითხრათ, ბატონო გურამ, მე არც კი ვიცოდი, თუ რამეს წერდა... რალაცას რომ წერდა კი ვხედავდი, რასაკვირველია, მაგრამ არ მჭეროდა; წერდა და მალავდა, ჩვენ არ გვიჩენდა, ყოველ შემთხვევაში. თუ სასიკეთო, ასე

რომ ვთქვათ, სერიოზულ <sup>რამდენს ქმნიდა</sup> და, არც მიფიქრია. რალა დაემალა, არ მჭეროდა... — ტუჩებმოკუმული და თვალგაშტერებული შეჩერდა ერთი წამით და ბენდუქაძეს მოეჩვენა, რომ ამ კაცს „არ მჭეროდაო“ რომ იმეორებდა, ბევრი რამე არ ჯეროდა ცხოვრებაში და შვილის მწერლობაში რომ ბოლომდე არ იყო დარწმუნებული, ამკარად ეტყობოდა.

— ...ძალიან მინდოდა, ბატონი მურთაზიც რომ წამოსულიყო... — ღვიის ბუჩქი გადაწია, სანამ წინადადებას დაამთავრებდა. — ძალიან მინდოდა, მაგრამ არ ეცალა ალბათ... — ისევე დადუმდა და უჩვეულოდ სწრაფად და მსუბუქად გადავიდა მეორე ბილიკზე.

— შენ ხომ დაურეკე მურთაზს... — ჩუმად ჰკითხა გურამმა ნიკას.

— ეკვდებო, არ შემიძლიაო; ათ კაცზე ნაკლებს მაინც არ გველოდა, სუფრა უკვე გაწყობილი აქვს, წამოსულიყო მართლაც რა მოხდებოდა... — ლაპარაკობდა ნიკა, გურამის გვერდით სიარული სურდა, უკან მომავალი გვალიასი ერიდებოდა, ნაბილიკარზე ბორძიკობდა, საფლავებს ედებოდა, დაბალ გალავნებზე ადიოდა და ჩამოდიოდა.

— ერთი ეს მითხარი, ნიკოლოზ... — მოკლე და სწრაფი ნაბიჯებით გამოცალკედა ლურჯსაწივშირანი ანანია გვალია. — ბეჟანს დედა ხომ ყავს?

— კი, როგორ არა, მხოლოდ გამორებულნი არიან... — ნამეტანი დაუწია ხმას ნიკამ, თუმცა შოთა შელიძე თითქმის აღარ ჩანდა და, ცხადია, აღარც არაფერი უნდა სმენოდა წესით.

გია გომარელი ბეჟან შელიძის საფლავთან დაუხედათ. დაუდევრად ჰქონდა კაშხე ყელზე შემოფუთნული, ხელები საწივშირის დალაქავებულ ჭიბეებში ჩაეწყო და გრძელი, თეთრი მაჭები მოუჩანდა. გაუნძრევლად იდგა, დროდადრო ნიკასს კაშხეს უხახუნებდა.

— გამარჯობა, გია! — თქვა საფლავთან მისულმა დაღლილმა შოთამ.

გა და სტუმრებს დაუწყო ლოდინი. — აქეთ წამობრძანდით, პირდაპირ, ცოტა გაბურღული კია გზაწერილი, მაგრამ არა უშავს, შეიძლება გამოსვლა.

ამ ლაპარაკში კი გიამ უკან-უკან დაიხია, ვიღაცას თავი აარიდა აშკარად და მოფარებულში გაჩერდა: მიტოვებული, ბალახმოკრული საფლავის დაქანგულ რკინის მესერს მოკიდა ხელი, ვიწრო საძირკველზე შედგა, ცერებზე აიწია რამდენჯერმე, ჩამოვიდა და გაქრა; მავყლის გაუფოთლავ ყლორტებში გაილანდა ცოტა ხნის შემდეგ, მაღალი კისერი და გაუპარსავი სახე გამოჩნდა კიდევ რამდენჯერმე.

— ეს არის ჩემი შვილი. — თქვა შოთამ, მოულოდნელად დაიხარა, გაუცეკრტავი ვარდის ბუჩქის ძირას ამოსული ბალახი მოთხარა, ძირი დაუფერთხა, მოისროლა და დასვრილ ხელს დახედა.

გაუნძრევლად იდგნენ დანარჩენები. ნიკა ცმუკავდა მხოლოდ, ხშირად ინაცვლებდა ფეხს. აქეთ-იქით იხედებოდა და პირველად რომ არ იმყოფებოდა ამ ალაგას, ამ მოძრაობით ააშკარავებდა.

პირმოკუმული შოთა შელიძე დაინებბით დაცქეროდა მარმარილოს კუთხოვან ფილებს და თითქოს ფილებს ქვევით უყურებდა კიდევ რაღაცას. არ არსებობდა ძალა, რომელიც, თუნდაც ერთი წუთით, ერთი წამით, სხვა ადამიანს მის მდგომარეობაში ჩააყენებდა, მის დარდს და სატკივარს განაცდევინებდა. შეიძლებოდა მხოლოდ, ისიც მცირე ხნით, იმგვარადღე დგომა და ჭიუტად ყურება ძირს. სადაც იდო ლაბლადორის შავ კვადრებში მომწყვდეული, თითქოს სადად, მაგრამ მდიდრულად გაწყობილი საფლავი, ნაწილი იმ მთლიანი, მშვენიერი სასაფლაოსი, არარაობისა და უიმედობის განწყობილებას რომ უნერგავდა შიგადაშიგ ადამიანს, და მაინც, მამის მზერასა და ღეროშეწითლებულ ვარდის ბუჩქის ძირში დაფენილ ფხვიერ, შავ მიწას შორის იდგა რაღაც უხილავი, დიდი და დამორგუნევი, მიუხედავად იმისა, რომ

უმძიმესი ტრავმისაგან გატყვევებული არა მარტო მწუხარების, არამედ სიბრახის და ერთგვარი გაბოროტების დალიც კი აჩნდა სახეზე.

— ჩემი შვილი ვეკაცი იყო, ბატონო გურამ, თუმცა მე არ ვიყავი ამის ღირსი. — წყნარად თქვა უკან გამობრუნებულმა შოთა შელიძემ. გურამს ელაპარაკებოდა და სხვაგან იხედებოდა, გზაწერილს დაპყრებდა სიარულის დროს. — სხვანაირად არ შეეძლო ალბათ, ვინ გაიგებს, რაც გიწერიათ, ნათქვამია, აგერ, ბატონო გურამ, იმ ქვის გადაღმა, გავივლით ახლა იქ, ცხრამეტე წლის ბიჭი ასვენია, თბილისის ზღვაზე დაიღუპა, თუ გაგივიათ, ბნელითაა მოცული ეს ისტორია. მამამისიც იქა დგას. — ხმას დაუწია, ყბები მოუქმა და ხელი გაიქნია გაოცების თუ სიბრახის გამო. შვილის საფლავს ჩამოეხსნა და ყველამ შეება ოჯახში, საქმიან ლაპარაკზე გადაერთო განგებ თუ მისდაუნებურად და ახლა მსჯელობით, განსჯით, წუწუნითაც შეიძლებოდა თანაგრძნობა, არაფერი არაა ადამიანი, თქვა კიდევ გენადი კილურაძემ და ფეხი კინალამ გადაუბრუნდა კოლბოხზე.

— აი, ის კაციც იქ დგას, ცხრამეტე წლის შვილი რომ დაეღუპა... — ხმადაბლა თქვა თავდახრილმა შოთამ. — გამარჯობა, ბონდო!

— შოთას სიცოცხლე! — გამოებასუხა გამხდარი, თითქმის წელში გაწყვეტილი, წითელქამრიანი ახალგაზრდა კაცი, ბეჭებში მოხრილი რომ მიყრდნობოდა გაურანდავ, დაუმუშავებელ სტელას.

— გამოვიდა, მგონია, ამინდი!

— კი, კი, გამოდის... — ზევით აიხედა წითელქამრიანმა, უღიმღამო დღის შუქით სახემოქუფრულმა კაცმა.

ძველი გზით დაბრუნდნენ. უფრო მოკლებულ შეგვეძლო გადმოვსულოყავითო, აღნიშნა შოთამ შარავზახზე. ენერგიულად, საქმიანად მოდიოდა მანამდე წინ, ჩერდებოდა, ახალ საფლავებს, მათ ბინადართ და ჭირისუფალთ აცნობდა გურამს. იასამნის ბუჩქებსა და სა-

ფლავებს შორის მოშლიგინობდა გია გომარელი. ხან გამოჩნდებოდა, ხან გაუჩინარდებოდა; ვის ემალებოდა, როცა ყველა ნანახი ჰყავდა, ან ვის გაუჩნდებოდა, გურამ ბენდუქაძემ ვერაფრით ვერ გაიგო.

ზღვა ხალხი ირეოდა უკვე სასაფლაოს შემოსასვლელთან: ტყეა აღარ იყო ალაყაფთან. არჩილ სოფრომაძე კი მაინც თვალსაჩინო ალაგას იყო გაჩერებული. ბოლომდე ჩახსნილი ტყავის კურტაკიდან შინ ნაქსოვი, შინდისფერი სვიტერი მოუჩანდა და ხელში ფერადი, პრიალა ყდაში ჩადებული გრამფირფიტა ეჭირა. კიბერნეტიკის ინსტიტუტის თანამშრომელი მუსიკასთან მწყურადად იყო და არასოდეს ამდაგვარი ნივთით აღჭურვილი არ ენახათ თურმე. ილიმოს ეძახოდნენ და სხვა სახელიც თუ ჰქონდა, ბარე ორმა კაცმა არ იცოდა თბილისში. მდებლად დაუკრა თავი ამხანაგებს სასაფლაოს კარიბჭესთან, წელში ზომიანე მეტად გაიხარა და ფირფიტაანი ხელი უკან დარჩა ძალაუნებურად გაფშეკილი. ვის ჩამორჩა, ვის ელოდება, წაიყვან ამასაცო, გაიფიქრა გახარებულმა ბენდუქაძემ და ამხანაგი შოთა შელიძეს წარუდგინა.

— არჩილ სოფრომაძე, ბატონო შოთა!

— ძალიან სასიამოვნოა.

ილიმომ ფირფიტა მარცხენაში გადაიტანა და აღრინდელზე თავაზიანად და მდებლად დახარა თავი.

— წამოხვალ ჩვენთან? — ჰკითხა გურამმა შოთას გასაგონად.

— წამობრძანდით, ძალიან გთხოვთ!

— ამ კაცთან ყველგან წამოვალ! — წელში გაიმართა და ცალწარბაწეული მიაჩერდა შოთა შელიძეს.

„ნასვამია!“ — მიხვდა გურამი, მოპატიყება ანანა, თუმცა უკან რალას დაიხევდა, როცა ილიმო უკვე შოთას მიყვებოდა და მანქანაში უჯდებოდა, წინა სავარძელში იკავებდა ალაგს, დამბრძანდით თქვენცო, თხოვდა მასპინძელს. შოთამ რომ ძრავა ჩართო, წარბაწეულმა გადმოიხედა ფანჯრიდან, სად წავიდ-

ნენ დანარჩენებიო, გაუყვარდა და ფერადუდიანი გრამფირფიტა უკანა სავარძელზე დაასვენა.

ნინია გვალია გურამ ბენდუქაძის მანქანასთან ამხანაგებს ეუბნებოდა, არ დავეკარგოთ ის კაცი, მთერალი ილიმო არ შევეატოვოთო. რას ჰქვია, დავეკარგოთო, ეცინებოდა ბენდუქაძეს და იქაურობას ათვალეირებდა, რატის თანატოლებს აყვირდებოდა. მოზრიალე ხალხში გამოარჩია გია გომარელი და კიდევ რამდენიმე ნაცნობ ახალგაზრდას მოკრა თვალი. გია ყვითელი ლაქებით აფერადებულ, გახეხილ-გაუთოვებულ „ფიატთან“ იდგა და თვალეზამოლამებულ ბიჭებს ელაპარაკებოდა. სიგარეტებს ეწეოდნენ და გამეღელ-გამომვლელთ აყოლებდნენ გულგრილ და გაყინულ მზერას.

გრამფირფიტა ილიმომ რომ სასოებით დადო სავარძელზე, სავარძელზევე დატოვა და სუფრაზელა მოიკითხა. დამბრძანო, თქვა, გულდაწყვეტილმა. იქ იქნება, სადაც დატოვეო, ანუგეშა ნიანია.

— ცხადია, იქ იქნება... — დაეთანხმა ნალვლიანი ილიმო, რა მინდა აქ, რატომ მოვედიო, გაიფიქრა.

— წავალ, შემოვიტან! — უთხრა ნიკამ.

— არაფერი შეგეშალოს, ნიკოლოზ!.. — წარბი აწია ილიმომ. — წასვლისას ამოვიღებთ და წავალთ ერთობით! — წინადადება გაწელა, ბოლო სიტყვას გრძელი მახვილი დაუსვა და ბენდუქაძეს შეეშინდა, არ აურიოსო, მაგრამ ილიმოს ამის შემდეგ ზედმეტი სიტყვა არ დაცდენია, თუმცა ღვინო არ დაუკლია და სადღეგრძელო. მართალია, სხვის ნათქვამს იმეორებდა და მაინც წყნარად, მოკლედ და რაც უცნაურიცა, გასაგებად ლაპარაკობდა, თუმცა იმდღევანდელ სიტუაციაში ბოლომდე არ იყო გარკვეული.

— ...რალაცის მოლოდინი მტანჯავდა და არ მისვენებდა... — ყვებოდა შოთა შელიძე. — საქმე აწყობი-

ლი მქონდა თითქოს, ბატონო გურამ და გული მაინც მიჩიოდა. რა გინდა-მეთქი, ჩემ თავს ვეუბნებოდი. რას წუხარ, რა გაშფოთებს, რა გაკლოა. ცხოვრება დაეწყო, დალაგდა. დიდი-დიდი დაგიტირონ, გაუშვი, მოგკლან. ცუდად არ მიცოცხლია და ბოლოსდაბოლოს ეს ცხოვრებაც ხომ უნდა გასრულდეს ადრე თუ მალე-მეთქი. ყველაფერს შეგუებულა ვიყავი თითქოს, მაგრამ კაცი ბჭობდა და ეშმაკი იცინოდაო. გზას აცდენილ კაცად ვთვლიდი ჩემ შვილს, ბატონო გურამ. ასეც იყო, რა მაქვს დასამალავი. ასაკი მქონდა ისეთი, გაუვლიდა ვგარბნობდი, მაგრამ რამდენჯერმე შევეტაკეთ ერთმანეთს... ბუნებრივია, მე მგონი. ასეა ყველგან, რამდენადაც ვიცი; ვის მიუშვია შვილი, რა ხნისაც არ უნდა იყოს იგი, თავის ნებაზე? სრულიად შეიცვალა მოულოდნელად. ჩამოშორდა ქუჩას, ძველ ამხანაგებს და სახლში ჩაიკეტა, მეორე უციღურესობაში გადავარდა, მაგრამ რაღა უნდა მქონოდა სასაყვედურო?.. მაინც, თქვენ წარმოიდგინეთ, ზაფრამ დამრია. რისი გეშინია მეთქი, ვეუბნებოდი ჩემ თავს. დიდი-დიდი დაგიტირონ, დაგიჭერენ და გამოხვალ, თუ არ გამოხვალ, გზაც იქით გქონია, მხოლოდ ეს იყოს კარგად-მეთქი. წერდა და წერდა, ღამით ველარ იძინებდა. თავის თავსაც ელაპარაკებოდა. ხმაძალა თუ ფიქრობდა?.. მივაყურე, ვერაფერი გავარკვიე, რა ტყიოდა, რა აწუხებდა, ვერ გავიგე. გადი გარეთ ხანდახან-მეთქი, შევეუჩნდი, დაანებე ამდენ წერას თავი, წერისაგან სიკეთე სხვას ვის უნახავს, შენ რომ ნახო-მეთქი. არ გესმის ჩემიო, მითხრა. შენი ბრაღია, დედაჩემი რომ არ მიყვარსო. პირველად გავიგონე ეს სიტყვა, თავზარი დამეცა. რა უნდა გითხრაო, ჩემი სხვა დროს რა გაგიგია, ახლა რა უნდა შეგასმინოო. რატომ ბიჭო, მე ვუთხარი, მილიონი ძმა-კაცი მყავს, ვისთვის ვერ გამიგია, შენ რომ ვერ გაგიგო-მეთქი, მოდი, ვილაპარაკოთ ვაჟაკურად-მეთქი. კიო, დამთანხმდა. მთელი ღამე ვისაუბრეთ, ერ-

თმანეთის ვერა გავიგეთ რა, როგორც ახლა ვხვდები. შენ მეცოდებო, მითხრა. რატომ, ბიჭო, მეთქი. ასეაო. ის ღამე და ის ღამე, კიდევ ერთი ღამე და იმ საზარელმა გასროლის ხმამ გამომაღვია. ოხ, ის ხმა, ახლაც არ გამოდის ყურიდან, არ მშორდება, არ მასვენებს, არ მანებებს თავს!.. — კაცს ცრემლი მოდიოდა. კი არ ტიროდა, ცრემლად იღვრებოდა. გაბრაზებულ, გაჭიუტებულ სახეზე ეღვევებოდა ცრემლი და სუფრა-სუფრას აღარ ჰგავდა. ძნელი იყო გაჩერებაც და გაძლვებაც. მართალია, მასპინძელმა მალევე შეცვალა საუბარი, სხვა საგანზე ჩამოავდო ყასიდად სიტყვა, გამხიარულდა კიდევ თითქოს, რამდენადაც ეს იმ სიტუაციაში შეიძლებოდა, აიყოლია სტუმრებიც, მაგრამ სუფრა მაინც დროზე ადრე აიშალა.

ახალშელამებულზე გამოვიდნენ ქუჩაში და რესტორნისაკენ აიღეს გზი.

— გია არ იყო ჩვენთან? — იკითხა ბენდუქაძემ.

— აბა გია? — მოუხედა კილურაძემ.

— გომარელი.

— მე რა ვიცი, ვინაა გომარელი!..

— არ ყოფილა, ნიკალავეჩი, სასაფლაოზე იყო, სუფრაზე არ ყოფილა...

— აუხსნა ნიკამ.

— თუ პირიქით... მგონი სუფრაზე იყო და სასაფლაოზე არ ყოფილა.

— არც იქ ყოფილა და არც აქ... — დააბუსტა ილიმომ და ამაშია საქმეო, დაუბატა.

რესტორანში შექეიფიანებული ხალხის ღრიანცელი ისმოდა. დანჭრეული ორკესტრი გრიალებდა დიდ დარბაზში.

— დამჩჩა! — ამოიხზრა ილიმომ და მიაჩერდა დამლაგებელ ქალს, სუფრას რომ ასუფთავებდა უგულოდ, გაბრაზებული სახით.

— რა დაგრჩა? — ჰკითხა ნიანიამ.

— ჰეშმარიტება.

— ფირფიტა დარჩენია. — მიხვდა გენადი კილურაძემ.

შავკოსტუმიანმა ახალგაზრდა მომ-

ტანმა სუფრის გაწყობა დაიწყო, შამპანურის ბოთლები გრძელ მაგიდაზე დაალაგა სიმეტრიულად.

გია გომარელი გაილანდა შორით. ორკესტრსა და სამზარეულოს შორის გაიფრიალა მოკლე საწვიმრით; დაიკარგა და კარგა ხნის შემდეგ საწვიმარგახდლი გამოჩნდა მთავარ შემოსასვლელთან. ბუკლეის სრული პიჯაკი ეცვა, დარბაზს ათვალიერებდა და ვილაცას ელოდა, ეტყობოდა. ვალეული გოგო მიეწეპა გვერდში სულ მალე. ხელი მოკიდა იმ გოგოს, წამოიყვანა და პირდაპირ გურამ ბენდუქაძის გვერდით დასვა. ადგილი გაუთავისუფლეს გიასაც. ნიკამ თევშები გაუჩოჩა და ჭიქაც გადაუდგა. ილიმომ გიას არ იცნობდა, შარვალში გამონასკველ გოგოსაც პირველად ხედავდა და გაოცებული არხევდა წარბებს. მოგვიანებით წამოდგა და ნიკა, აბსოლუტურად რომ არ უშლიდა ხელს, კილურაძესთან გადასვა, ბენდუქაძე გაწია და გამზდარი გოგოს გვერდით მოკალათდა.

გენადი კილურაძე სადღეგრძელოს იგონებდა. ახლა რა დავლიოო, იმტვრევდა თავს. მეშველა მგონიაო, ვაიფიქრა სტუმრების დანახავზე და ახლადგამოჩენილნი ადღეგრძელა, ჭერ როგორც შემოსწრებულებს ისე გლოცავთ, შემდეგ კიდევ სხვა იქნებაო, თქვა და ვინ იცის როდის და რაში გამომადგებიან კიდევო, გაიანგარიშა. ხანში შედიოდა და ახალი სადღეგრძელოს გახსენება უჭირდა. ადრე, სანამ ჭიქას არ ავწყევდი, ამ საკითხზე არც ვფიქრობდი და ახლა ტვინის გაქანება მიხდება; რა მჭირს, რა მემართებაო, წუხდა.

გია გომარელი თავდახრილი იჭდა, რალაცაზე ელიმებოდა, გრძელ თითებშუა მომწყვდეულ სავესე ჭიქას წაღმა უჯულმა აბრუნებდა და იცინოდა კიდევ უდროო დროს. ქალი არ ჭამდა, არ სვამდა, პატარა თვალებს აცეცებდა უტეხად, სუფრის ერთი წვერიდან მეორეზე გადაჰქონდა ელამი მზერა. თავი რომ შეექცია, დრო რომ მოეკლა, არ

იცოდა და ლაპარაკიც ვერ უნდოდა. როცა ილიმომ ჰკითხა, რით შემიძლია გემსახუროთო, მხოლოდ მაშინლა ამოილო ხმა.

— მაღლობთ, მე არაფერი არ მინდა.

— მიას სადღეგრძელოა... — შეახსენა ილიმოს თამადამ.

— ვისი, ბატონო?

— გიასი და ქალბატონი...

— ალასი — წაეხმარა თავდახრილი გია.

— ალასი. — ერთი „ლ“ ჩამოაკლო კილურაძემ.

— მოითმინეთ! — თქვა ილიმომ წარბების ქაჩვით. — დიდებული ბიჭი, ახლადჩამქვრალი ვარსკვლავი... — დასაწყისი არ მოეწონა. წამოდგა, ზევით აიხედა. — ვარსკვლავიან ცაში ასული სული ზეცის ულამაზეს გობელენტან შეერთებული.

— გიასი და მიასი, უკაცრავად ალას სადღეგრძელოა. — კვლავ შეახსენა თამადამ.

— ბეჟან შელიძის სულის ხსენება იყოს!

— ეგ ზომ დავლიეთ!

— ბეჟან შელიძის დაწერილი თუ წაგიკითხავს რაიმე? — იკითხა ნიანიამ, რათა ილიმოს ალტაცება გაენელებინა როგორმე.

— არა! — გადაჭრით უპასუხა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ ილიმომ. — ვიცი, რისი თქმაც გინდა, არ წამიკითხავს, არ მინახავს, არ ვიცნობდი, კმაყოფილი ხარ?

— გიას და ალას სადღეგრძელოა!

— ბეჟანის სულის ხსენება იყოს, თქვენ არა გაქვთ, სხვათა შორის ბეჟან შელიძეზე ლაპარაკის უფლება, არც მე მაქვს, მითუმეტეს მე არა მაქვს, მაგრამ თქვენ მაშინ რა ჩემი პოეტები ხართ?.. თქვენ ხართ მელექსენი. ლექსით ცხოვრობთ, მხოლოდ სხვანაირი გავგებით.

— ალას და გიას სადღეგრძელოა, ე! — წაუსტვიანასავით თამადამ.

— ეს ნაღდი პოეტია!.. — გიასკენ შებრუნდა მოულოდნელად ილიმო. — მოდი, გაეცო! — ჭიქა დადო, გიასკენ,

სკამზე რომ არ გატოვებულა, გადაიხარა, ამორბიყდა და გამხმარ გოგოს გადაემხრო თავზე. ქალი მოიკუნტა. მამაკაცის სიმძიმეს კი არ გარიდებია, უადგილო ალაგას დაწოლილ ტვირთს გაეცალა. გია წამოდგა, ილიმო გაწია, გააშორა ქალს, კრა ხელი და სკამზე დასვა. რანაირადაც დავარდა, იმნაირად გაშეშდა ილიმო და გენადი კილურაძეს მიაჩერდა წამწამების ხამხამით.

მაგიდის ფეხებში და სკამებში ჩახერგილი გოგო ამოძვრა, როგორც იქნა. თვალის გუგებში ჩასმული ლობიოს კაკლების ტრიალით მიაჩერდა გიას, რა ვქნაო, შეეკითხა უსიტყვოდ. გაფითრებული ვაჟისაგან პასუხი რომ ვერ მიიღო, ანტენა ამოწია და ღერო მარჯვნივ გადახარა.

წარბებდაშვებელი ილიმო შეუმჩნევლად ილიმებოდა, სად ვარო, არკვევდა და უმისამართოდ იხედებოდა. გოგო კი ნაწუკეტ-ნაწუკეტ მიღებულ სიგნალებს ისმენდა, ბრძანების ტექსტს შიფრავდა. ნიკაპი შეაბრუნა, როგორც იქნა, თანხმობის ნიშნად ანტენა დაუშვა და დაჯდა. გიამ კი ცალ მუხლზე დაიჩოქა ილიმოს სკამთან. გოგოს უკან აღარ მიუხედია. წინასწარვე იცოდა, რას ჩაიდენდა ვაჟი.

ილიმო ცოტა ხნის შემდეგ გამოერკვა, დაჩოქილ გიას გაოცებული დაეძღაუტა ბეჭებში.

— აღარ ღირს აქ გაჩერება! — უჩუჩუჩულა გენადი კილურაძეს ნიანიამ. კილურაძემ თავი დააკანტურა თანხმობის თუ უარის ნიშნად, ვაი ჩემს პატრონსო, გაიფიქრა გუნებაში.

როდის-როდის წამოდგა დაჩოქილი გია გომარელი, სადღეგრძელოს თქმა დააპირა, ცალ ხელში ჭიქა დაიჭირა, ცალ ხელში შამპანურის გახსნილი ბოთლი; ნაყრისფერ, წყლიან თვალეზში სიხარულის სხივი ჩაუდგა უმიზეზოდ.

— დადევი, თუ კაცი ხარ, მაგ ბოთლი! — თხოვა ნიანიამ.

— მე ბატონი ილიმოს წინაშე (ბოთლს ხელი გაუშვა) მოვიყარე მუხლი და თქვენს წინაშეც მოვიხბრი ქედს,

მუხლსაც მოვიყრი. ჩემი წასვლა შენს ულორსი ძმა ვარ. მე მაქვს ის იარაღი, რომლითაც მან დაამთავრა. უმალღისი არ დამიმთავრებია, არც მიმიღეს სამხატვრო აკადემიაში, პირველ წელს არ მიმიღეს, მეორე წელიწადს არ მიმიღეს. ვინც არ იტანჯება ტანჯულისას ვერ გაიგებს. მე რა გასაჩენი ვიყავი ან ბეჟანი რა გასაჩენი იყო სამი ლექსით, ორი მოთხრობით, დიდი ტანჯვით, დასასრულზე ფიქრით. ვარსკვლავების ჩაქრობის შიშით. რა გასაჩენი იყო გონიერი არსება, საერთოდ. სიკვდილის შიშით გათანგულ ადამიანს სამყაროს ხელა ტვინი რაში ჰკირდებოდა? ჰკირს ჰკირთა უფრო მთმენიაო. ჩემი ძე დავსვავთ ხელმწიფედო. გაჩენილიყავი ფრინველად. ჩავკორტინდი ბეჟანს. დავკიმედრებდი მზის ჩასვლისას, მზის ამოსვლისას გავახელდი თვალს, ვიყვილებდი გათენებისას და დასასრულზე და არარაობაზე ფიქრით არ შევწუხდებოდი. ვეფხვს, კატა იყოს თუ გინდა, მიეცა კლანკები თავის დასაცავად; სპილოს — ხორთუმში, ვირს — ჩლიქები და ასე შემდეგ... ერთს მყრალი სუნი არგუნეს, მეორეს — რქები, მესამეს შხამი მისცეს. მორიელმა უჯბინა სხვათაშორის მელაძე ჭიკოს სოლოლაკში... გველს ჩაუგუბა შხამი და ადამიანს გონება მიცა თაუდასაცავად? სუსტს და უღონოს შხამის მაგივრად ტვინი უსახსოვრეს? თუ ამას იქით არაფერია, რად გვინდა ტვინის უჭრედების ეს დაუსრულებელი მექანიზმი? არ ჯობდა რქები მოეცა, ან კული? ხეზე მაინც ჩამოვეპორწილებოდით... მითუმეტს ჯარიდან თავისუფალი ვარ... ესე იგი, რისთვის მაქვს გონება სატანჯველად, თავის დასაცავად თუ ჭეშმარიტების შესაცნობად?..

— გლახადა ჩვენი საქმე... — უმისამართოდ და ხმადაბლა, თუმცა გარკვევით ჩაილაპარაკა კილურაძემ.

გია გაჩუმდა და კილურაძეს მიაჩერდა.

— განაგრძე, გენაცვალე!  
გიამ ჭიქა დაცალა, დადგა და გოგოს

გადახედა. გოგომ ლობიოს კაკლები ამოატრიალა, ანტენა ამოწია და წამოდგა კიდევ. რა სიგნალი მიიღო, ვერა-ვინ მიხვდა, თუმცა რომ აფორიაქდა, შეამჩნიეს. გახარებულმა ჩაუშვა ანტენა შიგ ტუინში, ვიას მკლავქვეშ შეუფერა და გაყვა. გზაში გამოუარდა ფრთიდან, აზრიალებულ დარბაზში კინალამ დაიკარგა. დიდი ნაბიჯებით დაწინაურებულ პატრონს მოკრა, როგორც იქნა, თვალი, გამოუდგა, წამოეწია კუნკულოთ.

— მე მგონი, გეცია! — თქვა კილურაძემ და ამ დაძაბული სიტუაციისათვის დამარაგებული სადღეგრძელო დააძრო.

— მაგარი ბიჭია! — წამოიძახა ილიმომ, კილურაძეს სადღეგრძელოს წამოწყების საშუალება არ მისცა, თავად კი თითქმის აღარ გაუღია ხმა ამის შემდეგ.

— ვინ არის მაგარი? — წყნარად, მაგრამ გამომწვევად იკითხა ნერვებმოშლილმა ნინია გვლიამ.

— ერთი წუთით! — კილურაძემ სადღეგრძელო გამოცვალა. ახალი მოადგა ენაზე და ძველი გადაინახა; შეყოყმანდა, პირველი ხომ არ ჯობია მეორესო, დაფიქრდა და ველარც ძველი გაიხსენა და ველარც ახალი.

„კარგადაა ჩემი საქმე!“

— გელოდებით! — შეახსენა ბენდუქაძემ.

— ნინიას უნდოდა რალაციის თქმა!

— რაშია იცით საქმე... — დაიწყო თავდაპირველმა ნინიამ. პურის გულს სრესდა თითებით. — ამათი მიკვირს, ძალიან მიკვირს, გეფიცებით ყველაფერს! — დაფიქრდა, გაბმულად ჩაიკინა, გაჩუმდა, ასორსილი პურის გული დადო, თეფშზე.

— ნიჭიერი ბიჭი რომ არის, რად უნდა ლაპარაკი... — თავისთვის თქვა სადღეგრძელოზე ფიქრით თავგასიებულმა კილურაძემ.

— არ დაიჯერო, შენ, მაგი! — პირში ეცა ნინია.

— ჰაერზე არ ვლაპარაკობ, გენაცვალე... — გული მოუვიდა კილურაძეს.

— წაიხსენებ მაქვს მაგნიტურ სივრცეებში მერე რა მოხდა, ცოტა უცნაურია, თავისებური, უფრო სწორედ!

— რაც შეეხება ლექსებს, — სიტყვა ჩამოართვა გვლიამ, — მე ისინი შენზე ადრე წაეიკითხე და, რომ იცოდე, საინტერესოდ მომეჩვენა, ამაზე არაა ლაპარაკი, სხვა რამეა ყურადსაღები. ეს არის, როგორ გითხრათ, უსისტემოდ განათლებული, ცუდად გაზრდილი, კარგი, იყოს ნიჭიერი, ბავშვი. საქმე ამაშიც არაა, უფრო კვიციანია, ვიდრე ნიჭიერი... არაფერი არ ეშლება, რომ იცოდეთ, ხომ შეხედეთ, რა სპექტაკლი დადგა, მე რას მასწავლით, ორიგინალობა, ეს არის ახლა მაგათი ძირითადი იარაღი, არა ვარ სწორი?

— ეგრე არ არის, ბატონო ნინია, — თქვა ნიკამ. ქვემოდან იხედებოდა და აღმა მოუღიოდა მხერა.

— აბა როგორ არი? — წამწამები დააპარპალა შეღვინისფერებულმა ნინიამ.

— არ ვიცი, მაგრამ ისე არ არი, როგორც თქვენ ლაპარაკობთ.

— არ მესმის! — ბენდუქაძეს გადახედა ნინიამ.

— თუ არ გინდათ, ვერც გაიგებთ... ჩაილაპარაკა ნიკამ. — ეგ ცოტა სხვანაირი კაცია, მე მაქვს ბეჟანის იარაღი, ხომ გაიგონეთ...

— ნუ მაშინებ, თუ კაცი ხარ, ცოტა გყავთ შესაშინებელი, მე რომ არ შემაშინოთ!? — ჩაიკინა კმაყოფილმა ნინიამ და ისევ ბენდუქაძეს გადახედა.

— მე არავის არ ვაშინებ.

— ის სულ სხვა იარაღზე ლაპარაკობდა, კაცობრიობის იარაღზე, კოსმოგონიურ ამბიციებზე, — განმარტა კილურაძემ და ამბიციები რა შუაშიაო, გაიკვირვა თავადვე.

— მე არ ვიცი, რაზე ლაპარაკობდა, მაგრამ ბეჟან შელიძის სასროლი რომ ჭიბეში ედო, კარგად დავინახე... — ჩაილაპარაკა ნიკამ იმ ღიმილით, აჭამდე რომ არავისთვის უჩვენებია.

— ერთი მითხარი, გულწრფელად,

რა გინდათ თქვენ! — წამოიძახა მოულოდნელად ბენდუქაძემ.

— ეინ ჩვენ, ნიკალაევიჩ; — სხვაგან გაიხედა ნიკამ.

— აი, შენ, ე გალითად, ჩემ შვილს ვგულისხმობ, მაგრამ შენ გეკითხები, შენ ზიხარ აქ!

— რატი კარგი ბიჭია, სამართლიანი.

— რაც არი, ვიცი. რა გინდათ-მეთქი, გეკითხები!

— ჩვენ რა გვინდა, არ ვიცი, მაგრამ თქვენ რა გინდათ ვიცი. — ისევ იმ უცნაური ღიმილით გაიღიმა ნიკამ და ქვევით დაიხედა. — თქვენ გინდათ კარგი ცხოვრება მხოლოდმხოლოდ და მეტი აღარაფერი. ნიკალაევიჩზე არ ვამბობ.

— აბა ჩემზე ამბობ, შე ვირო!? — გაიცინა პატარა პაუზის შემდეგ გენადი კილურაძემ, კარგ ცხოვრებამდე კარგა ძალი აყლდა და ნიკას ნათქვამი არ წყენია.

— საერთოდ ვლაპარაკობ.

— ამაშია საქმე! — თქვა ილიმომ და წარბი ოდნავ აწია. ეძინა, ეგონათ. დილაუთენია დადგომოდა მეორე დღეს შოთა შელიძეს. შოთა ადრე გადიოდა შინიდან, მთხოვენს და მნახვენს ფეხად გადაასწრებდა ხოლმე და სტუმარსაც არ ელოდა იმ ალიონზე. ილიმო ეცნაურა და ვერ იცნო.

არ შეგაწუხებდით, ბატონო შოთაო, მაგრამ, მჭირდება ის ფირფიტაო. მუსიკალური რომ იყოს, ჯანდაბასო, ტექნიკური ხასიათის ტექსტებია ჩაწერილი, სათარგმნელად გადმომცა ინსტიტუტმაო. ფირფიტამ, ხავერდოვანმა ხმამ და აზიდულმა წარბებმა გაახსენა შოთას წინა დღე. კუშტი სახე გაეხსნა, გაუღიმა სტუმარს, რომლის სახელი, სამწუხაროდ, ვერ გაიხსენა. რა შეწუხებაა, როგორ გეკადრებათო, უთხრა და ფირფიტა, სალონის გასუფთავების დროს რომ მოუნაცვლა ადგილი, ილიმოს გადასცა ორი ხელით. სად მიგიყვანოთო, ჰკითხა თან. გზას ვერ გაგიმრუდებთ, ტაქსს გავაჩერებო, უპასუხა ილიმომ. ერთი გზა ჰქონებოდათ, ბო-

ლოს გამოირკვია; ერთად იმგზავდნენ კმაყოფილი დაშორდნენ ერთმანეთს. რა თავაზიანი ყმაწვილი ყოფილა, როგორ მომეწონაო, კარგა ხანი იხსენებდა იმ დღეს შოთა შელიძე.

გურამ ბენდუქაძე გვიან ადგა. თავი ტკიოდა და უგუნებობას ვერ მალავდა. არც თუ უმიზეზოდ, მაგრამ, როგორც ყოველთვის, უშედეგოდ ეჩხუბა მეუღლეს და უსაუზმოდ გამოვარდა სახლიდან. ჰიანქველების მშუსკრელი ვია მაწონს ყიდულობდა. ერთი ქილის მეტი აღარ დარჩაო, ეუბნებოდა შემაწვენე. ერთი არ გვეყოფაო, უმტიყებდა ბავშვი.

— რატომ არა ხარ, ვია, სკოლაში?

— დაგვითხოვეს.

— ხო... რად გინდა ამდენი მაწონი?

— გვინდა.

ნერგების დასაწყნარებლად მჭირდებაო, ეგონა, ეტყოდა, რალაცათი უკმაყოფილომ გააქნია თავი და პირდაპირ ბაზაში წავიდა.

— ვანო არ არის! — ცივად უთხრა ყარაულმა.

— მართლა არ არი! — მიხვდა ჯიხურის ღია კარში გახიდული ბენდუქაძე.

— მოვა, თუ იცი, დღეს?

— უნდა მოვიდეს წესით, ერთი წუთით, გამატარეთ, თუ შეიძლება! — ბენდუქაძემ უკან დაიხია. ყარაული გარეთ გავიდა, ჰიშკარი გააღო, დატვირთული ავტომანქანა გაატარა და ცარიელი დააყოვნა, კიბის საფეხურზე შედგა, ძარაში ჩაიხედა.

საყარაულო ჯიხურის კუთხეში პატარა მაგიდა იდგა. მაგიდაზე ლუდის ბოთლები ეწყო. ორი ცხვირშეწითლებული კაცი იყო გატრუნული ბოთლებს უკან. ისხდნენ, დუმდნენ, ყარაულის შემობრუნებამდე არ აპირებდნენ აღმათ ხმის ამოღებას.

— თუ შეიძლება, მანქანა გადააყენეთ! — დაიძახა ყარაულმა.

— მივდივარ ისედაც! — დაიძახა გურამმა და საყუთარ მანქანას გადახე-

და, რა ხელს უშლისო, გაიფიქრა; შე-  
ბოლილი თევზისა და არყის სუნიც ეცა  
და გულისძმარვა იგრძნო. ბოთლებსმი-  
ლმა დარჩენილ, გაფერმკრთალებულ  
კაცებს მიაჩერდა და მისდაუნებურად  
ამოილაპარაკა:

— ხომ არ მიუღიათ უნიტაზები?

— ნამდვილად მიიღეს! — სახეზე  
კუნთშეურბევლად დაიხავლა ერთ-ერთ-  
თმა.

— რა იცი, კაცო, შენ, მიიღეს თუ  
არ მიიღეს, რა ვალაპარაკებს! — შემო-  
ესმა გურამს ყარაულის ხმა. საიდან  
იძახისო, გაოცდა და მტკავლიან სარკ-  
მელში შემოყოფილი თავი დაინახა.

— კრინტი არ დამიძრავს! — განა-  
ცხადა იმ კაცმა, რამდენიმე წამის წინ  
რომ თქვა „ნამდვილად მიიღესო“.

— ამას ნუ უყურებთ თქვენ, — რა-  
ფაზევე მოტრიალდა ყარაულის თავი.  
— ამან რა იცის, ამან არაფერი არ  
იცის... დაურეკეთ ვანოს აუცილებლად  
ანდა შემოიარეთ!

მანქანაში რომ ჯდებოდა, ისევ ყარა-  
ულის ხმა ესმოდა:

— ...რაც არ იცი, რა ვალაპარაკებს,  
ვინ გეკითხება, რომ ლაპარაკობ... მე  
აქ იმიტომ ვარ, რომ არაფერი ვთქვა..

გია გომარელი საერთო ოთახში შეჯ-  
გუფულ თანამშრომლებსა და ავტო-  
რებში იდგა. ნიკა, რომელსაც სვანური  
ქული ეხურა, მისაღებში საკანცელა-  
რიო მიმართვას აბეჭდვინებდა მდივანს.  
გურამის შემოსვლაზე გაჩერდნენ. ქა-  
ლმა ბეჭდვა შეწყვიტა, ნიკამ — კარ-  
ნახი.

— ესე იგი, დარწმუნებული ხარ,  
რომ ჩვენ აღარაფერი აღარ გვინდა,  
კარგი ცხოვრების გარდა? — ჰკითხა  
ნიკას გურამმა. ცივ ლულს ნატრობდა,  
სანამ ამ სიტყვებს იტყოდა.

— მე მეუბნებით, ნიკალაევიჩ? —  
თვალი მოარიდა ნიკამ.

— ეს კი ცხოვრებაც რომ არ გა-  
მოდის თავისშეუწყებლად?.. მესამედ  
ვიყავი ბაზაში უნიტაზზე. თქვენ, რასა-  
კვირელია, ლექსი გირჩენიათ უნი-

ტაზს, კარგი ლექსი — კარგი უნიტაზი...  
ჩვენ ლულს ვამჯობინებთ... — კაბინე-  
ტში შევიდა და კარი მოხურა.

— სულელი ვარ მეც, დავლევ ორ  
ქიქა ლეინოს და აღარ ვიცი, რას ვლა-  
პარაკობ!

— გეხუმრა, ვერ მიხვდი!? — ლი-  
მილით ანუგეშა კისერდაღარულმა მდი-  
ვანმა და საბეჭდ მანქანაზე დაალაგა  
დაღლილი ხელები.

„მასწავლის რა, ესეც!“ რადიატორს  
მოკიდა ხელი.

— კიდეც ათბობენ, ახლა გაახურეს,  
რომ დათბა!

— ეს ასეა, არ იცი!

ნიანია გვალა ანაბეჭდებს კითხუ-  
ლობდა საერთო ოთახში. ხმაურში და  
ყაყანში ჩაგულისყურებულს სხვისი  
ლაპარაკიც ესმოდა თურმე, როგორც  
შემდეგ გამოირკვა.

ეკონომიის ლექტორი იჭდა სკამზე,  
პორთფელი მუხლებზე ეღო და თავა-  
წყული მიჩერებოდა გაცხარებულ გია  
გომარელს. ბიჭად ბიჭი მოწონდა და  
რალაცაში უნდოდა წადგომოდა, კამა-  
თში შეშველებას უპირებდა, გიას სა-  
სარგებლოდ უნდოდა წამოეწყო საუ-  
ბარი, მაგრამ ავტორების გორგალში  
სიტყვის ჩაგდებას ვერ ახერხებდა, პი-  
რის - დაღებას არ აცლიდა არავინ.  
სქელწარბა კაცი, წარბივით სქელ, მა-  
გრამ ვიწრო, ერთი თითის დადება ულ-  
ვაშს ხელით იმოწმებდა შიგადაშიგ,  
იქ არის ისევ თუ არაო.

დიდმარხვაზე ჩამოეგდო თავიდანვე  
ვილაყას სიტყვა. მარხვის ფიზიოლო-  
გიურ-სოციალურ-ეკონომიკურ სარგე-  
ბლიანობაზე იყო ლაპარაკი. ბჭობდნენ,  
კამათობდნენ ცალ-ცალკე და ერთად.  
ეკონომიის ლექტორი თავს აკანტურებ-  
და თანხმობის, მოწონების თუ უარ-  
ყოფის ნიშნად; პირს აღებდა და კუ-  
მავდა, ნათხოვარ ულვაშს აჭერდა ორ  
თითს, არ ჩამოვარდესო, ეშინოდა.

მარხვიდან ჰამაზე გადავიდნენ, ჰამი-  
დან უჭმელობაზე და იოგებს მიაღ-  
ნენ. იოგა ვარჯიშს, სხეულისა და სუ-  
ლის პარმონიულობასა და სიმტკიცეს

მიუბრუნდნენ. ერთი მოკამათეთაგანი ამ ვარჯიშების სირთულით, ვარჯიშების ფილოსოფიური საწყისებით და შედეგებით ყოფილიყო დიდი ხანია დაინტერესებული. მთავარი, ამტიკებდა იგი, გავანალიზოთ ამ სისტემის არსი და მასში ჩამარხული საიდუმლო, რომელიც თანდათანობით განვითარების შედეგად კი არ არის ჩამოყალიბებული, არამედ ოდესღაც ერთბაშად აქვთ ნასწავლი და ათვისებული იმ ხალხს, ვინც იგი ჩვენამდე მოიტანაო; ამ ფილოსოფიურ სისტემას განვითარებისა და ევოლუციის კვალი არ ამჩნევია და სწორედ აქ არის ძალის თავი ჩამარხული.

ეკონომიის ლექტორმა ულვაში შეიმოწმა, თავი არ გაურყევია, ამ დებულების არც უარყოფა უცდია, არც დადასტურება.

— ბოლო და მეხუთე ბუდა მაიტრია ხუთიათასი წლის შემდეგ უნდა მობრუნდეს, მაგრამ გაუტამის სიკვდილიდან ორიათასხუთასი წელი გავიდა უკვე და მის გამოცხადებამდე ამდენივე დროა დარჩენილი. — თქვა გიამ. — მანამდე კი დედამიწა უნდა მოსარგალდეს წყლითა და ცეცხლით, გარკვევით წერია, წყლითა და ცეცხლით. ადამის მოდგმის უმრავლესობა დაიღუპება იმ წარღვნაში, დარჩებიან ცოტანი. მოვა გაუტამა და გადარჩენილები (ვინც იმ დღეს ელოდა და გაუტამას შესახვედრად ემზადებოდა) მიიღწევენ ნირვანას, ნირვანასა და ნეტარებაში ზოგიერთი შეიძლება ოთხმოცი ათასი წელიც კი გაჩერდეს, გაჩნია...

— რატომ გგონია შენ, — პირდაპირ გიას მიადგა ნიანია წაკითხული, აკურატულად გადაეკილ-გადაწყობილი ანაბეჭდებით, — რატომ გგონია, რომ შენს გარდა არ კითხულობს არავინ წიგნს, თუნდაც იმ წიგნს ან იმ წიგნებს, რომლებზედაც თითქოს შენს მეტს ხელი არ მიუწვდება.

— მე არაფერი არ მგონია... — ამოილაპარაკა ნიანიას დაწყობილი ლაპარაკით გაოცებულმა გომარელმა.

— არა, კი გგონია და არა... შენ. მეც ვიყავი სხვათა შორის ერთ დროს მაგ სენით დაავადებული... არა-უშავს, გაივლის... — დამრიგებლური ტონით დაამთავრა, ჩაიცინა და კმაყოფილი გავიდა ანაბეჭდებიანად.

რატომ ვერ მიტანს ნეტავიო, გაიფიქრა გიამ და გაოცებული თვალები გააყოლა: ახლადმოხურულ კარზე გაუშტერდა მხერა. რატომღაც ყველანი გაჩუმდნენ; მოსალოდნელი დავა და ყაყანი აღარ განახლებულა. კიბეებში ხელებჩაწყობილი, სვანურ ქუდდახურული ნიკა შემოეხეტა სასხვათაშორისოდ, ხაზგასმული ფამილიარობით შეათვალიერა დასაშლელად განწირული კრება.

- როგორა ხარ, გია?
- ვარ.
- ასტრალურ მდგომარეობაში?
- დაახლოებით.

ნიკა ფანჯარასთან მივიდა და მუხლები რადიატორს მიაბჯინა. სითბო ეამა; ნაადრევ რევმატიზმჩაბუდებულ სახსრებში შეება იგრძნო. ნელ-ნელა, ერთმანეთის მიყოლებით გაიკრიფნენ დიდი ოთახიდან დანარჩენები.

- თქვენ, ახალგაზრდაე!.. — გაუთვალისწინებელი ხალვათობით და სიჩუმით ისარგებლა ეკონომიის ლექტორმა. — რამდენი წლის ბრძანდებით?
- მე მეკითხებით? — ნიკაპი გაუსვა კაშნეს გიამ.
- დიახ, თქვენ, ბოდის ვიხდი!
- ოცზე მეტის ვარ და ოცდაათზე ნაკლების.
- კარგი, ეგრე იყოს... — დაყაბულდა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ ლექტორი და შუანა თითი დაიდო ულვაშზე. — მე გაცილებით მეტისა ვარ და ისე რომ, მაქვს შეკითხვის უფლება, ასე არ არის?
- ალბათ.
- შეილები გყავთ?
- არა.
- არც აპირებთ?
- რას?
- შეილების ყოლას?
- არა.

ისევ შეიმოწმა ნათხოვარი უღვაში, ამჯერად — ორი თითით.

— რატომ?

— რატომ უნდა გვაჩინო ჩემნაირი ან რისთვის უნდა მოვაკლინო ამ ქვეყანას? რა გასაჩენი ვიყავი ან მე ან ბუქანი? რა არი სიცოცხლე? მოდიხარ დროებით და მიდიხარ სამუდამოდ; შუალედში — მოსვლასა და წასვლას შორის, დასაწყისსა და დასასრულს შუა უნდა იფიქრო არა დასაწყისზე, არამედ მხოლოდდამხოლოდ წასვლაზე, სიკვდილის მძაფრ და მტანჯველ შეგრძნებაზე. რისთვის ჩაეყენო სხვა ამ ყოფაში, ჩემი გაჩენის ერთ დანაშაულს უნდა მივუმატო მეორე — სხვისი შექმნის მეორე დანაშაული? რატომ? ბენიძე ვალოდია უბნის ინსპექტორად დაუნიშნა.

— ვინა?

— ვალოდია ბენიძე.

— და... — თქვა ლექტორმა. — მე გეთანხმებით, რომ ცხოვრება, თუ გინდათ სიცოცხლე, ვერ არი სწარბიელოდ მოწყობილი, ვინ დანიშნესო, თქვენ რა ბრძანეთ?

— მე მეუბნებით?

— დიახ, მოვდივართ დროებით და მოვდივართ სამუდამოდ, ასე არ თქვით? ეს არ ვიცოდი, ვიცოდი, მაგრამ ამ ფორმულით არა, პირველად გავიგონე და მაინც ბევრი რამ ჩემო, გია არ გქვიათ?

— დიახ.

— ჩემო გია, თავად ჩვენი მოუწყობლობის ბრალია. განა ყველაფერს წესიერად, კანონიერად ვატარებთ ცხოვრებაში? განა ისე ვიქცევით, როგორც მოგვიწოდებენ? ვიყოთ გულახდილნი. ვაგონების მოცდენა ავიღოთ თუნდაც. რამდენი რამ იწერება მატარებლის ვაგონების უმიზეზოდ მოცდენაზე, ტვირთბრუნვის შეფერხებაზე და სხვა. იწერება, მაგრამ რად გინდა, რა გამოდის აქედან? არაფერი. კარგი, ვთქვათ, ეს წვრილმანია, ასე იყოს. ახლა დავუშვათ ერთი წუთით, რომ, როგორც თქვენ გგონიათ, და სხვებსაც, რო-

გორც თქვენ ფიქრობთ, (გამოხეილად დრო დადგა) ადამიანი მოვა ხელმოვრედ ბალახად, მცენარედ და ასე შემდეგ. ადამიანის გვაძის ნაწილი ანდა თვით გვამი, უხეშად ვლაპარაკობ, ქიმიური დამუშავების, ლაბის, ხრწნის და გარდაქმნის შედეგად შეიძლება მართლაც გადავიდეს მცენარის ფესვში, შემდეგ ლეროში და ასე შემდეგ და ამას დავარქვათ მეორედ მოსვლა. ესე იგი, ადამიანი შეიძლება მოვიდეს ბალახად.

— წვიმად?

— წვიმად? თქვენ გია გქვიათ? ვინ დანიშნესო, რა მითხარით მაშინ? ვთქვათ, აორთქლდა ადამიანის გვამი ხრწნის შედეგად (განგებ ვაუბრალეგბ საკითხს), მზემ დააქირა და აორთქლდა, ვთქვათ, ორთქლის რაღაც ნაწილაკი შეუერთდა ღრუბელს და ღრუბლიდან დედაშიწას დაუბრუნდა წვიმასთან ერთად, ხედებით ალბათ... ესე იგი, მოვიდა წვიმად. თქვენ სად ცხოვრობთ?

— ვაკეში.

— კერძოდ?

— რეკლამიანი სახლი, „დალიეთ ქართული ჩაი“. იქ ვცხოვრობ.

— იმ სახლში.

— არა.

— აბა?

— რეკლამაში.

— იმ სართულზე, ესე იგი.

— ვერ გამიგეთ, იმ სართულზე კი არა, თვით რეკლამაში, უფრო სწორედ ასოში.

— რომელ ასოში?

— ჩ-ში.

— ბატონო?

— „დალიეთ ქართული ჩაი“. „ჩ“ საგანგებოდ არის გამოკვეთილი და იმ ჩ-ში ვცხოვრობ, შუათანა ასოში.

— კარგია. — თქვა ეკონომისტი, უღვაშზე მიიღო ორი თითი და გაჩუმდა; ლაპარაკის ხასიათი გაუნელდა.

ფანჯარასთან ნიკა იდგა და ქუჩაში იხედებოდა, თუმცა ყველაფერი კარგად ესმოდა, რადიატორზე მუხლმიყრდნობილს ეცინებოდა დროდადრო.



გიაც ფანჯარასთან გაჩერდა, კაშენ ამოიწია და ჩარჩოს ბეჭით მიაწვა, კისერმოღრეცილი მიაშტერდა. მინებს მოწოლილ გატყვიისფერებულ სინათლეს.

— ...რამდენი წლისა ხარ, ბიჭო, შენ? — ღიმილით ეკითხებოდა ბატონი საველერი.

— თოთხმეტის.

— მეტის არა?

— რაღა მეტის, ამდენისაც არ იქნება! — შეეპასუხა მეუღლე, — ქალბატონი ლილი, უკანმოუხედავად, სქელძირიანი ფეხსაცმელების რაძგუნით რომ გავიდა საძინებელ ოთახში.

— მორცხვიაო, ნუცამ მითხრა, მე არ ვიცი, რაცა ხარ, რად მინდა იმის თქმა, რატომ ხარ მორცხვი, გიორგი? გია კი არა ხარ შენ, შენ ხარ გიორგი? წავიკითხე შენი ლექსები, ნუცამ გამომატანა, მთხოვა, წაიკითხეო, რად მინდოდა, თხოვნა. ძალიან მომეწონა, ყოჩალი ბიჭი ყოფილხარ, მამაშენს თუ ხედავ?

— გენახულობს ხანდახან.

— ხანდახან... — დაფიქრდა ბატონი საველერი. ქალბატონი ლილი შემობრუნდა მასიური ქუსლების რაძგა-რუძგით. — კაკოს ხომ იცნობ შენ, ამის მამას?

— როგორ არ ვიცნობ, შე კაი კაცო!..

— ტუჩი აიბზეა ლილიმ. წასასვლელად ირთვებოდა მაღალი, ბეჭებგანიერი ქალი.

— ძალიან მომეწონა, ერთი სიტყვით, შენი ლექსები, მანდა დევს პოლში რვეულები, ნუცას უთხარი, მოეწონათქვა, მოკითხვა გადაეცი ჩვენგან. მორცხვობა არ გამოგადგება პოეტ კაცს, მწერალთა კავშირის წევრი ხომ ხარ?

— კი. — წამოცდა და ყურებამდე გაწითლდა.

ლილიმ მოიხედა, ქმარს შეხედა ზიზლით: უკმაყოფილოდ გააქნია თავი, მეორე ოთახში გავიდა.

— მოეწონა საველერი ბიძიასთქვა, ნუცას უთხარი, გამოვივლი მე.

გახარებული პოეტი ხელყარიელი დაეშვა კიბეზე, ლიფტის ცხაურთან შე-

დგა, საველერის ბინაში დარჩენილ ლექსებს ქსების რვეულები გაახსენდა. აბრუნდა. დარეკა. კარი იმ მოსამსახურე ქალმა გაუღო, ვინც სიხარულით გამოისტუმრა. ცხვირაწეული იდგა ახლა იგი, კიდევ რაღა გინდაო, თვალებით ეკითხებოდა. სუფთად გადაწერილი ორი საკლასო რვეული იდო უზარმაზარი სარკის წინ.

— გამოდიხარ!? — ისმოდა ბატონი საველერის მკახე ხმა კაბინეტიდან.

— გა-მო-ვ-დი-ვარ! — პასუხობდა ქალი საძინებელი ოთახიდან, პომადას იცხებდა, განიერ ბეჭებზე ისწორებდა კოფტას.

— ...მართლა მოგეწონა იმ ბიჭის ლექსები? — დროს იგებდა იმ შეკითხვებით.

— მომეწონა არა ის, გამოდი, თუ გამოდიხარ!

— წაიკითხე მაინც?

— რა წამაკითხებდა იმ სისულელეს... დაგვაგვიანდა!..

იისფერყდიანი რვეულები ეჭირა და აბუზული იდგა თერთმეტსართულიანი სახლის წინ, ბეტონის ხევისფერ კედელთან. ტროლეიბუსის შლიგინი და მანქანების ხრიალი ესმოდა ერთ მთლიან, სამყაროს ხმაურთან შეზავებულ გუგუნად.

— მოვა დღეს ვოვა? — იკითხა ეკონომიის ლექტორმა.

— არა მგონია. — უკანმოუხედავად უპასუხა რადიატორზე მუხლმიყრდნობილმა ნიკამ.

გია გომარელმა ფანჯრის კარბას გამოაცალა ბეჭი უცბად, მოტრიალდა, გავიდა გარეთ და დერეფნის ბოლოში მიიკარგა დიდი ნაბიჯების ხმა.

— ეს ბიჭი, გივი ხომ არ არის? — იკითხა ეკონომიის ლექტორმა.

„გიუს მოგცემს, თუ გაგივო!“

ნიკას ხმა არ გაუცია და ლექტორსაც აღარ გაუმეორებია შეკითხვა. ეჭიმთან იყო მისასვლელი, ვოვა არ ჩანდა და ეჭიმთანაც აგვიანდებოდა. დიდ ხანს უთვალეირა ეჭიმმა — ვენეროლოგმა ვამეყ ბედიანმა გამადიდებელი

შუშით, დიდხანს უკმაყოფილოდ აქნია თავი.

„გლახადა ჩემი საქმე!“ — გაიფიქრა გაშინაურებულმა პაციენტმა.

— ისევ არ მომწონს! — უთხრა ექიმმა.

— არის ვითომ, ბატონო ვამეყ?

— ძნელია ზეპირად თქმა, ისე ნამდვილად არ მომწონს! — ხელმეორედ დაუმიზნა გამადიდებელი მინა.

— ბატონო ბედიანო, ამოდენა გამოცდილების პრაქტიკოსი ვენეროლოგი ბრძანდებით და ათაშანგია თუ არა, ვერ ხედებით თვალდათვალ?

— ძნელია, უპასუხისმგებლო განცხადებას ხომ არ გავაკეთებ, ნუ აჩქარდებით ამჯერაზე... დაეწყოთ მაინც ბიცილინი, რას ვკარგავთ... მთავარია, არ დავაგვიანოთ, ერთი წუთით! — ისევ დაუმიზნა ლუბა ვამეყ ბედიანმა.

— არ მოგწონთ, ხომ? — თავგზაბნეული იკრავდა ზვანჯარს და ბედიანს მიჩერებოდა მავედრებელი თვალეზით.

— არა, ნამდვილად არ მომწონს!

„რალა მე შემეყარა ხელმეორედ ლეიუსი!“

დღეს გამოიტანდა ვამეყ ბედიანი ანალიზების პასუხს და საბოლოო განაჩენს.

„...შეიძლებოდა ხელმეორედ შემეყროდა ლეიუსი? რალაც იმუნიტეტი არ უნდა გამოემუშავებინა ორგანიზმს?!“

— ვოვა არ მოვა დღეს! — თქვა ნიკამ.

— არა, ხომ?

— შეიძლება მოვიდეს, რა ვიცი.

ვოვა არ ჩანდა, ექიმთანაც აგვიანდებოდა. პირველის დაჭერა იყო ძნელი, თორემ მეორე სად გაეჭეოდა. ვოვა მომსვლელს არ ჰგავდა, ექიმში — წამსვლელს, მაგრამ რა კარგ ამბავს ის დაახვედრებდა.

— ნიკა არ არის მანდ?! — დაიძახა გურამმა.

— არ არის, ბატონო გურამ! — შეკრთა მდივანი.

კაბინეტი დადუმდა.

— მოვეუხმო, ბატონო გურამ?

— იყოს, არ მინდა.

„მოუხმო არა, ის!“ ცივი ლუდი, ცხელი სოსისი, ახალი მდოგვი და შავი პური ენატრებოდა. იქნება გავძლო გენადი კილურაძის მოსვლამდეო, ფიქრობდა.

„...მოდის, დავრეკავ ბაზაში, იქნებ უნიტაზების ვანო დავიჭირო. რალაცა-შია იქ საქმე: ერთმა თქვა, არის უნიტაზებით, მეორემ — არ ვიცი, არის თუ არა, უნიტაზებით...“ ტელეფონი მომარჯვა და ვილაცის მზერა იგრძნო. თავი აწია და ღია კარში ასვეტილი გია დაინახა. ჯერ იგრძნო, შემდეგ დაინახა. პირველად არ დამართნია ამნაირი რამ ამ ბიჭის გადამკიდეს.

— გინდა რამე, გია?

„მე მინდა ლუდი, ამას რა უნდა?“

— მომეცით ჩემი ლექსები!

— ლექსები? რატომ?

— უნდა წავილო.

— რატომ? მე აქ მოვინიშნე ზოგიერთი... — რვეული ამოიღო უჭრიდან. — მოვხაზე და ნახე. ეს ისინია, რომელთა დაბეჭდვაც შეიძლება ამ ეტაპზე, შემდეგ ვნახოთ. ჩემი მონიშნულები გადააბეჭდვინე, შენიც დაამატე თუ გინდა, ერთი ასი, ასოცი სტრიქონი მოიტანე დაახლოებით, ეს თავკიდურა ასოები რატომ გავიწითლებია, სინგურია ვითომ, თუ რა არი?

— არ ვიცი, არაფერი არ არი. ძველი გადათეთრებულია, მაშინ ასე მომწონდა.

„სავლერის რომ საკლასო რვეულეები მოვეუტანე, ის სხვა იყო, უფრო სუფთა იყო და თეთრი...“

— დიდი ამაგი აქვს სავლერი ბიძია, შეილო, ჩვენზე!

— ვინ არი სავლერი ბიძია?

— როგორ ვინ არი?

— ვინ არი? საიდან არის ჩემი ბიძია?

— როგორ საიდან? — საშინლად დაიბნა უცნაური შეკითხვით შემკრთალი ქალი. — ჩემი მეგობარია, ამხანაგი... შენი ბიძიაა, სავლერი ბიძია...

სხვა დედებს რატომ არ ჰყავდათ ისეთი ამხანაგები, ბეცი, დიდსათვალისანი მეგობრები?

უამრავი ხალხი დაესწრო აკადემიკოს საულის გასვენებას. დიდ-დიდი ნეკროლოგები დაიბეჭდა გაზეთებში, განუყრელი სათვალით გაასვენეს საულის. რომლის ძლოცვის თავი (გიას ძლოცვი არ ენახა არც თავიანი, არც უთავო) თვალსაჩინოდ ჩანდა კუბოდან.

— რატომ მიგაქვს? — ეკითხებოდა კუბოდან ნაბახუსევი ბენდუქაძე.

— არ მინდა სხვადაც წაიკითხოს!

— რატომ, ამიხსენი?

— მომპარეს უკვე ლექსები, აქ თუ დავტოვე სულ გამძარცვავენ!

— ვინ მოგპარა? — სკამზე შეწრიალდა გულმოსული. — რანაირად მოგპარეს?!

— ჩვეულებრივად.

— როგორ ჩვეულებრივად?

— იბეჭდება უკვე ლუტუშის გვარით.

— ვახ შენი, დოდო, ნიკა მომიძებნო იქნება!

— აქ არის, ბატონო გურამ, ახლა შემოვიდა! — შეეპასუხა იმწამსვე მდივანი. ნიკას კი მეორედ დაძახება არ დაჰკირვებია: გვერდულად შემოჩოჩდა, თითქოს პირდაპირ წამოსულს კარი არ გამოუშვებდა.

— ლუტუში ჩვენ მესამეში გავუშვივით?

— მეოთხეში, გვერდებშია უკვე ამოსული.

— გამოიტანე, თუ არ გეზარება!

ნიკა გავიდა, გია წიგნების კარადას მიაწევა ზურგით და ცალი თარო ჩამოაგდო.

— როგორ შეეძლო, შენი ლექსები მოგპარა ლუტუშის, როცა სამი თვის წინ ჩავუშვივით სტამბაში. შენ სულ ორი კვირის მოტანილი გაქვს.

— სამაგიეროდ ეს რვეული სამი წლის წინ გადავათეთრე, არც ჩამომეტებია, არც ამომიკვეთია არაფერი... — მორყეული თაროს გასწორება და ეუ-

რნალების დალაგება დაიწყო.

— დაჩქევი, მოეშვი მაგ თაროს, სხვა გაასწორებს, მე ხომ არ გეუბნები, შენ წაილე ლუტუშისაგან-მეთქი. მაგრამ შენც არ უნდა დაადანაშაულო ადამიანი უსაფუძვლოდ. ულოგიოდ, საერთოდ, ამით არ უნდა დაგეწყო.

— მე არც ვამბობ, რომ პირდაპირ გამჭურდეს... არაპირდაპირ არის წაღებული, დისტანციურად. — სკამი მოიწია, სანამ დაჯდებოდა, მოიხედა და დავკირვებით დააშტერდა სკამს.

ნიკა შემოვიდა და ანაბეჭდები დაალაგა მაგიდაზე.

— აბა, მაჩვენე, რომლებზე გაქვს ეჭვი!

ხრიგინით წამოიწია სკამიდან, გურამის მაგიდას გადაეშხო. დასტამბულ, ლექსებს დაადო თითი, რვეული გადაშალა და შესატყვისი ადგილები მოძებნა.

კარგა ხანი კითხულობდა ერთსა და იმავე სტრიქონებს ბენდუქაძე თავის ყანყალით, ხან მარცხნივ იხედებოდა, ხან მარჯვნივ და დროდადრო უცნაურად ხიზინებდა, თითქოს ყელში ეჩხირებოდა რალაც.

— არის კი, ერთგვარი მსგავსება, განწყობილება ერთი და იგივეა თითქმის, მართალია, რალაც დამთხვევასთან მართლაც უნდა გვექონდეს საქმე...

— აი ეს, ბოლო ლექსზე ვამბობ, არაფრით არ განსხვავდება იმ პირველისაგან... — თქვა ფეხზე მდგარმა ნიკამ.

— მაქედან კითხულობ ახლა შენ? — სათვალე მოიხსნა გაოცებულმა გურამმა.

— აქედან კი, რა იყო?

— ნახე კაცო, მე ესეც აღარ მყოფნის... — სათვალე გაიკეთა კვლავ. — ისე, შენი არ იყოს, მართლაც ერთი და იგივეა, მგონია, გენადი ხომ არ მოსულა?

— არა.

— სად დაიარება გამაგებინა და არ მინდა მეტი არაფერი, რატომ არის ისე გამხდარი, ჭამა მაგას არ აკლია და სმა?

— ძნელი სათქმელია, ნიკალაევიჩ!

— რა ვქნათ ჩემო გია?... არის რალაც

მსგავსება, განწყობილებითი, შინაარსობრივი, ფორმითაც ემთხვევა ალაგ-ალაგ, ამას ვერ უარვყოფთ, ხდება, რას ვიზამთ... ლუტუშის არ იცნობ ალბათ თორემ მის კეთილსინდისიერებაში ეჭვს არ შეიტანდი...

— არც შემიტანია, მე ხომ არ მითქვამს, ჩემგან გადაიწერა-მეთქი, დისტანციურად ხდება, კარნახით, ამას წავიღებ და ისევ მოვიტან...

— როგორ ხდებოა, რა მითხარი?

— კარნახით... — გვერდულად გაიღმა გიამ.

„გვაშაყირებს?“

— მოკლედ, გადაბეჭდე და მოიტანე.

— არ უნდა გადაბეჭდვა, ისე მოვიტან.

— მაშინ იყოს აქ, რალას მიგაქვს.

— წავიღებ და მოვიტან.

ბენდუქაძემ თავი გააქნია, გერ ნიკას შეხედა, შემდეგ მეორე მხარეს გადაიტანა მზერა, თითქოს იქაც ვინმე ეგულეობდა.

— მაშინ ჩაკვეტოთ რკინის სეიფში და ვნახოთ, რა მოხდება.

— რა უნდა მოხდეს?

— მომპარავენ დანარჩენებსაც და აღმოვაჩენ ამასავით... — ისევ ვერ შეიკავა ლიმილი.

— კი მაგრამ საიდან მიაღქცი იმ ლუტუშის, გითხრა ვინმემ? — მართლა დაინტერესდა გურამი.

— არავის არ უთქვამს, კარნახით მივაგენი... — შეუმჩნევლად გაიღმა კვლავ. გურამი შეერთა. ამღვრულ, ნაცრისფერ თვალებს შეხედა. ეს მზერა და ლიმილი არ ესადაგებოდნენ ერთმანეთს.

— აღნიშნული მიმართულებით ავიღე გეზი, მითითებულ გვერდზე გადავშალე ანაბეჭდი, კენტი ლექსები გადავათვალე, პირველი, მესამე, მეხუთე და მეშვიდე გავჩითე, წყვილს არ გავაარებოვარ.

— გენადი არ მოსულა? — ამოიხარა გურამმა.

— არა. — თავისთვის თქვა ნიკამ. თავი დაწია და ისე დააჩერდა მაგიდას,

თითქოს მაგიდასთანვე <sup>გარკინებული</sup> <sup>ქვინდა: ნიკამ</sup> და არა ლუტუშის ლექსების კენტ განლაგებასთან. სწრაფად კითხულობდა პირველ, მესამეს, მეხუთეს და მეშვიდეს და როგორც ბენდუქაძეს ეჩვენებოდა, მარჯვენა ყურს არხვედა.

— ნაღდად ასეა! — თქვა გაოცებულმა და მარჯვენა ყურიც გაუჩერდა.

— რა არი ნაღდად ასე?

— საოცარია, ამნაირი არ მინახავს არაფერი... — ნიკა დაიხარა, დაუწია ხმას, თავი გურამის თავთან მიიტანა. — გენადი არ მოდის ნიკალაევიჩ, სანამდე უნდა ვუცადოთ, ჩეხური ლუდი აღმოვაჩინე ახლა ამ წუთას კარნახით, მივალთ და დაგვხვდება თუ არა და რაც გინდა ის მითხარით!

— გადაირევი კაცი! — სკამზე შეწირიალდა ბენდუქაძე. — თანაც უნიტაზზე უნდა დავრეკო. — ყურმილი აიღო. ნომერი აკრიფა. — წავიდა გია?

— გავიდა.

— რაო, რა თქვა, რა კარნახო, რა ებს ლაპარაკობდა?.. ალო, ალო, რომელი ბრძანდებით?.. არა, უკაცრავად, ბინაო, სხვაგან დამირეკია. — ყურმილი დადო. — წამომყევი მაშინ შენ ერთ ალაგას, რალაცა მაქვს გამოსატანი კარნახით...

— უნიტაზი?

— უნიტაზი, ავლიტიკო იქნება!

ბაზის ჰიშვარი დაკეტილი იყო. ჯიხურშიც არავინ ჩანდა. წავიდა ვანოო, თქვა თვალბზე ქულჩამოფხატულმა, თვალწირპლიანმა კაცმა, ბაზის მისადგომებთან რომ ტრიალებდა მუდამღლე სამუშაო დამთავრებულყო. ჰიშვარი აღარ იღებოდა რაჯგარ-რუჯგით, თუმცა ეზოში რამდენიმე მუშა ჩანდა და სადღაც ელექტროხერხიცი ხრიალებდა ყურისწამლებად.

ბარში ჩეხური ლუდი არ აღმოჩნდა. აღმოჩნდნენ ნაცნობები, ახლობლები, სამუშაო საათებში რომ იყრიან სალუდებში ძირითადად თავს. ბარს მოყვა რესტორანი, ლუდს — შამპანური.

ნაშუალამევს მივიდა შინ ჩუმაღ, უხ-

მაჟროდ გაალო კარი, დაკიდა საწვიმარი, ბანცალით, მაგრამ ფეხაკრეფით გაიარა პოლი და რატის ოთახში შეიხედა. მოსულიყო, ეძინა. ქალაქის მკრთალი შუქი ეფინა გაკრეცილ სახეზე.

„რავი სამართლიანი ბიჭია!“

დაღლილია, დღეს ვის ასამართლებდა ნეტავი? — ამოიოხრა და ჩუმად დაწვა. დაიძინა. დილაუთენია გაიღვიძა შემფოთებულმა. რალაც გაჯახუნდა მთელი ძალით. ბაზის რკინის ჭიშკარი მიანარცხა ქარმა რკინას. თვლები დაჰკრია. იქიდან ხმას აქ როგორ გავიგონებდიო, გაიფიქრა ნახევრადშეფხიზლებულმა, გაახსენდა, რავი რომ შინ იყო და ძილი შეიბრუნა იოლად.

გამოიძარა. ნაწვიმარზე და ნაღრუბლარზე მოკრიალდა ცა, ამობრიალდა მზე და წითელ სხივებში გახვრია სველი ქალაქი. ახმაურებული ტრანსპორტისა და მამლების ყვილის ხმა აერიოდა ამწვანებულ ბორცვებამდე.

გადაშუადლებულს მოითენთენ რუსთაველის შარაგზაზე მოსიერნე მოქალაქენი. უდროოდ შეშლილებული სტუმრები ჩერდებოდნენ ტროლეიბუსის გაჩერებებზე, მზეს იჩრდილავენდნენ ხელით, აბრწყვილებული ტროლეიბუსის ხაზების იქით გადაჰქონდათ მზერა და უფოთლო ჭადრების მიღმა დარჩენილი სახლების ფასადებს და აბრებს ათვალეირებდნენ გულგრილად.

ალექსანდრეს ბაღში ეასმინის ყვავილის ცვრიან ფოთოლზე ყოჩივარდის ფესვისფერ ნისკარტს იწმენდა შაშვი, უცბათ დაფრთხა და ჰახჰახით ამოეარდა იასამინისფერი მტევნებიდან.

გულგაღელილი ამოდიოდა ვია აღმართში, შაშვის ხმა ესმოდა ჰახ-ჰახად. ამჩატებული მოაბიჯებდა ხეივანში, ტროტუარზე ზურგით მიყენებული მანქანების გასწვრივ. ფუტკრის ბზული და ქერეჭების ფრთხილი ისმოდა მიდუმებულ ცისკვეშეთში. აყვავებული ხეების ქვეშ გულაღმა იწვა მომაკვდავი გუბათა და ატმის ყვავილებით გადაჰენტილ, უზარმაზარ ცას უყურებდა.

ყვავილების ფურცლების შრიალში, ფუტკრების ზუზუნში ჩაწნული გუბათამას სული ადიოდა. მარადისობის მოლავარდებულ ცაში.

ეგნატე ნინოშვილის ძეგლთან გაჩერდა, მარჯვნივ შებრუნდა და რუსთაველის გზაშარას გახედა, ქვაფენილზე დაჩენილი, გაუფოთლავი ჭადრების უსასრულო ჩრდილებს მიაშტერდა. სათვლით მარხავდნენ სავლერი ბიძიას. ზღვა ხალხი მიაცილებდა კუბოს. იწვა სავლერი მუხის, მოკამულფერდაფენილ კუბოში სათვლით. რად უნდოდა მკვდარს სათვალე ამ ახალგაზფხულზე. დალაჭავებული საწვიმრის ჭიბიდან რევოლვერი ამოიღო და მოპირდაპირე სახლის უზარმაზარ ვიტრინას ესროლა.

სამნი იდგნენ კაფესთან. მოზომილ ტერიტორიაზე ეფიციებოდნენ მზეს და ცინიკურად აყოლებდნენ თვალს მათ სამფლობელოში კანონიერად მიმავალ-მომავალ მოქალაქეებს.

— ეე!... — ამოიძახა ერთმა სროლის ხმაზე.

ერთმა საერთოდ ვერ გაიგო, რა მოხდა. ერთს მკვდრისფერი დაედო. კიდევ არ შემობრუნდეს ვილაცაა, კიდევ არ ისროლოსო.

— სტარტოვკა იყო, ტო?! — იკითხა დაბნეულმა პირველმა.

ტყვიამ კი სქელი მინა გახვრიტა და დარბაზში დაეარდა კუთხის მაგიდასთან, სადაც სამსახურიდან შესვენებაზე გამოსული ორი თანამშრომელი საუბრობდა მეექვსე ბოთლი შამპანურის წრუპვით.

— ხედავ შენ?! — თქვა ერთმა და ნატყვიარს მიაჩერდა.

— ჩვენ გვესროლეს, ვითომ? — შეეჰქვდა კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი ამირან ქორქაშვილი.

ტყვიაც იპოვნეს თეთრი, სიფრიფანა ფარდის ძირას. ავტონისპექტორი, რომელიც ამ ამბავს შეესწრო, დაბეჯითებით ამტკიცებდა, მსროლელი თავქუდ-მოგლეჯილი შევარდა ბაღშიო, თუმცა ბაღში შევარდნილი კაცი არავის შეუ-

ნიშნია. დაინახე შენო? ეკითხებოდნენ ავტორისპექტორს. არ დამინახავს, მარა ჩემი ვარაუდით, ბალში შევარდა, დადევნებას აზრი აღარ ჰქონდა, პოსტის მიტოვების უფლება არ მაძლევდა ამის საშუალებას და თანაც ნამეტანი მაგრად გარბოდაო.

გია ბალში არ შევარდნილა, არც გაქცეულა; სასწორზე შედგა, სანამ ფერწასული მწონავი აწონვას მოასწრებდა, სასწორის ქულზე ბურღა ფული დატოვა და ფეხაუჩქარებლად წავიდა იქით, საითაც, ავტორისპექტორის აზრით (დაინახვით მართლაც არ დაუნახავს), იგი უნდა წასულიყო. მალე ვაუხვია მარჯვნივ, საწვიმრის გულისჯიბეში ორად გაკეცილი ლექსების რვეული და იარაღი მოისინჯა, გადაახტა დაბალ გალავანს და შევიდა ეკლესიაში, შაშვის ხმით აქაბჭახებულო, დაბზარული ყინულის შუშა დაინახა. სხივებდ წასული ყინულის შუშის იქით ბღღვიალებდა სიყარეელისა და უსასრულობის სინათლე. ეკლესიიდან გამოსულმა რედაქციისაკენ აიღო გეზი.

გურამ ბენდუქაძის კაბინეტის კარი შეაღო.

— გურამ ბიძია!

— რა იყო ბიჭო?! — სული ძლივს მოითქვა, ბენდუქაძემ, რამ შემაშინაო, გაოცდა. — შემოდი, დაჯექი, რა იყო, ნარბენი ხარ?

ფხოკივლით წამოიღო სკამი, დაჯდა, იდაყვები დააბჯინა მაგიდას და მარმარილოს საფერფლეს დაუწყო წვალება, ხან ერთი თითით აუწია ცალი მხარე ხან — მეორეთი.

— გურამ ბიძია, პატივს გცემთ, გენდობით, როგორც რატის მამას. ძეხორციელმა არ უნდა გაიგოს, რასაც გეტყვიო... მოხურულ კარს მიაჩერდა.

— რა იყო, შითხარი. — კარს გახედა გურამმა. — არავინ არ არის რედაქციაში.

— მე შეიძლება დღესვე ამიყვანონ... ვინ უნდა ავიყვანოსო, უნდოდა ეკითხა, მაგრამ გაჩუმდა, მიძიმედ ამო-

ისუნთქა, სიგარეტი ამოიღო და სიგარეტის მომლოდინემ.

— რატის მამა რომ ხართ იმიტომ გიტყდებით, იცოდეთ, ბეჯან შელიძე ცოცხალია!

— რომელი ბეჯან შელიძე? — საშინლად დაიბნა ბენდუქაძე.

— ბეჯან შელიძე, ვისი მოთხოვრების დაბეჭდვასაც აპირებთ, ვის საფლავზეც ვახვედით დღეისწორს...

— მერე, მამამისმა არ იცის? — იკითხა უაზროდ.

— არა. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წვეს სხვისი გვარით და სახელით.

„იქნებ მართალია, ღმერთმა დაწყევლოს ამათი გაჩენა, ამათი თავი და ტანი!“ უცნაურ ბურანში ჩაიძირა, მაღალი სიცხით გათანგულს დაემსგავსა ერთი წამით.

— ვერავინ იცნო მერე აქამდე?

— ვერა. სხვისი ტანით და სახით ცხოვრობს.

სახეზე წამოხურდა. სიცხე დაუვარდა და მშრალი ოფლი გადაასკდა. იგრძნო, როგორ აუჩქარდა პულსი.

— ...მე დღეს მომაკითხავენ... — განავრძო გიამ. — იმიტომ არსად არ მივდივარ, მისწავლება არ არის საჭირო, თავდაც მომძებნიან... — წამოდგა, ამჯერად ძალიან ფრთხილად და უხმაუროდ გაწია სკამი, ფეხაკრეფით გავიდა და საკორექტოროში შეუხვია.

გაუნძრევლად იჭდა გურამ ბენდუქაძე კაბინეტში. გულისცემას და მოთენთილობას გრძნობდა. მზე მოდგომოდა საწერ მაგიდას. ტელეფონის აპარატი აეფერადებინა ცალ მხარეს. საკორექტოროდან ხმამაღალი ლაპარაკი და სიცილი ისმოდა. საბეჭდი მანქანის მონოტონურ კაკუნს ფარავდა ეს ხმა.

— კარგი რა, გია, ნუ გვაცინებ! — გული მისდიოდა ახლადმიღებულ კორექტორ გოგონას.

— და! — თქვა გურამმა იმ მინაზებული ხმის გაგონებაზე.

„კარგი რა, გია, ნუ გვაცინებ!“

გურამ ბენდუქაძეს მოეჩვენა, რომ

ექიმი კარლო ვარშანიძე ნამეტანი თბილად იყო ჩაცმული.

— ...რა ვენა, ასეა. ეს კი არა, წელიც გაკრული მაქვს შალით. მკლავს რადიკულიტი. ახლა კი არა, რა ხანია. — გურამის მიწეულ სავარძელს გადახედა და მაგარ სკამზე მოკალათდა, კაბინეტი შეათვალიერა, სიგარეტის კოლოფი და ბენზინის კვესი აუჩქარებლად დაილაგა წინ, დინჯად დააძრო ღერი კოლოფიდან, ნელადა მოუყიდა კვესით, გააღვივა და გააბოლა, ღრმად ჩაისუნთქა ნათხაზი.

— რა ვიცი აბა, თითქოს მანამდეც, მაგრამ დღეს ძალიან არ მომეწონა... — თქვა გურამმა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— არ მოგეწონა კარგია, მძიმე ავადმყოფია, მძიმე და საშიში, იზოლირებული უნდა იყოს...

— სანამდე?

— აბა რა ვიცი, აქვს რემისიები და ექნება კიდევ, ხანგრძლივობას გააჩნია... დედამისის დაეინებული თხოვნით გაუშვით, მე მოუვლიო, რას მოუვლის. მერე პასუხს შე მომთხოვენ, დედამისს კი არა. არადა იმ ქალის ყურბაც აღარ შემოძლია.

— მამა არ ყავს, ხომ?

— როგორ არა, ყავს. დურაქია მამამისი, იმიტომ კი არა, იმ ქალს რომ გაშორდა, — საერთოდ.

— ავადმყოფობის რა ფორმა აქვს?

— მამამისს?

— არა კაცო, გიას.

— გიას? რაში გაინტერესებს?.. ფორმა თუ არა, ჩვენც დაზარისებული გყავს შენდელევეის სისტემასავით. — ჩამქრალ სიგარეტს მოუკიდა ხელახლა. — რა ფორმა, რის ფორმა! არის კი განსხვავებები, იმ განსხვავებებში თქვენ რომ არჩევთ, განსხვავებებია, მაგრამ საქმეს ეს არ შევლის, პრინციპი ერთია... — სახე დაემანჭა, ეტყობოდა, წელმა შეაწუხა, მოიდრია, გაიმართა, ორად გაყოფილი ზედა ტუჩი, რომელსაც მეჩხერი უღვაში ფარავდა, რაღაც ნაირად აუტოკდა. ქურჭში გახვეული,

ოქროსებილიანი, ტუჩგაყოფილი, რომელიც ლოყებიანი კაცი ბენდუქაძემ წყლის რომელიღაც ძვირფასბეწვიან ცხოველს მიამგვანა.

— არ მორჩება?

— გია? რა ვიცი, ჩემო გურამ... — ისევ დაემანჭა სახე. მაგიდისკენ წაიხარა. — შენ გგონია, ვიცი რამე?.. ქე გითხარი და, აქვს ნათელი პერიოდები და ექნება კიდევ, დაუთრგუნავი გონება აქვს და შერჩება, უნდა შერჩეს წესით, ჭეუსუსტობაში არ გადაეზრდება, ერთი სიტყვით, არ უნდა გადაეზარდოს, ჩემი შეტყობით და ესეც შელავათია, ერთი მხრივ, შეიძლება უარესიცაა... ბოლო რა იქნება, ჩვენ არ ვიცი, ჩვენ არ ვიცი, უპირველესად. გააჩნია, როგორ განვითარდება ავადმყოფობა და მედიცინა — განსაკუთრებით.

— რისი ბრალი უნდა იყოს?

— გამომწვევი მიზეზები გაინტერესებს? ვინ იცის. მაგდენი რომ ვიცოდეთ, რა გვიჭირს. — ახალ სიგარეტს მოუკიდა. — ათასი რამის, მემკვიდრეობის უპირველესად, თუმცა, მართალი გითხრა, ანამნეზში არ ჩანს, გენების ძალიან შორეულ გამოძახილთან უნდა გვქონდეს საქმე. ძირითადად მემკვიდრეობის, რასაკვირველია, შემდეგ კიდევ ათასი რამის. ყლაპავდა, ეწეოდა და ასე შემდეგ. დედამ ვერ მიხედა. მამა ქე გითხარი, რაც არი. არც დედამისი იყო მამა აბრამის ბატკანი, მოკლედ ასეა. — წამოდგა, ძლივძლიობით გაიმართა, ოვალური, მსუქანი ლოყები აუფერადდა, ყრუ ტკივილი დაუამდა ალბათ.

— ვერ გამოვიარე და ვერ გამოვიარე შენკენ, საავადმყოფოში.

— საავადმყოფოში რა ეშმაკი გინდა?

— მინდა მოვიდე, დაგათვალიეროთ, მოვალ კიდევც...

— კარგი, თუ ძმა ხარ, სად მოხვალ, ორი გიყი მიწევს ერთ ლოგინში თავშეკცევით!

— მერე?

— რა მერე?.. ვაშენებთ ახალს, დიდს

და ნათელს და ყველა დავებევით შიგ...  
შენ რა ჭენი, მორჩი რატის ბინის რე-  
მონტს?

— თითქმის, მიმრჩა რალაც-რალაცე-  
ები, უნიტაზი მაქვს მისატანი... დავუ-  
ძახო გიას?

— კი, კი... მანქანა მელოდება ქვე-  
ვით.

— მე შენთვის დამიშავებია რაიმე?  
დაგპირებივარ და არ შემისრულებია?  
— კითხულობდა ჭურჭვადლეილი კარ-  
ლო ვარშანიძე.

— გაიხადე, არ გცხელა! — უთხრა  
გურამმა ვითომ სხვათაშორის, ნერვი-  
ულობდა და მისდაგასაოცებლად ხმაც  
ვერ დაიმორჩილა წესიერად.

— წავალთ ახლა. — უპასუხა კარ-  
ლომ და კედელზე აყუდებულ, გათეთ-  
რებულ, თვალებში სხივამჭრალ გიას  
მიაჩერდა. — რატომ არ მენდობი?

— გიჯერებ და გენდობი თუ არა რა  
მნიშვნელობა აქვს.

— კარგი ბიჭი ხარ და იმიტომ.

— სხვა გზა არა მაქვს და იმიტომ.

— ნიკაპი გაუსვა საყელოდან ამოჩა-  
ჩულ კაშნეს.

კარლომ გაიცინა, ოქროს კბილი გა-  
მოუჩინდა გაკრილ ტუჩებქვემოთ, გიას  
ხელი მოუთათუნა, ძლივს შეწვდა ბეჭ-  
ზე.

— ჯიბეში რა გაქვს?

— არაფერი.

— მომეცი!

ცხვირსახოცში გახვეული იარაღი  
ამოიღო და კარლოს გადასცა უსიტყ-  
ვოდ. კაბინეტში კვამლის მსუბუქი სუ-  
ნი დადგა. ისევ აუძგერდა გული ბენ-  
დუქაძეს, რა მჭირსო, გაიფიქრა გაბრა-  
ხებულმა.

— ისროლე? — იკითხა კარლომ.

— არა. არ ვიცი. — ვარსკვლავისე-  
ბურად ამობზარული, უსასრულობი-  
დან წამოსული შუქით აბრჭყვიალებუ-  
ლი ყინულის შუშა დაინახა.

— შენ ხომ იცი, რას ნიშნავს იძულე-  
ბითი წესით წაყვანა ჩვენი გავებით?!  
— ეკითხებოდა საველერი ბიძია კუბო-

დან. რად უნდოდა სათვალე უბოძე  
მზეში, პირგაზაფხულზე?

— ვიცი და მოვდივარ კიდევ... —  
პასუხობდა ექიმ კარლო ვარშანიძეს.

— მოვდივარ, მხოლოდ ერთი პი-  
რობით: დედაჩემი არ დავინახო იქ მო-  
სული!

— როგორც შენ გინდა. შაბათ-კვი-  
რის გარდა არც ვუშვებ ხოლმე.

— ვის არ უშვებ? მე არ ვიცი გგო-  
ნია, ყოველდღე კიბეზე რომ ზის და  
ტირის?!

კარლო ვარშანიძემ ფანჯრისკენ იბ-  
რუნა პირი და ცოტა ხანი შებრუნებუ-  
ლი გაჩერდა.

— მე ამას დაგიტოვებ, გურამ ბიძია,  
— საწვიმრის გულისკიბიდან სიგრძივ  
გაკეცილი ლექსების რვეული ამოიღო  
გრძელი, ნერვიული თითებით.

— დამიტოვე, დამიტოვე... — სწრა-  
ფად ჩამოართვა რვეული გურამმა.

— რატის უთხარი, ვერ გნახათქვა,  
ძალიან მინდოდა, რომ მენახა, ეს რვე-  
ული შემინახე, გურამ ბიძია, იქნება ქე  
მეშველოს რამე!

კარლოსა და გიას გასვლის შემდეგ  
ტელეფონმა დაარეკა.

ზარი რაწყუნებდა გაბმულად, განუ-  
წყვეტლად.

— რაიონია! — დაზაფრული ხმით  
იძახდა დოდო.

ზარის ხმაც მიწყდა.

ღია კარში დოდო იდგა, დაქვეტილი  
თვალებით იხედებოდა კაბინეტში.

— ცუდად ხომ არა ხართ, ბატონო  
გურამ?

— არა. — დაღუმებული ტელეფო-  
ნის ყურმილი აიღო და დადო.

ბაზის ჭიშკართან ფარდებითა და ან-  
ტენებით გაწყობილი ცარიელი, შავი  
„ვოლგა“ იდგა. ვანო ჭიშკარს კეტავდა  
და ყარაულს აფრთხილებდა, არც არა-  
ვინ შევიდეს შიგ, არც არავინ გამოვი-  
დეს გარეთო.

— გამარჯობათ! — შორიდან მიესა-  
ღმა მანქანიდან გადმოსული გურამ  
ბენდუქაძე.

— გაგიმარჯოს! — შორიდანვე უპასუხა შეფიქრიანებულმა ვანომ და ჩაჭვბოქლომი ჩაახალა რკინის გისოსებს.

— მე იმაზე ვარ! — ჭიხურის გზა გადაუღობა.

— რაზე? — ორი მსხვილი ფერის-მკამელი ჩაჯდომოდა მკვრივი ლოყების ორ მსხვილ ფოსოში.

— უნიტაზზე.

— შერე?

— შერე მოვედი. — მიმართვა აჩვენა.

— არა, არა... — ხელები გაასავსავა. მიმართვას არც დახედა. — ახლა არა, დღეს ვერაფერს ვერ გავცემ, ხანბერაძე მოსული, ვერ გავცემ!..

— ხანბერაძის რეზოლუცია ადევს სწორედ! — ცხვირწინ მიუტანა ქალაღი.

— ვხედავ, ვხედავ, ვიცი... — თავი გადაწია. — წაშავდება და გაგისტუმრებ!

ანტენებითა და ფარდებით გაწყობილ შავ „ვოლგას“ გადახედა ბენდუქაძემ ძალაუვნებურად, ვანომ დრო იშოვნა, მარჯვნივ გადაიყანთრა და რწევით აუარა გვერდი.

— ეს დაგიტოვოთ?! — შტამპიან-რეზოლუციანი ქალაღის ფრიალით დაედევნა გურამი.

— არ მინდა, რა სიკვდილად მინდა, უნიტაზების მეტი რა მაქვს, შე კაცო!

— ფერს აღარ დავებებ!

— წაშავდება და მოგცემ, რა ფერიც გინდა, გინდა დამელოდე, გინდა ხვალ მოდი!.. — რწევა-რწევითვე შევიდა ჭიხურში და რბილად გადაიარა ნახერხ-მოყრილი დერეფანი.

ხანბერაძე დაინახა გურამმა. ბეჭებზე პალტომოხურულმა სამოქალაქო ომის კომისარევით გადასერა ეზო და ამაღის თანხლებით მიეფარა თვალს.

ბაზის კიშკრის წინ, ჩიხში სიწყნარემ დაისადგურა. თვლებზე ქუდჩამოფხატულმა, თვალწირპლიანმა კაცმა გამოყო მოპირდაპირე ეზოს მორღვეული ღობიდან თავი და მიიძალა. გრილმა ნიავმა დაუბერა. შეცივდა და მანქანაში

ჩაჯდა. ახალგაზრდები გამრევიდნენ საიდანღაც. უფროსკლასელები უნდა ყოფილიყვნენ. სკოლას და სასწავლებლებს ამთავრებდნენ ალბათ თუ დამთავრებული არ ჰქონდათ. შევეგრემანი, ქოჩორა ბიჭი ერთ აყლაყუდას, მელნით მოსვრილი პიჯაკი რომ ეცვა, გამეტებით ეძგერა. აყლაყუდამ თავი ველარ შეიკავა, მაგრამ შევეგრემან, ჩაფსკვნილ ბიჭს კისერში წაატანა ხელები და ორთავენი ძირს გაგორდნენ: წყვილ-წყვილად დაეტაკნენ ერთმანეთს დანა-რჩენები. ზედახორა შექმნეს.

— გია, გია, გია! — ყვიროდა ვილაც.

ერთი ბიჭი მეორეს გაშლილ ჭაყვადანას ართმევდა შიშველი ხელებით.

თავბრუდახევევა და გულისფრიალი იგრძნო გურამმა. სანამ რაიმეს მოიფიქრებდა, სანამ ვინმეს მიშველებას მოახერხებდა და გაბედავდა ბიჭების მორგევიც გაიშალა. ღრეჭვით, სიცილით, შარვლების ფერთხვით დგებოდნენ და შორდებოდნენ ერთმანეთს.

— გია, მოგკლავს დედაშენი! — იჭაჭებოდა ვილაც და აქნევდა პლასტმასის სახაზავს, ჭაყვა-დანას რომ მიამსგავსა გურამმა.

— ვახ შენი! — ძლივს ამოისუნთქა და ფანჯრის შუშა ჩამოწია ბოლომდე. საღსალამათ ბიჭებს გააყოლა თვალი, მაგრამ კარგა ხანი ვერ დაწყნარდა. საფეთქლებით გრძნობდა აჩქარებულ პულსს. მანქანიდან გადმოვიდა და ჭიშკართან გაიარ-გამოიარა. მზე ანათებდა და მაინც ციოდა, თუმცა სუსხს ველარ გრძნობდა უკვე. სიწყნარე და სიჩუმე დასადგურებელიყო კვლავ ვიწრო ჩიხში. გრილ ნიავს რკინიგზის შპალები-სა და ძველი ვაგონების სუნი მოჰქონდა ზემოდან. თეთრად შეფეთილ ყორესთან ქალი შენიშნა. რაღაც ხელსაწყობებს ალაგებდა ყორისძირას. რკინას ასობდა მიწაში, აგურის ნატებს ურტყამდა წვრილ ლითონს. საიდან გაჩნდა აქო, გაიფიქრა ბენდუქაძემ და ქალს მიუახლოვდა. ქალმა აგურის ნატები გადაავდო, დაკვირვებით დაიხედა ვარდისფერ ხელისგულზე, სული გაუბერა, ხე-

ლი ხელზე დაიფერთხა შემდეგ და რკინის ჯოხზე დამაგრებული მავთული მიუერთა რალაც ხელსაწყოს, რომლის ზედაპირზეც მოთავსებული შუშის ხუფის ქვეშ ბენდუქაქემ მოწითალო შვალა და მოციმციმე ისარი დაინახა. ქალმა საყურეები გაიკეთა და ადამიანის ჩრდილს მოკრა თვალი; თალხი კაბა მუხლებზე გადაიწია, ხელსაწყოს ღილაკს დააჭირა თითი და მოციმციმე ისარს დააკვირდა; საყურეები მოიხსნა ცოტა ხნის შემდეგ, რვეული ამოიღო და დაღეული ფანქრით ჩაინიშნა რალაც.

— რას აკეთებთ, ქალბატონო? — ჰკითხა გურამმა, სანამ თალხაბიანი ქალი საყურეს გაიკეთებდა და ხელსაწყოს ჩართავდა ხელახლა.

— მოხეტიალე დენს ვეძებ, ბატონო! — ამოიოხრა ქალმა.

— რატომ ეძებთ, ქალბატონო?

— არ ვიცი, ბატონო, სამსახური მაქვს ასეთი თვარა, შვილი დავაწვინე გუშინ საავადმყოფოში, ღლეს აქ რა მომიყვანდა!

რამდენი ხანი შეიძლება უცადოს ადამიანმა ვანოსო, გაიფიქრა გურამმა, შებრუნდა, მანქანაში ჩაჯდა და სოსო ხომერიკთან წავიდა. ნასვამი დაბრუნდა ღამით. რატი არ დაუხვდა.

რაც მამაა ის შვილიაო, თან ლაპარაკობდა, თან ტელევიზორს უყურებდა, თან აუთოებდა ცოლი. ან ერთი სად დადის, ან მეორე სად დაიარება, მაცოდინა და მომკლაო. ამნაირი უდარდელი მშობლის მნახველი არა ვარ, მამას რომ შვილის ბედი არ აინტერესებდეს, შვილის ასავალ-დასავალი არ ეკითხებოდეს, არ გამიგონიაო.

რომელ ოთახშიც არ შევიდა, იმ ოთახში შეჰყვა ქალის ცივი ხმა. ტელეგადაცემა შეწყდა, თეთრად აციმციმდა ეკრანი და ცოლის გაჩერებას არ დაადგა საშველი. ტვინის ცივად გამხვრეტი ხმა დაიმსხვრა და დანაწევრიანდა, როგორც იქნა, საძინებელ ოთახში მიწყდა და მიიღია ეს ხმა როდის-როდის.

კაბინეტში დაწვა. ჯერ წვიმა დაიწყო, შემდეგ ქარიც ამოვარდა. ქარიშხალმა შემოუბერა და ფანჯრებს მოაწვა. ჩაქინა და ძილღვიძილში გაიგონა რკინებზე ჯაჯგურის ხმა და ძახილი. ვიღაც ვიღაცას შველას სთხოვდა; ქარწვიმაში დარჩენილი მგზავრი გამკითხავს უხმობდა. რკინის უზარმაზარ ჭიშკარზე ხათქახუთქით ეხლებოდა ჯაჭვი ჯაჭვს, რკინა—რკინას. მწუხარე ქალი მოხეტიალე დენს ეძებდა. თენდებოდა. იდარებდა. აღარა წვიმდა. ანათებდა მზე. ხმაურით იღვიძებდა ქალაქი და მისი ხმა ამოდიოდა არსენალის მთაზე.

პოეტ ანზორ აბულაშვილს დაბადებიდან ორმოცდაათი წელი შე-  
უსრულდა. ეთრნალ „მნათობის“ რედაქცია ელოცავს პოეტს ამ  
შვენიერ თარიღს. უსურვეს ღვთაებობასა და შემოქმედებით  
წარმატებას.

### თ ე ბ რ ო ნ ე

მე რომ სულ მარტო შემომხედე სადმე,  
შენ რომ წყაროდან მოგკონდეს წყალი,  
მე რომ ნამდვილი სახმილი მწვადეს;  
შენ რომ ეშმაკურ მომაპყრო თვალი.  
მე რომ შენ მზერა შეგაელო ხარბი,  
შენ რომ, ღიმილით შეჰყარო წარბი.  
მე რომ ჩურჩულით რაღაცა გითხრა,  
შენ რომ ჩურჩულით მომიგო:—ვიცი...  
მე რომ მდულარი ამომცდეს სიტყვა,  
შენ რომ გულწრფელი ისმინო ფიცი.  
მე რომ მეთევზის გავშალო ბადე,  
შენ რომ უასიდად გასხლტომა სცადო...  
მე რომ ნაყვერჩხლის შეგახო ბაგე,  
შენ რომ შემიკრა ნამდვილი ჯადო...  
მე რომ მაგ მკერდზე შეგიხსნა ღილი,  
შენ რომ ვითომდა გამიწყურე:—კმარა...  
მე რომ გავბრუედე სამოთხის ხილვით,  
შენ რომ ბაგეზე დაგადნეს — არა...  
მე რომ მომენდოს სხმარტალა წელი,  
შენ რომ მზეების იხილო როკვა,  
მე რომ კისერზე მომხვიო ხელი...  
მაგ მხრიდან უნდა  
ჩამოდგა კოკა.

## მზის ჩასვლის მერა...

გომბორს იქით ჩავიდა მზე,  
 ბრიალებდა ყვარელი,  
 რაღაც უცხო სხივით სავსე,  
 თვალის გასახარელი.  
 მზე ჩასულიც —  
 ათას ფუნჯით  
 ცეცხლის ვნებით მხატვრობდა,  
 ირგვლივ მთებზე დადაისდა,  
 ვარდისფერად დატბორდა...  
 მერმე მწუხრი,  
 მერმე ბინდი...  
 სულთან ჭაყრის წვალემა,  
 ივნისის დღის მშვიდზე მშვიდი —  
 გარდა... გარდა... ცვალემა...  
 და, ჰა, ორის გულგრილობა,  
 რა მიწა და  
 რაღა — ცა...  
 რაღაც შეაფსუსება და  
 ნაღვლით მავსებს რაღაცა.

## რა უმიზეზოდ დაიბადა

რა უმიზეზოდ დაიბადა ეს სიყვარული  
 და ახლა რა რიგ უსასრულოდ მიზეზიანობს...  
 საით მოვიდა, რა უსახო და რა ფარული  
 ამოირჩია გზა და მისი თანაზიარი  
 მჭონდეს სავალი — ნებით მისით ითხოვს ვიარო.  
 საით მოვიდა უსახო და ასე ძლიერი,  
 ასე უფლებამოსილი და ასე მეფერი,  
 ასე უტყვი და ამ უტყვობით უფრო ხშიერი, —  
 ჩემს ნებასა და უფლებაზე აღმატებული,  
 სით შემომეპრა ეს... მპყრობელი გადამთიელი.  
 რა უმიზეზოდ დაიბადა და ამ ასობით  
 მიზეზმაც რა რიგ ვერ შეცვალა მისი არსება...  
 რა ძალა ჰყვა და ძალისხმევა მაინც ასეთი,  
 დრომაც რომ ვერ ჰქმნა მისი ძალის გადაფასება...  
 რა უმიზეზოდ დაიბადა იგი, მზიანი,  
 და ახლა რა რიგ წარმატებით მიზეზიანობს.

ფიქრები ერთმანეთს გამოება,  
 ძალი გაქვს, მიდი და შეეები...  
 ოპ, გადღევებული ლამეები,  
 ოპ, გაღამებული დღეები;

ეს აცეტებული ყვავილობა,  
 ბნელს ამოცდენილი ბალახი, —  
 დუმბილ-მიძინების დაგმობაა,  
 ყოფას ეცვლი ბალახის ძალაში.

## ყველაფერი თამაშია

ყველაფერი თამაშია  
 კაცისა და ღვთისა,  
 ყველაფერი იმაზეა, —  
 რა გამოდის რისგან,

მცირე წვიმა სინაზეა,  
 დიდი — ზეცის რისხვა.  
 ერთობ ფუჭი გარჯა არი  
 ღვთის გმობა და ნუყვა...

გარდასულით განამწარი  
 ნუ იხედვი უკან,  
 მცირე ცეცხლი სითბო არი,  
 დიდი — გადაბუგვა.  
 წამი ერთობ ფრთამალია, —  
 წამთან ნუკვა — დავით  
 არ ღირს გული გადილით,

შეიწყინო თავი...  
 მცირე დარდი წამალია,  
 დიდი — საწამლავე.  
 ყველაფერი თამაშია  
 კაცისა და ღვთისა...  
 ვერ გაიგებ, რა რაზეა,  
 რა გამოდის რისგან.

ქართული  
 ზეგლიწი

## მე ასე ვიცი

თურმე წამებიც რაღაცას წყვეტენ,  
 თურმე წამიც კი რაღაცას ნიშნავს...  
 მე ამ წუთს ვიცი ის, რითაც რეტი  
 მესხმის და ლამის სამყაროს მთიშავს.  
 რა ბედნიერი ვყოფილვარ, თურმე, —  
 თუნდაც სულ რაღაც, წამების წინათ,  
 ფუჭი ყოფილა ურვა და მღურვა  
 მოაქამომდე ჩემს გულსა შინა.  
 გადავეჩვევი მე ვიცი სიცილს,  
 გავბოროტდები და... ბევრსაც ვცოდავ...

მე ასე ვიცი, და რადგან ვიცი, —  
 ჩანს, საჭიროა ამგვარი ცოდნა.  
 მე ასე ვიცი რომ ამ წუთიდან  
 მშვიდად შეეხვდები ყოველგვარ  
 ტყვიელს,  
 ჩამიყანგდება ვიცი, უთუოდ,  
 ბაგეთა შუა ტყვექმნილი მძივი;  
 დამეუფლება მწვავე სიცივე,  
 ჩამენავლება ჩვეული შფოთვა...  
 მე ასე ვიცი, და რაკი ვიცი,  
 ჩანს, საჭიროა ამგვარი ცოდნა.

## რად მეძახოდით

რად მეძახოდით, ხომ მორჩა უკვე,  
 ჩათავდა, რაიც ჩვენს შორის იყო,  
 ხომ შემატოვეთ დარდსა და უკუენს  
 და სხვის დარდსა და სიხარულს იყოფთ.  
 ხომ საბოლოოდ გაიყო გზები  
 და გულში ხინჯი არცარა ჩაგრჩათ...

ხომ უმაღლესის მაღალი ნებით  
 გარემო კვლავაც იშვენებს ფარჩას...  
 მაშინ რა ხდება, რად მეძახოდით,  
 რად გავიგონე ძაბილი ანდა...  
 ან სმენა უნდა დაეხშო ლოდით,  
 ან... სარკმელს მძიმე დაეუშვა ფარდა.

## გზა მიდის მთავში...

გზა მიდის მთებში, გზა მიდის მთებში,  
 ამ გზას გავყვები, ვნახავ —  
 წინ კლდეა ერთი — მამონტის ეშვი,  
 თუ... დაღრენილი ხახა.  
 ეკლიანია ეს გზა-სავალი,  
 მაგრამ მე ვიცი ავალ...

გასჭირვებია ამ გზაზე მრავალს,  
 მე კი... ნამდვილად სხვა ვარ.  
 ამ ეკლნარით იმ მთებში ავალ  
 და შემართული მუქით,  
 მე დავანახებ მრავალს და მრავალს, —  
 არ მიჭირს, რაც სხვას უჭირს.

# მცირე პროზა ანუ ესეისტური ჩანაწერები

## გავიდა ათი წელი

გავიდა ათი და გავა კიდევ მრავალი წელი.

17 მარტი 1959 წლისა.

იმ დღეს, ნანეიშარზე, დავედოდი ვარშავის ლაზერის პარკში და ჯერ არ ვიცოდი, რომ სწორედ მაშინ გალაკტიონის ნუთოსოფლის ეტლი თბილისის მარტისფერ ასფალტს დაენარცხა...

ხეებს მძიმედ წყდებოდა მსხვილი წვეთები და ნირშეუცვლელი იყო ღრუბლიანი სღაფური ცა.

შემდეგ პყვებოდნენ, როგორც საოცრებას, მისი წახვლისა და დაკრძალვის ამბავს.

„კაცი, რომელმაც ასე გაბედა და ის, რაზედაც ჯუშად არიან“...

საკვირველი იყო არა გამოვლენილი, არამედ ათასთა მსგავსი შინაგანი განცდა და ტკივილი.

გავიდა ათი და გავა კიდევ მრავალი წელი...

17 მარტი 1959 წლისა — რა ვიცოდით მაშინ?

თითქმის ყველაფერი და მაინც თითქოს არაფერი.

იგივეა ათი წლის თავზეც:

„მატარებელი თვლემს, როგორც ლაფა, მატარებელი ხუთ წუთში გავა...“

„სინამდვილეს არ ვემდური, არ ყოფილა თითქმის, არყოფილზე საყვედური არასოდეს ითქმის“...

ქვეყანა გაცვდა, ვით ძველი გროში, უდაბურებად იქცა სოფელი. ნუ გაოდებდი, რომ ასეთ დროში მცირე ბედისაც ვარ მადლობელი. შეიძლება მქონოდა სული კეთილი, ნაზი, როგორც დობილი, მაგრამ ცხოვრება

არაა სრული, მცირე ბედისაც ვარ კმაყოფილი. ვით შეიძლება იქნე ლამაზი, როცა სიტლანქე მოდის მგზობელი, დროა, დავეტოვო ფიქრი ამავზე, მცირე ბედისაც ვარ მადლობელი...“

„წყარო ჩანს და წყალი არსად არი...“

ვარშავაში მარტი იდგა და მახსენდებოდა გალაკტიონის საოცარი „შერიგება“ (1915). მაშინ მხოლოდ მარტის გამო მახსენდებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ გასაოცრადაა ნათქვამი:

„დღეს ყველგან მზე და სილამაზე, სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი“.

მაშინ ვარშავაში მზე არ ჰყო, სილამაზე კი — დიახაც, ლაზერის მშვენიერ პარკში გაზაფხულის ახალშობილი სილამაზე მორცხვი ქალწულივით ჩამდგარიყო, ხოლო სიკვდილზე ფიქრი, გალაკტიონის სიკვდილზე ფიქრი არ არსებობდა.

ამ სიტყვას მაშინ არ ჰქონდა შინაარსი, არ ჰქონდა აზრი და არ ჰქონდა საგანი. იყო მხოლოდ:

„ტოტობეს ქარისას გადაჰყვა მარტი“.

და შემდეგ —

„და წავალ ქარში, როგორც მოცარტი“.

ახლა, ათი წელი რომ გავიდა, ეს „შერიგება“ სულ სხვაა. ისევ მარტია, არც ახლა ანათებს მზე, თბილისს ნაცრისფერი დაპყრავს და ეს ლექსი დღეს უკვე წინასწარმეტყველური გახდა და საოცარი სიცხადით აღწერიდა:

„სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი“

„თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები და წავალ ქარში, როგორც მოცარტი“, —

ფანტასტიკა!

დღეს, ათი წლის თავზე, თითქოს ყველაფერი ნათელია და თითქმის არაფერი. უამრავია ჯერაც ამოუცნობი. ტანჯვისა და თრფოლების მიზეზი, მიზეზი სულისა და ხორცის გვემისა და მიზეზი გენიალური პოეტური შთაგონებისა.

კვლავ ტრიალებს გონებაში:

„ცხოვრების ეტილის სადარბეული, საცაა გავა მატარებელი. მიემგზავრება იმედი ჩემი, ბუდის ვარსკვლავის სადარბეული“.

შეცვლილი ხმა, უმძაფრესი განცდანი და მათი შერბილების, დაჩლუნგების, ჩახშობის ცდა.

„თქვენთა მშვენიერთ ნამნამთა ქობი“ და ურბანისტული ტინანობა.

იისფერი თოვლის „ქაღალდებივით ხიდიდან ფენა“ და „პე მამულო, გრძნობა შენი მოვლისა“.

ყველაფერი თითქოს სხვადასხვა და მაინც თითქმის ტინისებრ მთლიანი, დაუშლელი, მტკიცე.

და კვლავ წინასწარმეტყველებს: „მე არა ერთხელ მქონია ფრთები, თავბრუდამხვევი სიმაღლით მქროლი, ლურჯი ტრიალით ბრუნადმდენ მთები და ირყეოდა ლაგვარდი ბროლი“.

ნუთუ ეს განიცადა, ეს ჩვენება დაუდგა თვალწინ მარტის იმ უპანასკნელ დღეს?

პოეტი — სფინქსი?

მაგრამ განა მხოლოდ პოეტი, — დროც ამოსაცნობია იმ უცნაურ განზომილებაში, რომლის პარამეტრები გალაკტიონის სულში ჯვარისებრ ჰკვეთდნენ ურთიერთს.

დადგება გაში და რებუსიც თანდათან აიხსნება.

ამომხსენლებიც მოვლენ.

„რარიტ კარგია, სამშობლოც, შენი მტკვარი და რიონი, შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და...“

განა ასე არ არის?

გაეიფა ათა და გავა კიდევ მრავალი ნეული...

### პროზის დიდება

სტილი თვით პიროვნება არისო, თვით მწერალი.

დოსტოევსკის სტილი თვით დოსტოევსკია. დოსტოევსკის სტილით შეიძლება თვით დოსტოევსკის პიროვნების აღდგენა.

მისი მწერლური ბუნებისათვის უცხოა გლეხი, სოფელი. მისი სტიქია ქალაქია. და ქალაქთა შორის ყველაზე ქალაქური (რუსეთში) — პეტერბურგი.

პეტერბურგი ძირითადად პარადული ქალაქია — სასახლეების დაუსრულებელი ანსამბლები, საზეიმო მოედნები... დოსტოევსკის თვალში ამას ვერ (ან არ) ხედავს.

პეტერბურგის მეშინათა კვარტალები, მრავალსართულიანი ბნელი სახლები, ვინრო სხვენები, მყრალი კიბეები; განაპირა ქუჩები, შესახვევები, ჩიხები, სავაჭრო მოედნები; ნვრილი ჩინოვნეობა, ლატაკნი; ლოთობა, გარყვნილება, ბოროტმოქმედება — დიდი ქალაქის მიერ საწყარო, სადაც დოსტოევსკი ადამიანს ეძებს.

და პოულობს.

ქალაქის პეიზაჟის უდიდესი მხატვარია დოსტოევსკი. თანაც ისაა აღსანიშნავი, რომ ქალაქის პეიზაჟს, ქალაქურ სცენებს მწერალი პერსონაჟების თვალთახედვით გვთავაზობს.

რა მიზანი აქვს ამ ხერხს?

გარდა ბანალური მიზნისა (პეიზაჟი შეესაბამება გმირის სულიერ განწყობილებას),

იგი ამწეავენს ემოციურ აღქმას, პიკერბოლურად ზრდის დისპარმონიულ საწყისს, რომელსაც მძაფრად განიცდიდა (და აუღენდა) დოსტოევსკი.

ნახეთ: მას იზიდავს არა შხით განათებულ, წვარი დღის სინათლით მოფენილი ქალაქი, არამედ პირქუში, დაისის მცხრალი შუქით, საღამოს მწუხრით ან გაზის ფარნის ხელოვნური სინათლით შეფერადებული ურბანისტული პეიზაჟები. ანდა სულაც თეთრი ლამები.

ამით გამწეავენებულია ქალაქის ფანტასტიკური ყოფისა და მის მიერ წარმოშობილი უცნაური ადამიანების აღქმა.

დოსტოევსკი არასოდეს არ იფარგლება ორიოდე მთავარი გმირის ან მხოლოდ ცალკეული ოჯახის ისტორიით. მის ყველა დიდ რომანში მოქმედებს უამრავი პერსონაჟი, პარალელურად ვითარდება ერთმანეთის გადამკვეთი რამდენიმე სიუჟეტური ხაზი.

მკითხველი გმირებთან ერთად დადის პეტერბურგის ქუჩებში და ბუღვარებში, კუნძულებსა და საპოლიციო უბნებში, მესამეხარისხოვან „ნომრებსა“ და სამიკოტნოებში.

კინემატოგრაფიული პანორამა: ქალაქის კუთხეთა რამდენიმე პლანი და ქუჩის ტიპთა მთელი წყება; ნევის მდორე და მძღვერი დინება; უამრავი ხიდი უამრავ არხზე...

მკითხველი ხან მარტო რჩება გმირთან და ავტორთან ერთად ჟურტს მისი გულისა და

გონების ფარული დღევის პროცესს, ხან ხალხმრავალ და მძაფრ შეტაკებათა მონება, რომლის დროსაც მძლავრად ვლინდება პერსონაჟთა სულის ვნებანი.

ბევრი ეპიზოდი, ქუჩაში გათამაშებული, მრავალრიცხოვანი შემთხვევით მონებთა თანდასწრებით ხდება (კატერინა ივანოვნას შემლის გენიალური სცენა, ნასტასია ფილიპოვნა პავლოვსკის ვაგზალზე...).

ყოველ წუთს ისმის ქალაქის ხმაური, ხალხის მოძრაობა, მოქალაქეთა სუნთქვა...

შეიშლდება ცხოვრებისეული წინააღმდეგობანი...

ზოგიერთი რომანის მოქმედება პეტერბურგიდან პროვინციაში გადადის. მაგრამ ავტორს აქაც უმეტესად აინტერესებს არა პროვინციის უმოძრაო ცხოვრება, არამედ მისი ტრადიციული ნორმების მსხვერველა. მთავარ გმირებად აქაც უმეტესად ისინი გვევლინებიან, ვისზედაც აღბეჭდილია დიდი ქალაქების შფოთიანი ყოფის ნიშანი.

ქალაქის მცხოვრებთა ჩვენების ორი ასპექტი:

პირველი — ქალაქის სინამდვილე ადამიანში განსაკუთრებულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ თვისებებს წარმოშობს, რადგან მისი ხასიათი ყალიბდება სხვადასხვა სოციალურ ფენებთან ყოველდღიური დაძაბული ურთიერთობის ან შეხლა-შემოხლის პირობებში;

მეორე — დიდი ქალაქის ცხოვრება ამწვავებს მარტოობის გრძნობას, უმწეობის შეგნებას, ადამიანი თავის ნაჭუჭში მიჭრება, რადგან გარემომცველი სამყარო მისი შიანთქვის მსურველად ეჩვენება.

აქედან — მუდმივი ეჭვი, ავადმყოფური თვითანალიზი, სულიერი გაორება.

მთავარი ყურადღება მიქცეულია გმირების შინაგან წინააღმდეგობათა გახსნაზე: პერსონაჟებს ღრმა კონფლიქტი აქვთ საკუთარ თავთანაც და გარემომცველ სამყაროსთანაც.

მარტოობა და ავადმყოფური ეგოცენტრიზმი;

ცდა, როგორმე თავი იხსნან სოციალური დამცირების მწვავე შეგნებისაგან;

ზნეობრივი სიციარეულის მწვავე განცდა;

შინაგანი და გარეგანი ქაოსი;

მორალური საყრდენების გაფაცვიცხვებული ძიება;

თვინიერების მკვეთრი გადასვლა გამძვინვარება-გაფთრებაში;

მორჩილება და ამბოხი;

სიუვარულის მაგიერად პატივმოყვარეობა;

შურისმგებელი გაბოროტება —

ამჯვარ გრძნობათა და განცდათა გამოსახვა შეადგენს მწერლის ფსიქოლოგიზმის თავისებურებებს.

შემდეგ:

დაძაბული ყურადღება ცხოვრების ტრაგიკული მხარეებისადმი;

ტრაგიკიზმი საზოგადოებისა;

ფულის ძალაზე დამყარებული ბნელ ვნებათა თარევი;

ოჯახის, რელიგიური, ზნეობრივი ნორმების მსხვერველა;

განწირობის გრძნობა. სასონარკვეთილება — ჯადოსნური წრე, საიდანაც გამოსავალი არ ჩანს.

კიდევ ერთი თავისებურება:

გმირები ცდილობენ, იდეათა, ზნეობრივ შეხედულებათა, ფილოსოფიურ თეორიათა ფორმით გაიზიარონ ცხოვრება და პრაქტიკულად „შეამონონ“ მისი ავ-კარგი.

როდესაც მწერალი დიდ საზოგადოებრივ და ზნეობრივ პრობლემებს სვამს, ჩვეულებრივ, გვაჩვენებს მათდამი ფსიქოლოგიურ პოზიციათა შესაძლებელ სხვადასხვაობას.

მოქმედება ყოველთვის ორ პლანში ვითარდება: ყოფითსა და იდეოლოგიურში. ყოველნი მოქმედი პირი მოვლენათა მიმართ პიროვნული თვალსაზრისის გამოთხატველია, რასაც თეორიულ მსჯელობებში ავლენს.

რომანებისათვის დამახასიათებელია ხახვასმული დრამატიზმი.

მოქმედება დიდი სისწრაფით ვითარდება, მოვლენები ერთმანეთს აჩქარებულად მისდევენ და ხშირად მწვავე და მოულოდნელი კატასტროფით მთავრდება.

ტრაგიზმს ქმნის არა მხოლოდ გარკვეული მოვლენები, არამედ თვით პერსონაჟთა ფსიქოლოგიაც. ისინი მუდამ შინაგანად ებრძვიან ერთმანეთს, ავადმყოფურ კრიზისებს, უეცარ ცვალებადობას და შინაგან რყევას განიცდიან.

როგორც სწორადაა შემჩნეული, დოსტოევსკის გმირთა გონება თავისებურ ბრძოლის ევლს წარმოადგენს, სადაც საპირისპირო იდეათა და შეხედულებათა საშუალო-სასიცოცხლო შეხლა-შემოხლა ხდება.

იდეათა დაუნდობელი ბრძოლა იმგვარი მძაფრი ტრაგიზმითაა წარმოდგენილი, რომ გაოგნებულ მკითხველს გმირთა მსჯელობანი და შინაგანი მონოლოგები სულისწამლები დრამის სცენებად ეჩვენება.

კომპოზიციაც დრამატიზმს უმსახურება.

„დანაშაულსა და სასჯელში“, მცირე შემზადების შემდეგ, მოქმედება ერთბაშად კატასტროფაში გადადის. მთელი შემდგომი განვითარება გმირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ანალიზს ეთმობა.

სხვა რომანები იმგვარი კომპოზიციური ხერხითაა აგებული, რომ გმირთა ხასიათების ჩამოყალიბება და დამაკავშირებელი ურთიე-

რობების შექმნა ნაწარმოების წინა ისტორიას განეუფლებო.

თვით რომანებში უკვე მომნიშვებული კონფლიქტების აფეთქება ხდება.

იმ სურვილით შეპყრობილი, რომ ახსნას საკუთარი საქციელის არსი, დოსტოვესკის გმირი ცდილობს წინ გაიჭრას, მკითხველს დაასწროს და წინასწარ წარმოადგინოს სხვადასხვა თეალსაზრისი, რომლითაც მის საქციელს შეაფასებენ.

შენარალი აიძულებს მკითხველს, გმირების თვალთ შეხედოს მოვლენებს, მათთან ერთად იაზროვნოს, იგრძნოს, განიცადოს. ქრება დისტანცია ავტორსა და მის გმირს შორის, გმირსა და მკითხველს შორის...

სიტყვას დოსტოვესკის პროზაში დაკარგული აქვს ნეიტრალური ხასიათი, შინაგანი ენერგიითაა დამუხტული და პერსონაჟის სულიერი ცხოვრების სრულ ასლს წარმოადგენს.

დოსტოვესკი ერთადერთი სიტყვებით წერს... ცხოვრების მხატვრულ ასახვისას დოსტო-

ვესკის ზოგჯერ ირაციონალიზმის მიხედვით რით წინასწარ დადგენილი აუცილებლობის გარდუვალობისა სჯერა.

ამითაა გამოწვეული ისიც, რომ გმირების ცხოვრების ყველაზე გადამწყვეტ მომენტში ავტორი მათ ზოგჯერ იდუმალებისა და მისტიციზმის ბურანში ხვევს.

დოსტოვესკის წარმოდგენით:

- ადამიანის სული მარად გაორებულია;
- ადამიანი უმწუო და განწირულია;
- ტანჯვა და ბოროტება ცხოვრებაში გარდაუვალია;
- ტანჯვა ერთადერთი გზაა ბედნიერებისაკენ.

- ამავე დროს:
- დიდი პუმიანიზმი;
- დიდი ტყივილი, გამონვეული ადამიანის ჩაგვრითა და შეურაცხყოფით;
- და ადამიანისათვის ბედნიერების მინიჭების უდიდესი სურვილი...

### წერილი იმპერატორს

დღევანდელი მკითხველისათვის სრულიად უცნობია ეს წერილი.

1881 წელს, ალექსანდრე II მკვლელობის შემდეგ, ახალ ტოლსტოი წერს ალექსანდრე III:

„თქვენ იმპერატოროსობის უდიდებულესობა.

მე, უმიშენელო, მოუწოდებელი, სუსტი და ცუდი ადამიანი, ვწერ რუსეთის იმპერატორს და ვურჩევ მას, რა მოიმოქმედოს ყველაზე რთულ და მძიმე ვითარებაში, როგორც კი ოდესმე შექმნილა. ვგრძნობ, თუ რა უცნაურია ეს, შეუფერებელი, კადნიერი, და მაინც გწერთ. ჩემთვის ვფიქრობ: შენ მისწერ, შენი წერილი არ იქნება საჭირო, არ ნაკითხავენ, ანდა ნაკითხავენ და ჩათვლიან, რომ იგი მანუა და დაგსჯიან ამის გამო. აი, რა შეიძლება მოხდეს. და ცუდი შენთვის ამაში ისტორია არაფერი არ იქნება, რომ შემდეგ ინანო. მაგრამ თუ არ მისწერ და შემდეგ შეიტყობ, რომ არაინ არ უთხრა მეფეს ის, რისი თქმაც შენ გსურდა, და რომ მეფე შემდეგ, როცა აღარაფრის შეცვლა აღარ იქნება შესაძლებელი, იფიქრებს და იტყვის: „მაშინ რომ ვინმეს ჩემთვის ეს ეთქვაო“, — ასე რომ მოხდეს, ხომ მარად სანანებელი და გარჩება, რომ არ მისწერე, რასაც ფიქრობდი. და ამიტომ ვწერ თქვენს უდიდებულესობას იმას, რასაც ფიქრობ.

მე გწერთ მიწრეული სოფლიდან და სი-

მართლით არაფერი არ ვიცი. რაც ვიცი, ვიცი გაზუთებიდან და გაჯრცვლებული ხმებით, ამიტომ იქნებ გწერთ უმიშენელო რამეებს იმის თაობაზე, რაც სრულიადაც არ არსებობს. მაშინ, ღვთის გულისათვის, შემინდეთ ჩემი თანმოიმედობა და მერწმუნეთ, იმიტომ კი არ გწერთ, რომ საკუთარ თავს მეტად მაღლა ვაყენებ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ დიდად დამნაშავე ყველას წინაშე უფრო მეტ დამნაშავედ არ ვიქცე, რომ არ გაეკეთე, რისი გაკეთებაც შემეძლო და უნდა გამეკეთებინა.

მე იმ ტონით არ მოგწერთ, როგორიცაა ჩვეულებრივ ხელმწიფეს წერენ — ყვავილებით შემკული პირფერი და ყალბი მჭკვერმე-ტყველებით, რაც მხოლოდ აბნელებს გრძნობასაც და აზრსაც. მე უბრალოდ მოგწერთ, ვითარცა ადამიანი ადამიანს.

ადამიანისა და მეფისადმი ჩემი პატივისცემის ნამდვილი გრძნობა ამ შემკულობათა გარეშე უფრო უკეთ გამოჩინდება.

თქვენი მამა, მეფე რუსეთისა, ბევრი სიკეთე რომ გააკეთა და ხალხისათვის ყოველთვის სიკეთე რომ სურდა, მოხუცი, კეთილი კაცი, არაადამიანურად დაასახიჩრეს და მოკლეს არა მისმა პირადმა მტრებმა, არამედ არსებული წესწყობილების მტრებმა: მოკლეს კაცობრიობის რაღაც სიკეთისათვის.

თქვენ მის ადგილზე დაჯექით, და თქვენს წინაშე აღმოჩნდებიან ის მტრები, რომლებ-



ბიკ უმწარებუნენ სიციცხლეს მამათყვენს და დალუპეს იგი ისინი თქვენი მტრები არიან იმიტომ, რომ თქვენ დაიკავეთ მამის ადგილი და იმ მოჩვენებითი საერთო სიკეთისათვის, რომელსაც ისინი ეძიებენ, მათ უნდა სურდეთ თქვენი მოკვლა.

ამ ხალხის მიმართ თქვენს სულში უნდა იყოს შურისგების გრძობა, ვითარცა მამათყვენიის მკვლელთა მიმართ, და გრძობა შეძრუნებისა იმ მოვალეობის წინაშე, რაც თავს უნდა გეცდეთ. უფრო საშინელი ვითარება იწვლი წარმოსადგენია, უფრო საშინელი იმიტომ, რომ წარმოუდგენელია ბოროტებით აღძრული ამაზე უფრო ძლიერი ცდუნება: „მამულის მტრები, ხალხის მტრები, საზოგადოარი ლანჩრაკები, უღვათ პირუტყვები, ჩემდამი მონღობი მილიონთა სიმშვიდისა და ცხოვრების დამრღვენი, და მამაჩემის მკვლელნი. სხეანაირად როგორ უნდა მოვეცე მათ, თუ არ გავწმინდო რუსეთის მიწა-წყალი ამ სიბილწისაგან, თუ არ გავწყვიტო ისინი, ვითარცა საზოგადოარი ქვეწარმავალნი? ამას ითხოვს არა ჩემი პირადი გრძობა და არც შურისგება მამის მკვლელობის გამო, ამას მოითხოვს ჩემგან მოვალეობა, ამას ელის ჩემგან მთელი რუსეთი“.

სწორედ ამ ცდუნებაშია თქვენი მდგომარეობის მთელი საშინელება. ვინც უნდა ვიყოთ ჩვენ, შეფეები თუ მწყემსები, ადამიანებთ ვართ, ქრისტეს მოძღვრებით განათლებულნი.

მე არ ვაბობ თქვენს მეფურ მოვალეობაზე. მეფის მოვალეობებზე წინ დგას ადამიანის მოვალეობანი, ეს მოვალეობანი უნდა იყოს მეფის მოვალეობათა საფუძველი, უნდა ერწყმოდეს მათ.

ღმერთი არ გკითხავთ თქვენ მეფის მოვალეობის შესრულებაზე, იგი მოკითხავთ ადამიანის მოვალეობის შესრულებას. თქვენი მდგომარეობა საშინელია, მაგრამ სწორედ იმისათვისაა საჭირო ქრისტეს მოძღვრება, რომ გვიხელმძღვანელოს იმ ცდუნებათა წუთებში, რაც ბედმა გვარგუნა. თქვენ გერგოთ უსაშინელესი ცდუნებათაგანი. მაგრამ რა საშინელიც უნდა იყოს იგი, ქრისტეს მოძღვრება არღვევს მას: ცდუნებათა მთელი ქსელი, თქვენს გარშემო რომაა, გაყამტვრედა იმ ადამიანის წინაშე, რომელიც ღვთის ნებას ასრულებს...“

[აქ გამოვტოვებ სახარების მრავალრიცხოვან ციტატებს].

„უწყვი მე, რა შორსაა ეს სამყარო, ჩვენ რომ ვცხოვრობთ, იმ ღვთიური ჭეშმარიტებისაგან, ქრისტეს მოძღვრებაში რომაა გამოთქმული და ჩვენს გულში რომ ცხოვრობს. მაგრამ ჭეშმარიტება ჭეშმარიტებაა, და იგი ცხოვრობს ჩვენს გულში, გვიხმობს აღტაცე-

ბით და სურვილით, მივუახლოვდები ვერაზნა წყი მე, რომ სუსტი და უფარგანი ვარ ამათჯერ უფრო ადგილი ცდუნებების დროს, ვიდრე თქვენ დაგეცათ თავს; მივეცემა ხოლმე არა ჭეშმარიტებასა და სიკეთეს, არამედ სწორედ ცდუნებას და რომ თავხედობა და სიგებვა ჩემგან, ბოროტებით აღსავსე ადამიანისაგან, მოგთხოვოთ თქვენ ის ძალა სულისა, რომელსაც არა აქვს მაგალითი, მოგთხოვოთ, რომ თქვენ, რუსმა მეფემ, გარემომცველთა ზემოქმედების ქვეშ მყოფმა, მოსიყვარულე შეიღმა მამის მოკვლის შემდეგ აპატიოთ მკვლელებს და ბოროტების წაცვლად სიკეთე მიაკვთ; მაგრამ არ შემიძლია არ ვისურვო ეს, არ ძალმძის არ დავინახო, რომ ყოველი თქვენი ნაბიჯი პატიოსნებისაკენ არის ნაბიჯი სიკეთისაკენ, ყოველი ნაბიჯი დასჯისაკენ არის ნაბიჯი ბოროტებისაკენ, ამის არდანახვა არ შემიძლია. მაგრამ ვითარცა წუნარ წუთებში, როცა არაფერი არ მაცდუნებს, მე ვიმედოვნებ და სულის მთელი ძალით ვესწრაფი ათრჩიო სიყვარულთა და სიკეთის გზა, ასევე თქვენთვის მინდა და არ შემიძლია არ ვიმედოვნო, რომ ეცდებით, იყოთ ისეთივე სრულყოფილი, ვითარცა მამა თქვენი ნიალსა ცათა შინა. და იქმთ უფიადეს საქმეს სამყაროში, მოერევით ცდუნებას: და თქვენ, მეფეო, მისცემთ მსოფლიოს უფიადეს მაგალითს ქრისტეს მცნების აღსრულებისა — ბოროტების წილ მიავებთ სიკეთეს...“

ტოლსტოის სტილი საერთოდაც მძიბია, ამ წერილისა — განსაკუთრებით. მე არ მიცდია მისი სრული გაქართულება (მაინც დოკუმენტია), ვეცადე გადმომეცა გრძელი პერიოდების ყველა აზრობრივი ნიუანსი. ამიტომ რამდენადმე მძიბედ იკითხება, თუმცა რუსულადაც ასეა.

წერილი საკმაოდ გრძელია (მესამედი თუ ამოეინერე), მაგრამ მოტანილი ნაწილიდანაც ჩანს ტოლსტოის ამოცანა: თავისი მოძღვრების შესაბამისად იგი ცდილობს დაარწმუნოს იმპერატორი, რომ მხოლოდ დამანაშავეთა პატიება აღმოფხვრის რუსეთში ბოროტებას.

კიდევ ორიოდე აბზაცი ბოლოდან: „დახოცვით, განაფურებით ვერ მოერევით მათ. რა მნიშვნელობა აქვს რაოდენობას, მთავარია მათი აზრები. იმისათვის, რომ მათ წარმატებით ებრძოლოთ, უნდა ებრძოლოთ სულიერად. მათი იდეალია საზოგადო კეთილდღეობა, თანასწორობა, თავისუფლება; მათ რომ წარმატებით ებრძოლოთ, ისეთი იდეალი უნდა დაუპირისპიროთ, რომელიც მათ იდეალზე უფრო მაღალი იქნება, მოიცავს მათ იდეალს.“

არსებობს მხოლოდ ერთი იდეალი, მათ რომ დაუპირისპირდება, რომელიც მოიცავს

მათს იფელსაც, ესაა იდეალი სიყვარულისა, შენდობისა და ბოროტების სანაცვლოდ სიკეთის მიცემისა. მხოლოდ ერთი სიტყვა პატივებისა და ქრისტიანული სიყვარულისა, თქმული და შესრულებული ტახტის სიმბოლიდან, და ქრისტიანული მეფობის გზა, რომელსაც თქვენ უნდა დაადგეთ, მოსპობს ბოროტებას, რუსეთს რომ ხრავს. ვითარცა ცვილი ცეცხლისაგან, ისე დადნება ყოველგვარი რევოლუციური ბრძოლა წინაშე მუფუ-ადამიანისა, რომელიც ასრულებს ქრისტეს მცნებას..."

გულუბრყვილო წერილია?  
ტოლსტოის ღრმად სწამდა, რომ თუკი ყველა ამ მცნებით იცხოვრებდა, ბედნიერებას ენებოდა.

საინტერესოა ამ წერილის შემდგომი ბედი. ტოლსტოიმ იცოდა, რომ მეფესთან ახლოს იყო კონსტანტინე პობედონოსცევი, სინოდის ობერპროკურორი. მას ასსოვდა, რომ ეს ყოვლისშემძღვე კაცი როგორღაც კეთილად მოექცა ადამიანს, რომელიც ერთ დროს სულიერად ახლოს იყო ტოლსტოისთან. საერთო ნაცნობის ნ. ნ. სტრახოვის მეშვეობით ტოლსტოიმ მეფისადმი მიწერილი ბარათი პობედონოსცევს მიანდინა.

პობედონოსცევა, ცხადია, წერილი წაიკითხა, წაიკითხა და სტრახოვს უარით დაუბრუნა: ასეთ წერილს მეფეს არ გადაეცემა.

როცა დიდი დრო გავიდა, „სახელმწიფო დამნაშავენი“ უკვე დასჯილი იყვნენ და პასუხს არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, პობედონოსცევა ასეთი, მისთვის დამნაშაისათებელი, მინაარსის ბარათი გაუგზავნა ტოლსტოის:

„ნუ მომკითხავთ, ღირსეულო გრაფო ლევ ნიკოლოზის ძე, უპირველესად იმის გამო, რომ აქამდე უპასუხოვ დავეტოვე თქვენი წერილი, ნ. ნ. სტრახოვმა რომ გადმომიცა. ეს მოხდა არა უპატივცემულობის ან გულტრელობის შედეგად, არამედ იმიტომ, რომ სწრაფად ვერ მოვედი თქვენთან, ვინაიდან თქვენს მიმართ მთელი სიყვარულია და სიძულვილია მთელი მრავალფეროვნება განპირობებულია პირველმიზეზით, რაც სხვა არაფერია, თუ არა ღმერთი;

შემთხვევითობათა მრავალსახეობა განპირობებულია აუცილებლობით, შემთხვევითობით.

ფად ვერ მოვედი გონს ფიქრითა და სახრთქმითა იმ ამბობებასა და არეულობაში, გარს რომ მზევია და კვლავ მახვევია! მარტის შემდეგ.

ნუ მომკითხავთ, მეორედ, იმისათვის, რომ თავი ავარიოდ თქვენი დავალების შესრულებას. ამგვარ მნიშვნელოვან საქმეში ყველაფერი რწმენით უნდა გაკეთდეს. ხოლო თქვენი წერილი რომ წაეკითხე, დავიწახე, რომ თქვენი რწმენა სხვაა, ჩემი და საუკუნისო კი — სხვა, და რომ ჩვენი ქრისტე თქვენი ქრისტე არაა.

ჩემსას მე ვიცივთ ძლიერებისა და ჭეშმარიტების კაცად, რომელიც სუსტებს კუთრნავს, თქვენსაში კი მე დავინახე თვისებები სუსტისა, რომელიც თვით მოითხოვს მკურნალობას. აი ამიტომ, ჩემი რწმენის მიხედვით, არ შემეძლო თქვენი დავალების შესრულება.

თქვენი სულიერად პატივისცემელი და ერთგული კ. პობედონოსცევი.

პეტერბურგი, 1881 წლის 15 ივნისი“.

ტოლსტოის წერილს რაღა დაემართა?

წერილი რომ უკან მიიღო, ნ. სტრახოვი კიდევ ერთხელ შეეცადა მწერლის თხოვნის შესრულებას, დაუკავშირა პროფ. კ. ბესტუჟევი-რიუშინს და მისი შემწეობით გადასცა წერილი დიდ მთავარ სერგი ალექსანდრეს ძეს.

ბოლოს და ბოლოს წერილმა მიიღწია ალექსანდრე III-მდე.

შედეგი? არავითარი.

საინტერესო ის არის, რომ ტოლსტოი იმპერატორს უნებურად ანდრია ფელიაპოვის სოფიო პეროუსკაიასა და მათი ამხანაგების შეწყალებას თხოვდა...

1887 წელს სახრჩობელაზე ადის ალექსანდრე ულიანოვი...

იმავე წელს რევოლუციურ ასაპრებზე გამოდის ვლადიმერ ულიანოვი...

### ღმერთი. გიგლია

განთქმულმა თომა აქვინელმა სცადა, შეეცნა მთელი სისტემა ღმერთის არსებობის რაციონალური მტკიცებისა. მან წამოაყენა ხუთი ასეთი მტკიცება:

- ყოველ მოძრავ საგანს უნდა გააჩნდეს უძრავი მამობრავებელი, რაც სწორედ ღმერთია;
- მიზეზთა მთელი მრავალფეროვნება განპირობებულია პირველმიზეზით, რაც სხვა არაფერია, თუ არა ღმერთი;
- შემთხვევითობათა მრავალსახეობა განპირობებულია აუცილებლობით, შემთხვევითობით.

- ბათა უსასრულობა მოითხოვს აუცილებელ არსებას, ანუ ღმერთს;
- სამყაროში არსებობს სრულყოფილების რამდენიმე საფეხური (ხარისხი) რომელსაც დასაბამი მისცა აბსოლუტურმა სრულყოფილებამ, ანუ ღმერთმა;
- ბუნებაში არსებული მიზანშეწონილობა, განსაკუთრებით მიზანშეწონილობა უსულო (მკვდარ) საგანთა, მოწმობს იმ ძალის არსებობაზე, რაც განაპირობებს ამ მიზანშეწონილობას, ანუ ღმერთზე.
- აქედან ის გამოდის, რომ სამყარო სასრულად

ლია, ხოლო ობიექტური აუცილებლობის ცნება შეცვლილია ზეპუნებრივის ცნებით, მიზანშეწონილობა კი — თეოლოგიით.

ამიტომ რაციონალური მტკიცებანი ფიქციაა.

მსოფლიოს თითქმის ყველა რელიგიაში მოიპოვება თეზა, რომ მარადიული ინდივიდუალური სული ესწრაფვის მსოფლიო სულთან შერწყმას.

თეორიაში ყველა რელიგია ერთნაირია, პრაქტიკაში — მილიონობით მსხვერპლია და სისხლის ოკეანე უწყვეტ რელიგიურ დაპირისპირებათა და დაუსრულებელი რელიგიური ომების შედეგად.

თეორიაში ყველა რელიგია მოგვიწოდებს

სულგრძელობისაკენ, კეთილშობილებასაკენ, ზნეობრივი სრულყოფისაკენ, პრაქტიკაში — სიბნელე, ვერაგობა, ღალატი, ჩაგვრა და კვლავ სისხლი, სისხლი...

იქნებ სწორედ ამიტომაც ათასობით ახალი ადამიანი უნებურად გვერდს უვლის იმ უბრწყინვალეს მხატვრულ შედეგებს, რომლითაც აღსაყვება ბიბლია.

ყოველ შემთხვევაში, მწერლობასთან მიმართებით, შემიძლია გულწრფელად ვამტკიცო, რომ ბიბლიის ცალკეული ნიგნების მხატვრულ სისტემათა უგაღებულყოფა აღიარებს მწერლის პალიტრას და ხშირად აღმოაჩენინებს ველსიპედს, რომელიც დიდი ხანია აღმოჩენილია!

### ეროვნული ხასიათი

მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე, მეთერთმეტე საუკუნეების საქართველოს უმძიმეს ისტორიულ სინამდვილეში დეფორმაცია განიცადა არა მხოლოდ ნორმალურმა გენომიკურმა ურთიერთობამ, არა მხოლოდ საზოგადოებრივმა ქართველის პიროვნულმა ხასიათმა.

ქართველის ხასიათის ეს დეფორმაცია საზოგადოების ყველა ფენაში ჩამდინად ღრმად იყო, რომ მისი კვალი, სამწუხაროდ, ზოგჯერ ახლაც ჩანს.

რა არის ქართველის ხასიათი? ერთი ინტელისტიკოსი ისტორიკოსი — უილიამ ალენის — თქმით „ეთნოტური უპასუხისმგებლობა“ ანუ „ეთნოტური უდარდებლობა“.

ეს, ცხადია, არ არის ობიექტური განსაზღვრა. და, საერთოდ, ყოველგვარი ამ ხასიათის განსაზღვრა ვერასოდეს ვერ მოიცავს სრულ სიმართლეს.

მაგრამ მე მინდა ვთქვა, რომ სიმართლის რაღაც ნატამალი მასში უნდა იყოს. თუმცა ამ ორი სიტყვის მეზობლობა და მათ შიგნ შექმნილი ცნება თავისთავად პარადოქსულია.

ამას ისიც მინდა დაემატა, რომ ქართველ ხალხში იმდენი თავისებური ხასიათის ფენა და ჯგუფია, ჯერაც იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ვთქვათ, ქალაქელი და სოფლელი, იმერი და აშერი, რომ ყოველად შეუძლებელია, ზემო აზრით, ერთი ნინადადებით, ერთი ან ორი ნიშნით განისაზღვროს ჩვენი ეროვნული ხასიათი.

იმვე უ. ალენის თქმით, ქართველები ეს-

პანელებს და ირლანდიელებს გვანან. სხვათა შორის იგი წერს: „ქართველები, ხშირად განიცდიდნენ ჩაგვრას როგორც პოლიტიკურს, ისე კულტურულს. ისინი ემორჩილებოდნენ, მაგრამ სერიოზულად არ აღიქვამდნენ ამ ჩაგვრას, ხოლო როცა მჩაგვრელები მიდიოდნენ, ადამიანები, საუკუნეების მანძილზე რომ იჩაგრებოდნენ, რჩებოდნენ თითქმის იმავე ტრადიციებით, ჩვევებითა და ხასიათებით, როგორც მანამდე იყვნენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არ ეწინააღმდეგებოდნენ ჩაგვრას, პირიქით, მათი წინააღმდეგობა ზოგჯერ თავგანწირული იყო, მაგრამ ეს იყო წინააღმდეგობა ერის, ვითარცა ცოცხალი არსებისა, და ეს წინააღმდეგობა არასოდეს არ გამოდიოდა პინციპიდან...“

დამეთანხმებით, რომ საინტერესო დაკვირვებაა, თუმცა, ცხადია, არასრული და ზედპირული?

რამ გადააჩინა ქართველი ხალხი ფიზიკურ განადგურებას იმ უამრავი თავდასხმების, სისხლისღვრის, ანიოკების დროს? ამის მიზეზს უ. ალენი ქართველების ხასიათში ეძებს. „ქართველები რელიგიური ხალხი არაა, არც თუ გადაამეტებით უყვართ პოლიტიკა, მაგრამ მათ გააჩნიათ შეტად ძლიერად განვითარებული გრძნობა ერთიანობისა და მათი ერის ინდივიდუალობისა. ეს გრძნობა მათი ნაციონალური ინდივიდუალობისა ძალიან ძველია, გაცილებით უფრო ძველი, ვიდრე ხმაურნიანი გამოვლინება ნაციონალური გრძნობისა შედარებით უფრო ახალგაზრდა ევროპული ერების მხრივ...“

და შემდეგ კვლავ პარადოქსული: „თავისი ისტორიის პროცესში ქართველები ხშირად აელენდნენ გმირობას, მაგრამ არასოდეს არ მიეღებოდნენ ტანჯვა-წამებას. ამისათვის ისინი მტრად არტისტულნი არიან და უყვართ ცხოვრება...“

ერთ-ერთი საბოლოო დასკვნა უ. ალენისა, რომელშიც იგი ცდილობს ქართველების ხასიათის თვისებებიც მიგვანიშნოს, ამგვარია: „მრავალი პოლიტიკური სისტემა და ბევრი რელიგიური მოძღვრება ჩაგრაფდა ამ ქვეყანას. ისინი გაქრნენ, ქართველები კი დარჩნენ — მსუბუქნი მოციხარნი, უცვლელნი და მშვიდნი“.

აკადემიკოსი დ. ლიხაოვი თავის გახმაურებულ წერილში „შენიშვნები რუსულ ხასიათზე“ ამბობს, რომ „საქართველოს ბუნება მართლაც ძალუმად იკრავს გულში ადამიანებს, სიმძლავრეს, მედიდურობას და რაინდულ სულს ანიჭებს მათ“. მართალი ნათქვამია, მაგრამ ნაწილობრივ.

დ. ლიხაოვის მხედველობაში აქვს ე. წ. გეოგრაფიული ფაქტორი, რუსი კაცის ხასია-

თიც ძირითადად რუსული ბუნების წასახმამ დაან გამოყავს.

უთუოდ უფრო მართალია ეროვნული ხასიათის მათიველი ეს მკვლევარი, როცა ამბობს, რომ ეროვნული თავისებურებები მხოლოდ აქცენტები ია და არა ისეთი თვისებები, რომლებიც რომელიმე სხვა ერს არ გააჩნია.

ეროვნული ხასიათი არაა სტატიკური, მუდმივად დულს, ხან ერთი თვისება წამოიწებს წინ, ხან მეორე, ერთ ცალკეულ თვისებას მეორე უპირისპირდება, კეთილი და ბოროტი შეზავებულია, სინათლე და ჩრდილი ერთმანეთს ენაცვლება. ასე რომ არ იყოს, უდიდესი უბედურების საფრთხე არ დააყოვნებს.

როგორც ჩანს, ხასიათის დინამიზმი ერის სიცოცხლის აუცილებელ პირობად ქცეულა. იქნებ ზოგიერთი ერის გადაშენებაში სხვა ფაქტორებთან ერთად ამ ფაქტორმაც შესარულა თავისი როლი, რადგან, ილიასი არ იყოს, ყოველგვარი უძრაობა სიკვდილია...

და მაინც რა არის ჩვენი ეროვნული ხასიათის განმსაზღვრელი თვისება?

### იხა, იხა, იხა...

ენის ცოდნა ენის მართვის საიდუმლოებაშია.

უამრავ უცხო სიტყვას ჩვენი ენა ქართულად მართავს.

არც „სეირნობა“ ქართული და არც „გულაობა“, მაგრამ აბა დაატრიალეთ ეს სიტყვები რაკინდარა ფორმით, რომ მაშინვე მინიჭოს ქართული ენის ბუნებისათვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტი!

ენა მაშინ მოიშლება, როცა მისი ეროვნული მართვა მოიშლება.

ესაა მისი უკუდავების ქვაკუთხედი.

ხოლო, თუ რამდენი უცხოური სიტყვა შემოვა, კაცმა რომ თქვას, ამას არა აქვს გა-

დამწყვეტი მნიშვნელობა — ენა ზოგს შეითვისებს, ზოგს ამოანთხევს.

ლექსიკა ყველაზე ცვალებადია, ყველაზე აღრეული.

მორფოლოგია და სინტაქსი ყველაზე მდგრადია, გამძლე, მტკიცე, ნაწრთობი ფოლადის ჩონჩხივით საუკუნეებიდან საუკუნეებში გარდამავალი...

თუ ჩვენს ენას თვით არ მოვლარეთ და პატივი არ ვეცით, რა ზნეობრივი უფლება გვაქვს, სხვისგან მოვითხოვოთ მისი მოვლა და პატივისცემა?

### ბროსას ძეგლი

ასი წლის წინათ ქრისტეფორე მამაცამილი „აფროების“ რედაქციას წერდა:

„...სასამოვნოა ყოველი მამულის შეღისათვის ნახოს ის თანაგრძნობა, რომელიც გამოცხადდა ჩვენმა ქვეყანამ იმ კაცისადმი, რომელმაც თავისი სიცოცხლე შესწირა ჩვენს ძველ ლიტერატურის შემუშავებას და დაგვა-

ნახვა, როგორც ჩვენ, ისე მთელს ევროპას, იმის ღირსება და სიმდიდრე. უბროსეთო ჩვენ არ გვექნებოდა ის ცოტა გაგება ჩვენს წარსულს ისტორიულ ცხოვრებაზედ, რომელიც ეხლა გვაქვს და რომელიც ყოველის მხრით ღირს-შესანიშნავი არის... ამ პატივსაცემის კაცის შრომა რომ არ ყოფილიყო,

ჩვენ დღევანდლამდინ ვერ გავიცნობდით ჩვენს წინაპრებს, რომელნიც თითქმის ორი ათასი წელიწადი იცავდნენ თავიანთ მამულს, ენას, თვის-ტომობას და ქართველისათვის ფას-დაუფებელ თავისუფლებას.

...ბროსსეს გულითა და სულით ვუყვარდით და ამისათვის ჩვენ მოვალენი ვართ, არ და-ვივიწყოთ ის...

ჩვენ რომ სხვა-და-სხვა მიზეზებით გალა-რიბებული არ ვიყვნეთ, ჩვენი პირ-და-პირი მოვალეობა იქნებოდა, აგვემართა მარი ბროს-სესათვის ძველი, მაგრამ რადგანაც ჩვენი სიღარიბე ამის ნებას არ გვაძლევს, ამისათ-ვის ეს მივანდოთ ჩვენს შთამომავლობას, რომელიც იქნება, ჩვენზე მდიდარი და ბედ-ნიერი შეიქმნეს..."

ჩვენ მოგვმართავს ქრისტეფორე მამაცაშ-ვილი!

იმ დროსთან შედარებით, როცა ეს წერი-ლი იწერებოდა, მდიდრებიცა და ბედნიერე-ბიც ვართ. ხოლო თუ ეს ასეა, რა უფლება გვაქვს ზნეობრივი ვალის დაეინყებისა იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც სიცოცხლე შესწირა ძველი საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლასა და გამომწეურე-ბას?

რა უფლება გვაქვს დავივიწყოთ ღვანღი იმ ადამიანისა, რომლის გამო დიდი ილია ქაფქაფაძე ამგვარ დეპეშას უგზავნის საფ-რანგეთის საერო განათლების მაშინდელ მი-ნისტრს ბ.ნ ფორე ღვგის:

„დღეს მრავალი ხალხისა და საფრანგე-თის კონსულის თანდასწრებით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა სა-ზოგადოებამ გადაახდევინა ტფილისის ქარ-

თველ კათოლიკეთა ეკლესიაში დაბადების ასის წლის თავის სადღესასწაულო წირვა და პანაშვიდი მოსახსენებლად სულისა ფრანგის ბროსსესი, პარიგის აზიური საზოგადოებისა და რუსეთის აკადემიის წევრისა, საქართვე-ლოს უბრწყინვალესის ისტორიკოსისა და სა-ქართველოს ისტორიის გამავრცელებლისა მსოფლიო ფრანგული ენითა. საფრანგეთის დიდებული ერი პქმნის დიდებულ კაცთა არა მხოლოდ საფრანგეთისათვის, არამედ ყველა ერისათვის. საღამო საფრანგეთს!“

სამასუხო დეპეშა საფრანგეთის მინისტრი-სა:

„დიდად აღტაცებული ვარ მის გამო, რომ თქვენი საზოგადოება იცავს მეცნიერებს ბროსსეს სახსენებელსა. თქვენი პატივისცემა მიმინწევია ახალ ნიშნად მეგობრობის, კავ-შირისა, რომელნიც აერთებენ ორთავ ჩვენს ქვეყნებსა“.

დეპეშა ლორან ბროსსესი, მარი ბროსეს ვაფიშვილისა, რუსეთის კონსულისა ბარსელო-ნაში:

„კეთილშობილი ქართველი ერის მიერ მა-მიჩემის მოგონებამ დიდად აღმიტაცა. გთხოვთ გადასცეთ ქართველთა შორის წე-რა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მაღლობა ერთობით ჩემი სახლობისა და ჩემი პირადი თანაგრძობაცა“.

ამ დეპეშების გაცვლა-გამოცვლის შემდეგ 80 წელი გაიკადა.

სრულდება მარი ბროსეს დაბადების 180 წლისთავი.

წინაპრების მიერ ჩვენზე მონდობილი ვალი კვლავ კისრად გვადევს.

კიდევ გადავდოთ 20 წლით? ქართველებო, ვალს გადახდა უნდა...

### ყოველთვის მახსოვს

ყოველთვის მტკიცედ მახსოვს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სიტყვები:

„მარქსისტი არ არის, დემოკრატიც კი არ არის ის, ვინც არ აღიარებს და არ იცავს ერებისა და ენების თანასწორუფლებიანობას, ვინც არ უბრძვის ყოველგვარ ეროვნულ ჩაგ-ვრას“... (ტ. 20, გვ. 15).

ყოველთვის მტკიცედ მახსოვს და ვიმეო-რებ კიდევ არა მხოლოდ ვიმეორებ — ხში-რად ვეკითხები, ხშირად ვამონწმებ თავს: სწორად ვიქცევი კი ამ საკითხში? სწორედ ვწვებ კი ყოველი კონკრეტული შემთხვე-ვის დროს?

ეს საკითხი ხომ თითქმის ყოველდღე დგას

ჩვენს წინაშე სულ სხვადასხვა ფორმითა და სახით; ჩემს წინაშე, მართლაც, ყოველთვის მდგარა: იმგვარ ადგილებზე მიმუშავია.

მართლაც რომ ყოველ წუთს ყურადღებით უნდა იყო, რადგან თუ მხოლოდ წუთიერ ემოციას დაუფიქრებლად აპყვეი, შეცდომა არ დააყოვნებს. შეიძლება სულ უბრალო შეცდომაც იყოს, რომელსაც „შეცდომა“ არც კი დაერქმევა, მაგრამ თუ ერთხელ უნებურად გადაუხვიე, სულ ოდნავ თუ ასცდი ერთადერთ სამართლიან გზას, ისე შემოგება რება სიყალბე ჟანგის მცირე ნერტილივით, რომ შემდეგ ვერც კი მიხვდები, რად და როდის მოსდებია მთლიანად ჟანგი შენი სინდისის მახვილს...

ყოველივე ცალკეული მოქმედება კაცისა

მისი საერთო რწმენიდან, საერთო მსოფლმხედველობიდან გამომდის. ზოგჯერ, შეიძლება, უშუალო კავშირი არც კი სჩანს, მაგრამ კარგი განჩხრეკის შედეგად ყოველთვის აღმოჩნდება ეს კავშირი.

როგორც შენ ეპყრობი სხვებს, სხვა ერს, ბუნებრივია, კანონზომიერია და სამართლიანია იგივე მოითხოვო სხვა ხალხისაგან თუ მისი წარმომადგენელისაგან.

ამიტომ კვლავ და კვლავ ვიმეორებ უკვდავი ლენინის სიტყვებს:

„მარქსისტი არ არის, დემოკრატიც კი არ არის ის, ვინც არ აღიარებს და არ იცავს ერებისა და ენების თანასწორუფლებიანობას, ვინც არ ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრას“...



## მოლოდინი

ალექსი ლასურბას ხსოვნას

მე ერთადერთი მყავდა მშობილი, —  
ნაღდი, მზისგულა, თვალბმზიანი,  
როგორც რაინდი კეთილშობილი  
იყო სიცოცხლის დიდი ტრფიალი.

ერთხელ მახლობელს ერთად ვეწვიეთ,  
გზას მივეყვებოდით მთაში ქვეითად,  
ჩვენი სტუმრობა, როგორც წესია,  
მასპინძლისათვის იქცა ზეიმად.

კობტად ნაგები სახლი მალღობზე  
უფლის სასახლეს ჰგავდა გარედან,  
თმაშენამქრული ბრძენი მოყვარე  
შემოგვეგება დინჯად კარებთან.

თითქო გაიხსნა ძველი სამეფო,  
ათასწლეული ზღაპრით, მითებით,  
ირგვლივ ბუნება ფშვენდა საამოდ,  
ტბილად გალობდნენ ტყეში ჩიტები.

სამი დღე-ღამე სიბრძნის, შაირის  
წმინდა წყაროთი ერთად ვთვრებოდით...  
ვთვრებოდით ლეინისფერი ჰაერის  
და შემოდგომის სურნელ-გემოთი.

სუფრა ავშალეთ... მსჯელი მოხუცი  
გადაეხვია პოეტს თავაზით:  
გთხოვ, კვლავ მეწვიო, შეილო, ოჯახში,  
ღიაა ჩემი გულის დარბაზი.

სიტყვას განძივით სიტყვები მოჰყვა,  
პასუხად კიდევ ფრაზა ფრთიანი:  
რომ გაზაფხულზე ისევ ჩამოვა  
და დაიამებს სულს ამ ნიაგით.

მას შემდეგ ზვირთებს მიჰყვა ზვირთები,  
გამაეალ ქარებს წლები აფრებდა,  
და იადონი მთვრალი სიმღერით  
შკვდარი იპოვეს ბალის კარებთან.

იქ, მთაში სახლი სტუმართმოყვარე  
ცხოვრობდა ისევ ფიქრით, ხილვებით,  
და ბეროკაცი ყოველცისმარე  
გზას გაჰყურებდა რწმენით, იმედით.

გავიდა ხანი... შეეხვდი ბეროკაცს,  
ვისაც წარსულით გული უცემდა:  
— რა იქნა, შეილო, შენი გულისმმა,  
რად დამივიწყა ასე უეტრად?!

მახსოვს უყვარდა ლხინი ნამდვილი,  
როგორც ჩვევით ნამდვილ პოეტებს,  
მომწყურდა მისი სიტყვის მარილი,  
ბალღივით ისევ ველი ყოველდღე.

მისთვის მინდოდა მითი, თქმულება,  
ჯერაც უცნობი, დაუსტამბავი,  
მაგრამ წამიხდა ღია გუნება,  
ვერ გამოგია მისი ამბავი?!

მემახსოვრება ალბათ მარადის  
 ლექსით, სიმღერით საესე დღეები,  
 კაბუჯი იგი რუხი ლაბადით  
 და დაწყობილი უკან ხელუბით.

უცებ გაჩუმდა... თავი დახარა  
 და აუთრთოლდა მოხუცს ტუჩები,

თოვლივით ნათელს ფენდა ჭალარა,  
 გულზე სინათლე ადგა უჩვევით.

იჯდა... გონებით ჭერებდა უხილავს  
 მოხუცი მარად ქველი, კეთილი,  
 მივხვდი, არ იცის, რომ უკვე სოფლად  
 დგას ყრმა გრანიტში გამოკვეთილი.

## ჩემი დაბადების დღე

სავსე უჩვევით სიამით  
 ვარ მომავლისა მხვეჭელი,  
 მიყვარს დღე ჩვენი გაჩენის,  
 ჩემი პირველი მბეჭველი.

მაგრამ საწყენად ერთი მაქვს,  
 სულშიც იმ წყენის ქარი ჭრის,  
 ჭერაც ვერ დამიდგენია  
 ჩემი გაჩენის თარიღი.

ერთი იმახის: იმ ღამეს  
 აფეთქდა სოფლის ალუჩა,  
 მეორე ამბობს: ეზოში  
 ვწვევდით სიმინდის ნაჭურჩალს.

ბევრს ეს ძვირფასი თარიღი  
 აღნიშნული აქვს გარკვევით,

მე კი ვერსაით გავაღე  
 ჩემი გაჩენის სარკმელი.

დღე, ვიყო დაბადებულნი  
 გაზაფხულზე ან ზამთრისპირ,  
 ოღონდაც ვიქნე საჭირო  
 და სასარგებლო ხალხისთვის.

ხომ საალერსოდ ამოდის  
 მზე — ოქროსფერი, ბრიალა,  
 სიცოცხლე — სასწაულია  
 და ვუვლი, როგორც იარაღს;

და თუ ჩემს დაბადებაზე  
 ხმის ამოდება არა ღირს,  
 მაშინ არ მინდა ვიყოღე  
 ჩემი სიკვდილის თარიღიც.

## ზღვა და გიჟი

ვარ იმათგანი, ვინც ტრაპეზონის  
 ნაპირს მოადგეს...

დ. ზღვია.

მიცურავს ნავი სვენებ-სვენებით,  
 ტალღას ტალღაზე ტყდება კისერი,  
 და აღმართული ზვირთი სერივით  
 ხან ლურჯი არის და ხან ცისფერი.

ზღვაზე დაღვრილა შუქი მთოვარის,  
 ზღვა არის სხივით გულდაისრული,  
 მიცურავს ნავი შუქნათოვარი,  
 მიჰყვება რაღაც ძალა მისნური.

ცაა იმედის ლურჯი ქვეყანა,  
ზღვა უფსკრულივით არის უძირო,  
უკან ჩამორჩა მწუხრის ყვაველი,  
წინ — შექად ელავს მნათი უძილო.

მიცურავს ნავი, როგორც მრავალი  
ნავი საყუთარ ბედს მინდობილი,  
ზვირთებს ზვირთები მოსდევს ახალი  
და მთვარის ბაკში ბოლავს ბოლივით.

მიცურავს ნავი ზღვაზე ნავარდით  
და გზა თანდათან ხდება ადვილი,  
უცებ გაიხსნა კარი ლაქვარდის,  
გაკრთა მამულის ლურჯი მანდილი.

მიწას ჰყოცნიან უკვე მამულის  
ქარით დამზრალი ცხელი ტუჩებით,  
ჰვრეტენ ნასახლარს გულდაზაფრულნი,  
დგაა ერიამული მაინც უჩვევი.

ისევ გაცოცხლდა ძველი თბანი,  
ბუხრიდან კვამლი აეარდა მრეში,  
ისევ გამართეს მინდვრად გუთანი  
ბავშვმა კი წიგნი აიღო ხელში!

აფხაზურიდან თარგმნა გენო კალანდიაძემ



## თადო ბაქიშვილი

### ზამთრის მოლოდინი

შეშა მოტანილია,  
თივა დაზინულია,  
ბალი დაკრეფილია,  
ჩირი დაჩირულია.

ჩიტი გაფრენილია,  
მდელო გაძოვილია,  
ზეცა გაკრეცილია,  
მიწა გამარცხულია...

ყველაფერი მზად არის,  
რომ მოვიდეს ზამთარი.

დაზაფრული, დამცხრალი,  
იკვამლება ცის თალი.  
არ კიკვიებს მერცხალი,  
არც გუგული იძახის.

მთებმა გადმოაფინა  
სისპეტაკე ქალარის.  
გალმა ყვავი დაფრინავს —  
ზამთრის შავი მაცყარი.

დღეს შენი მოსვლა რატომ მგონია  
ბედის დაცინვა და ირონია?

გააფერადა მიდამო ქარვამ.  
ცივა. პირქუში ქარი უბერავს.  
სითბო გულისა წაიღო ქარმა  
და გამტყნარებულ ცას შეურია...

ყველი უკვე გავიდა,  
წავიდა წასასვლელი,  
აღარ გაიამინდებს —  
ჩაინავლა სანთელი.

უცხო რამ საბილველი  
გულს არ მოეჩქროლება.  
ზამთრის თეთრი ფრინველის  
ველი ჩამოჭროლებას.

რომ ავრიო გზა-კვალი  
შარშანდელი ცოდვების —  
ბალში ჩუმონაყარი  
იწვის ხმელი ფოთლები.

კვამლი კვალი არ არის —  
უერთდება უხილავს,  
მაგრამ რჩება ნაცარი  
გაუნელებ წუხილად...

მოჩანს ჩამოთოვლილი  
მწვერვალები ზმანებად...  
როგორც საშველს — მოველი  
ზამთრის შემობრძანებას.

უკვე მოსულა თეთრი კარეტა,  
უკვე ზამთარი იცდის კარებთან,  
შემოდის, უკვე შინაურია...

აწ შენი მოსვლა რატომ მგონია  
ბედის დაცინვა და ირონია?

306 ვარ

ვინ ვარ? კარლია და ათასფერი,  
ჯვარი, ალგეთი და ლიხაური.  
სამშობლო ჩემი — საქართველო!  
სახელი ჩემი — სიყვარული!

ვინ ვარ? ბეჭედი ცხრათვლიანი,  
გასათხრელ სარკოფაგში მიმალული.  
პატრონი ჩემი — საქართველო  
და ოქრომჭედელი — სიყვარული!

ვინ ვარ? სიმღერა ვარ ცხრახმიანი,  
აღმართ-დაღმართებში მიკარგული.  
ცხრა წყარო ჩემი — საქართველო!  
ცხრავე ხმა ჩემი — სიყვარული!

ვინ ვარ? კახური და ოჯალეში,  
მოყვრის თვალეზში მიმთვარული.  
მარანი ჩემი — საქართველო!  
ზედაშე ჩემი — სიყვარული!

ჭერი ვარ ლამეგასათევი,  
სხივი — უფლისციხეს მიზალული!  
მეგზური ჩემი — საქართველო!  
და გზა ჩემი — სიყვარული!

მე ვარ მასპინძელი და ბევრი მინახავს  
სტუმარი აჭაურ-იჭაური.  
გფარავდეს, გფარავდეს, საქართველო!  
გფარავდეს ჩემი სიყვარული!

ერთი ღიმილი სიციცხლედ მეყო  
და ერთი წყენით თუ ვარ მწუხარი,  
მე, რადგან ყველა მიყვარდა ქვეყნად,  
ასე შეგონა, ყველას ვუყვარდი.

მიევირდა, ვინ ვის რად ივიწყებდა  
და ვის ხედებოდა ვისი ნასროლი,  
მე, რადგან ყველა მახსოვდა ქვეყნად,  
ასე შეგონა, ყველას ვახსოვდი.

ვინ რას მალავდა! და სხვებიც თურმე  
ეჩვენებოდა მასავით ჭრელად...  
და ვინაც თვითონ ამბობდა ტყუილს,  
ჩემი სიმართლე არ დაიჯერა.

მიევირდა, თვალი რად ამარიდეთ!  
მე ხომ მართალი ვიყავი თქვენთან!  
გვიან გავიგე — ვინც მართალია,  
არასდროს თვალს არ აგარიდებდა.

ბევრჯერ მასწავლეს, ვის როგორ  
შევხვდე,

ვინ რა შვილია... მე, ვიცნობთ  
მრავალს...

და მაინც... ყველა მიყვარს ამქვეყნად,  
მაინც მგონია, ყველას ვუყვარვარ!

## გ ა უ გ ე ბ რ ო ბ ა

ერთხელ ანიკოსთან გავიქეცი.  
 ანიკოს დედამ მითხრა, ანიკო ნატოსთან გაიქცაო.  
 ნატო მარინესთან გაქცეულიყო,  
 მარინე — ხათუნასთან,  
 ხათუნა — ჩემთან, მე კი შინ არ ვიქნებოდი.  
 მეორე დღეს დედაჩემმა მითხრა, ნატომ მოირბინაო.  
 წავედი ნატოსთან, ნატო ანიკოსთანააო,  
 ანიკო — მარინესთან,  
 მარინე — ხათუნასთან,  
 ხათუნა....  
 მესამე დღეს შინ დავჯექი, აქ მოვლენ-მეთქი...  
 ანიკოც შინ იჯდა, მარინეც, ნატოც, ხათუნაც...  
 არავინ არ მოსულა. დარეკეს.  
 წამოვალ-მეთქი და წავედი, მაგრამ ნატო ჩემთან წამოსულიყო,  
 მარინე — ნატოსთან,  
 ნატო — ხათუნასთან...  
 მეოთხე დღეს დავრეკე. დაკავებული იყო, მეც დაკავებული ვიქნებოდი,  
 ისინი ჩემთან რეკავდნენ... და ა. შ. და ა. შ.  
 ერთხელაც — გამოვედი.  
 ანიკოც გამოსულიყო თურმე, ნატოც, ხათუნაც, მარინეც...  
 და შემთხვევით შევხვდით.  
 მაგრამ მაშინ რისთვის გავრბოდი:  
 მე ანიკოსთან, ანიკო ნატოსთან, ნატო მარინესთან, მარინე ხათუნასთან,  
 ხათუნა ჩემთან,  
 აღარც ერთს აღარ გვახსოვდა.

## იბალიის ზეცა

მომხრობა

ბინდდებოდა. მილსის წამწამებს შორის მოქცეულ ცის კიდეს თაღი ფერი დაედო. ვიწრო თეთრი მოლილა შერჩენილიყო ბორცვის თავზე, მილსა და ფერდობის შავ სილუეტს შორის.

მილსმა ამოიოხრა, ხელი მაგიდისკენ გააპარა და კონიაკის ბოთლს წაეტანა. ნალდი ფრანგული კონიაკი იყო, ოქროსფერი, ყელს რომ ახურებს სწორედ ისეთი. სხვა სასმელი მილსს რატომღაც ცივი ეჩვენებოდა და სმასაც ერიდებოდა. აი, კონიაკს კი სიამოვნებით წრუპავდა. მაგრამ დღეს ეს მისი მეოთხე თუ მეხუთე ჭიქა იყო და მარგარეტმაც იფეთქა:

— მილს! ყური მიგდეთ! თქვენ უკვე მთვრალი ხართ. ჩოგანსაც ველარ დაიჭერთ. დღეს ხომ სიმერსეტებს ველით სათამაშოდ. ჰოდა, თუ ასე გააგრძელეთ, იძულებული იქნებიან უჩვენოდ ითამაშონ. ვკონებ, დღეისთვის კმარა.

მილსმა თვალები ისე მილულა, ხელი არ უშვია ბოთლისთვის. ერთბაშად დაღლილობა მოეძალა. აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა.

— ძვირფასო მარგარეტ... — წამოიწყო მან, — თუ ნებას დამრთავთ...

— მაგრამ წამსვე სიტყვა გაწყვიტა. აგერ, ათი წელია, რაც ტენისს თამაშობს, წამდაუწუმ „ჰელოუ“-ს გაიძა-

ხის, ნაცნობებს ბეჭებზე ხელს უტყაპუნებს და გაზეთს კითხულობს თავის კლუბში. ჰოდა, ამ ხნის მანძილზე მარგარეტს ამოსუნთქვის საშუალებაც არ მიუცია.

— აი, სიმერსეტებიც, — თქვა მარგარეტმა, — გთხოვთ, თავი შეიკავოთ, ხომ იცით, ჩვენს წრეში...

მილსი იდაყვებს დაეყრდნო და სიმერსეტებს გახედა. კმარი მაღალი იყო, გამხდარი და მწითური.. ამპარტავანი და ყუყუჩი ჩანდა. ქალს დაკუნთული სხეული ჰქონდა: „საშინლად დაკუნთულიაო“ — გაიფიქრა მილსმა. სადაცაა მარგარეტსაც გადაედება სიმერსეტის ცოლის ჩვევები — მუდამ სუფთა პერზე ყოფნა, სიცილისას ყურებამდე გახეული პირი, მშაბიჭური ქცევები და ვინ იცის, კიდევ რა... მილსს გული ყელში მოებჯინა და ანაზღად მოწოლილი ბოლმა რომ დაეფარა, სავარძელში გადაწვა. შოტლანდიის ამ მივიარდნილ კუთხეში აღარაფერს შერჩენოდა ბუნებრივი იერი, გარდა აი იმ ბორცვისა, კონიაკისა და თავად მილსისა. დანარჩენი ყოველივე კი... მილსმა შესაფერი სიტყვის ძებნა იწყო — ჰო, დანარჩენი „მოწესრიგებული“ იყო. ზუსტად მოძებნილი სიტყვით კმაყოფილმა მილს-

მა ცოლისკენ გააპარა თვალი. მერე მისდაუნებურად ალაპარაკდა:

— საფრანგეთის და იტალიის ლაშქრობებში... — ამბობდა უცნაური ხმით. ისიც იგრძნო, როგორ დაადგა თვალი სიმერსეტმა და მისი აზრიც ამოიკნო: „საწყალი მილსი, წასულია მაგის საქმე... სჯობს პოლო ითამაშოს და ამ საწამლავს მოეშვას“. მილსი გაბრაზდა და ხმას აუმაღლა:

— საფრანგეთისა და იტალიის სამხრეთში ქალები ტენისს არ თამაშობენ. მარსელის ზოგიერთ უბანში მთელი დღე სახლის ზღურბლთან არიან ატუ-ზულები და გამვლელებს ათვლიერებენ. თუ გამოელაპარაკე და არ მოეწონე „შეყოლეო“ გეტყვიან. ეს არის და ეს.

ეს „შეყოლეო“, რალაც სასაცილოდ გამოუვიდა ნათქვამი.

— თუ თვალში მოუხვედდი „შემოდო“ შეგიატიეებენ.

„შემოდი“ ჩუმი ხმით წარმოთქვა და ამაში სასაცილოც არაფერი იყო. სიმერსეტმა ერთი კი გაიფიქრა, მოვაკეტი-ნებო, მაგრამ თავი შეიკავა. ქალებს ლოყები შეეფაცლათ.

— სპორტს არად დაგიდევენ, — გააგრძელა მილსმა, თითქოსდა საყუთარ თავს ელაპარაკებო, — ამიტომაც სათნოები არიან და შემოდგომის გარგარივით ხასხასა. არც კლები აქვთ, სამაგიეროდ კაცები ჰყავთ... რამდენიმე ან ერთი. მთელი დღე მზეს ეფიცებიან და ლაყობენ. ამიტომაცაა, რომ მათ კანს მზის გემო დაჰკრავს. ხმა კი ჩახლჩილი აქვთ. ვერც „ჰელოუს“ გაიგონებ მათგან.

მერე ნაღვლიანად დაუმატა:

— თუმცა ეს აქაური მიმართვია. პოდა, როგორიც არ უნდა იყვნენ ის სამხრეთელი ქალები, რომლებსაც ოდესღაც ვიცნობდი, მაინც იმათ ვამჯობინებ აქაურ ლამაზმანებს, გოლფის კლუბში რომ დაეთრევიან და მუდამ ემანსიპაცია აქერიან პირზე.

მილსმა დიდ ჭიქაში კონიაკი დაისხა.

გაოგნებულმა მსმენელებმა ისტეფანს ვერ დაძრეს. სიმერსეტმა ისიც კი გაიფიქრა, იუმორს მოვიშველიებო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მარგარეტი ამრუხით შესცქეროდა ქმარს. მილსმა თვალები ასწია:

— აბა, რა გაბრაზებთ, მარგარეტ? ათას ცხრაასორმოცდაერთში ჭერ კიდევ არ გიცნობდით.

— ჭარისკაცების შეძახები აქ რა მოსატანია, მილს? იმედი მაქვს, ჩვენი მეგობრები მოგვიტყევენ...

მაგრამ მილსი აღარ უსმენდა. იგი წამოდგა და ბოთლიანად ბალის ბოლოსკენ წავიდა — ტენისის კორტს, ხმებსა და სახეებს გაერიდა. ცოტა ფეხი ეშლუბოდა, მაგრამ ესეც სასიამოვნო შეგრძნება იყო. კიდევ უფრო გაიხარა, როცა ბალახზე გაიშოტა და ზურგით იგრძნო, როგორ დაბზრიალდა მიწა. უზარმაზარი ჩიკორივით ტრიალებდა და გარემოს გამხმარი ბალახის სურნელით აესებდა. მილსმა თვალები მილულა, ძალუმად ჩაისუნთქა და თითქოს ცხადად შეიგრძნო ზღვის ტალღებით განბანილი ქალაქის და ნავსადგურის შორეული და ძველისძველი სუნი.

სად ან როდის იყო ეს? ნეაპოლსა თუ მარსელში? მილსმა ამერიკელებთან ერთად ორ ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა. სამხედრო ჯიბი ემსახურებოდა. ზანგი მძლოლი გიყვივით დააქროლებდა მანქანას. ერთხელაც ჯიბი ჰაერში ავარდა და რკინის ხრჭილმა უურთასმენა წაართვა მილსს. იგი მინდორში ეგდო, ხორბლის ყანაში და მძიმედ სუნთქავდა, თითქოს სიცოცხლეს ეჩვევა და ეშინია სუნთქვას სულიც არ ამოვადყოლო. განძრევა არ შეეძლო, რალაც სუნს კი გრძნობდა, რომელიც ერთდროულად ზიზლსაც გვრიდა და უცნაურ სიამოვნებასაც... — სისხლის სუნი იყო.

მის თავს ზემოთ, უძიროდ ლურჯი, ლაყვაროვანი იტალიური ზეცის ფონზე ბალახი ნელა ირწყვოდა. ხელი ძლივს ასწია და თვალისმომჭრელი სინათლი-

საგან დასაცავად სახეზე აიფარა. ჰოდა, როცა თითები წარბებს შეახო, როცა ხელისგულის ქვეშ წამწამების ცახცახი იგრძნო, როცა ამ ორმაგი კონტაქტით ცხადად შეიცნო, რომ იგი, მილსი, აქ არის და ცოცხალია, ხელმოკრედ დაკარგა გონება.

მისი შორს წაყვანა არ შეიძლებოდა. იქვე, ახლოს ერთ ფერმაში მიიყვანეს. თავდაპირველად ყველაფერი ჭუჭყიანი ეჩვენა. ფეხები ტკიოდა და შიში აეკვიტა, ვაითუ, სიარული ან წინანდებურად ტენისის და გოლფის თამაში ევლარ შეეძლოო. მაიორსაც წამდაუწყუმ უმეორებდა: „წარმოიდგინეთ, კოლეჯში სწავლისას გოლფის თამაშში ტოლი არ მყავდაო“. მილსი მაშინ ოცდაორი წლის იყო. სხვენზე მოათავსეს და ფეხები თაბაშირში ჩაუდვეს. სხვენის სარკმლიდან მინდვრები, მთვლემარე მდელი და ზეცა მოჩანდა... მილსს ეშინოდა.

იტალიელი ქალები, ავადმყოფს თავზე რომ ადგნენ, ორ სიტყვას ძლივს აბამდნენ ფრანგულად. რამდენიმე დღის შემდეგ მილსმა შეამჩნია, რომ ქალებიდან უფრო ახალგაზრდას შავი, უძიროდ შავი თვალები, ოქროსფერი კანი და მკვრივი სხეული ჰქონდა. ოცდაათი წლის თუ იქნებოდა, შეიძლება ამ ხნის არც ყოფილიყო. ქმარი ამერიკელებს ებრძოდა. ძალით წაიყვანესო — მოთქვამდა დედამისი, ლოყებს იხოკავდა და ცხვირსახოცს ნაკუწებად გლეჯდა. გრძნობების ასეთი აშკარა გამოხატვა მილსს ცოტა არ იყოს უცნაურად ეჩვენებოდა და რცხვენოდა კიდევ. „აღამიანები ასე არ უნდა იქცეოდნენო“ — ფიქრობდა მილსი, მაგრამ ქალის გული რომ მოეგო, ამშვიდებდა — საშიში არაფერია, ომს ბოლო მოეღება და შეილიც მალე დაგიბრუნდებაო. მერე ამასაც დასძინდა: „ქვეყანა აირია და მეც ვერა გამიგია რაო“. ახალგაზრდა ქალი უსიტყვოდ იღიმებოდა. თოვლივით ქათქათა კბილები ჰქონდა და სხვა გოგონებოვით კოლეჯზე ლაპარაკით არ აბეზ-

რებდა თავს. ერთ-ორ სიტყვას ვერაფერს მეტებდა. მილსი გრძნობდა, რომ რალაც უხილავი ძაფებით უკავშირდებოდა ქალს. ამიტომაც აფორიაქებული იყო და ის შეუტყობელი რალაც გონებას ურევდა. „ვერაფერი გამიგიაო“, — ფიქრობდა. ქალის ფარული ღიმილი და ანაზღად დაჭერილი მზერა აცბუნებდა. მაგრამ ახალგაზრდა ქალისთვის არასოდეს უთქვამს თავგზა დამებნა და ამ ქვეყნისა ვერაფერი გავიგეო.

ფერმაში მოსვლის მეათე დღე იყო. ახალგაზრდა ქალი სასთუმალთან უქდა და ქსოვდა. დრო და დრო თუ ჰკითხავდა, ხომ არ გწყურიაო. ცხელოდა და იმიტომ. მილსი უარობდა. მუხლები ძალიან სტკიოდა და იმაზე ფიქრობდა, შეძლებდა თუ არა ოდესმე გლედისთან ან სხვებთან ტენისის თამაშს. უგულოდ დათანხმდა ძაფის გორგალი დაეჭირა, სანამ იატაკს ჩაშტერებული ქალი ნაჩქარევად ახვევდა შულოს.

„გრძელი წამწამები აქვს“ — გაიფიქრა მილსმა და ისევ აკვიტებულ ფიქრს მიუბრუნდა: აბა, ასეთი ხეიბარი კლუბში რალას მაქნისი ვიქნებით.

— გმადლობთ, — ჩაილაპარაკა ქალმა.

მილსმა მკლავები ჩამოუშვა. მერე ერთბაშად ზეასწია და ქალს მოუბოდიშა. ქალმა გაუღიმა. მილსმაც ღიმილი შეაგება, მაგრამ მყისვე მზერა მოაშორა. გლედისი იტყოდა... მაგრამ გლედისზე ფიქრის თავი აღარ ჰქონდა. მხოლოდ ძაფის გორგალს ხედავდა, რომელიც თვალდათვალ იღეოდა. ერთი კი გაიფიქრა, საქმეს რომ მოვითავებთ, ქალი ალბათ სასთუმალთანაც აღარ მომიჯდება თავისი ჰყეტელა ბლუზითო. ჰოდა, უნებლიედ გორგალს ხელს უჭერდა, აკავებდა. ბოლოს ძაფის კიდეს მოეჭიდა. „არაფერია, უბრალოდ ველაბუტებიო“, — გაიფიქრა.

ქალი საქმეს მორჩა და რაკი იაზრა, კაცი ძაფის ბოლოს არ მანებებსო, კუშტად ამოხედა. მილსმა იგრძნო, რომ თვალეში სხივი ჩაუდგა და გაღიმებას

შეეცადა. ქალმა ძაფი მოზიდა. ფრთხილობდა, არ გაეწყვიტა და უნებურად მილსთან სულ ახლოს მივიდა. მილსმა თვალეზი მიღწულა. ქალმა ნახად აყოცა და თითებიდან ძაფი გამოაცალა, ჭირვეულ ბავშვს რომ სათამაშოს წაართმევენ იმგვარად. მილსი წინააღმდეგობას არ უწევდა. უზომო ნეტარებას მოეცვა. ქალს გახედა და წითელ ბლუზაზე არეკლილმა ათინათმა თვალი მოჭრა. ქალს მისთვის თავკვეშ ამოედო ხელი, აი, სწორედ ისე, ლენის სმისას რომ იციან იტალიელებმა — ქიანტის მოწნულ ბოთლს ქვემოდან ფრთხილად ამოუღებენ ხელს და წრუტავენ.

მილსი მარტო დარჩა. პირველად მხოლოდ ახლა შეიგრძნო, რომ ბედნიერი იყო და რომ ამ მზით აელვარებულ ქვეყანას დაუახლოვდა. მხარეთმოზე წამოწოლილი პურის ყანასა და ზეთისხილის ხეებს გაპყურებდა, ტუჩებზე ჯერ კიდევ გრანობდა ქალის ტუჩების სისველეს და ეჩვენებოდა, რომ უხსოვარი დროიდან ცხოვრობდა აქ.

ახლა ახალგაზრდა ქალი მთელ დღეებს მასთან ატარებდა. მოხუცმა კი სხენიდან ფეხი ამოიკვეთა. მილსს ტყვილები წინანდებურად აღარ აწუხებდა, თხის ყველის პატარ-პატარა თავებს ჭამდა და ლენოს აყოლებდა. ლუიჯიამ საწოლის თავზე ბოთლი ჩამოჰკიდა. საკმარისი იყო ხელი ეხლო, რომ ბოთლი დაყირავდებოდა და წითელი, მომჯავო სითხე პირში ეღვრებოდა. სხენი მზით იყო სავეს. მილსი ლუიჯიას ეხვეოდა, თავს კორსაჯზე დაადებდა და აღარაფერზე ფიქრობდა, აღარც გლედისზე და არც კლუბის სხვა მეგობრებზე.

ერთ დღეს მაიორი გამოცხადდა და თან სამხედრო წესრიგი მოიყოლა. მაიორმა მილსის ფეხები შეათვალიერა, თაბაშირი მოაძრო და რამდენიმე ნაბიჯი გადაადგმევინა. ბოლოს უთხრა ხვალ მოგაკითხავენ და შეგიძლია გაემგზავრო. ესეც დასძინა, მასპინძლებისთვის მადლობის თქმა არ დაგაეიწყედსო.

მილსი მარტო დარჩა. თავს არწმუნე-

ბდა, ლმერთს მადლობა უნდა უთხროს რომ ფეხზე დაედგა. ახლა ტენისსაც ითამაშებდა და გოლფსაც, სირ ოლივიესაც გაპყვებოდა სანადიროდ და გლედისთან ან ვინმე სხვასთან ინგლისურ ვალსსაც წაიციკებდა. შეეძლო ლონდონის ან გლაზგოს ქუჩებში ეხეტიალა. მაგრამ მზით აელვარებულ მინდორს და თავსებოთ ჩამოკიდებულ ქიანტის ცარიელ ბოთლს მაინც ქვეშეცნეული სინანულით უცქერდა. დაბოლოს, გამგზავრების დროც დადგა.

სხვა რომ არა, სადაცაა ლუიჯიას ჭმარიც უნდა დაბრუნებულიყო. მილსს ცუდი არაფერი უკადრებია ქალისთვის. ისე, რამდენიმე კოცნა... ეს იყო და ეს... უცებ თავში გაუელვა, რაკილა თაბაშირი მოვიშორე ლუიჯიასაგან შეიძლება ამ ლამით უფრო მეტიც მივიღო, ვინემ კოცნა და ალერსიაო.

ლუიჯია სხვენზე ამოვიდა და მობარბაცე მილსის დანახვაზე სიცილი წასკდა. მერე კოპები შეიკრა და გაბუტული ბავშვივით მიაჩერდა. მილსი ყოყმანობდა, ბოლოს თავი დაუქნია: „ხვალ მივდივარ, ლუიჯია“.

ორჯერ თუ სამჯერ ნელა და გარკვევით გაიმეორა ნათქვამი, რათა ქალი უკეთ მიმხედარიყო. ქალმა სახე მიაბრუნა. „გაუთლელი ხეპრე ვარო“, — ბრაზით გაიფიქრა მილსმა. ლუიჯიამ კიდევ ერთხელ შემოხედა და უსიტყვოდ გაიძრო წითელი კორსაჯი. ქალის მხრებმა სინათლის სხივი გაკვეთა და მილსის ლოგინის ნახ სიბნელეში ჩაიძირა.

მეორე დღეს, გამომშვიდობებისას ქალი ატირდა. ჭიპში მჯდომი მილსი კარგად ხედავდა აცრემლებულ ქალს, მის უკან კი მინდვრებს და ხეებს, რომელთაც ესოდენ დიდხანს უცქერდა თავისი ლოგინიდან. მშვიდობით, — ფიქრობდა მილსი და ცდილობდა გაეხსენებინა ძველი სხვენისა და საწოლის თავზე, თოკის ბოლოზე ჩამოკიდებული ქიანტის სურნელი. იმედგადაწურული მილსი ქალს გასცქეროდა და „არასოდეს დაგივიწყ-

ყებო" უყვიროდა. მაგრამ ქალს მისი აღარ ეამოდა.

მერე ნეაპოლისა და იქაური ქალეზის ჩერი დადგა. ზოგს ლუიჯია ერქვა. შემდეგ საფრანგეთის სამხრეთი. მის მეგობრებს ერთი სული ჰქონდათ, სანამ ლონდონში ამოყოფდნენ თავს. მილსი კი კიდევ ერთი თვე გაეჩხირა ესპანეთსა და იტალიის საზღვარზე. ლუიჯიასთან დაბრუნებას ვერ ბედავდა. ქმარი რომ სახლში დახვედროდა, ხომ შეიძლება ყოველივე საამშარაოზე გამოსულიყო? ან გაუმკლავდებოდა კი მზით აზრდღვიალებული მინდვრების, იველი ფერმისა და ლუიჯიას კოცნის ცდუნებას? შესძლებდა იტონის კოლეჯში აღზრდილი კაცი, შეგუებოდა იტალიის ველეზზე გლეხურ ცხოვრებას? მილსი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე დააბოტებდა, ქვიშიან პლაჟზე ნებიერობდა და კონიაკით ყელს იხურებდა.

სახლში დაბრუნებისთანავე ყოველივე დაივიწყა. ამაობაში გლეხისი ჯონზე დაქორწინებულიყო. მილსი ტენისის წინანდელზე უარესად თამაშობდა. დროც არ ჰქონდა — მამის საქმე უნდა გაეგრძელებინა. მარგარეტი მომხიბლავი, სათნო და განათლებული ქალიშვილი იყო... ჰეწიკ არ აკლდა.

მილსმა თვალეზი გააჩილა, ბოთლი მოიყუდა და კარგა მოზრდილი ყლუპი მოსვა. თანდათან სიწითლე მოერია და ყელიც გაუშრა. სწორედ ამ დღით შეამჩნია, რომ მარცხენა თვალის ქვეშ პატარა, წითელი ძარღვი ამობურცვოდა. ლუიჯია ახლა უკვე დასქელებოდა და იველი სილამაზის კვალიც აღარ შერჩებოდა. აღარც ქიანამის ექნებოდა იმეამინდელი გემო. მილსსაც მხოლოდ ის დარჩენია, რომ ძველებურად გააგრძელოს — სამსახური, ბიფშტექსი, გაზეთში ამოკითხული პოლიტიკური სიახლენი. ...შენ რას იტყვი, სიდნეი?“, სამსახური „მანქანა, „პელოუ მარგარეტ“... ევირაობით კი აგარაკი სიმერსეტებთან ან ჯომსებთან ერთად, თხუთმეტი ქულა კრიკეტში და ვეინიანი წყალი... დრო და დრო კი ეს გულისგამაწვრილებელი წვიმა. ჰოდა კიდევ, მადლობა, დემერის, კონიაკი.

ბოთლი წვეთიც აღარ დარჩა. მილსმა ცარიელი ბოთლი მოისროლა და

ზღაზვნით წამოდა. სტუმრებთან მიბრუნება რცხვენოდა. ან კი რა საჭირო იყო უხეშობა? აბა, ასე ვინ იქცევა? ადამიანური ღირსების შელახვა იყო და სხვა არაფერი. უცებ იტალიელი წარმოუდგა თვალწინ. ქუჩის ერთი მხრიდან მერორეუ ერთმანეთს რომ ლანძლავენ, სიკვდილითაც კი ემუქრებოან, მაგრამ სკამიდან წამოწვევის თავიც არა აქვთ. მილსმა გადაიხარხარა. მაგრამ მყისვე გონს მოეგო. აბა, რა აციხებს თავის აგარაკის წინ მდელიოზე მარტო დაყუდებულს?

ახლა ისევ მოწულ სკამს დაუბრუნდება, ცივი ხმით გამოსცრის, — მაპატიეთო და გულაჩუყებული სიმერსეტის გაეპასუხება: არაფერია, ჩემო კარგო. ჰოდა, ამაზე მერე კინტსაც არავინ დასძრავს. აბა, ვის აინტერესებს იტალიის ზეცა და ლუიჯიას აღური? ვის აუხსნას, თუ რა ბედნიერებაა, ავად იყო და უცნობ ადამიანებთან გედოს ბინა? ომი ათი წლის წინ დამთავრდა. მერე კიდევ თვით მილსიც აღარ იყო წინანდებურად ახალგაზრდა და ლამაზი.

ზანტი ნაბიჯებით დაბრუნდა სტუმრებთან. იმათ, ვითომც აქ არაფერო, ერთიც არ უკითხავთ, სად დაიკარგო და წამსვე საუბარში ჩაითრიეს. მილსი სიმერსეტს მანქანებზე ელაპარაკებოდა. ისიც კი თქვა, იაგუარი სპორტსმენისთვის ზედგამოჭრილი მანქანაა, რადგან სიჩქარეში ვერც ერთი სხვა მოდელი გვერდით ვერ ამოუდგებაო. ბოლოს დევისის თასის გათამაშებაში ავსტრალიელებს უწინასწარმეტყველა გამარჯვება. ამას კი ამბობდა, მაგრამ თვალწინ კარადაში საგულდაგულოდ გადახახული ოქროსფერი, მწველი სითხით სავსე კონიაკის ბოთლი ედგა. ერთი აზრიც უტრიალებდა თავში: სადაცაა სიმერსეტები და მარგარეტი ქალაქში ახალი შოუს სანახავად წაველი და მეც ჩემი მოგონებების ანაბარა დავრჩებიო. ეს აზრი სიამოვნებას ჰკვირიდა. რაიმე სამუშაოს მოიმიზეზებებს და როცა მარგარეტი სტუმრებთან ერთად გზას გაუყვება, კარადის კარს გამოაღებს, რათა კიდევ ერთხელ იხილოს იტალიის ზეცა.



გიორგი ნატროშვილი

## ნიკო ლორთქიფანიძის როლი და ადგილი ლიტერატურის ისტორიაში

ნიკო ლორთქიფანიძის სახელი მუდამ მოიხსენება მხატვრული სიტყვის იმ უზადლო ოსტატთა შორის, რომელნიც ქართული კულტურის სიამაყესა და მშვენივალს წარმოადგენენ. მისი ქმნილებანი სამუდამოდ შევიდნენ ჩვენი ლიტერატურის ყველაზე უკეთეს მონაპოვართა საგანძურში; ის იყო უბრწყინვალესი ოსტატი ქართული სიტყვისა, რომლისათვისაც უცნობი არ იყო არავითარი საიდუმლოებები ადამიანის სულისა; ის იყო ჭეშმარიტად დიდი პუმაანისტი, რომლის ყოველი სტრიქონი მადღმოსილი და გაშუქებული იყო ადამიანისადმი ღრმა და წმინდა სიყვარულით. მის შემოქმედებაში ჩქეფს დაუშრეტელი წყარო სამშობლოს სიყვარულისა და აქ ის აგრძელებს ძველი ქართული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს; მას პქონდა ოსტატის ნათელმზილველი თვალი და ამიტომ არის, რომ დღესაც გვაოცებს მისი დაკვირვებანი ადამიანის სულზე. ყოველივე ეს აძლევდა მას ძალას დაენახა და გამოეთქვა თავის მოთხრობებში ის, რაც ყველაზე ძვირფასი, მომზიბველი და უკვდავია ადამიანის არსებაში.

ნიკო ლორთქიფანიძის ცხოვრების გზა — ეს იყო ჩვეულებრივი გზა მოწინავე ქართველი ინტელიგენტისა, რომელიც მიმდინარე საუკუნის დასაწყისში გამოდიოდა სამოქმედო ასპარეზზე. გარდა ეროვნული ტრადიციებისა, მას პქონდა საგვარეულო ტრადიციებიც, ასე ვთქვათ, განსაკუთრებული ოჯახური გარემო. მის წინაპართა შორის იყვნენ მამაცი სარდლები და მეომრები, რომელთაც დიდი ღვაწლი და ამაგი დასაქვს საქართვე-

ლოს ისტორიას და რომელთა ცხოვრების ცალკე ეპიზოდები მარტო ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობებმა როდი შემოგვინახეს. მათი სახელები არც ისე იშვიათად გაიღვებენ ხოლმე თვით უახლესი ქართული ისტორიული რომანების ფურცლებზე. ასეთია კერძოდ, ბერი ლორთქიფანიძე, მწერლის პაპის მამა, მარჯვენა ხელი სოლომონ პირველისა; იგი ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია რ. ჯაფარიძის ახალი რომანისა — „მძიმე ჯვარი“. თავისი პაპის, გიორგი ბერის ძის შესახებ მწერალი ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში აღნიშნავს: „ბაბუაჩემი გიორგი ბერის ძე ბავშვობიდან მუდამ თან დასდევდა მეფე სოლომონ მეორეს. არც დიდ მფლობელებთან შეტაკების დროს, არც ოსმალებთან ბრძოლებში გიორგის არც ენახა და არც ხმალს არ გაუმრუდებიათ ერთხელ არჩეული გზა... გიორგი იყო, თბილისის ციხიდან სოლომონი რომ გამოაპარა, სოფელ ალთან რომ ბარძაყში ხიშტდაკრულმა ჯერ მეფის შემტევი გაჩეხა, და მერე მოპირდაპირე, სიახლოვის გამო ხმლით რომ ვერ მიუდგა, დაახრჩო მარცხენა ხელით“. უფრო ადრე, ლორთქიფანიძეები სათავეში ედგნენ ე. წ. „ფიცის კაცებს“, რომლებიც იცავდნენ იმერეთს თავდამსხმელთა თარეშისაგან ცხენისწყლის გაყოლებით და აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან.

ეს ამბები აქ იმიტომაც გაიხსენეთ, რომ ეს ადამიანები მწერლისათვის მარტო წინაპრები კი არ არიან, არამედ ხშირ შემთხვევაში, მისი ნაწარმოებების პერსონაჟები. ნიკო ლორთქიფანიძე წერს საქართველოს ისტორიაზე და არ შეუძლია არ გაიხსენოს წინაპრე-

ბი, ისე მჭიდროდ არის გადაწვლილი აქ გვარის საოჯახო ქრონიკა ერის ისტორიასთან; ამავე დროს, ნიკო ლორთქიფანიძე — პირუთენელი და მკაცრი მსაჯულია. ის, როგორც მწერალი და როგორც მოქალაქე ვალდებულია სთვლოს თავს დაინახოს ნათელიც და ბნელიც, ავიდ და კარგიც, კეთილიც და ბოროტიც. ვაიხსენებ მრისხანე ბატონი ლევანი ამავე სახელწოდების მოთხრობიდან, შეუბრალებლად რომ სჯის ზედატყისელების მამასახლის შვილს, რომელმაც კოჭლი და ბრმა ირემი დაკლა.

„— შენ დაკალი, ბიჭო, ირემი?

— მე ბატონო!

ყმანვილი ბიჭი სიმაღლით სამი ადგილი იქნებოდა. შესაფერი შხარბუჭი ჰქონდა. სრულ ჩოხას ეტყობოდა, თუ რა დევდმირის ტანს შეჰარავდა.

— ექიმბაშო, ამის ცოცხალი სტყვია და მოურჩინე“.

ექიმბაში სმ გოლიათს მარცხენა თვალს ამოსხრის და მუხლზე ძარღვს გადაუჭრის, ხოლო ბატონი ბიჭის მამას აფრთხილებს:

„— მამასახლისო, ახლა ნადი და თქვენებს უთხარი, ბატონი ლევანი მოწყალეა, მაგრამ მისი სურვილის წინააღმდეგ თუ ვინმემ საკუთარი ნაშნაში შეარხია, ურჩევნია თვითონვე დაითხაროს ორივე თვალი“.

აი, ამ მრისხანე კაცის ცხოვრების დასასრული: ბოლოს ის ბერად შედგება და ცხოვრობს როგორც წმინდანი: ჩიტები თამამად ჯდებიან მის თავზე და ნისკარტს იწმენდენ თმაზე, შველი, წყალზე ჩამოსული, ხელიდან ართმევს ქაფის ნატებს, მოხუცი კი ლოცულობს ხის ხატის წინ, განუწყვეტლივ კითხულობს სახარებას, უფალს შენდობას ევედრება — დღეს ფეხით ბლახი გადაეთვლეო, მზის სხივს ჩამოეფარე და შეურაცხვევად, გზად შემხვედრ კაცს ერთი ლუკმა პური ეთხოვეო; და ბოლოს, ერთ დღიას მწყემსი ნააწყდება გამოქვაბულში გაცივებულ გვამს. გულზე დაკრფილ ხელებში მიცვალებულს ხის ხატი უჭირავს.

ასეთ საშინელ კონტრასტებშია მოქცეული, ასე უცნაურია ამ კაცის ცხოვრების გზა.

ახლა ამ პატარა ამონაწერს გაცვანით მწერლის ავტობიოგრაფიული ჩანაწერებიდან:

„ლორთქიფანიძემ თვალენი დასთხარა ხელოსანს ციმფთაში — რატომ მოჰქალა ირემი, რომლისთვისაც ღომი უნდა დაგვეყარა თავღამი“.

მწერალი საჭიროდ სთვლის ესეც აღნიშნოს. ნიკო ლორთქიფანიძე ბოროტებას ხელს ვერ დააფარებს — ის მკაცრი და პირუთენე-

ლია, როგორც მსაჯული, რომელსაც ისტორიამ ცოცხალი მადლის სასწორი ჩააბარა.

ის მართალია მუდამ, მართალი ყველგან, ყველას თავისას მოუზღავს. ის მართალია მაშინაც, როცა განიკითხავს წარსულის აჩრდილებს, და მაშინაც, როცა მოგვითხრობს თავის თანამედროვეებზე, მეოცე საუკუნის ადამიანებზე.

ორიოდე შტრისი მწერლის ბიოგრაფიიდან: როგორც იმ დროის ყველა მოწინავე ქართველი ინტელიგენტი, ნიკო ლორთქიფანიძე აღიზარდა დიდ ქართულ კულტურაზე. ქუთაისისა და ვლადიკავკასის (ახლანდელი ორჯონიძე) გიმნაზიების შემდეგ ნიკო ლორთქიფანიძე ხარკოვის უნივერსიტეტში შედის. აქ ის უფრო ახლოს ეზიარება რუსეთის უნივერსიტეტების სტუდენტების მოწინავე იდეებს და მათთან ერთად იბრძვის თვითმპყრობელური რეჟიმის დასამხოზად. როცა ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტები ქუჩებში წითელი დროშებით გამოვიდნენ, რათა პროტესტი განეცხადებინათ მეფის რეჟიმის წინააღმდეგ — ნიკო ლორთქიფანიძე ამ დემონსტრანტების პირველ რიგში იყო. სწორედ ამიტომ 1900 წელს ის უნივერსიტეტიდან გარიცხეს. მალე მან ისევ შეძლო იმავე უნივერსიტეტში დაბრუნებულიყო, მაგრამ ორი წლის შემდეგ კვლავ მოწინააღმდეგე სტუდენტთა დემონსტრაციაში და ის ხარკოვის უნივერსიტეტიდან კვლავ გარიცხეს. იქ დაბრუნებაზე ფიქრიც კი ახლა ამაო იყო.

ხარკოვის უნივერსიტეტიდან გარიცხვის შემდეგ, 1902 წელს ნიკო ლორთქიფანიძე იძულებული გახდა საზღვარგარეთ წასულიყო თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში მწერალი აღნიშნავს — ჩემი პირველი ნაწარმოები 1902 წელს გამოქვეყნდაო. ეს ნაწარმოები არა ჩანს, არ ვიცით რომელ ჟურნალსა თუ გაზეთში დაიბეჭდა.

პეტერბურგი, მოსკოვი, ოდესა, ან კიდეც დასავლეთ ევროპის ქალაქები — პარიზი, ბერლინი, ვენა იყო ის კულტურული ცენტრები, საითაც მიიწვედა მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართველი ახალგაზრდობა, რათა განათლების უმძლავრეს წყაროებს დასწავებოდა. საზღვარგარეთ ნიკო ლორთქიფანიძემ ხუთ წელზე მეტ ხანს დაჰყო (1902-1907 წ.); იგი ჩაირიცხა ლეოპოლის (ავსტრია) სამთო აკადემიაში. ასე დაიწყო დაუცხრომელი შრომისა და სწავლის წლები, როცა მომავალი მწერალი ეცნობოდა ევროპის ლიტერატურის უახლოეს მიმდინარეობებს, კერძოდ, იმპრესიონიზმს, რომელიც სწორედ იმ ხანებში ტონს აძლევდა არა მარტო დასავლეთის ლიტერატურას; როგორ დაამწყო იმპრესიონიზმი სიტყვის შესა-

ნიშნავმა ოსტატმა ძველ ქართველ ფესვებზე — ამაზე ქვემოთ სპეციალურად შევიჩრდებოთ. ამჯერად კი გვინდა განსაკუთრებით აღვნიშნოთ, რომ ნიკო ლორთქიფანიძე, თავიდანვე, პირველი ნაბიჯებიდანვე მტკიცედ იდგა იმ მთავარ გზაზე, იმ მაგისტრალზე, რომელიც გაკაფეს ქართული სიტყვის დიდმა ოსტატებმა, რომელთაც მწერლობა ერისა და ქვეყნის სამსახურში ჩააყენეს და ხალხის საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლა მის უწმიდეს და უმაღლეს მიზნად მიიჩნიეს.

ეს ასე იყო იმ ეპოქაშიც, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე, როცა ნიკო ლორთქიფანიძე გამოდიოდა სამწერლო ასპარეზზე.

ეს იყო ფრიად მღვღვარე ეპოქა; რუსეთის პირველმა რევოლუციამ მძაფრად შეარყია თვითმპყრობელური წყობილების საფუძველთა საფუძველები, შეარყია ის, რომ თუმცა რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ ძველ რეჟიმს აღარ ენერა ხანგრძლივი სიცოცხლე, მისი დღეები თუ არა, წლები დათვლილი იყო. ამას ყველა გრძნობდა, და, გრძნობდა პირველ რიგში მწერლობა, რომელთაც უკვე ესმოდათ შორეული გუგუნი მოახლოებული ქარიშხლის; რეაქციის მძაფრი შემოტევის მიუხედავად, და მის საპირისპიროდ, ძალას იკრებდა ხალხიც და ყოველივე ეს არა მხოლოდ გამოხატულებას პოულობდა მწერლობაში, არამედ თავის მხრივ თვითონ მწერალი სთესავდა ბრძოლისა და ამბოხების თესვს, მოუნოდებდა ერებსა და ხალხებს თავისუფლებიასკენ, სოციალური და ნაციონალური ჩივილის მოსაპოვებლად. ყველა გრძნობდა, თუ რა რთული და მღვღვარე დრო დაგებოდა, გრძნობდა ამას რუსი მწერალიც და ქართველიც, რომელსაც კარგად ახსოვდა ანდერძი ილია ჭავჭავაძისა — მწვავე სოციალური და ეროვნული ტკივილების მორჩენა „მეცხრამეტე საუკუნეში უანდერძა ამ მომავალ საუკუნესო“. დიდი გატაცებით დაინყო მეოცეც ეს საქმე და, როგორც ვთქვით, ლიტერატურაც აყვავდა მას; ეს იყო საერთო იდეური ფუძე, საერთო ნიდაგი მწერალთა იმ ახალი თაობისათვის, რომელიც ასპარეზზე პირველი რევოლუციის შემდეგ, საუკუნის 1910-იანი წლებისათვის გამოვიდა; ამ წლებში იწყებენ თავიანთ მოღვაწეობას ის მწერლები, რომელთაც შემდგომში იტირათეს ურთულესი საქმე — სათავე დაუდეს ახალ ეტაპს ლიტერატურაში და ახალი სიტყვა თქვეს, ხოლო რევოლუციის შემდეგ მათ დააფუძნეს ქართული საბჭოთა ლიტერატურა. ეს პირველი ფუძემდებლები სწორედ ათიან წლებში იწყებენ მწერლობას, და, მათ შორის, ერთი უპირველესი ადგილი ეჭირა ნიკო ლორთქიფანიძეს. შესანიშნავი მწერალი და მოქალაქე თავი-

დანვე გააყვავა ილია ჭავჭავაძის გზას და ერთი წელური საკუთარ წელულად შიჩნა; თავისთავად ეს იყო თემაც, იდეაც მწერლობისა, ის აღვიძებდა ხალხს, აერთიანებდა ყველას და რაზმავდა საბრძოლველად, იმ გაზაფხულის დასამკვიდრებლად, რომელზედაც ოცნებობდნენ მთელი თაობები.

\*\*\*

ნიკო ლორთქიფანიძის სახელი თავიდანვე, მწერლის პირველსავე ნაბიჯებიდან მტკიცედ დაუკავშირდა ქართული იმპრესიონიზმის წარმოშობისა და განვითარების საკითხს, და მართლაც, ის იყო ყველაზე თვალსაჩინო დამცველი ამ სტილისა, ეს სიახლე სწორედ მან გადმონერგა დასავლეთის ლიტერატურიდან ქართულ ნიადაგზე.

თუ ორივე სიტყვა ამ სტილის გენეზისზე: ავსტრიაში, ლეობენის ბერგ-აკადემიაში ყოფნის წლებში, ნიკოსთან ერთად სწავლობდა შემდეგში გამოჩენილი ქართველი გეოლოგი, სამთო საქმის ღრმად განსწავლული სპეციალისტი, აკადემიკოსი გრ. ნულუკიძე, რომელიც თავის ნიკონებაში აღნიშნავს, რომ უცხოეთში მოგონებაში საქმეზე შეტეხად, ლიტერატურული საქმეები აინტერესებდაო. ეს იყო წლები, როცა ავსტრიულ ლიტერატურაში იმპრესიონიზმმა თავის განვითარების მწვერვალს მიაღწია; როგორც ცნობილია, მას სათავეში ედგა პროზაიკოსი და კრიტიკოსი პერმან ბარი; ამავე გუგუნს ეკუთვნოდნენ არტურ შნიდლერი, პუტო ფონ პოფმანსტალი, რიპარდ შაუკალი, პეტერ ალტენბერგი... მათ შორის უაღრესად პოპულარული სწორედ ეს პეტერ ალტენბერგი იყო, რომელსაც ვენის დიოცენს უწოდებდნენ. მის შემოქმედებას უდიდესი გადაიმდები ძალა უქონდა. მწერალს თავის შვილთან — მერამ ლორთქიფანიძესთან საუბარში არაერთხელ გაუხსენებია ვენის შთაბეჭდილებანი, უთქვამს, რომ პირადად იცნობდა პეტერ ალტენბერგს და ხშირად მოუსმენია მისი დიდად საინტერესო საუბრები ლიტერატურაზე — მისი აუდიტორია ვენის ლიტერატურული კაფე — სახელგანთქმული გრიენშტადლი იყო, სადაც თავს იყრიდნენ მხატვრები, მუსიკოსები, ლიტერატორები. ნ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში დაცულია ალტენბერგის წიგნები, კერძოდ, „ცხოვრების ზღაპრები“, „რა მოაქვს ზვალინდელ დღეს“ და „როგორ ვხედავ ქვეყანას“.

აქ არ შეიძლება, ერთგვარი გადახვევის სახით, მცირე განმარტება არ გაკავთოთ იმპრესიონიზმის რაობაზე — რას წარმოადგენდა ეს სკოლა თუ მიმართულება; ამას აქვს პრინციპული მნიშვნელობა თვით ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედების გაგებისათვის.

ადრე სთვლიდნენ, რომ იმპრესიონიზმი — რალეც სახესვალაბა სუბიექტური იდეალიზმისა და ამიტომ იგი ანათემას უნდა მიეცეთო. ეს შეეღობა იყო; ჯერ ისევე საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გარიჟრაჟზე ა. ვ. ლუნაჩარსკიმ აღნიშნა, რომ ამოცანა, რომელიც ლიტერატურის წინაშე წამოსტერეს იმპრესიონისტებმა, „იყო წმინდა მხატვრული ოსტატობის ამოცანა; ეს იყო საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გადმოეცათ მოვლენათა ეს სამყარო, რათა მისი მრავალფეროვანი სიცოცხლე უჩვენებინათ მხატვრის მახვილი თვალისა და განაფული ხელის მეოხებით“. ამიტომო, — ამბობდა ლუნაჩარსკი, — „იმპრესიონისტი ცდილობს მოგვეცეს ყველაზე არსებითი, დაიჭიროს ყველაზე ორიგინალური, და ამგვარად შეაჯამოს ყველაზე მთავრად ფერადი ლაქები“.

თავის დროზე ეს მოსაზრება არ გაიზარეს, და დიდი ხნის განმავლობაში იმპრესიონიზმს მიიჩნევდნენ ისეთ ხელოვნებად, რომელიც მთლიანად დადილია იდეური შინაარსისაგან; მართალია, საქმე ხშირად ფერწერას ეხებოდა, მაგრამ რაც ამ დარგზე ითქმოდა, უნებურად ვრცელდებოდა ლიტერატურაზეც. და აი, ახლა დრომ თავისი გაიტანა, საბოლოოდ ნათელი გახდა იმპრესიონისტული სტილის რაობა. ხელოვნების ისტორიის თვალსაჩინო სპეციალისტი, მ. ვ. ალბატოვი თავის ახალ ნაშრომში „იმპრესიონიზმის პოეტიკა“, აღნიშნავს:

„იმპრესიონიზმის არსი რომ ამოვხსნათ, ცალკეული მკვლევარები მიმართავდნენ წინასწარ ნაგულისხმევ ფილოსოფიურ წანამძღვრებს და ამით შორს სცილდებოდნენ იმპრესიონიზმს, როგორც მხატვრულ მოვლენას... იმპრესიონიზმი — არც ფილოსოფიაა და არც ტექნიკა. იმპრესიონიზმი — ესაა ხელოვნება და მისი საფუძვლია ახალი მხატვრული ხედვა ქვეყნისა, ახალი პოეტიკა“.

რა თავისებურება ახასიათებს ამ „ახალ მხატვრულ ხედვას?“

დავიმონწოთ ისევე ალბატოვი:  
 „საყოველთაოდ მიღებული აზრია, რომ იმპრესიონისტებმა ისწავლეს გადმოეცათ ნუთის შთაბეჭდილება. ზოგიერთები უსაყვედურებდნენ მათ, რომ ვერ შეძლეს მისი გაგრძელება. ნამდვილად კი იმპრესიონისტების ნუთი — ეს ქუშიპარიტად ჯადოსანური ნუთია და ადამიანს მასში უჩვენება ძალიან ბევრი რამ... იმპრესიონისტებმა გამოაცხადეს თავიანთი საგნად ცხოვრება — დემისტიფიკებული, შეუფერავი და ამიტომ განსაკუთრებით ლამაზი. პისარო ამტკიცებდა, რომ რუანის ხედი, მისი სადგური, ფაბრიკის საკვამლე მიღებით და მუშათა ბარაკებით თავის სილამაზით

ვენეციას არ ჩამორჩებაო. ასეთი უსტეტიკური განსაზღვრული აზრით, ავითარებდა დემოკრატიულ ტრადიციას ხელოვნებაში“.

იმპრესიონ — ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს შთაბეჭდილებას; როგორ და რა სახით გადატყდება ეს შთაბეჭდილება ლიტერატურულ ნაწარმოებებში, ამაზე სრულად გარკვეული აზრი არსებობს; შორს რომ არ წავიდეთ — ამ სტილის რაობას შესანიშნავად განმარტავს თვითონ ნიკო ლორთქიფანიძე: მისი მოთხრობა „უიანილოდ“ ასე იწყება:

„— სანამ ამავეს დავიწყებდ, ერთი ჩემი მოსაზრება უნდა გაგიზიარო სიტყვა-კაზმული მწერლობის შესახებ.

განა მწერალს, როგორც ყოველს ადამიანს, ცოტა პყავს ნაცნობი, რომელიც მზის დაბნელებასავეთ ერთხელ უნახავს, რომელს უნდაც ვაუგონია ორივე სიტყვა და უბრალო შეხვედრად მებსიერებიდან ვერ ამოუფხერია? განა უფლება არ აქვს ბელეტრისტის შემთხვევითი შემხვედრნი, ყურმოკრული ხმები, ნუთიერი შთაბეჭდილებანი გადასცეს თავის მეგობარს — მკითხველს?

მწერლები კი, გვირის ცხოვრებას თუ მიჰყვეს ხელი, დაინწყენ იმ წამიდან, როცა პირველად ააბილა თვალი მოქმედმა პირმა, და ჩაყვებიან უკანასკნელ სადგომში — საფლავეში. კიდევ კარგი, როცა ასე მოიქცევა, ვინმე გოლტე, ან ზაიონი: თუ სინამდვილე არა, ფანტაზია მიინც გიტაცებს, სილამაზე გხიბლავს; მაგრამ წარმოიდგინე, შუათანა მწერალი რომ დაიწყებს ხელის ფათურს უცხო გვირის ცხოვრებაში, სულში, გულში... გაჭიანურებულ სიტყვათა ფრქვევა ფაშვით შეგძულებს გამიჩაღ და მის ბიოგრაფიასაც.

მე სხვადასხვა სურათს მოგანვადენ ცხოვრებიდან. მათი ერთმანეთთან შეკავშირება შენთვის მომინდია... მე მაინც მგონია, რომ მკითხველს მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ფანტაზიისათვის, შემოქმედებისათვის... მკითხველს მოსწყინდა ყველაფერი უკვე შემუშავებული, თავ-თავის ადგილზე პპოვოს“.

ნიკო ლორთქიფანიძე მტადად სიტყვაძუნწი ოსტატია. როგორ მწარედ დასცინის იგი იმ მწერლებს, ენად რომ გაიკრიფებიან, ჯერ შესავალში რომ აგვიხსნიან თავის სათქმელს, მერე შუა ნაწილში გაიმეორებენ, მერე ბოლოს კვლავ თავის ნაოქვამს დაუბრუნდებიან. იმპრესიონისტისათვის კი სიტყვა, სახე, შუქი უცვებ ეცემა საგანს და გააბრწყინებს. მას, საბოლოოდ, არ სჭირდება განმარტება, ბრწყინავს, როგორც ძვირფასი თვალი და მასზე მითითება არ არის საჭირო — შეხედეთ როგორ ანათებს: თითონ მიგახედეებს თავისკენ და თითონ მიიქცევს მისი სინათლე მნახველისა და მკითხველის ყურადღებას.

ყველა დიდი ოსტატის შემოქმედების საიდუმლო სწორედ ეს არის — მისი ხელიდან გამოსულ ძვირფას თვალს არც ქება სჭირდება, არც დიდი ახსნა-განმარტება, ის თვითონ ცხოვრებაა, ნამოწი თავის ყველაზე საუკეთესო გამოვლენაში: ის ეხება ადამიანის სულის ყველაზე მტრძნობიარე სიშვებს და წარმართავს მას ქვეყნად ყველაზე მშვენიერის სადიდებლად.

დაინახო წუთი ისე, რომ მან გიჩვენოს მთელი საუკუნე — აი რა არის იმპრესიონიზმი. ასეთია ის ფერწერაშიც და მხატვრულ პროზაშიც; ეს იყო რეალიზმის ახალი საფეხური, როცა მწერალი თუ ხელოვანი ცდილობდა უფრო ცოცხლად, უფრო შთაგონებით გადმოეტყა რეალური სამყარო.

ნ. ლორთქიფანიძის აქვს მთელი ციკლები ნოველებისა და მინიატურებისა, სადაც იმპრესიონისტის თვალთ არის დანახული სინამდვილე და სადაც წუთში დანახულია მარადისობა.

იმპრესიონისტების თავისებურებად ის შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მათ პეონდათ, ასეთივე, აქვთ მთელი თემები. ერთი ასეთი თემა იყო მხატვრისა და მოქანდაკის შრომა და შთაგონება. ნ. ლორთქიფანიძის მთავარი მხატვრული მანერა — პლასტიკური ხედვაა; მისი შემეცნება ამ ქვეყნისა თავის უამრავ შთაბეჭდილებებს იმ მისწერი მხედველობის წყალობით იღებს, რომელსაც არ გამოჩნება არაფერი მნიშვნელოვანი არც არისტოკრატის სასახლეში და არც გლეხის ქოხში; ამიტომ არის, რომ ხშირად მისი მინიატურები „დანგრეული ბუდეებიდან“ და „იმერიდან“ ფერწერული პეიზაჟების სინათლესა და სიზუსტეს ინარჩუნებენ. მთელი ნიგნი „იმერი“ — ეს ეპიკები, ეტიკეტები და პეიზაჟები მთლიანობაში რომ ავიღოთ, ერთ დიდ მხატვრულ ტილოს კვავს; ეს ნამდვილი ფერწერაა, ტყუილად კი არა აქვს მას ეპიგრამად: „ზოგან ყვითელ, ზოგან წითელ, ზოგან ალისფერიაო“. და შემთხვევითი არ არის, რომ ლორთქიფანიძის მინიატურებს ასეთი სახელები ჰქვია: „სურათი სოფლად“, „სენტიმენტალური ნახატი“, „ბიუსტი“, „სევდიანი ნახატები“, ხოლო „უტყვთა ცრმელებს“ ასეთი ეპიგრამი აქვს: „მკითხველს ვთხოვ მოიგონოს ბიოკლინის სურათი „მიცვალებულთა კუნძული“. კვლავ და კვლავ უბრუნდება მწერალი ამ თემას და მის ნიგნებში ჩანს პირდაპირ ძველი ელინური გატაცება სილამაზის პარმონით. აი მისი ერთი ნოველის ფაბულა: გურჯისტანის ვალიე ხონიქარს ძღვნად თავისი ლეიძლი შვილი გაუზახანა — ეს იყო ულამაზესი ქალი. იქ ჩასული ქალის სილამაზემ თვალი მოსჭრა ყველას,

მაგრამ განსაკუთრებით პირდაპირ შეიძლება ხელოვნების ოსტატები. მხატვარი ეხვეწება ხონიქარს:

„— დამსაჯე უღირსი მონა, ჩამაგდე საუკუნოდ საპატიმროში, ოღონდ მთელი სიცოცხლე ნება მომეცი მაგის სურათი ვხატოო.

— შეფევე, — ნინ ნამოდგა მოქანდაკე, — შემიწდე კადნიერება და დაამტკიცე ყველა ქანდაკება, როგორც ჩემი გამოქანდაკებული, ისე სხვებისა, სადაც დედოფლის მშვენიერება, წარმოდგენილი მიმოხვრა, სხეულთა ხაზებისა თვალს ხიბლავს. იქ ყოველი ჩვენი ნამოქმედარი შეგვანუხებს. მომეცი მარმარილო, ჩემს დღეს შევწირავ და სავარძელს გამოვჭერი“.

ერთი დაუკვირდით — იმაზე ოცნებასაც ვეღარ ბედავს მოქანდაკე — დედოფლის ლეთაბრიე სახეს დავხატაო; ეს შეუძლებელია, ისე მიუნდომოელია და ერთი გამოუთქმელი, უფუნთი თუ საჭრისით დაუმორჩილებელია ეს სილამაზე.

ახლა ჯერი ხუროთმოძღვარზეა:

„— მე ეს მინდოდა მეტქვა, — ჩამოართვა სიტყვა ხუროთმოძღვარმა, — მომეცი ნება ავაგო სასახლე, რომელიც უფრო ეკადრებოდეს დედოფალს... ყოველ მარმარილოს ქვეს უნდა ჩაუსვთა ბრილიანტის ბუღბუღი, ყოველ სვეტს უნდა ამშვენებდეს ოქროს შველი, იატაკი ბრინჯაოსი იქნება და ჭერი ზურმუხტისა“.

ესაა სილამაზისადმი ტემპარატად ელინური თაყვანისცემა, სადაც მთელი სიცოცხლე ხელოვნებაშია გადასული. რაოდენი პლასტიკურობა აქ — ყველაფერს რაღაც მომხიბლავი, დამაბრმავებელი შუქი ადგას.

ერყელი მოთხრობა „ცხოვრების მეფე“ ისევ ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობის ძირითად პრობლემას ეხება. იშვიათად დასახელებთ ჩვენი ლიტერატურის სხვა მთავრ ნაწარმოებს, სადაც ასე მძაფრად, ასე ნათლად გადმოცემული იყოს მარადიული სილამაზის ტრფილი. ცხოვრების მეფე — ეს ოქრომჭედელია, არა უბრალო ხელოსანი, არამედ გენიალური შემოქმედი. ზღაპრის მთავარი აზრი ის არის, რომ „ხელოვნებას მიუწოდებელი სურვილი ასულდგმულებს, ის, რაც ხელოვნებელი გვეჩვენება“. თავისმა იშვიათმა ოსტატობამ ოქრომჭედელი მეფის ტახტზე აიყვანა, ქალი, რომელზეც მუდამ ოცნებობდა, მის ცოლად აქცია, მიადნია ყველაფერს, ყველა სანატრელსა და სანაფელს, მაგრამ ეს გამარჯვება მისთვის საბედისწერო გახდა. მისი ხელოვნება დაქინდა, ფერი და ემზი დაკარგა და ისევ უბრალო ხელობად გადაიქცა. „ნუ თუ ნატყორენი ისარი მხოლოდ ღამაზე, — ნაღვლიანად ფიქრობს მე-



ფეთ-მეფე ამ ამბის გამო — და არა მიზანში მოხვედრილი, მხოლოდ ტალღათა შორის მებრძოდ ხომალდს აქვს მიმზიდველობა, ნათესაყოფელში კი იგი უღამაზო სახლია".

ნიკო ლორთქიფანიძის ტიპატის მრავალფეროვნება სწორედ ის არის, რომ იგი არა მარტო კარგად და შორს ხედავს, არამედ, შესანიშნავად ესმის შორიდან, გარდასული საუკუნეიდან; მას ესმის „ძველი კილოს ხმები“, იქამდე, ისე ძლიერად, რომ ხანდახან მკითხველსაც ჩაესმის მისი წიგნის ფურცლებიდან სამკლოვიარო ზარების შორეული ბუბუნი.

ნიკო ლორთქიფანიძის წიგნის — „ნანგრევთა სურნელების“ ყდაზე არის სურათი ქართველი ქალისა ლეჩქითა და ჩიხტიკოპით; იქვე შორს მოჩანს მწვანე მთები და ციხეკოშეები, მთის ფერდზე — სოფელია, ისევ ძველებური კოშკით — და რაც მთავარია ამ სურათში — ეს არის ნაღვლიანი განწყობილება, უნებურად რომ ეფინება ადამიანის სულს, რაღაც სინანული, შეგრძნება იმისა, რომ რაღაც წმინდა, დედის ლეჩქივით წმინდა ნასულა სამუდამოდ, ნანგრევად ქცეულა — იქვე სათაური ხომ გვეუბნება — ნანგრევთა სურნელება...

ძველი სახლის აივნის ქერქვეშ, კედელზე მერცხლებს ბუდეები ჰქონდათ, და აი, ერთ დღეს ეს ბუდეები ამუხრციეს და ჩამოუყარეს. ამ ნაღვლიანი ამბით იწყება „დანგრეული ბუდეები“. გავერანებულთა ეზო, განყვეტილია საძაღლეთი. „ალბუმში“ ამბის მთხრობელი ხედავს მოხუც ქალბატონს, წუთით იგონებს მისი ოჯახის წარსულს; თურმე მისი მოყვანის დროს ჯერ უნახავი ზეიმი ყოფილა, მოულოდნელად მოსულა თვით დრაგუნთა მთელი ესკადრონიც კი, მზითველი ორმოცდარვა ურმით მოუტანიათ, პირველ ურემზე — მარტო ელესიის სამკაული ენყო. ახლა კი...

„ბიცოლა შემოვოდა... ხელზე ვაკოცე დარცხენილა.

რაღაც დედოფლური, დიდებული იყო ამ ხანგადასულ ქალბატონში; როცა ამ მოხუც ქალს შესვეროდით, ვერ ამჩნევდით ვერც საცოდავ მორთულობას, ვერც მის ძლიერ დაზიანებულ ტანსაცმულს...

— როდის ენეო ჩვენს მიდამოს?  
— ნუხელ...

— ბიცოლა მართას მაინც რა დაემართა ასე უცერად?

— ზაფრამ, ზაფრამ იმსხვერპლა. ვიღაც უღეთოს ეთქვა, თქვენი ეზო-მიდამო გაიყიდაო!

სადილად არ გამოიშვეს. სუფრა თვით ე-მ გაანყო.

თვითონ ასუფთავებდა, ალაგებდა.

„სად იყავი აქამდე, დალოცვილო“ — ფიქრობდი გულში, — არც მის ტანს, არც მის ხელებს არ შეეფერებოდა ქათმის აქნა და პურის ქრა, მაგრამ საცოდავი და საბრალო კი არ იყო ეს დიდი უბედურების გულმაგრად გადამტანი ქალი, არამედ თანაგრძნობის, პატივისცემის და აღტაცების.

არიან ადამიანები, რომელთაც ჭუჭყიან ხელს ნარღვნის დროსაც კი ვერ გაუნდვენ ახირებულად“.

ასეთი ნაღვლიანი მოწინების გრძნობით ხედება მწერალი ამ გარდასული დროის ადამიანებს.

ნიკო ლორთქიფანიძე საოცარი ძალით ხატავს ტრაგიკულს — მე არ შეგულებო ილია ჭავჭავაძის „ოთხრანთ ქვერვის“ გლოვის შემდეგ ისეთი საოცრად ღრმად ჩამწვდომი გამოტირება ამ ქვეყნიდან ნასულებისა, როგორც ეს შესძლო ნიკო ლორთქიფანიძემ. მწერალმა დახატა ნუთები, როცა დგახარ საყვარელი მიცვალებულის წინ და ამცუბუნებულს, გაოგნებულს, ამ მარადი ამოცანის ასახსნელი ვერაფერი მოგიგონია; და შენუხებული ფიქრობ: „მაგრამ მიინც სიკვდილი რას ნიშნავს? მიწა იყო და მიწად იქცაო?! ადამიანი მიწა თავის დღეშიც არ ყოფილა. ადამიანი აზრია, გრძნობა, სიყვარული და სიძულვილი, აღტაცება და სულმდაბლობა, სინდისი და უნამუსოობა...“

მოკვდა ადამიანი, მაგრამ რა დაემართა? ადამიანი მოკვდა, დარჩა ტალახი, წყალი, ძვალი... ლეში... სადღაა თაყვანისცემა ლეონარდო და ვინჩისადმი და ზიზლი ტერსიტისადმი? სადღაა სიყვარული ცის ლაგვარდისადმი და სიძულვილი ამშორებული ტბისადმი?

თქვენ ცხედრებად გადიქეცით, ერთი ნაწილი ჩემი გულისა თან გაგყავთ. დარჩენილის გასამართლებლად ვწერ ამ სტრიქონებს. უკანასკნელი, უდიდესი ვალი ვერ მოვიხადე თქვენ წინაშე: ერთი მუჭა მიწა ვერ მოგაყარეთ. ეხლა გიგზავნით ამ თაიგულს, ჩემი ცრემლებით დახატულს: გამიმართლეთ მოვალეობა! პირნათლად თუ დაერჩი, მომიგონეთ, მომიკითხეთ, საყვარელო მიცვალებულნი!

სტრიქონებო, საღამოს გამსა ხართ თქვენ ამონაკენესი, კავშირად და იყავით ჩემსა და ფერფლთა შორის.

ტიპილნო აჩრდილნო, მე ჩემებურად გადაეხიდი პანაშვიდს: ტრაპეზად ვიხმარ პატარა ქალაქს, ქვესიად — მკითხველთა კრებულს, ლოცვებისა ნილ ვიგალობე ქვეყნის ქირ-ვარამს“.

1908-1914 წლებშია დაწერილი ნოველების ციკლი „პანაშვიდის“ სახელწოდებით; მასში

ყურადღებას იქცევს „მოირა“, რომელშიც მწერალი ბედისწერის ამოხსნასა ცდილობს, მისი პერსონაჟი აქ სასოწარკვეთილებას ეძლევა. „ბედისწერა ცრუმორწმუნეობა არ არის, — ამბობს ნოველის გმირი, — ეს რწმენაა წინათ განგებისა. თვით უსულო საგნები ემორჩილებიან რაღაც განუზომელს, შეუსწავლელს, გაუგებარ ძალას, ის ღრმად არის ჩაჭედვილი ყოველ რელიგიაში და ეხლა თვით მცნიერებაში იპოვებს გადასვლას... ზღაპარია მიზეზთა და შედეგთა შორის რაიმე კავშირის პოვნის იმედი“. სიღამაზე და მომხიბვლელობა სიყვარულისა აქ ცამდეა აყვანილი, მაგრამ განა სიყვარული გვიხსნის ბედის საშინელ შეტევისაგან? ადამიანი განწირულია და ცხოვრება აქცნობს ყველაფერს, რაც კარ-კარს, სუფთაა და ღამაზია მის სულში. ასეთია გრისბაე ბედისწერა. მწერალმა დაუჯერა ირანეთში იყავს ეს ბედით განწირულება, ცოცხლად მონანიება და ქალ-ვაჟთა სიყვარული ისე, რომ აქ განმორების ცრემლებიც და შეხვედრის ღრუანტილიც ფაქალური ნისლითაა მოცული — აი უყვარს ქალს ვაჟი, მაგრამ მოირა, ეს ბურძნულ ენაზე თარგმნილი სპარსელების იღბალი თვის გემოზე აწყობს ცხოვრებას და კაცმა აღარ იცის ვისი ბრალია, რომ არ უყვარს ის, ვინც ჭკვიანია, რომ მიაშიტობა ცინიზმად ეჩვენებათ, აზროვნების სინამდვილე — გარყენილებად, ყოველ მექრთამეს შეუძლია თავი იმართლოს — აი, ბოკლიც და ბეკონიც მექრთამეები იყვნენო, ყოველი გაიძვერა, რომელსაც შანტაჟისათვის ციხეში ჩასვამენ, გაიძახის — საფონაროლა ციხეში იჯდა და ქრისტეც ჩემსავით ანამესო.

ასეთი იყო განწყობილებები იმ წლებში, რომლებიც მოჰყვნენ პირველი რევოლუციის დამარცხებას და მათ გამოძახილი ჰქონდა ლიტერატურაშიც... არ შეიძლება არ ემოვნათ.

\* \* \*

ვიდრე განვიხილავდეთ ნაწარმოებთა იმ დიდ ციკლს, რომელიც ნიკო ლორთქიფანიძემ ხალხთა სოციალური და ნაციონალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის თემას მიუძღვნა, გვირბა შევეხოთ ერთ საგულისხმო ამბავს, რომლისათვისაც დღემდე არავის მიუტყვევია ყურადღება.

ჯერ ისევ შორეულ წარსულში, შუა საუკუნეებში, ქართველი კაცი, მოაზროვნე თუ მწერალი, უცხოეთს რომ ესტუმრებოდა — ათენს, კონსტანტინეპოლს, სირიის კულტურულ ცენტრებს და ა. შ. მუდამ ცდილობდა ეთქვა თავისი სიტყვა, ჩაბმულიყო შემოქმედებითს საქმიანობაში, გადმოელო ქართულ ენაზე, რასაც ღრმად მიიჩნევდა და გადაატანა ქართულიდან უცხოურზე ის, რაც გაამდიდრებდა

უცხო ერის მწერლობას; ამავდროულად თავი გაავაგრძელებს მხოლოდ მკითხველს მივითხოვს თუ კ. კეკელიძის, ს. ყაუხჩიშვილის, აღ. ბარამიძის, შ. ნუცუბიძის და სხვა მკვლევარებისა და ლიტერატურის ისტორიკოსების ნიგნებზე, სადაც კონკრეტულად აღნუსხულია რა ისეხსა ქარდულმა აზროვნებამ მსოფლიო კულტურიდან და თვითონ რა მოუმატა მას.

დაიბ, ეს ყველაფერი კარგად არის ცნობილი, და მინდა დაუვამატო, რომ ეს ძველი კეთილი ტრადიცია გრძელდებოდა XX საუკუნის დასაწყისშიც. კერძოდ, ნ. ლორთქიფანიძემ სცადა ახალი და ორიგინალური სიტყვა ეთქვა მსოფლიო ლიტერატურის ერთ ფრიად რთულ საკითხზე: თავის ახალგაზრდობის წლებში, ევროპიდან დაბრუნებისთანავე, 1908 წელს, ფრანგ „საქართველოს“ ფურცლებზე მან გამოაქვეყნა წერილი „მოსახლეობის მხოლოდ ერთის მისწრაფების“, რომელშიც სრულიად თავისებურად გადაჭრა „შუა საუკუნეების უკანასკნელი და, ამასთან ერთად, ახალი დროის პირველი პოეტის“ — დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ იდუმალი დედააზრის ამოცნობისა და ამოხსნის საკითხი. ჯერ მოვიყვანოთ ადგილი ნ. ლორთქიფანიძის წერილიდან, სადაც მოცემულია ბეატრიქსის სახის სრულიად ახლებური, მანამდე უცნობი გახსნა; აქედანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბეატრიქსე ნიკო ლორთქიფანიძეს აინტერესებს არა თავისთავად, არა განყენებულად, არამედ ამ მხატვრულ სახეს მიმართავს აკაკი წერეთლის პოეზიის დედააზრის ამოსაცნობად და, ამავე დროს, მთელი კონცეფცია წერილისა ნათელ შუქსა ჰფენს თვითონ ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებასაც.

ნათუ შესაძლებელი იყო ეს — ბეატრიქსის სახის ახლებური გახსნა — ამან შეიძლება მკითხველის ერთგვარი შეცუბუნება გამოიწვიოს, მით უმეტეს, რომ როგორც გამოჩენილი რუსი ფილოლოგი ა. ნ. ვესელოვსკი, ჯერ სხეე საუკუნეზე მეტი ხნის წინ აღნიშნავდა: „კაცი იფიქრებს, დანტეზე იმდენია დაწერილი, სულ სხვადასხვა ასპექტადან, მთელი ბიბლიოთეკა შეიძლება შეადგინოთ მარტო მისი გამოცემებით და მათი კომენტარებით, შემდეგ — აიღეთ გამოცემები უკომენტარებოდ; ძნელია იფიქრო, რომ რამე გამორჩათ და რაღაც ვერ შეამჩნიეს ამ ნიგნში, რომელსაც დასცქეროდა ამდენი თვალი, ძნელია იფიქრო თითქოს შესაძლებელი იყოს აქ ახალი სიტყვის თქმა“. მაგრამ, — განმარტავს ვესელოვსკი, „ხალხთა ისტორიაში არის ეპოქები, რომლებზეც რამდენიც გინდა იღაპარაკო, სათქმელს ვერ გამოიღვე, ვერ იტყვი — ახლა კი საქმარისიაო; ასეთ ეპოქათა

რცეებს ქუთუნის დიდი ადამიანებისა და დიდი ქმნილებების ეპოქები".

და მართლაც, მსოფლიო რენესანსი, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში, აღმოსავლეთში „ვეფხისტყაოსნით“ დაიწყო და მეთოთხმეტეში, დასავლეთში — „ღვთაებრივი კომედით“ — მუდამ მიიზიდავს ადამიანის ფიქრსა და აზრს, და ყოველი ახალი თაობა ამ წიგნებს — ახალი თვლით, ახლებურად ნაიკითხავს იმ მიზნით, რომ გადასტრას თავისი დროის ამოცანები, ეპოქა რომ დააყენებს მისი ერისა და, საერთოდ, კაცობრიობის წინაშე.

ახლა ვნახოთ რატომ დაინტერესდა მაინც და მაინც ბეატრიჩეს სახით ახალგაზრდა ქართველი მწერალი. ნ. ლორთქიფანიძე თავის ზემოხსენებულ წერილს ასე იწყებს:

„ბეატრიჩე ის ღამეა ქალაი, რომელიც ცხრა წლის დანტეს გამოეცხადა. მაგრამ, ბატონებო, თქვენ გგონიათ, რომ ამ ღამეზე ჩვენებსა შესწირა პოეტმა მთელი თავისი ცხოვრება, რომ ამ ქალის სახელისათვის შექმნა დიდებული შრომით „ღვთაებრივი კომედია“? განა ქალის შემოქმედის უფულადა გულში დანტეს ჯოჯოხეთის კუპრი, გამასპეტაკებულს ერმელებს განა ქალისთვის ღერიდა და სასუფეველში მართლა ქალმა შეიყვანა?

არა და არა? ბეატრიჩე მხოლოდ ფსევდონიმი იყო; ბეატრიჩე პირადი სახელია უპირადო სატროსი — მამულისი დაქსაქსული, მტრებისაგან აოხრებული იტალია — ესაა ნამდვილი ბეატრიჩე. ამ უსულო ბეატრიჩეს შესწირა პოეტმა პირადი ბედნიერება; იტალიისათვის ითმენდა ჯოჯოხეთის ტანჯვას; მისთვის აფრქვევდა გამასპეტაკებულ ცრემლებს; მას, იტალიას, მიუჩინა „ღვთაებრივი კომედიაში“ სამყურად სასუფეველი; მხოლოდ თავისი სამშობლოს, იტალიის წინამძღოლობით და მფარველობით გაბედა სასუფეველში შესვლა.

ყველა იტალიის მოღალატე სამარადისოდ შთააგდო დანტემ სატანას ხელში, — განაგრძობს ნიკო ლორთქიფანიძე, — ვოველს უბედურს შეიღს იტალიისას ავედრებს უფალს ცოდვების შესანდობლად, ყოველს დამასახურებულს სამშობლოს წინაშე მიანიჭს პოეტმა სასუფეველი. „ღვთაებრივი კომედიაში“ იტალია ზოგან მოკარნახე ძალაა, ზოგან ბეატრიჩეს სახელით გამოყვანილი მოქმედი პირი — ნაზი, კეთილი, მაღალსულოვანი, სათაფრანო.

პოეტის მთელი ძალა მოუნდა ერთს თხზულებას, ერთის მისწრაფების გამოხატვას.

ბეატრიჩე იყო, ბეატრიჩე უყვარდა პოეტს, — დასკვნის ავტორი, — მაგრამ არა ჩვეუ-

ლებრივის, პირდაპირის მართლაც საყვარელი, არამედ სამშობლო იტალიისგან ნორც-შესხმულ ქმნილებაზე გადატანის სიყვარულით. ასე, მთავარ გვინათებს მზის სხივებით!

ასე პირდაპირ, ასე გადაჭრით მთელ დანტოლოგიაში არავის არ უთქვამს — ბეატრიჩე იტალიაა, მისი სიმბოლო თუ ალფიონიააო, და, მამსადაამე, „ღვთაებრივი კომედის“ დედააზრი — ესაა სამშობლოს სიყვარული, მისული რაღაც უძლიერეს, არაამქვეყნიურ რწმენამდე, გახვეული თვალისმიმჭრულ სინათლეში, დანტეს სამოთხეში რომ დგასო.

არ ვიცი, ეს ქართული ახსნა ბეატრიჩეს საიდუმლოებისა იქნებ ყველაზე ზუსტი, ყველაზე მართალი არ იყოს თეორიებისა და კომენტარების იმ ოკეანეში, საუკუნეებმა რომ დააყენეს, მაგრამ მას ერთი რამეს ვერ წაართმევ — ის ძალზე მიმზიდველი და მოუტურია; აქ, ასე ვთქვათ, ქართული დანტეა, ნიკო ლორთქიფანიძის დანტე, რომელიც, ისე როგორც რუსთაველი, ყველას თავისი ჰყავს, ყველას ვყოფა, ყველას გასწვდება ფანტაზიისა, შთაგონებისა და ოცნებისათვის; ისე კი, ნიკო ლორთქიფანიძის მოსაზრებასთან ყველაზე ახლო მოსაზრება ვიქტორ შუვკოვი, რომელიც დანტეს დაბადების ექვსასი წლისთავეზე წერდა:

„დანტე ალიგიერიში ნამდვილად განსხეულებულია იტალია. როგორც დანტე, იტალიაც ვაგაპურია, ჩაფიქრებული, ამაყი, სულგრძელი, გამზადებული ბრძოლისათვის, შემოღებული მღალაი აზროვნებისა. მაგრამ, ვი რომ, მან იწინია შვიდი წრე ჯოჯოხეთისა, მან განიცადა ტრაგიკული დაქუცმაცება, იგი აპრდილიდა იყო. დღეს იგი იტალია“.

საყოველთაოდ აღიარებული აზრით, ბეატრიჩე ღვთაებრივი სიბრძნის სიმბოლოა, ფილოსოფიური მაღონა. ცალკეულ მკვლევართა აზრით, ბეატრიჩე — თულოგის სიმბოლოა, გზას რომ უჩვენებს დანტეს მიღმა სამყაროში; ჯოჯოხეთსა და განსანმწმედელში მას ვერგლიუსი მიუძღოდა წინ, მაგრამ მას, როგორც ნარმარტს, არ შეეძლო სამოთხეში მგვზურად შეპყროლა ქრისტიან პოეტს. ამიტომ გაიხსენა დანტემ თავისი მიწიერი სატრო, — ასეთია ყველაზე ძველი განმარტება ამ სახისა, ხოლო გამოჩენილი რუსი მკვლევარი ი. ნ. გოდენიშვიც-კუტუხოვი, ავტორი ფუძემდებლურ ნაშრომისა „დანტეს შემოქმედება და მსოფლიო კულტურა“, აღნიშნავს, რომ ბეატრიჩე დანტესათვის დედა, სამშობლო კი არ არის, არამედ დედაა, დედური სანყისა“. და კიდევ ვინ მოსთვლის. — ნერს იგი, — რამდენჯერ მოუხდებდა ბეატრიჩეს დაუძახის დანტეს: „მობრუნდი და

მისმინე!" თან ღიმილით დაუმატოს: „შენ არ გვერის ჩემს თვალში იყოს სამოთხე“ (სამოთხე, XVIII, 19-21). „ღეთაბერივი კომედიის“ ბეატრიჩეში ძლიერია დედური სანყისი და დანტი არაიშვითად გრძნობს თავს ბავშვად, რომელიც ეძებს დასაყრდენსა და დახმარებას დედის ხმაში და გამოხედვში“.

არც ისე იოლი საქმეა გეორგიის კაცები ვინ იყო მართალი და ვინ არა საუკუნეების სიგრძეზე განვილი ამ დავაში, არც ჩვენი წერილის თემაა ეს. ჩვენ მხოლოდ გვინდოდა მიგვეჩინებინა რა ზორიზონტებში, რა სიმაღლეზე აიღებს ასპარეზზე ახლად გამოსული მწერალი პატრიოტულ თემას და საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ იქვე, იმავე წერილში, ნ. ლორთქიფანიძე საოცრად მრავლისმთქმელ პარალელს ატარებს ქრონოლოგიურად ძალზე დაშორებულ, მაგრამ მიზანსწრაფვითა და იდეალებით ერთმ. მეორესთან ძალზე ახლო მდგომ პოეტებს — დანტი ალფიერსა და აკაკი წერეთელს შორის; ნ. ლორთქიფანიძის ბოლო ფრაზა დანტეზე ასე გრძელდება:

„რომოდღათი წლის განმავლობაში აკაკიმ მრავალი თხზულებანი შექმნა: დრამები, პოემები, ლექსები, მოთხრობანი და საფრანგულ-საგანათლო წერილები. და აი საკვირველებად! — ყველგან იგივე სურათი, ყველგან იგივე სურვილი.“

ამკობს ქალს, აგვიწერს იას, აღტაცებაში მოყავს ჩვილ ყრმას, თუ დასტირის მიცვალებულს, ყველგან მოისმის იგივე აკორდი, იგივე ენება სამშობლოს სიყვარულისა.

ვარდის სურნელება, იის სინაზე, ღმის ვაჯაცობა, ქალის მშენება — ყველაფერი მიაქვს პოეტს თავის მამულის შესამკობად, სასამოვნოდ, სახსნელად!

შე არ მგონია, რომ აკაკის ახსოვდეს გიჟური კოცნა სატრფო ქალის, არა, მას არ შორდება მხოლოდ სურვილი დაკოცნის, გულში ჩაიკრას, ცრემლები შეაშროს, ჯაჭვები ახადოს თავის ერთადერთს საყვარელს — საქართველოს. აკაკიმ ათასი სახელი დაარქვა საქართველოს, უსულო და სულიერი — ყველაფერი მისთვის საქართველოა — იგივე ჩვენება, იგივე სურათი“.

დანტი ალფიერის ახასიათებს ამ წერილში მწერალი? თუ აკაკი წერეთელს? ეგებ, თავის თავს, თავის რწმენას, თავის მაღალ მისწრაფებებს! მისთვისაც ხომ სამშობლო ყველაზე უწმინდესი ხატი იყო ამ ქვეყნად. უსაზღვროა ნიკო ლორთქიფანიძის სიყვარული სამშობლოსადმი, მაგრამ ეს სიყვარული, იმავე დროს, ეჭვიანია, მუდამ დაუცხრომელი და მუდამ მაძიებელი იმ ზორტების სათავისა, იმ ქირისა და სატკივარის დასაწყისისა, რამაც

უკლმა შეატრიალა ისტორიის მარჯვნივ ათასი უბედურება მოუტანა საქართველოს. და აი, ბრწყინვალე არისტოკრატიული გვარის შვილს, ნიკო ლორთქიფანიძეს მწერლის აღლომ და ისტორიკოსის ერუდიციამ უმაღლამოვინა სად იყო საქართველოს ტრაგედიის სათავე. მისი სახელი ფეოდალიზმი იყო, ფეოდალური დაქაასულობა იყო; მწერალმა ეს მარტო ნიგნებიდან როდი იცოდა. ლორთქიფანიძის ოჯახში ვის დაავინყდებოდა ნიკოს პაპის, გიორგის სახელი (ზემოთ ერთხელ იგი უკვე მოვიხსენიეთ); თურმე, როგორც კი ეს გიორგი და მეფე სოლომონი მარტო დარჩებოდნენ, მათ შორის იმართებოდა ბაასი იმერეთის მომავალზე, საქართველოზე, მოსალოდნელ საფრთხეზე, და ბოლოს მეფე შეკითხებოდა თავის მამაც ხელქვეითსა და თანამებრძოლს:

- მაინც რას მიჩვენებ, გიორგი?
- აიჩიე ერთი ოთხიოდ ერთგული კარისკაცი, ნაბრძანდი ერეკლესთან და გააერთიანეთ სამეფოები — ის მეფე, შენ აქ მისი მოადგილე!
- მეოცნებე ხარ, გიორგი მეოცნებე.
- არ დამიჯერებთ და რაღას შეკითხებით, მეფო.

რულ პროტესტანტულ-კლავისტორულია. შთავა-  
რი კი ასაა, რომ, რაკ ფოლკნერის მთელი შე-  
მოქმედების ყველაზე მეტად ნიშანდობლივი  
მხარეა მორალურ-ფილოსოფიური ძიებანი, მწე-  
რალი მხატვრული განზოგადების მიზნით პირ-  
ველ ყოვლიან, მორალური პრობლემების არსე-  
ნად — ბიბლიური მითებს, ქრისტიანულ თქმუ-  
ლებებს ეყრდნობა.

ასეთთა ზოგად შტრიხებში ფოლკნერის მიერ  
ანტიკური, ბიბლიური თუ ღოკალური მითების,  
საზოგადოდ, მითების, ადგილობრივი ფოლკ-  
ლორული თუ ლიტერატურული მოტივებისა და  
სახეების გამოყენების მხატვრული თავისებუ-  
რება, რომლის შემოვლით მწერალი აღწევს მა-  
ღალ პოეტურ ეფექტსა და აზრობრივ სიღრმეს,  
აღმნიან არსებობის პოეტურ წარმოსახვასა და  
განზოგადოებებს. ეს ფოლკნერის ე. წ. „მითო-  
ლოგის“ ერთი დონეა.

რაც შეეხება ფოლკნერის „მითოლოგის“  
მეორე დონეს, ე. წ. უჩვეულო, ღამის ფანტა-  
ტიკურ სიუჟეტებს, მძაფრ ხასიათებს, სახეებს,  
მათ მითური იმეღნად შეიძლება ეწოდოს. რა-  
მდენადაც გამოწავლია, შეიზულა, ჩვეულებ-  
ბრივი, ყოველდღიურ ყოფიან, ფაქტობრივ  
არა მგვანან, მაგრამ, რაღაგანაც ისინი დატვი-  
რთულია ღრმა ცხოვრებისეული შინაარსით,  
ამიტომ ფოლკნერის ყოველგვარი გამოგონებუ-  
ლი სახე, ანუ, როგორც თავად მწერალი უწო-  
დებს, „ამოკრთული“ საშუალო, ეს იგივე მხა-  
ტვრული მეთოდაა, ეფექტური მაღალპოეტური  
ხერხია. უღიამ ფოლკნერის გამოწავლი, შე-  
თხუღი ამბები და ხასიათები უშუალოდ მწე-  
რლის მითითური აზროვნებადან კი არ მომდინა-  
რებობს, არამედ მისი შეგნებულად მხატვრული,  
მეტაფორული, პოეტური აზროვნების შედეგაა.  
ეს ეხება თანაბრად მთელ მის შემოქმედებას,  
მის ნებისმიერ რომანსა თუ მოთხრობას. ეს ეხე-

საქართველო  
საქართველოს  
საქართველოს

ბა, როგორც „იონანატოფას“ ცკლის ნაწარ-  
მოებებს, ისე არა ამ ცკლის ნაწარმოებებსაც,  
ეს ენება „იონანატოფას ოლქის“ ცნებასაც. ამ  
მეორე დონეზე ფოლკნერის „მითოლოზის“ თავ-  
დახურების განარკვევად, პირველ ევოლუცია,  
უნდა დადგინდეს „იონანატოფას ოლქი“ მითი-  
თუ არამითი.

„იონანატოფას ოლქის“ დასახელების ფიქ-  
ტურობაში და მისში გაერთიანებული ნაწარმო-  
ებების უმეტესად ლეგენდურმა ხასიათმა ატო-  
რა და გააღვივა ფოლკნეროლოგთა შორის მწე-  
რლას შემოქმედების მითორიტუალური ძირე-  
ბის ძიება, მწერლის მითთამაზსველად, მითამ-  
ქმნელად, მითურ მოაზროვნედ გამოცხადების  
ტენდენციაც. ამ ტენდენციას, საფიქრელია, დიდი  
ბიჭვი მისცა, აგრეთვე, მაღლომ კაულის არა-  
ზუსტმა გამოთქმამ — „ფოლკნერის მითური  
სამეფო“. რომელიც მან იხმარა „იონანატო-  
ფას ოლქის“ მიმართ მის მიერ 1946 წელს გა-  
მოცემულ ფოლკნერის პაროზის ანთოლოგიის  
წინასიტყვაობაში. თუ იმასაც გავხსენებთ, რომ  
ამერიკულ ფოლკნეროლოგიის ქრონოლოგიაში  
კაულებს, როგორც სერიალურ მკვლევარს, ლა-  
შის პირველი საპატიო ადგილი უკავია, რომ მან  
დაუბრუნა დაიწყოებული ფოლკნერი ამერიკას,  
მან აღურა ბეშმარტად დიდი ინტერესი მწე-  
რლას შემოქმედებისადმი მკითხველ საზოგა-  
დობასა და ლიტერატურულ წრეებს, — ზოგ-  
ჯერ მაღლომ კაულის ფოლკნერის პირველ  
ბეშმარტად აღმოჩენადაც კი თვლიან, — მისინ  
გახაგებია, რომ მის დეფინიციას — „ფოლკნე-  
რის მითური სამეფო“ — ამ დროს აღმავალი  
მითორიტუალური დიტერატურული კრიტიკა  
როგორც ენთუზიაზმით ჩაეებოდა. არადა, კაულის  
„წინასიტყვაობის“ პათოსი მთლიანად, თავიდან  
ბილომდე მიმართული იყო ფოლკნერის, რო-  
გორც „შუაგულ სამხრეთის“ მემკვიდრის, მისი  
პირთუნელი რეალიზმის მტკიცებობაზე. კაუ-  
ლი „მითურს“ ზმარობს არა პირდაპირი მნიშ-  
ვნელობით, არამედ მასში მწერლის ლეგენდურ-  
ი თხრობის მანერას, როგორც ზერბს, მეთოდს  
გულახსობებს. სწორედ ამ მეთოდის გამო მიჩი-  
ნებს „ფოლკნერის მითურ სამეფოს“ მაღალ-  
მხატვრულად წარმოსახულ რეალიზტურ საშუა-  
როდ და ბალსაკის „ადამიანურ კომედიას“ თა-  
მათად გვერდში უდევებს. მაგრამ კაულის ეპითე-  
ტი „მითური“ ფოლკნერის შემოქმედებითი  
მეთოდის მართებულად შეფასების, გაგების წი-  
ნააღმდეგ მაინც კარგა ხანს მოქმედებდა. მხო-  
ლოდ დროთა ვითარებაში, დაახლოებით ორი  
ათწლეულ წლის მერტ ეს ეპითეტი თანდათანო-  
ბით ჩამოშორდა „იონანატოფას ოლქს“. ერთ-  
ნაშად პარადოქსადაც შეიძლება მოგვეჩვენოს  
ის გარემოება, რომ ამ მიმართებით განსაზღვ-  
რული დამახორება თვით მითორიტუალური  
სკოლის ზოგ წარმომადგენელს მიუძღვის, რა-

დგანაც „იონანატოფას“ მითად გამოცხადება  
მათ თეორიულ პოზიციებს უკვე აშკარად წი-  
დავს აუღიდა პიტერ ზეიგარტი ფოლკნერის  
რომანების სოციალური გარემოს ანალიზის უძ-  
ღვის სპეციალურ თავს, რომლის სათაურიცაა  
„სოციალური მითის გამოყენება“, რითაც  
გვერდს ვეღარ უვლის, ვერ ჩქმალავს ფოლკნე-  
რის ნაწარმოებთა, მათ შორის „იონანატოფას“  
ცკლის ისტორიულ-სოციალურ საფუძველს და  
მის სხვაობას პირველყოფილი მითისაგან, საე-  
რთოდ, მითის ტრადიციული გაგებისაგან. უოლ-  
ტერ ბრაილესკი კატეგორიულად ერიდება  
„იონანატოფას“ მითი რომ უწოდოს, რადგა-  
ნაც, მისი აზრით, ფოლკნერის ქვეყანა კონკრე-  
ტული ისტორიული ხასიათისა, მითური ცნო-  
ბეებზეა მხოლოდ ცალკეულ ხასიათებში ვლინ-  
დება. ამიტომ, ბრაილესკი ვთავაზობს „იონ-  
ანატოფას“ წოდოს „საგა“. რომელიც უფთ  
გამოხატავს მის განზობივ სპეციფიკას. და  
თუ მაინცდამაინც ვვანდა მის მხარეს „მითის“  
ზმარება, მაშინ ტერმინი „მითი“ ხელახლა უნდა  
გამოსაზღვროს.

„იონანატოფას ოლქის“ ცკლი „სარტორი-  
სით“ ხსენება „სარტორისიდან“ წარმოიშვა  
„იონანატოფას ოლქის“ იდეა, აქედან დაიწყო  
ფოლკნერმა „დრამა“ ანუ „შუაგულ სამხრეთ-  
ზე“ წერა და შემდგომში, მთელი შემოქმედე-  
ბის მანძილზე, მწერლის მიერ შემქმნილი რომა-  
ნებისა და მოთხრობების უმეტესობა „იონანა-  
ტოფას ოლქის“ ქრონიკებს განუყოფელ ნაწი-  
ლად იქცა.

თვით უილიამ ფოლკნერი „იონანატოფას  
ოლქის“ ეანრობრივ განსაზღვრას ერიდება, მა-  
გრამ ხაზგახოთ აღნიშნავს, რომ ეს მისი ფან-  
ტაზიის ნაყოფია, მისი საკუთარი პოეტური სა-  
შუარისა და გამოწავლის არა ორიგინალური.  
ერთ-ერთი ფოლკნეროლოგი — მერი რომს სა-  
მართლიანად შენიშნავს, ჩანს, ტომას პარლის  
მიერ გამოგონებულმა „უესექსმა“, შერეულ ან-  
დერისონის „უაინსტრუქტმა“ და სხვა ლიტერატურ-  
ულმა მისტიფიკაციებმა ფოლკნერს შთააგონა  
„იონანატოფას ოლქის“ შეთხზვაო. მაგრამ  
„იონანატოფა“ განსაკუთრებული ფოლკლო-  
რული მერკოლმობისა. მისი შემქმნელი უო-  
ველმბორი ცდილობს მითობული დაარწმუნოს,  
რომ ეს არის მხოლოდ მის მიერ გამოგონებუ-  
ლი ქვეყანა და იმასაც ცდილობს, როგორმე მი-  
ახვედროს მითობული, რა მიზნით მიმართა ამ-  
გვარ ფიქციას. სწორედ ამიტომაც, 1986 წელს  
ფოლკნერმა თავის რომანს „ახესალმა, ახესა-  
ლოში“ საკუთარი ხელით შედგინილი და დახა-  
ზული ლეგენდური ქვეყნის „იონანატოფას  
ოლქის“ რუკა რომ დაურთო. უედ განმარტე-  
ბისათვის მიაწერა: „ჩეფტერისონი, იონანატოფა,  
მისისიის შტატი — უილიამ ფოლკნერი ერ-  
თადერთი მფლობელი და მესაკუთრე“. ბილო

შედეგად, ინტერვიუებში კიდევ უფრო გააღრმავა „იოჰანაპატოფას ოლქის“ ფიქციის აზრი, მხატვრული დანიშნულება: „პირველად „სპარტორასში“ მთავარი ჩემს პატარა საფოსტო მისამართს... აღნიშნავს ფოლსონი ერთ-ერთ ინტერვიუში, — ჩემს მშობლიურ მიწა-წყალს, რომელზედაც წერა ღირდა, და არა მგონია იმდენხანს ვიცოცხლო, რომ ბოლომდე ამოეწერა, და რაი ფაქტობრივი სინამდვილე შევანაცუდე ამოკრთულად, ამით სრული თავისუფლება მოვიპოვე. რათა, თუ რამ ნიჭი და უნარი ვაძინდა, მაქსიმალურად გამოვიყენებინა... სხვა აღმნიშნა სახით ოქროს სახადოები აღმოვაჩინე და ამგვარად საკუთარი კოსმოსი შევქმენი. ამ აღმნიშნებს, თუ მოვასურვებ, ღმერთებზეთ ვატრიალებ არა მარტო სავრცეში, არამედ დროშიც... სიამოვნებას მჭერბის ის აზრი, რომ ჩემს მიერვე შექმნილი ქვეყანა მთელი სამყაროს ერთგვარი ქვეყანებია“. ამავე აზრს ახარბობს გლის გაიმეორებს შედეგად, რომ „სპარტორასიდან“, ე. ი. „იოჰანაპატოფას“ ქრონიკების პირველი ნაწარმოებიდან ჩვენება ნამდვილად საფუძველი მის მიერ შეთხზულ მხატვრულ სამყაროს, მის გამორჩეულ „აპოკრიფულსას“.

მწერალი თვითონ ვაუწყებს „ფაქტობრივი სინამდვილე შევანაცუდე აპოკრიფალით“. მართლაც, ლეგენდური, ღამის აპოკრიფული, გარკვეულად ღამის მითური „იოჰანაპატოფას ოლქის“ საფუძველი აშკარად ფაქტობრივი სინამდვილეა. იოჰანაპატოფას ოლქი იგივე მწერლის მშობლიური ლაფაიეტის ოლქია, ქვეყნის სანი იგივე მწერლის მშობლიური ქალაქია, მისიისის შტატის ლაფაიეტის ოლქის აღმნიშნარაყოფი ცენტრი ოქსფორდი. ქვეყნის ოქსფორდითი ტიპური სამხრეთული პროვინციული პატარა ქალაქია. ლაფაიეტის ოლქის ცენტრს თავის დროზე, დაარსების ანტიკრი ეწოდა ოქსფორდი (ინგლისის უძველესი ცნობილი საუნივერსიტეტო ქალაქის ოქსფორდის მიხედვით), რომ მისიისის შტატისა და ლაფაიეტის ოლქის ერთადერთი უნივერსიტეტი აქ უნდა დაარსებულყო. დაარსებით კი დაარსდა, მაგრამ ფოლსონის სიყმაწვილეშიც, დაარსებულ ღამის ერთი საუკუნის მერე, ოქსფორდის უნივერსიტეტი მადლი აკადემიური დონით არ გამოჩნდობა, ჩამორჩეულიობა და პროვინციალიზმით სავსებით შეესაბამებოდა მთელი სამხრეთის, მისიისის მთელი შტატის, მით უფრო ლაფაიეტის ოლქისა და მისი აღმნიშნარაყოფი ცენტრის პროვინციალიზმს. ოქსფორდი მეოცე საუკუნეშიც იმდენად მთავარდნილ კუთხედ ითვლებოდა, 1931 წელს, ფოლსონმა ნობელის პრემია რომ მიიღო, მწერლის მშობლიური რეგიონალური ქალაქი, ოლქის ცენტრი ოქსფორდი ამერიკის

არაზე თურმე ბევრგან აღნიშნულია, რომ ფიქცია „იოჰანაპატოფას ოლქის“ ქრონიკებს საფუძველად უდევს ამერიკის სამხრეთ შტატების არც ისე შორეული ისტორია, ფაქტობრივად XIX საუკუნის ისტორია და მასთან დაკავშირებულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ამბები, ლეგენდები. ფოლსონის დაზარსებულ სამშობლო, ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთი სამოქალაქო ომის მერე ლეგენდების, თქმულებების კრად იქცა. ეს ამბები ეხებოდა სამხრეთის პირველ მოსახლეობას, ინდიელებსაც, შავკანიანებსაც, პლანტატორთა ოკუპაციის გადაგვარებასაც, მათ აღმადგინა-დაცინებასაც, ღამის თეთრკანიანთა ზედღებობასაც; ეს ამბები მოიცავდა სამოქალაქო ომამდე პერიოდსაც, თვით სამოქალაქო ომის წლებსაც და ომის შემდეგში სამხრეთის ვითარებასაც. მისიისის შტატის პროვინციული ქალაქის მკვიდრი ფილიპ ფოლსონი, ამ თქმულებების, ლეგენდების, გადმოცემების, ამბების ატმოსფეროში გაზრდილი, ცხადია, ადგილობრივი ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ზედღებოდა, ერთი მხრივ, თავისი ქვეყნის ზედუკუდმართ წარსულსა და აწმყისაც და, მეორე მხრივ, ხალხურ სიზარტენს, საზოგადოდ, ცხოვრების, მოვლენების ცოცხალ რეალურ აქტებს. მწერალს უნივერსიტეტის განათლება არ მიუღია, მაგრამ მისი ბეჭდობრივი უნივერსიტეტი სამხრეთული ფოლსონი იყო. სამხრეთის მემატიანე ცხოვრებისეული სიპართებს სამხრეთულ ტრადიციულ გადმოცემებსა და ამბებში პოულობდა, რამაც, უდავოდ, გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მის მხატვრულ არქივანზე, საფორაქალია, რომ ზარდის „უბებებსა“ და ანდერსონის „უინსბურგზე“ მებდა სამხრეთული ლეგენდებმა შთაგონა მწერალს „იოჰანაპატოფას“ ლეგენდურობა, მისი ლეგენდური გეოგრაფია, ისტორია და, რაც მთავარია, ლეგენდური ზისათებობა, თხრობის მანერა, რაც სავსებით შეესაბამება სამხრეთულ ხელებს, მის მწვევე მორადურ და ისტორიულ ზარტებსა და რომანტიკასაც. მაგრამ იმავე სამხრეთულმა ფოლსონისმა, ჩანს, განპირობა ფოლსონის ლეგენდურობის ბოლომდე არაღმგენდურობაც, ნავერად ლეგენდურობა. ფოლსონის მხატვრული სამყარო რთული და უცნაურია სწორედ ამ „ნავერადობით“. ის მოჭრეობით ლეგენდური არის და მოჭრეობით რეალისტურია, სინამდვილეში ლეგენდურია და რეალისტურია. ამ პარადოქსის მხატვრული ძირები სამხრეთულ ზეპირსიტყვიერებაშია აღზოთ საცხებელი. სამხრეთულ ფოლსონში ძირითადად იფლენსებება ის ლეგენდები, გადმოცემები. რომლებიც XIX საუკუნის ბოლო მესამედსა და XX საუკუნის დასაწყისში სამოქალაქო ომის მერე შექმნა სამხრეთ შტატებში. ცხადია, ეს

საქართველო

ხალხური ამბები, გადმოცემები წარსული საუკუნეების ლეგენდებს ვეღარ დაემატებოდნენ უწვეულო, ფანტასტიკური, აჩრდილური თავგადასავლებით. ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე იხინი მიწას ვერ მოსწვდებოდნენ, რეალობას შორის ვერ გასდებოდნენ. იხინი ლეგენდებში იმდენად, რამდენადაც მათში გაზვიადებულია, გამაფრებულა ისტორიული, სოციალური ფაქტები, ცალკეული პიროვნებების თავგადასავლები, რომანტიკული შინაგანდევით არის მოხილი ამერიკის სამოქალაქო ომში დაპირსებული სამხრეთის წარსული, მისი აღწევება და კრახი, დანაშაული და ტყვეობები. ეს ლეგენდები არა მარტო გაკრწვულად, არამედ შენაარსითაც, თავისი საფუძვლებითაც უფრო რეალისტრია, ვიდრე ნებისმიერი კლასიკური ლეგენდა.

„იოკნაპატოფას ოლქი“ სინამდვილიდან წარმოქმნილი ლეგენდაა. თანამედროვე ფოლკლორულგანიაში უკვე საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ „იოკნაპატოფას“ ხავის უკველი წაწარმოების, ამის, ეპიზოდის, პერსონაჟის, გეოგრაფიული დასახელების, ისტორიული ლეგენდის, არაქის საფუძველი ნამდვილი ამბავია; ლეგენდა ხასიათთა პროტოტიპები, დეტალების ისტორიულობა, ფაქტობრიობა და სხვა. ეს მასალა ფართოდაა წარმოდგენილი 1974 წელს გამოცემულ ფოლკლორის დაწვრილებით ბიოგრაფიაში, რომლის ავტორს — ჯოზეფ ბლოკერს მწერლის ცხოვრება და შემოქმედების ირგვლივ დიდძალი უწყნარ მასალისთვის მიუყვლივია. ამ მშობრებით კვლევა აღემატება გრძელდება, ბევრი საფულისხმო დოკუმენტური მასალა ქვეყნდება ფოლკლორის პერსონაჟთა ირგვლივ. ასე რომ, „იოკნაპატოფას“ ხავა ფოლკლორის-დოკუმენტალისტების, ბიოგრაფების ზედში თანდათანობით „იძარცვება“ ლეგენდურობისაგან და დაუვანიალია შეხვედ ფაქტობრივად. კვლევის ამგვარი მეთოდი ერთგვარად გვედგება ვიწმინდით ფოლკლორის რეალისტობა. მაგრამ, მეორე მხრის, საბოლოო, რადგანაც ფოლკლორის შემოქმედების ლეგენდურობა რომ გამოცდილია, მისი შემოქმედების ლეგენდური ატმოსფერო რომ უარყოფი. ეს იმას ნიშნავს, მთელი მისი შემოქმედება რეალისტურ დაუვანობით შეხვედ. ისტორიულ, სოციალურ, უოფიის დოკუმენტალურ ფაქტობრივად და უზუღბებუდევით ფოლკლორის პროზის მთავარი, არსებობი, ცხოველმყოფელი ძალა — მხატვრული გამოხატობა. ფოლკლორის რეალისტური ფაქტების ხიზუსტით კი არ იზომება, არამედ ფაქტების ხულის, არხის მხატვრული წარმოსახვით, მხატვრული განზოგადებებით.

ფოლკლორის ისტორიული რომანებისა და მითობრივების ავტორიც შეიძლება ეწოდოს. მთელი მისი შემოქმედება შეიძლება ვიკვლით

მხოლოდ ისტორიულ-ფაქტობრივად. „იოკნაპატოფას ოლქის“ ციკლი ერთდროულად ისტორიული კრონიკებისა, საგაც და ლეგენდაც, მასში სამხრეთის ისტორიული წარსულია გადოცხლებული. ნაწევრებია მისი რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, არც მწერლის თანადროული მწვავე ისტორიული, პოლიტიკური, სოციალურ-მორალური პრობლემებია წარმოჩენილი ნაქლები სიმამართი, ერთი სიტყვით, ფოლკლორი აქლევს სამხრეთ შტატების ისტორიის მათი შექმნიდან, ვიდრე ლეგენდ, მთელი საუკუნე-ნახევრის მანძილზე. „1820-1850“ — ეს წლებში შემთხვევით არ დააწერა კულამ ფოლკლორის „იოკნაპატოფას“ ანთოლოგიის მეორე გამოცემას. მაგრამ, ამავე დროს, მწერალი არც ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას, ბრძოლას, სიტუაციას არ აღწერს სტატისტიკური ხიზუსტით, სრულყოფილურად. ფოლკლორის ისტორიული მასალა, თუნდაც იგივე ამერიკის სამოქალაქო ომის ისტორია, სოციალურად არ შეუწავლია, მას ისტორიული ფაქტი ფაქტისთვის არ აინტერესებს, მის რომანებში დაუზღბულია ფაქტობრივი შეუსაბამობანიც, ვთქვათ, ერთგან ამბობს 1864 წელს ქუეტიონში, იგივე ოქტომბერად, გენერალმა გრანტმა გადასწავა, მეორეგან — გენერალმა სმიტომ, მაგრამ ამგვარი ფაქტობრივი უზუსტობანი ვითარებას არა ცვლის, მაინც დიდი მხატვრული დამაქრებლობითაა გადმოცემული სამხრეთის მდგომარეობა, ზედიზელი და სულისკვეთება სამოქალაქო ომში, ომამდე და ომის შემდეგაც. ისტორია ფოლკლორისათვის არაა მთავარი, როგორც თავისთავადი ფაქტი, არამედ ფაქტის სული, არხი, ფაქტის ესპოლოგია მთავარი.

ფოლკლორის ქვეყნის წარსული აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ისტორიისგან განუყოფელია ადამიანის ზედიზელი, ესპიკა, ხასიათი. ამიტომაც არ იძლევა უშუალოდ ისტორიულ-სოციალურ თუ პოლიტიკურ ვითარებათა აღწერებს, მთ უფრო ანალიზს. ისტორიას, ხანოგადობებს პოლიტიკურ ცხოვრებას, სოციალურ-მორალურ უოფას ფოლკლორი გადმოცემის გმირთა ხასიათების პროზაში, სინამდვილედ გარდატეხილია გმირთა ესპიკაში. ხოლო ფოლკლორის გმირთა ცნობიერება იმდენად დაძაბული, უშეტესად აღრეული და დეფორმირებულია, რომ მთ მოვლენებში, შინაგან მოძოლოგებში, ნამბობებში რეალობა, თითქმის რეალობას კარგავს, ფაქტი ფაქტი აღარ ჰყავს. რადგანაც ეს წარმოდგენილია გმირის პირაფული წარმოსახვით, მოვლენებისადმი ემოციური დამოკიდებულებით. სწორედ გმირთა ცნობიერება, მოვლენების ემოციური მილვა ქმნის ლეგენდურობის, ამოკრთულობის ატმოსფეროს. ამავე დროს, ამგვარ ხილვითა შექრებითა და



შეგამებით მკითხველს საბოლოოდ ექმნება წარ-  
მოდგენა რეალობაზე, წარსულსა და აწმყოზე.  
ასე რომ, პირადულ სამყაროთა, ვშირთა ცხო-  
ვიერების გაშუალებით ვადმოცემულია სინამ-  
დვილის ფართო ფენა. ამ თვალსაზრისით ფო-  
ლენერის ტიპური მეოცე საუკუნის რომანის  
ოსტატია. მის პროზაში წინა პლანზე დგას ხა-  
სიათი, რომლის ფსიქიკაში გატარებულია მთე-  
ლი მისი გარემომცველი სინამდვილე, წარსუ-  
ლიცა და აწმყოც. ფოლენერი ერთდროულად  
ღრმა ფსიქოლოგიცა და ეპიკური მწერალიც.

ფოლენერის მხატვრულ მეთოდს ახასიათებს  
შინაგანი ეტაპურობა. საწყის ეტაპზე პროვინ-  
ციული „შუაგულ სამხრეთი“ წარმოსახულია  
მხატვრული პრობოითობის ახტექტი — ლეგენ-  
დების, არაქად ნაამბობს უჩვეულობამდე ვაზ-  
რდილ-გაზუიადებულ ამხეთა სახით. „იონიზა-  
ტორთა“ ავტორს თითქმის დაუსახლებია არა რე-  
ალური ადამიანებით, არამედ ლეგენდური აჩრ-  
დალებით, მითური ვენებებით, მისწრაფებებით  
შეპურობილი ხასიათებით, ემოციების ადამი-  
ანებით, რომლებიც წარმოადგენენ სამხრეთის  
სოციალური, პოლიტიკური, მორალურ-ფსიქო-  
ლოგიური წარსულისა და ტრადიციების განწო-  
ვადებებს. ესეც ხაქმარის იუო, რომ ფოლენე-  
რი მხატვრული სიტყვის ვანუშეორებელ ოს-  
ტატად მიგვეჩნია. მაგრამ ეს მეთად უჩვეულო  
და მართლაც სტიქიური ძალის ტლანტა წე-  
რტალს აქ არ ხვამს, ამ დიდი მხატვრული მიღ-  
წევით არ იფარგლებს. მისი მხატვრული მეთო-  
დის მთავარი ეტაპია შემდგომი დიდი განწო-  
ვადებები. ფოლენერი ფართო დიპაზონის მხა-  
ტვრული მოაზროვნეა.

ერთი შეხედვით ეიწრო რეგიონალისტი,  
პროვინციის მემკთიანე სინამდვილეში დიდი  
განწოვადობების მწერალია. ლეგენდური  
„იონიზატორთა“ სამყარო არა მარტო მხატვ-  
რულად წარმოსახული პროვინციული სამხრე-

თია, არამედ თანამედროვე ამერიკის, საზოგა-  
დოდ თანამედროვე დასავლეთის, ზურგუაწიოდ  
სამყაროს სოციალურ-მორალური და ფსიქოლო-  
გიური სინამდვილის მეტაფორაა და ამავ-  
დროს, მწერლის სიტყვებითვე რომ გამოვტე-  
ვათ, მთელი სამყაროს ქვაკუთხედაა. ფოლენე-  
რის უოველი ნაწარმოები, პირველ უკვლისა,  
თანამედროვეობას ეხება და გამოხატავს და,  
ამვე დროს, ზოგადადამიანურობაზე მაღლდე-  
ბა.

თუ ულიამ ფოლენერის შემოქმედებითი მე-  
თოდის მთავარ ფორმულას არ ვაღიარებთ, რომ  
ის წარსულის მხატვრული ახასვით, პირველ  
უკვლისა, თანამედროვეობის უმთავრეს და  
ურთულეს სოციალურ-მორალურ და ფსიქო-  
ლოგიურ პრობლემებში ეჭრება, მაშინ ისდა და-  
გვრჩენია, დავუქერით მწერლის ხუმრობით წა-  
რმოქმედ სიტყვებს — ერთი ფერმერი ვარ  
და როგორც მომხსნათება, ისე, ფერმერით.  
ვლენურად ვუეები ამბებსო. მაგრამ ფოლენერს  
არაერთგზის აღუნიშნავს, ლოკალურ მასალაზე  
მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო წერდა, რომ  
მხოლოდ სამხრეთს იცნობდა, ერთი ცხოვრება  
ვერ იყოფოდა სხვა მხარეც სამხრეთით შეესწავ-  
ლა და ერთდროულად მასზეც ეწერა. ფოლენერის  
მხატვრული მეთოდი თანხრად ემსახურება  
კონკრეტული წარსულისა და ზოგადად თანად-  
როულიობის, კონკრეტულად რეგიონალური სამ-  
ხრეთისა და ზოგადად თანამედროვე ამერიკის  
მხატვრულ წარმოსახვას, ხოლო ორივე ერთად  
ერთ მთავარ მიზანს — ზოგადად ადამიანის  
„გულის ტეშმარობების“, ადამიანური ხასია-  
თების წვდომასა და მხატვრულად წარმოსახვას.  
ამას კი მწერალი ე. წ. „მითოურობით“, „მითო-  
ურობის“ ორივე დონით აღწევს, რასაც ნათელ-  
ჰუოუს და ადასტურებს მის მხატვრულ ქმნილერ-  
ბათა კონკრეტული ანალიზი.

თუ  
თუ  
თუ

## საშხე ქართული პატიოსნებით

წლებადღეღმა წელიწადმა სამი უდასვენებელი ინტელიგენტი შეიწირა — ზურაბ კაკაბაძე, გურამ ასათიანი, ლაშა ჯანაშია. ერთი თაობის წარმომადგენელი, ორმოცდაათის ასაკს გადაცილებული, ქართული კულტურის მოამაგენი. ერთმა ფილოსოფიურ აზრს გადააგო სიცოცხლე, მეორემ — მწერლობის საკითხებს, მესამემ — ისტორიას. სამივე შეუცვლელი იყო თავთავის სამოღვაწეო დარგში.

კიდევ უფრო შეუცვლელი იყვნენ თავიანთი პიროვნული მომხიბვლელობით, იმ უზარმაზარი გავლენით, საზოგადოებაზე რომ ახდენდა ამ ქვეყნად მათი არსებობა. მეტი არაფრით უკავდნენ ერთმანეთს — ამ გამორჩეულობით უკავდნენ მხოლოდ. მათიანინი ცოტანი დარჩნენ თბილისში.

ოღონდ მრავლად ვერც იქნებოდნენ მათიანინი. ალბათ არც არასოდეს ყოფილან. თუგინდ ჩვენი საუკუნის ათიან-ოციან წლებში, როდესაც რაფინირებულ ოჯახშიშეიღოთ გუნდი და გუნდი ამკობდა თბილისსა და ქუთაისს, სხვა დაბა-ქალაქებსაც. საიმედოროდაც გამორჩეული იქნებოდნენ ეს სამინი, ასევე შესამჩნევი და შეუცვლელი.

ზურაბ კაკაბაძე ვიზიონერულ თვალთა პატრონი იყო, სულის უღრმეს შრეებს მოგიხილავდა იმ თვალებით და მერმელა შეგინყნარებდა. გურამ ასათიანი აღესიღ მზერას შემოგავებებდა ხოლმე, მოახლებამდე უკვე ხმაღში უყავდი განვეული თითქოს. ლაშა ჯანაშიას ლმობიერი და მოალერსე, ოდნავ სევდიანი გამოხედვა უქონდა, — ცქერა, სავსე ქართული პატიოსნებით.

ამგვარი ვიზილეთ თბილისელებმა ჭაბუკი ლაშა და ამგვარივე დაურჩა გამომხედვა აღსასრულამდე. არცთუ დაღინებულად გატარებულ წუთისოფლის დღეთა მიუხედავად, ბოლო ხანს მისი მტანჯველი უმჭიმესი სენის მიუხედავად. ამით ვლინებოდა ამ სათუთი კაცის სულიერი სიმტკიცე. არც გვარიშვილობა, არც აღზრდა, არც შეურყეველი მრწამსი უფლებას არ აძლევდნენ თავისი სატკივართ სხეებს შეწუხებინა, საკუთარი არსება თავს მოეხეია სხვათათვის. არადა სწორედ ეს უებრო ზრდილობა, ტექტი და ჯენტილმენობა იზიდავდა იმ სხეებს მანკიტური ძალით, ის შინაგანი, ქვეშეარტი კულტურა, რომლის დასამკვიდრებლად არც ნაკითხობა კმარა, არც აურაცხელი ინფორმაციის მოხვეჭა, არც გასხეპილი მანერები.

ამივე შინაგან კულტურას გამოავლინებდა აზროვნების ლამასეული სტილი. მას სხეებზე უკეთ უქონდა გათავისებული ის ქვეშეარტიება (საქართველოში მრავალგზის დაინწყებული თუ უგაულებელყოფილი ქვეშეარტიება), რომ აზრის, შეხედულების, გემოვნების სხვაობა პიროვნულ მტრობას არ უნდა ნიშნავდეს არასგზით. უკიდურესად დაძაბული პექრობის დროსაც კი შეეძლო თავის დაოკება და მოპირდაპირის თვალსაზრისის პატივისცემა.

მეგობრები და ახლობენი ხშირად მოვზიბულეკართ მისი მეცნიერული ტალანტის გამობრწყინებით. ამ მეგობართა და ახლობელთაგან ყველას როდი გვექონდა გათვალისწინებული, რომ, გარდა ჩინებული ისტორიკოსისა, ჩინებული ლიტერატორიც იყო ლაშა. ეს სულ უკანასკნელ ხანს შეიქნა ჩვენთვის საინო, მას შემდეგ, რაც ერთბაშად მთელი საზოგადოება აღაპარაკდა „შუშანიკის ნამებასთან“ დაკავშირებულ მის ნაშრომზე.

მრავალი ამგვარი ნაშრომი უნდა შეექმნა კიდევ. ვაგლან, რომ აღარ დასცალდა!



# ავიადღეთ აინუტაინამდე...

მეოცე ასწლეული კაცობრიობის ისტორიაში — კოსმოსისა და ატომის საუკუნის შეტახებით დარჩება ცნობილი. მსოფლიოს მეცნიერებამ ოცდაათიან წლებამდე თითქმის არაფერი უწყობდა ატომის ბირთვის შემადგენლობის თაობაზე, 1939 წელს კი ფიზიკოსებმა ბირთვი გახლიჩეს. სათავე დაედო ახალ ენერგეტიკულ ერას.

სწორედ ამ მომენტიდან მოხდა გაქვეყნი რეაქტორი ტექნიკური დარგების განვითარებაში. „თხა თხაზე ნაკლების“ პრინციპით გაეჭიბრნენ ერთმანეთს ფიზიკა, ქიმია, ასტრონომია, ბიოლოგია; საუკუნოვან ძიებურანიდან გამოერქვენო თითქმის ისინი და სამზუოსაყენ გამოსწიეს აქყარებული ნაბიჯით. კაცობრიობას არ ახსოვს შეცნიერების დარგების განვითარების ასეთი მასშტაბები და ტემპები; ატომური ენერჯის გამოყენებამ ერთიანად შესცვალა, უფრო მართებული იქნება ვთქვათ, ერთიან დააყირავა ადამიანის უწინდელი წარმოდგენა ბუნებასა და გარემომცველ სამყაროზე. ატომის გახლიჩვამ დამატრალურად საწინააღმდეგო ემოციები გამოიწვია მსებში — შიშის განცდა, როგორც დამაშვრეველი და უოელისმომსპობა იარალისა და ქვეყნად ბენიერების დამამკვადრებელი სასწაულისა.

„ადამიანმა მონაბა ნეიტრონებისაგან ისეთი გარემოს შექმნის საშუალება, რომელშიც შეიძლება ატომური კოცონის დანთება, უფრო ძლიერისა, ვიდრე ოდენსე დანთებულა დედამიწაზე. მისი დაშვარებით ადამიანი შესძლებს შექმნას ახალი ცივილიზაცია, გადააქციოს დედამიწა სოუხვის მზარედ, მოსპოს სილატაყე და აეადმყოფობა, დაბრუნდეს დაკარგულ „მიწიერ სამოთხეში“... ატომის უზარმაზარი ძალები შეიძლება გამოყენებულ იქნეს უდაბნოთა გარდასაქმნელად, ე. ი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დედამიწის ზედაპირის ფართობის გაზრდა შესაძლებელია ახლანდელ დავსახლებულ უდაბნოთა ბაღნარად გადაქცევით. ატომის ენერჯის დაშვარებით შეგვიძლია აღმოვაჩინოთ სასარგებლო ნაშარბთა საბადოები, რომლებიც ქე-

რაც დამაბულაა მიუვალ ადგილებში, მოვაბდინოთ ჰაერის კონდიციონება ტროპიკული ქვეყნების დიდ ტერიტორიებზე, პოლარულ და სუბარტრიკულ მიწებზე და ამგვარად გაეფართოვოთ სასიცოცხლო სიერცე დედამიწის სულ უფრო მზარდი მოსახლეობისათვის...“

ასეთია საუკუნის აღმოჩენისადმი მეცნიერთა და ყველა ჩვენთაგანის ოპტიმისტური დამოკიდებულება, სამომავლო ვარაუდი, სურვილი და ოცნება... მავრად, როგორც ზემოთ ითქვა, შედალს ორი მზარე გააჩნია ყველა მოველსინოთ ამერიკელ ფიზიკოსსა და ეტრნალისტს. ვაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სამეცნიერო რედაქტორს ნაგასაკის ატომური დობობების ერთ-ერთ უშუალო თვითმზილველსა და მხატვრულად ამსახველს უ. ლოტრენსს:

— „12 საათი და 01 წუთი. ჩვენ ნაგასაკის თაზე ვართ. რადიოთი გაევიგონეთ თუ არა პირობითი ნიშანი, მაშინვე დამკველი სათავალები ვავაეთეთ და ყურადღებით დავეწყეთ დაკვირება ფლაგმანის მანევრირებას, რომელიც ჩვენგან 800 მეტრზე იმყოფებოდა.

„წავიდა!“ — წამოიძახა ვილაყამ; ბობბდამშენს რაღაც შავი სხეული მოწყდა და გაფრინდა ქვევითყენ.

როცა ჩვენი თვითმფრინავი ატომური აფეთქების მზარეს შემობრუნდა ისფერი ცეცხლის სვეტრ უკვე ჩვენს სიმაღლეზე ამოვიდა სულ ოთხმოცდახუთი წამი გავიდა. თავზარდაცემული შეეცქეროდათ, თუ როგორ მოქროდა. იგი ზევით ეტაროვის მსგავსად, ოღონდ კოსმოსიდან კი მარდიდან მოფრინავდა... ერთ წამში მასამ მიილო გიგანტური პირამიდის სახე, რომელიც ზუთილომეტრიანი დიამეტრის საფუძველს ეურდნობოდა — იგი უავისფერი იყო. ცენტრში ქარვისფერი მოსძალებოდა, შწვერვალთ თეთრად უქათათებოდა. სოკო პირველქმნილი გამწვავებით თრთოდა, როგორც მზეცი, რომელიც ბოკილებს დავლეყას ლამობს. რამდენიმე წამში იგი გიგანტური საყრდენისაგან განთავისუფლდა და უზარმაზარი სიჩქარით ზემოთ, სტრატოსფეროში თვარამეტრათს მეტრამდე სიმაღლეზე აიშარბა.“

ეს მოხდა 1945 წლის ცხრა აგვისტოს. იმ საბედისწერო დღეს ამერიკის სამხედრო ძალებ-

\* გ. ფანჯიკიძე „ადამიანი, ენერჯია, ატომი“. გამოცემებულია „ნაკადული“; 1981 წ.

ბის № 77 ბომბდამშენიდან გადარჩილმა „მემსხვერპლმა“ წაგასაკის ობობსიათათან მცხოვრებთა ერთი მეოთხედი იმსხვერპლა, თვითონ ქალაქი კი ლამის მთლიანად აღგავა მიწის პირისაგან. ეს გახლდათ მეორე ატომური დაბომბვა ზიროსიანს შემდეგ...

უოველივე ამის შემდეგ ძნელია კუეთამყოფელი ადამიანი ოპტიმისტურად განწყობის სემცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიმართ. აღამიანებს სწყურიათ სიმართლე, რაც მათ სულში კვლავ გააღვიძებს მომავლის რწმენას. ისინი მონატრებულნი არიან საინტერესო ინფორმაციას ტექნიკური სიახლეებისა და აღმოჩენების შესახებ, ეს მით უფრო ითქმის ქართულ მკითხველზე, რომელიც მოუთმენლად ელოდება ჩვენს სახელოვან მეცნიერთა წიგნებს ამ საკითხებზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოლოდინს, ითქვის დასასრული აღარ უქანს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო წლებში ჩვენი პლანეტის სადღეისო აქტუალურ საკითხებსა და პრობლემებზე, სხვადასხვა მეცნიერულ მიღწევებსა და აღმოჩენებზე მრავალი ნაწარმოები ქვეყნდება როგორც უცხოურ, ასევე რუსულ ენაზეც. ქართული ავტორების მიერ ამ თემატკაზე შექმნილი ორიოდ წიგნსა თუ ჩამოთვლის დაინტერესებული ადამიანი, ამავე დროს წიგნსაც გააჩნია — შესრულების დონის თვალსაზრისით ამ წიგნების უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს მკითხველსა მოთხოვნილებას. ზოგიერთი მათგანი ზედმეტად მეცნიერული ხასიათისა, სხვები კიდევ ვიწრო დაზღვს ასახავენ და მხატვრულ-სტილისტიკად ამძიმედ აღიქმებიან“; სამეცნიერო, გნებათ მხატვრული ეტრნალების რედაქციები მეცნიერულ-პოპულარული წერილებისა და სტატიების ავტორებს სანთლით დაეძებენ. მაგრამ ვერ პოულობენ... იღბლიან „შუა გზაზე“ სიარული, ანუ მეცნიერებაში გაწაფულობა და ასევე კალმის მარჯვედ ფლობა, ეტობა. არც ის ადვილი საქმეა, როგორც ეს შეიძლება ადამიანს ერთი შეხედვით მოეჩვენოს. აქ მეცნიერს თავის პროფესიულ ალოიანობასთან ერთად სხვა ახალი თვისებებიც სჭირდება — მხატვრულ-პედაგოგიკური ნიჭიერება, სიტყვის ფლობის უნარი, ზომიერების გრძობა... ხოლო მწერალს — მეცნიერული განსწავლულობა, როგორც ეხედვით, ეს უკმაყოფილი, ეტობა. მაინც უფრო ახლოს არის მიზანთან. ვიდრე მეცნიერი — მხოლოდ ერთი ბარიერის გადალახვა მისთვის საჭირო, რათა იმ სანეტარო „შუა გზაზე“ აღმოჩნდეს. მაგრამ არც ისე ადვილად გადასაღახავია ეს ერთადერთი ბარიერი. — ვეუღას როდი ზედუწიფებმა მისი დაძლევა... ვეუღას არა, მაგრამ ეს შესანიშნავად შესსლო სახელგანთქმულმა მწერალმა ატრამ ფანჯიკიემ. ახლახან გამოცემული მისი მეცნიერულ-პოპულარული

ლი ხასიათის წიგნი — „მეცნიერული რეაქტორები, ატომი...“ ამის ნათელი დადასტურება გახლავთ. საბუნებისმეტყველო დარგებზე დაწერილმა მწერლის საინტერესო სტატიებისა და ნარკვევების განსახილველმა კრებულმა მნიშვნელოვანწილად შეავსო ის გაუმათლებელი ვაკუუმი, რომელიც დღემდე არსებობდა ქართული მეცნიერულ-პოპულარული წიგნის ბაზარზე. ამის თობაზე საინტერესოა ავტორის მოსაზრება: „ეფიქრობ, აუცილებელია ყველას ჰქონდეს გარკვეული წარმოდგენა თანამედროვე ფიზიკის უახლეს მიღწევებზე. წარმოდგენელია დღევანდელი მოაზროვნე ადამიანი ფიზიკისა თუ ასტრონომიის იმ საბუნლეთა ცოდნის გარეშე, რამაც მთელი გაღატარალეა მოახდინა ბუნებისმეტყველებაში. ამით იმის თქმაროდი მსერს, რომ ყოველი ადამიანი ღრმად დაეუფლოს ფიზიკას, მაგრამ სასურველია ყველა ინტელიგენტმა იცოდეს, დღევანდელმა ფიზიკამ როგორ შეუცვალა ადამიანის წარმოდგენა სივრცესა და დროზე, მატერიასა და ენერჯიაზე. სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს სამეცნიერო ტექნიკური მწერლობა და ეტრნალისტიკა. არ მაგონდება არც ერთი პოპულარული წიგნი ტექნიკისა და მეცნიერების საკითხებზე, რომელსაც ოდნავ მაინც ამოვესოს ჩვენი მწერლობისა და ეტრნალისტიკის ეს ვაკუუმი.“

ჩემი ღრმა რწმენით, მეცნიერულ ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში აუცილებელია ერს ჰქონდეს მაღალგანვითარებული სამეცნიერო-ტექნიკური ეტრნალისტიკა. მაგრამ ეს პრობლემა არა იოლად გადასაჭრელი. სამეცნიერო-ტექნიკურ ეტრნალისტიკაში ეტრნალისტიკა ვერ იმუშავებს, თუ მას სერიოზული ტექნიკური განათლება არა აქვს მიღებული. ამიტომ, ეფიქრობ, ამ საქმისათვის ტექნიკურ დარგებზე მოწყობილ სტუდენტთა შორის უნდა მოვჭებნოთ ლიტერატურული ნიჭით დაჭირდობული ახალგაზრდები. შემდეგ კი დაეინტერესოთ და ჩაებათ ისინი ეტრნალისტიკაში...”

აღნიშნულ საკითხზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს: როცა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა კოსმოსური ექსპედიციები, ადამიანმა მოვარებუეც კი შეაღწია, უბრალოდ, უხერხულია მთელი საზოგადოება ამ აღმოჩენებისადმი შორით მაექყარას როლში გამოდიოდეს, მხოლოდ კოსმოსური ფრენის ცენტრდან და საკემპრო პრესის საშუალებით ლებულობდეს ინფორმაციას და საკეთარი ინტერპრეტატორი, მეცნიერი-კომენტატორი კი არ ქვადეს. უოველივე ეს შეეხება არა მარტო კოსმოსურ ექსპედიციებსა და გალაქტიკურ სიახლენს, აქ იგულისხმება აგრეთვე სამამულო და სახლგარეეთის მეცნიერების სფეროში — ფიზიკის, ასტრონომიის, ქიმიის, ბიოლოგიის, ენა-



რატეიკისა და სხვა დარგებში მომხდარი აღმოჩენების სათანადოდ გაშუქებას, მითუმეტეს, რომ ყოველივე ამ სიახლის ფიქსირება სისკოლო სახელმძღვანელოებში არ ხერხდება, მათი ისედაც გადატვირთულობისა და ასევე მასალის სპეციფიკურობისა და სართლის გამო.

რესპუბლიკურ და საკავშირო პრესაში გამოქვეყნებულმა გ. ფანჯიკიძის საინტერესო სტატიებმა და ნარკვევებმა მეთხველთა ფართო წრის მოწონება დაიმსახურა, ასევე საინტერესოდ წარმოართა მან სატელევიზიო გადაცემათა ციკლები მეცნიერების პრობლემურ საკითხებზე. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მწერალს უბედობდა პირველმკვალაობა სამეურნეო-ტექნიკური რეკლამის ლაბორირებში, რაც მთელ რიგ სიმძვლეებთან არის დაკავშირებული, ყველაფერს რომ შევეშვათ, ასეთი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ციკლები პირველად გადაიცა საქართველოს ტელევიზიით, არ გაგვაჩნდა სათანადო ტრადიცია და ფსიქოლოგიური განწყობილება ამგვარი გადაცემების აღსაქმელად. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მწერლის საუბრებმა სხვადასხვა დარგის მეცნიერებთან, გამოჩენილ ადამიანებთან, აგრეთვე მისმა ლექციებმა საყოველთაო ინტერესი გამოიწვია.

სწორედ ამ ლექციებისა და გამოსვლების, აგრეთვე პრესაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პოპულარული სტატიებისა და ნარკვევების ერთგვარ შექამებას წარმოადგენს ჩვენი განსახილველი კრებულიც. მაინც რა საკითხებს ეძება ამ წიგნი გურამ ფანჯიკიძე? როგორია მისი დამოკიდებულება განსახილველ მოვლენებთან? რა მეთოდებითა და ფორმებით გვიხატავს მათ არსსა და მნიშვნელობას ავტორი? ვიდრე ამ საკითხებზე გაცემდნენ პასუხს გავიხსენიოთ ის გარემოება, რომ მწერალი პროფესიონალ ტექნიკური დარგის წარმომადგენელი ვახლავთ, რამაც ალბათ ვარკვეული როლი ითამაშა, რათა იგი პლანეტის დღევანდელი პრობლემებით — ფიზიკის, ასტრონომიის, რელიგიის, ქიმიო-ბიოლოგიისა და ენერგეტიკის საკითხებით დაინტერესებულიყო. ასე რომ მისი ამ თემატიკით გატაცება „ორგანული“ და არა მოჩვენებითი, ზერედე და ხელუწყობი... იგი, ასე ვთქვათ, თანაბრად არის მწერალიც და მეცნიერიც. ამ შემთხვევაში საინტერესო მეცნიერ-პუბლიცისტი, შესანიშნავი სტატიებისა და ნარკვევების ავტორი.

წიგნი იწყება ადამიანთა მთავარი საფიტრალი-პრობლემის განხილვით — სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია — რას ვეკითხის იგი?... მართლაც და რას ვეკითხის მეოცე საუკუნის ახალი აღმოჩენები. ზემოთ თქმულისა არ იყოს, ნგრევას თუ აშენებას? იქნებ მართლაც, ფიზიკოსების ერთ ნაწილს თუ დაუ-

ჭერებთ — წყალბადის ბომბმა შეიძლება მოუღონოს მთელს მსოფლიოს? მათი აზრით — „ვერც ერთი ძლიერი ქვეყანა ვერ გაბედავს აგრესიული ომის გაჩაღებას, რადგანაც ეს ომი თვითმკვლელობას ნიშნავს თვით აკოტორისთვის... პიტლერიც კი ვერ გაბედავდა დაეწყო ასეთი ომი, რომელშიც გამარჯვებულ ახავინ დარჩებოდა...“ (უ. ლორტყენის „ადამიანები და ატომები“ გვ. 305).

მართლაც, ადამიანის არსებობას მხოლოდ მაშინ ვძლევა აზრი, როცა მომავლისა სჯერა, მერწინისა სწამს. გურამ ფანჯიკიძის, როგორც მეცნიერ-ინტერპრეტატორის დამსახურებად უნდა ჩათვალოს, რომ თანამედროვე ტექნიკური ცივილიზაციისათვის ნიშანდობლივი პრობლემების განხილვისას იგი ოპტიმიზტრად აფასებს მოვლენებს, ავტორის ამოსავალი წერტილი ოპტიმიზმი და მომავლის რწმენაა; სასურველ დამაჩერებლობასა და ეფექტს აღწევს იგი არა სავსისა და მოვლენის ცალმხრივი, ტენდენციური შეფასებით, არამედ ყოველმხრივი და რაც მთავარია, ანალიტიკური, მიზნუ-შედეგობრივი შეჭვრებისა და გამოწველივითი განსჯის მეოხებით. კაცობრიობას ვადაშენება რომ უწინასწარმეტყველოს ადამიანმა ეს ზომ თავისთავად უახრობა, მაგრამ პიპარად იმისი ქადაგება, რომ „მაღე უღანბოებს ბალნარბედ კაქცეუთ და ოქროს ხანას დაეამყვოდებთ“ ასევე „აქედელზე ცერცვის ყრას“ ემსგავსება. საჭიროა ხელოვნება და ოსტატობა, აზროვნების ისეთი დონე, რომ მეთხველი ერთშიაც და შეორეშიაც აგვევს, გურწმუნოს: აქ, ჩვენი აზრით, პირველ რიგში მაინც მთავარია მეცნიერ-პუბლიცისტის შემოქმედებითი ალტორიანობა და ნიჭიერება, თანამედროვე მხატვრული ფორმებისა და მეთოდების ფლობა, რათა მშრალი ფაქტების, ციფრებისა და მონაცემებისაგან ცხოველყოფილო, საინტერესო დასკვნები და მოსახზებანი გამოიქრწო, კოატური ინფორმაციის ნაკადს სული შთაბერო და მხატვრული რომანის დონეზე ამოსწიო.

ცნობილი მწერალი და ეფონალისტი გურამ ფანჯიკიძე, ახერხებს ბოლომდე მართალი დარჩეს მიოხველთან, არ გაუმტეუნდეს მას, რაც იო უნდა ძნელი მისიის წინაშე აღმოჩნდეს და მდინაროს აღმა აუვანა დასპირდეს. სწორედ ეს ერთგულება და პატივისცემა ამ თვალსაზრისით თავის მეთხველთან თანასწორუფლებიანი პარტნიორობა მიმართავს აღნიშნული წიგნის მთავარ ღირსებად.

მაშ ასე, რას გვიქვადის ტექნიკური რევოლუცია?

დავესხსოთ ავტორის საინტერესო დაკვირვებას: „მოოუელ წარსულში ადამიანი პირისპირ იდგა ბუნებასთან და მისი ზემოქმედების ძალა ბუნებაზე ძისოვე ფიზიკური კნუჯიის.

საქართველო

ანუ კუნთების ძალის გვერდობა იყო, შემდეგ ადამიანმა მოიგონა სხეულისზე ხელსაწყო, ხერხი, რითაც საგრძობლად გაზარდა თავის შრომის უფროსობა. ტექნიკის მზარდი განვითარების შედეგად ადამიანმა კიდევ მეტე ვანერგია მოიპოვა, დამოკრიბა და დააყენა ხალხის სამსახურში. მოვიყვან ერთ საინტერესო ციფრს: მეოცე საუკუნის მანძილზე ადამიანის საწარმოო შრომის ნაყოფიერება მხოლოდ ელექტროენერჯის ხარჯზე 30-ჯერ გაიზარდა, 2000 წლისათვის კი გაიზარდა 130-ჯერ. დღევანდის მისახლეობის მაგნიტ წილწილში შეადგენს 20-მილიონ კაცს, სულ რაღაც 20 წლის შემდეგ დედამიწის მისახლეობა გაორმაგდება, მიადწევს 7.5 მილიარდს.

ამ მრავალმეტყველი ციფრების მიღმა მრავალი თავსატეხი და საფიქრალი იმალება. წიგნის ავტორს თანდათან მიუყვებით კლმინაცობისავე, აზროვნების ლოგიკა წამოჭრულ საკითხებზე პასუხის გაცემას ითხოვს. შეიხებულს უკვე ზაფხავს იმისი შეგრძნება, რომ ვაით ამ არასასამოვნო ბუნაღტერამ ვეღარ პიროვს თავისი დაბალანსება, რაც უკვე თავისთავად საშაროს და უფრო ამ საშაროსში სიკოცხლის გადაშენებას ნიშნავს. რა მოხდება ბოლოს, როცა ენერჯეტიკული დეფიციტის წინაშე აღმოჩნდება აკუმბრობა? ავტორი კიდევ უფრო ამწვავებს საკითხს. იგი ვითავაზობს „დროებით“ გამოსავალს — ხომ შეიძლება მძლავრი პიდროელექტროსადგურებით დაძლიოთ კრიზისი? ასე ხომ მარტყად გადაწყუბოდა პრობლემა? მეცნიერები ვარუდობენ, რომ 2000 წლისათვის აკუმბრობა წლიურად მიიხმარს 50 ტრილიონ ელვოვატსათა ელექტროენერჯიას. იმავე შეცნიერების გამოანგარიშებით კი მსოფლიოს პიდროენერჯეტიკული რესურსების პოტენციური მარაგი შეადგენს მხოლოდ რვა ტრილიონ ელვოვატსათს. ამ პოტენციალის მთლიანად ათვისებას კი მხოლოდ ნაწილობრივ გადაჭრის პრობლემაა. დღეის მდგომარეობით კი პიდროელექტროსადგურებზე მოდის მსოფლიოს ელექტროენერჯის მხოლოდ 16 პროცენტი, 4,5-პროცენტი მოდის ატომურ ელექტროსადგურებზე, და რაც მეტად სავალალოა, დანარჩენი ითმობი პროცენტის გამოიმუშავება ხდება იბოელექტროსადგურების მიერ ორგანული საწვავის ხარჯზე.

აქ ჩვენ მივადგეით შეტად საკომპანი დღევმას, სწორედ ამ ჩვენი თავდაპირველი ზაფერისა და შიშის მიზეზთა მიზეზს. რამდენია მსოფლიოში ორგანული საწვავის — ნავთობის, ქვანახშირის მარაგი? როდემდე ვეყოფა იგი? ამ საკითხის ვასანალიზებლად საჭიროა ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსის გათვალისწინება, ძალუძს კი აკუმბრობის მის მიერ მოპოვებული მთელა ორგანული საწვავი ელექტროენერჯის

გამომუშავებას მოახმაროს? ავტორი, მსოფლიო საინტერესო ცნობას იმის თაობაზე, რომ დღევანდლობით მთელი ორგანული თბონეღლეულის მხოლოდ 30 პროცენტი ხმარდება თერმულ ელექტროენერჯის გამოიმუშავებას, დანარჩენ 70 პროცენტს ადამიანი იუენებს სითბოს მისაღებად წარმოებასა და უფაცხოვრებაში. ჩანს, რომ ადამიანი ამ საშოცდაათ პროცენტს ვერც მომავალში შეეღვეა, და, აი, კვლავ იწყება ახალი ბუნაღტერია, ციფრების მართლა, ავტორი მართლაც რომ უხადო ისტატობით იუენებს ამ ციფრების ენას: თურმე „150 წლის მანძილზე ენერჯორესურსების ხარჯვამ მიადწეა 3 მილიარდ ტონას, შემდგომში, სულ რაღაც 30 წელიწადში — 8 მილიარდს. კიდევ იტი წელი და ეს მაჩვენებელი ფანტასტიკურ რიცხვამდე — 25 მილიარდ ტონამდე გაიზრდება, და ეს მაშინ, როცა მსოფლიოში ორგანული სათბობის მარაგი შეადგენს 3500 მილიარდ ტონას. ამ მონაცემების საფუძველზე უკვე ნათელი ხდება თუ რაოდენ უღიმამო პერსპექტივების წინაშე დგას აკუმბრობა. ავტორი მრავალმნიშვნელოვნად ასკენის: „21-ე საუკუნის ბოლოს არც კი ეცოდინებათ რა არის ბენზინი“. რატომღაც დიდი რუსი მწერლის გერტენის სიტყვები გამახსენდა: — „თითოეული ადამიანი ვერდნობა გენვალოგობის უზარმაზარ ხეს, რომლის ფესვები თითქმის ადამის სამომხმდე მიდის, ჩვენზე, როგორც სანამოტი ტაღლაზე იგრძინება მთელი ოკეანის, — მსოფლიო ისტორიის დაწოლა...“ ამ შემთხვევაში „სანამოტი ტაღლას“ მართლაც რომ ჩვენ წარმოვადგენთ, მთელი ისტორიის, ასე ვთქვათ, ეკონომიკური დაწოლაც ჩვენზე მოდის და აღბათ კიდევ უფრო შესამჩნევი გახდება იგი მომავალი თაობებისათვის... შესამჩნევი კი არა, ზემოთმოყვანილი დასკვნებიდან გამომდინარე, მეტად მძიმე და სავალალო... და ეს მით უფრო, თუ კი ამჟამინდელმა „სანამოტი ტაღლამ“ ვერ გამოიღო სათანადოდ ხელი, ანდა, უბრალოდ, უოველი ჩვენი მცდელობა ამ მიმართებით უნაყოფო გამოდგა... „მომა საიენსს“ კი ერთადერთი—მომავლის რწმუნება ასულდგმულებს, აკუმბრობის ნეფეშინი სწერიოა, რათა უოველად უაზრობის მერტსმა არ შთანთქანს... ახლა, როცა ევროგეტიკული კრიზისის გარდაუვალობის წინაშე დავდგეით, დროელია მწვალბულური უოყმანისა და ეჭვის გაფანტაზეც იზრუნოს პროგნოზისტმა. ცნობილია, დიდ ექვს დღეი გაბათილება სჭირდება. მართლაც კოლმსალური მუშაობა გაუწყვია ავტორს, მთელი რიგი უახლესი ცნობებისა და მონაცემების შესაგროვებლად, რაც ტექნიკისა და მეცნიერების მსოფლიო მიღწევების ვასანალიზებლად და წარმოსაჩვენად იყო საჭირო, ამ თვალსაზრისით, საწმუნაროდ, არც ქართულ და რამდენა-



დაც ვიცი, არც რუსულ ენაზე არ გავაჩნია ხელმისაწვდომი რაიმე მნიშვნელოვანი დამხმარე წიგნი, სახელმძღვანელო, გნებავთ ბიულეტენი, სადაც მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევები იქნებოდა ასახული და ერთად თავმოყრილი, მოკლეული იქნებოდა დარგობრივი პროგრესები, მიღწევები, ნაკლავანებანი, რიყხეები, პროცენტები, სხვადასხვა ხასიათის მონაცემები, ცნობები, სკალები, ინფორმაციები და ათასი წერილმანი, ჩვენს პერიოდულ პრესაში აქა-იქ რომ არის კანტიკულად მიმოხილული. დიახ, არ გავაჩნია ასეთი სამაგიდო წიგნი მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის თემატიკაზე მომუშავე შემოქმედებითი ინტელიგენციისათვის. მართლაც იგი წარმოადგენს, არც შეტი არც ნაკლები, — „არსობის პერს“ ძურბაღისტებისა და მწერლებისათვის, იდეოლოგიური სფეროს სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებისათვის. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ გურამ ფანჯიკიძის აღნიშნული წიგნი ამ თვალსაზრისითაც მშვენიერ სამსახურს გაუწევს ყველას.

მაგრამ სათქმელს გადაუხევიეთ, მინც როგორ, რა საშუალებათა და ფაქტებით უნდა დაგვამოშვიდოს მწერალმა ეს „სანაპირო ტაღის“ თავდაზარტული წარმომადგენლები?

და აი, კვლავ ძიება, ამჯერად უკვე ზემოთ წამოჭრილი საკითხების კონტრარგუმენტებისა: საბუნებისმეტყველო დარგებში ახალი საიმედო აღმოჩენების თვალის გადაღლება, მათი პერსპექტიული გაანალიზება, სამომავლო თვალსაზრისით ყოველმხრივი პროფესიული და ანალიტიკური შეფასება, პოზიტიური და ნეგატიური მომენტების დაბირისბირება... ზოგჯერ ყოველივე ეს ქავეს წყალწაღებულს ჰქონდის ხაგსზე. მაგრამ მეცნიერებაც ხომ ბოლოსდაბოლოს აღბათობის პრინციპებს ემყარება იმთავიდანვე, „ცდა-ბედითი მონახეჭრება“ მისთვის უცხო ხილს როდი წარმოადგენს, რწმენა იმისა, რომ შრავალი საკლევადიები მიმართულეებიდან ადრე-ათე გვიან ერთი რომელიმე მინც გაუმართლებთ იდამიანებს, აი გაუმართლათ კიდევაც და ამაზე ზემოთ ნაწილობრივ გვირანდა უკვე საუბარი. ეს გახლავთ ატომური ენერჯის აღმოჩენა, ატომური ელექტროსადგურები, რომელიც, შეიძლება ითქვას, უახლოესი საუკუნეების ძირითადი ენერჯია იქნება, მაგრამ მეცნიერებამ დღესვე უნდა ეძებოს ენერჯის ახალი წყაროები, რადგანაც ატომური ენერჯის ჩაყენება მშვიდობიან სამსახურში კარგია, მაგრამ იგი, როგორც ამას აღნიშნავენ მეცნიერები, საბოლოოდ მაინც ეურ გადაჭრის პრობლემას.

არის ცდები ენერჯის ახალი წყაროების მიგნებისა, იქნებ მზის ენერჯია გამომადგეს კარიბბობისა? აი საფრანგეთში პირინეის მთე-

ბზე ამრეკლავი სარკეებისაგან დასაწყისი კიდევაც უზარმაზარი „მზის ღებელი“ ან იქნებ კოსმოსიდან თანამგზავრების საშუალებით მოხერხდეს მზის სითბოს გადმოტეშება დედამიწაზე? იტალიელებმა სხვა გზით სცადეს „ხელის მოთბობა“, დაამონტაჟეს მძლავრი ელექტროსადგურები, რომლებიც მიწიდან ამომავალ ორთქლზე მუშაობენ. ამ ასპექტით სიანტიკრესია მეტად გაბედული იდეა დედამიწისეული ტემპერატურის ელექტროსადგურებისათვის გამოყენებისა, მაგრამ ამ იდეას ახლავს შიშიც — ვაი თუ დედამიწის გულის გაციუვებას მოჰყვეს შრავალი, ჯერ კიდევ ადამიანის გონებისათვის უცხო და გაუცნობიერებელი, უსიამო შედეგი?

ძიებამ მეცნიერები მიიყვანა თერმობირთვულ რეაქციებამდე. ამაჰმდ მთელი აქცენტი სწორედ თერმობირთვული რეაქციების დამორჩილებისაკენა მიმართული. კაცობრიობის საბოლოო ხსნა მოსალოდნელი ენერჯეტიკული კრიზისისაგან, მეცნიერთა საყოველთაო აღიარებით, თერმობირთვულ-ალაზმურ დანადგარებს ძალუძთ, რომლის საწვავსაც ატომურისაგან განსხვავებით იაფფასიანი და გაერკელებული ნედლეული — დეფიციტი ანუ მიიმე წყალბადი წარმოადგენს. რა სასიამოვნო აკორდად გაისმის ამ დროს წიგნის ავტორის მიერ ურწმუნოთა საბოლოოდ დასაშვებდებლად მარჯვედ მოხმობილი აკადემიკოს არკიმოვიჩის სიტყვები: „სამართავი თერმობირთვული სინთეზის პრობლემა მაშინვე იქნება გადაწყვეტილი, როგორც კი კაცობრიობას მისი რეალური მობთხოვნილება გაუჩნდება“.

ერთი სატყვით, კაცობრიობას არ ელის ენერჯეტიკული სიკვდილი, ადამიანს შეუძლია იმედის თვალთ შეხედოს მომავალს... — ასკენის შემდეგ ავტორი:

ჩვენ საგანგებოდ შეეახრეთ ყურადღება ზემოთ განხილულ წერილზე. რამდენადაც იგი ეხება კაცობრიობის უოფერების უმნიშვნელოვანეს ასპექტებს, მის ბედსა და მომავალს, ამასთანავე ამ წერილში ნათლად არის გამოკვეთილი წიგნის ავტორის ორგანული მიმართება განსახილველ საკითხებთან. მისი ერუდიცია და მეცნიერულ-პუბლიცისტური მალაპროფესიონალიზმი, ყოვლად შრავალი, მოსაწყენი და მოსაბარებელი ციფრების, პროცენტების, რიცხვების შიამბეჭდავი ამტყველებების უნარი, ფრანსი სიმჭიდროვე და ტევალობა, ლაკონიზმი და ნათელი აზროვნება.

ეს წერილი წარმოადგენს მეცნიერ-პუბლიცისტის წარმატებათა საიდუმლოს ამოცობის, მისი შემოქმედებითი მანერის კანონზომიერებათა ერთგვარი განზოგადების ცდას. კანონზომიერებისა, რომელიც თანაბრად ვრცელდება ამ კრებულში წარმოდგენილ სხვა მეტად საინტერესო წერილებზედაც, სადაც გამოქმეებულია

ფიზიკის, ასტრონომიის, რელიგიისა და ენერგეტიკის პრობლემური საკითხები. ავტორი ყველგან ჩნდება ალტრუისტ-პროგნოზისტად, შეცნობრებათა სამყაროს ლაბირინთებში კეთილ მგებულად, გონებათაოდ ანალიტიკოსად.

ეს წიგნი დაინტერესებულ მკითხველს ბიძგს აძლევს, ფანტასტი მწერლის დანიელ დანინის

სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ კი „სიწმინდე“ თანამედროვეა „ამაღლდეს ანშტანსშტანს...“ თანამედროვე ინტელიგენტი ადამიანისათვის მიზანა ასეთი ამაღლებისა მართლაც რომ შეტად საპატიო გახლავთ...

ნიკნაის ნიკნაისი

## უპარეპელი მუზა

კოლაუ ნადირაძე უხევესი ქართველი პოეტი. ის იყო ქართული სიმბოლისტური ჯგუფის „ცისფერი ყანწების“ ერთ-ერთი აქტიური წევრი და ამ ჯგუფის ეტრნალის გამომცემელთაგანი. მისმა პირველმა წიგნმა უერადღება მიიქცია თავისი სიახლითა და სიღრმით. შემდგომ კოლაუ ნადირაძე თანდათან ბევრი რამ ვადაფასა იმ პირველი ლიტერატურული შეხედულებებიდან და მრავალი ბრწყინვალე ლექსი შესძინა პოეზიის საგანძურს.

დღეს კოლაუ ნადირაძის პოეტური სიტყვა კვლავ შთელი ძალით ეღერს. ამ შემოქმედს საავად ვერ მიეკარა გავლილი დრო. პოეტი კვლავ ნაყოფიერად მუშაობს პოეზიაში. ამის დასტურია თუნდაც ეს ახალი კრებული.

კოლაუ ნადირაძისათვის არასოდეს უოფილა ორგანული სატრიბუნო, პუბლიცისტური ინტონაციები. მისი პოეზია იშვიათად თუ გასცილებია ინტიმურ ლირიკას. ავტორი, რამდენი წელიწადია ქართულ პოეზიას ერთვის ეს წმინდა, ნათელი, ლოცვასავით ხმადაბალი სიმღერა.

შე სულში მწედებოდა მოცარტის არია...

იყო გაზაფხული და იყო დილა.

თურმე ეს სიციხე რაოდენ კარგია!

თურმე ქვეყანაზე რაოდენ თბილა!

დღეს ჩემს სულს უხმობდა მოცარტის

არია...

კვირტები ხეებზე იწყებდნენ ვაშლას.

ვინ თქვა რომ წარსული იყო და მკედარია,

ვინ თქვა რომ კრებულები ტრფობისა

გაშრა?!

პოეტი წლების სიღრმეში იყურება — იქაა სიურმე და სიჭაბუკე, იქაა პირველი სიყვარული, პირველი ცის გახსნა... მაგრამ პოეტი არ მოსწყვეტია იმ დღეებს, კვლავ იქაა და კვლავ წმინდად ინახავს იმ დღეთა სინათლეს — პირველ სიყვარულს.

\* კოლაუ ნადირაძე — „ახალი ლექსები“, „მერანი“, 1981 წ.

მოხუცს და ლატაკს რა გამაჩნია

შენი ღვთაებრივ წყალობის გარდა?

შე შენი კვერთხის დღი მაჩნია!...

კოლაუ ნადირაძეს ერთი ლექსისთვის ასეთი მიძღვნა გაუკეთებია: „ჩემს ძმებს — „ცისფერიყანწებს“. ისინი ბევრნი იყვნენ — ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდამილი, ნიკოლო შიწიშვილი, აღი არსენიშვილი... ახლა კი მათგან მხოლოდ კოლაუ ნადირაძეა ცოცხალი. ერთი პოეტის თქმისა არ იყოს „კენის სულის აღზევებამ“ გააღწარა იმ პოეტებს და კოლაუ ნადირაძე სევდით და ჭკერით ფიჭობს წარსულ მეგობრებზე:

უკვე ვეღარ ვძლებ! ღამე კი ავდრობს,

მასეთი კრებულები ცისფერი ყანწით!

პაოლო ძმაო, ტიციან, სანდრო,

მოდით ლექსებით დამლახერეთ, დამწვიო!

პოეტი თავის ახალ კრებულში ჩვენი დღევებით ცხოვრობს. ის წერს ღუნის გენიაზე და თანამედროვე ახალგაზრდობაზე, პეტროგრადის გმირულ აქანყებაზე და ოქტომბრის რევოლუციაზე. აქვეა ლექსები, რომლებიც ეძღვნება დიდ ქართველ პოეტებს შოთა რუსთაველს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, მკითხველის თვალწინ გაიბრწყინებს წინანდლის ბალი თავისი „უჭკნობი ყვავილებით“ ნინოთი და ეკატერინეთი.

კრებულში მხებულება პოემა-იმპროვიზაცია „სოფლის ამბავი“, სადაც ავტორი თანამედროვე ქართული სოფლის სურათებს ხატავს. პოეტი დადის სოფლის მინდვრებში და ტყეებში, შეკუერებს „გაკინებულ ვარკვლავებს“, ისმენს ბავშვების ფრიალს... ესაა ქალაქელი კაცის მიერ განდილი სოფელი, სოფელში დაბრუნება, სოფლის ხელშეგრად აღმოჩენა.

შე ვეღარ ვძლებ სიციხან დღეებს  
(ვულს ზოგჯერ მიანც დაეჭრება),

სალამი მინდერებს, სალამი ტყეებს,  
სალამი სოფლის მშვენიერებას...

ასეთია მოკლედ ეს კრებული. ამ ლექსებმა  
კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ „ბებერი  
მეზა“ არ არსებობს. არაფერია იქნის, როდის იწე-

რებ აუფრო ყარგი ლექსები მზის მისვლის  
თუ მზის გადახრისას. ეს კრებულიც კოლხ  
ნადირაძის უბერებელი მუზის კიდევ ერთი გა-  
მოსხივებაა.

ნაზარ ფორია

## „ასკილის ფურცლები“

თათბა, რომელსაც გვიღ გავგუქორი  
ევთენის, სამწერლო ასპარეზზე ნი...ანი წლე-  
ბის დასაწყისში გამოვიდა (ოთარ ჭილაძე, ჯან-  
სულ ზარკვიანი, თამაზ ჭილაძე, შოთა ნიშნია-  
ნიძე, ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჯავახიძე,  
ზურ ბოლქვაძე და სხვ.). იმ ხანებში დაიწყო  
გამოსვლა ახალგაზრდულმა ლიტერატურულმა  
ეფრენამ „ისიკარმა“ და, ბუნებრივია, ეს პო-  
ეტები სწორედ „ისიკარს“ ირგვლივ შემოიკრი-  
ბნენ. ამიტომ მათ ზოგჯერ „ისიკრელებსაც“  
ეძახიან (ცხადია აქ იგულისხმება იმ პერიოდში  
სამწერლო ასპარეზზე გამოსული ნიჭიერი პოე-  
ზიკოსები და კრიტიკოსები).

ამ თაობის გამოსვლამ ქართულ ლიტერატუ-  
რულ ცხოვრებაში საკმაოდ დიდი ზეგანი გა-  
მოიწვია. ლიტერატორთა ერთმა ნაწილმა ამ  
ახალგაზრდა მწერლების სახით ქართული პოე-  
ზიის ლირსული მომავალი დაინახა, ნაწილმა  
კი აგრესიული პოზიცია დაიკავა და ახალ თა-  
ობას საკმაოდ სერიოზული „ბრალდებით“ შე-  
ხება — მათი ლიტერატურული პოზიცია ტრა-  
დიციულ ნაწინააღმდეგო პოზიციად ჩათვალი-  
ა — ამ ბრალდების მთავარ მოტივად კი ახალგა-  
ზრდა ავტორების პირველი ნაწარმოებების  
„ბუნდოვნება“, „სირთულე“, „ცხოვრებისაგან  
გათიშულობა“ მიიჩნია...

მიდიოდა დრო. არ ცხრებოდა კამათი. პოე-  
ტები, რომლებიც, პირველ ხანებში თავისი ხე-  
ლწერით ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს (ჯანსაყუ-  
თრებით ოთარ და თამაზ ჭილაძეები. გვიღ გე-  
გუქორი, ვახტანგ ჯავახიძე, ტარიელ ჭანტუ-  
რია) შემდეგ და შემდეგ უნდათ გამოიკეთ-  
ნენ, გამოეყვნენ „საერთო ოჯახს“, დაადგნენ  
დამოუკიდებელ გზას — გამოიკვეთა მათი ინდი-  
ვიდუალური ხელწერა, მათი ინდივიდუალური  
პოეტური საწყარო.

გვიღ გავგუქორი სწორედ ამ ნიჭიერი თაო-  
ბის წარმომადგენელია. მისი ყოველი ახალი  
პოეტური კრებულის გამოცემა განსაკუთრე-

ბულ ფაქტად იქცევა ზოლმე ქართულ ლიტე-  
რატურულ ცხოვრებაში.

პოეტის ახალ კრებულს „ასკილის ფურცლე-  
ბი“ ჰქვია. გამოცემლობა წიგნის სათაურს ასე  
„შიფრავს“: „პოეტის სტრიქონი ერთს მხრივ  
ასკილის ფურცლივით გელიანია და ვერ ურიგ-  
დება ადამიანური ღირსების შელაპყრობას, სიძულ-  
ველსა და გულგრილობას. ამავე დროს, მისი  
პოეტური სტრიქონის რბევა ისე ფაქიზია, რო-  
გორც რბევა ასკილის ფურცლისა“.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში გვიღ გეგე-  
ქორი თავისებური ხმის პოეტია. თუ ერთხანს  
იგი, თავისი თაობის პოეტების დრად, მხოლოდ  
ათმარცვლიან ლექსს ეურდნობოდა და მის შრა-  
ვალფეროვან ვარირებას ახდენდა, ბოლო ხანე-  
ბში გამოქვეყნებული ლექსებით ის მკითხველის  
წინაშე წარსდგა, როგორც უაღრესად შრავალ-  
ხმოვანი და საინტერესო პოეტი პოეტის თვალ-  
საზრისით. მან თამაშად შემოიტანა თავის შემო-  
ქმედებაში ერთხანს შიტოვებული თითხმეტ-  
მარცვლიანი ლექსი, ძალიან საინტერესო ლექ-  
სები შექმნა თითხმეტმარცვლიანი და ათმარც-  
ვლიანი სტრიქონების მონაცვლეობით.

ქებად ეფაქტური გამოდგა პოეტისათვის იგი,  
ასეთი სტროფი:

დილით შემფოთებულმა  
გაზეთების ქრონიკით,  
სულის შემფოთავი  
გადაფაგდე გაზეთი  
და დღელილმა მუზეუმს  
შევაფარე თავი.

ეს ახალი ხმა, ახლებური ფორმა, რომელიც  
მრავალსაუკუნოვანი ქართული ლექსის ტრადი-  
ციებს ეურდნობა და ამასთან ახალი ძიებებითაა  
დადასტურებული. ეს სიახლე კი უდიდეს როლს თა-  
მაშობს პოეტის სათქმელის ზუსტად და თანად-  
როულად გამოხატვაში.

გვიღ გავგუქორის სათქმელი კი მუდამ აქ-  
ტუალური, მუდამ მომწოდებელი, მუდამ მნიშ-  
ვნელოვანია. პოეტის ცხოვრებას, მის სულიერ

\* გ. გავგუქორი, „ასკილის ფურცლები“. გა-  
მომცემლობა „მერანი“, 1981 წ.

ბიოგრაფიას ღრმად გაუღვამს ფესვები დღევანდელი საქართველოს ცოდვა-მადლში. პოეტის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ზნობრივი უკომპრომისობა და, ერთობა, ეს შემთხვევით არ მომხდარა — წლების მანძილზე შელანძლული ზნობრივი კრიტერიუმები ვის, ვის და სწორედ პოეტების გულს ზედებოდა მრისხანედ. გივი გეგეჭკორის მრავალი ლექსიც სწორედ იმ დროის გამოძახილია, ის დრო აისახა, თავისი ნარ-ეკლით, თავისი დამაფიქრებელი ქარაფშუტობით. ამიტომაც ამ ლექსებში შემოქრილი ასე ფართოდ „პოეტური პუბლიცისტიკა“. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს პუბლიცისტიკა არასოდეს არ ტოვებს პოეზიის საზღვრებს, არ იქცევა პლაკატურ მოწოდებად და შიშველ დიდაქტიკად, პოეტს ყოველთვის ყოფნის ზომიერება და პოეტური ძალა იმისათვის, რომ მთელი სიმღერით გვაგრძნობინოს ესა თუ ის სატყეარო, დავანახოს ამა თუ იმ „შეზვეული კირის“ საშიშროება.

გივი გეგეჭკორის ახალი პოეტური კრებულიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლექსები: „ლექსი დავით გურამიშვილზე“, „ლექსი მომავლის სულაერ ამხანაგებზე“, „ლექსი დაქანტულ მდინარეზე“, „2122 წელს“, „პანჭურის არაფი“, „ნუ ეტყვი-მეთქი, განსვენებულს: იძინე მშვიდად!...“, „დაბრუნება“, „მეცხრამეტე საუკუნის პოეტები“ და სხვა.

დრო მიდის, მას ახალი საფიქრალი, იმედი და სატყეარო მოაქვს. ნამდვილ პოეტთან ყოველი შეხვედრა ამ დროისმიერი სიახლეების პირისპირ დადგომა, საკუთარი აღმინიშნული მოვალეობის კიდევ ერთხელ შეხსენებაა. ასეთი პოეტია გივი გეგეჭკორიც — მისი ხმა ერის საუკეთესო ნაწილის ხმაა — შეურიგალი, იმედიანი, მებრძოლი, უკომპრომისო...

პაატა პატაშვილი

რედაქციის მხამართა:

თბილისი, რუსთაველის ქროსპექტი, № 12.

ბეღეფონები: რედაქტორის — 98-55-11,

მთ. რედ. მოადგილის — 98-55-13, განყოფი-

ლებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაცა ასაწყობად 24. 08. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 8. 10. 82 წ., ასაწყობის ზომა 7 1/4 X 12, ქალაღდის ღორმატი 70 X 108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უღ 08770. ტირაჟი 26800, შეგვ. 2054. საქ. კ-ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლე-ნინის ქ. № 14.

672/180



3360 80 333.

060360  
76128

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ